ანდრო ანჯაფარიძე

ლითკაპუკიანი წერილები

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1968

ᲕᲒ 1
899.962.1.09×301 (47.922)+014.1
ა 186

ა. აბრამიშვილის წიგნი წარმოადგენს ნარკვევების კრებულს. ნარკვევებში გაშუქებულია გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებითი ბიოგრაფიის საკვანძო საკითხები, ძველი ქართული პერიოდიკისა და ახლად მოპოვებული საარქივო მასალების მიხედვით, გაშიფრულია 600-მდე ფსევდონიმი, მიკვლეულია რამდენიმე. დღემდე ანონიმურად ცნობილი ორიგინალური ოზზულების ავტორი, გამოვლინებულია უცხოური ენებიდან გადმოღებულ მხატვრულ ნაწარმოებთა ავტორები და მთარგმნელები.

წიგნი სპეციალისტებსა და მკითხველთა ფართო წრეს დაეხმარება ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწორად წარმოდგენასა და შესწავლაში.

7-2-3
790--68 ადკ.

წინასიტყვაობა

სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში 1939—1965 წლების მანძილზე რევოლუციამდელი ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისა და ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების შედგენაზე ვმუშაობდით. ამ ხნის განმავლობაში დიდძალი მასალა დაგვიგროვდა, რომლის მცირედ ნაწილს, სათანადო კომენტარებით, წინამდებარე ნარკვევთა სახით ვთავაზობთ მკითხველს.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მკითხველმა იცოდეს შემდეგი: 1819—1917 წწ. სულ 429 სახელწოდების ქართული ჟურნალი, გაზეთი და ერთდროული ალმანახი გამოდიოდა ჩვენში. ასე რომ, რუსული და უკრაინული პერიოდიკის შემდეგ, ქართულ პერიოდულ გამოცემას რიცხობრივად მესამე ადგილი ეკავა. ასეთივე პროპორცია იყო წიგნების გამოცემაშიც. ეს თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ბეჭდვით წყაროებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც მესამე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის სინამდვილეში.

1819—1917 წლების ქართული პერიოდიკა მრავალფეროვანია თავისი შინაარსით და ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის მასალა, რომელიც ფსევდონიმებს ამოფარებულ ავტორთა კალამს ეკუთვნის. ხშირად, ფსევდონიმების ამოუხსნელობის გამო, ბევრი ცნობილი ქართველი მოღვაწის ლიტერატურული შემოქმედება არ არის სრულად შესწავლილი.

ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, ქართული პერიოდიკის ფურცლებიდან 8000-ზე მეტი ფსევდონიმი, კრიპტონიმი

და ისიციალი ამოვკრიბეთ. აქედან 5000-მდე უკვე გავშიფრეთ, დავადგინეთ მათი ავტორები და უამრავი ახალი საინტერესო ცნობა მივიღეთ. მარტო წინამდებარე წიგნში 500-ზე მეტი ფსევდონიმია ამოხსნილი.

ცნობილია, რომ ფსევდონიმი წარმოშობით არავითარ საერთო კანონზომიერებას არ ემორჩილება. ამ მხრივ არც ქართველ კალმოსანთა ფსევდონიმები განსხვავდება უცხო ენებზე შეთხზულ-გამოგონილ გვარებისაგან. ხშირად აძა თუ იმ მოღვაწეს რამდენიმე ფსევდონიმი ჰქონდა. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ. რევოლუციამდელი ქართული პრესა აჭრელებულია პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეთა ფსევდონიმებით. ზოგი მათ მამის, დედის, პაპის და მამიდის სახელებიდან ქმნიდა (ე. ნინოშვილი, ი. გრიშაშვილი, ი. ევდო'შვილი), უმრავლესობა კი — მშობლიურ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას უკავშირებდა — სერგო კლდისპირელი (ორჯონიკიძე), კ. აბაშისპირელი (კ. გამსახურდია), ცნობილია ისეთი ფსევდონიმებიც, რომელთა ფუძედ გამოყენებულია ადგილი, საგანი თუ მოვლენა. ასეა მიღებული: ქუჩიდან — გ. ქუჩიშვილი (ჩხეიძე), ბედის უკმაყოფილობიდან: — გერი (ჭ. ლომთათიძე) მ. გარიყული (მ. თათეიშვილი), საკუთარი სახელიდან: მარიჯანი (მარიამ ალექსიძე), გარეგნობა-ხასიათიდან: ა. მოჩხუბარიძე (ა. ყაზბეგი). მრავალი ფსევდონიმი საგნებისა და მოვლენების სახელწოდებიდან არის. მაგ. შმაგი (მიხ. ლელაშვილი), ქნარი (ი. გვანცაძე) და ა. შ.

წინასიტყვაობაში, რა თქმა უნდა, ძნელია მოკლედ გადმოიცეს ის საკითხები, რომელთა შესახებაც ამ წიგნშია საუბარი. მაგრამ იმედია მკითხველი თავად გაეცნობა მათ და შემდეგ, სამართლიანად განსჯის. ამ წიგნის ავტორი 33 წელია ლენინგრადში ცხოვრობს და თავისი მოკრძალებული მოღვაწეობით ცდილობს შეძლებისდაგვარად ემსახუროს მშობლიურ ხალხს, მის კულტურას. წინამდებარე წიგნს, რა თქმა უნდა, ექნება ნაკლოვანი მხარეები, რომელთა შესახებ გამოთქმულ გულწრფელ და საქმიან შენიშვნებს ავტორი სიამოვნებით მიიღებს და გამოიყენებს შემდგომ მუშაობაში.



მეფე არჩილის უცნობი სურათი

არჩილ მეფის დღემდე გავრცელებული სურათის პირველწყარო უცხოურია. კერძოდ, ეს გახლავთ ჰოლანდიელ ნიკოლოზ ვითსენის ნაშრომი „Woord en Oust Tartarien", რომელიც 1785 წ. მესამედ გამოიცა ამსტერდამში. ვითსენი თავის დროზე, 1684—1713 წწ., კარგად იცნობდა მოსკოვს

მცხოვრებ არჩილ მეფეს და მასთან მიწერ-მოწერაც ჰქონდა. სხვათა შორის, ეს ის ნ. ვითსენია, რომელიც არჩილ მეფეს მოსკოვში დაარსებული სტამბისათვის ქართული შრიფტის დამზადებაში ეხმარებოდა... სწორედ ამ კეთილგანწყობილებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვითსენმა თავის ზემოდასახელებულ კაპიტალურ ნაშრომში დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს მიმოხილვას, ჰოლანდიურ-ქართულ ლექსიკონს, წლის დროთა და თვეების ქართულად გამოთქმას, ქართულ თვლას 1000-მდე, იმ წერილის ფოტო-ფაქსიმილეს, რომელიც მან არჩილ მეფისაგან მიიღო 1686 წ. 17 დეკემბერს და, ბოლოს, თვით არჩილ მეფის სურათს, რომელიც ცოლისძმა ნიკოლოზ (ირაკლი I) დავითის ძესთან ერთად არის გადაღებული.

არჩილ მეფის ამ სურათის შესახებ ნ. გოლოვინმა 1852 წ. მოსკოვში დაბეჭდილ ისტორიულ და ლიტერატურულ კრებულ „რაუტში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „იმერეთის მეფე არჩილის წერილები ბოიარ თედორე ალექსის ძე გოლოვინს“ (იხ. „რაუტ“, 1852 წ., გვ. 320—334). წერილების ტექსტს უძღვის გამომცემლის ორგვერდიანი შესავალი, რომელშიც ნ. გოლოვინი არჩილის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებსა და მისი სამეფო ტახტის წარსულის მიმოხილვას გვაწვდის. შესავლის დასასრულს ნ. გოლოვინი აღნიშნავს: „ძველ ბოიართა სახლებში შემორჩენილია არჩილ მეფის პორტრეტი; ზოგი მას პატრიარქ ფილარეტის გამოსახულებად მიიჩნევს, მაგრამ მოკლე თმა და სახის ქართული ნაკვთები ნათელს ხდის ამ მოსაზრების მცდარობას“. ნ. გოლოვინი იქვე, სქოლიოში, მიუთითებს „რუსეთის სახელმწიფო სიძველენზე“, საიდანაც გადმოვიღე წინამდებარე სურათიო და მტკიცედ დასძენს, რომ ეს სურათი იმერეთის მეფე არჩილისაა და არა პატრიარქ ფილარეტისაო. შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ეს ნამდვილად ასეა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვლ. ტატიშვილმა, როცა წერდა ნაშრომს „ქართველები მოსკოვში“, სწორედ კრებულ „რაუტში“ გამოქვეყნებული არჩილ მეფის წერილები

გამოიყენა. წყაროთა მითითებისას კი მან კრებულში მოთავსებული სტატია ცალკე გამოცემულ წიგნად დაასახელა და 1856 წლით დაათარიღა. სინამდვილეში კი, როგორც ირკვევა, კრებულ „რაუტის“ ცალკე ამონაბეჭდით ისარგებლა.

აქ მოთავსებული არჩილის ნაკლებად ცნობილი პორტრეტი ძალიან წააგავს 1947 წ. ალ. ბარამიძის მიერ გამოცემულ „ვახტანგ VI თხზულებათა კრებულში“ მოთავსებულ ვახტანგ VI პორტრეტს. ეს მსგავსება უმთავრესად გარეგნულ ჩაცმულობაში გამოიხატება, თუმცა სხვა მხრივაც ბევრია მათ შორის საერთო.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მე-19 ცალი და გრიგოლ ბატონიშვილის მარგინალიები

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემიდან ჩვენამდის, ა. შანიძის ცნობით, შენახულია 18 ცალი. ჩვენი განხილვის საგანია მისი მე-19 ეგზემპლარი, რომელსაც ა. შანიძე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გაეცნო პეტერბურგში, მაგრამ შემდეგ ვეღარ მიაგნო მას და ამიტომ იგი კვლევის გარეშე დარჩა. ა. შანიძის მიერ 1937 წ. გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ 402-ე გვერდზე ამ მე-19 ცალის შესახებ ნათქვამია: „იოანე ბატონიშვილის წიგნსაცავში მოიპოვებოდა ერთი ცალი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნისა“ (ვეფხის ტყაოსანი, თქმული შოთა რუსთველისაგან, თამარ მეფის დროს, დაბეჭდილი 1712 წელს მეფე ვახტანგისაგან. აქვე სხუა და სხუა ნაწერი ლექსები“ — А. Цагарели, Сведения, в. III, 210). იოანე ბატონიშვილისეული წიგნსაცავი 1880 წელს შეიძინა ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ და ამჟამად იქ არის დაცული (ნაწილის გარდა, რომელიც 1928 წ. საქართველოს გადმოეცა). როცა მე ამ საჯარო წიგნსაცავში ვმუშაობდი 1915 — 1916 წელს, მახსოვს, ეს ცალი ქართული ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაში იყო. ცალს მართლაც ჰქონდა დამატებად ხელით მინაწერი ლექსები სხვადასხვა ავტორისა, მაგრამ, როდესაც 1936 წ. ზაფხულში ლენინგრადში ვიყავი და აღნიშნულ ბიბლიოთეკაში საგანგებოდ წავედი და ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ ასაწერად მოვიკითხე, სამწუხაროდ, მისი კვალი ვერსად აღმოაჩინეს“.

დიახ, ეს მე-19 ცალი მართლაც-და გიორგი XII-ის ძის იოანე ბატონიშვილის (1768—1830) წიგნსაცავიდან მომდი-

ნარეობს. ამჟამად დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული წიგნების ფონდში. ა. შანიძემ 1936 წ. ვერ ნახა და ვერ მოახდინა მისი მეცნიერული აღწერა მხოლოდ იმიტომ, რომ წიგნი იმ ხანებში, დროებით, გამოფენაზე იყო წაღებული ერმიტაჟში.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ამ ცალის აღწერილობა ასეთია: წიგნი ჩასმულია მუყაოს ყდაში, რომელსაც ზემოდან გადაკრული აქვს მუქი ყავისფერი ტყავი. თავის დროზე ეს ტყავი მთლიანად მოვარაყებული ყოფილა შავი სანდალოზით, მაგრამ დროთა ვითარებაში იგი ასცვენია და ჩვენამდე მოუღწევია შიგადაშიგ გადარჩენილ შავ მოელვარე ლაქებს. წიგნს ყდის მაღლითა ყუაზე ერთიმეორეზე მიწებებული აქვს ორი იარლიყი და შავი მელნით ქვედა იარლიყს აწერია „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი“, ხოლო მეორე, ზემოდან დაწებებულ იარლიყს აწერია იმავე—შავი მელნით „№ 1. ვეფხის ტყაოსანი“, რაც ნიშანია იმისა, რომ მფლობელთა — ბატონიშვილების (იოანეს, გრიგოლისა და იოანეს) ბიბლიოთეკის თაროებზე რუსთველის გენიალურ პოემას პირველი ადგილი ჰქონია დათმობილი. ამ ეგზემპლარის კუთვნილებას კი აზუსტებს ყდასა და თავფურცელს შორის ჩამატებულ სუფთა (დაუბეჭდავ) ფურცელზე (verso პირზე) მოთავსებული მინაწერი შავი მელნით:

მუდმივ მაშფოთებ ომითა,
არც სიყვარულის ნდომითა,
ვეჭობ, ხარ ჩემზე წყრომითა, ლამაზო,
ნუ დამწვი, შენი ჭირიმე.

ამ ერთსტროფიანი ლექსის შემდეგ (პატარა ინტერვალის გამოშვებით) ვკითხულობთ: „ეს ვეფხის ტყაოსანი მეფის ძის ძის გრიგოლისა არის, ღმერთმან ახმაროს მშვიდობაში. ვინც მოიპაროს, გაუწყრეს წმინდა სახარება. ერთ-არსება და შეჩვენებული, სულით კრულ იყოს ორსავე ცხოვრებასა, სულისა წმინდისაგან, ამინ“. კიდევ უფრო ცოტა ქვემოთ, მარცხენა კუთხეში, დასმული აქვს იმავე ხელით თარიღი: „წ ე ლ ს ა 1818“.

ამ ცალში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მდგომარეობა ასეთია: პოემა მთლიანადაა შემონახული, დაწყებული თავფურცლიდან ს პ ვ გვერდის ჩათვლით, ე. ი. ცალს აკლია მხოლოდ ვახტანგის კომენტარები (გვ. გვ. ს პ ზ—ტ ნ ა:). რაც შეეხება შემორჩენილ ტექსტს ([4] ა—ს პ ვ გვერდებს), მათი დაწვრილებითი აღწერა ასეთია: წიგნის აღდგენის დროს, რაც უნდა მომხდარიყო 1818—1820 წლებში, პირველ და მეორე დაუნომრავ ფურცლებს შეცდომით ერთიმეორის ადგილები ეკავათ, მასთან ერთად მეორე ფურცელი პირველი ფურცლის ადგილას შებრუნებით იყო აკინძული, ე. ი. ამ ორი ფურცლის (ოთხი გვერდის) განრიგება ამგვარად იყო გაწყობილი: ვახტანგ VI-ს მდიდრულად შემკული პორტრეტი (გვ. 1), ღერბის სიმბოლიკის განმარტების ექვსსტროფიანი ლექსის მეორე ნახევარი და თვით ვახტანგის პატარა წინასიტყვაობა (გვ. 2), „ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელი (გვ. 3) და ბაგრატიონთა ღერბი სიმბოლიკის პირველი ნახევრით (გვ. 4). ამავე დროს „ვეფხისტყაოსნის“ დაზიანებული ტექსტები ულაზათოდ იყო აღდგენილი, არა ნაკლებ 300—400 ჩვეულებრივი უხეში ქაღალდის პატარ-პატარა ნაჭრების დაწებებით. 1955 წელს სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილების თანამშრომელს ქ. ხ. ხოვკინას „ვეფხისტყაოსნის“ მთელი ტომი ცალ-ცალკე ფურცლებად დავაშლევინე და შემდეგ საგანგებოდ აღვადგენინე: ყველა გვერდზე შეუმჩნევლად დააწებეს გამჭვირვალე თხელი აბრეშუმისა და ჩვრის ქაღალდები, სანიმუშოდ განახლებული ფურცლები რიგზე დავალაგეთ და ჩვენივე ბიბლიოთეკის სამკაზმაო განყოფილების თანამშრომლებმა — ვ. ს. სეკმა და ბ. ს. ზელვინსკიმ ინდივიდუალური შეკვეთით ხელმეორედ აკინძეს პირვანდელ აღდგენილ ტყავის ყდაში, ხოლო უკანასკნელს მუქი წითელი (ბორდო) ფერის კოლენკორის სპეციალური ბუდე გაუკეთეს. დღეს ამ სასიამოვნოდ აღდგენილ „ვეფხისტყაოსანს“ მრავალი საუკუნის არსებობის გარანტია აქვს.

როგორც ზემოთ აღნიშნულია, დაუნომრავი ორი ფურცელი (4 გვ.), ისევე ა-ნ თ გვერდების არშიები თავის დროზე

მეტნაკლებად დაზიანებული ყოფილა და მფლობელს აღუდგენია; სუფთა ფურცლები ჩარჩოებში ჩაუსვამს; იქ, სადაც დაზიანებული ყოფილა ტექსტის კიდური ასოები, შაირების სათვალავი ან პაგინაციის აღმნიშვნელი ასოები ლამაზი ხელითაა აღდგენილი. ტექსტი, გარდა ი ე- ი ვ გვერდებისა, რომლებიც მთლიანად შავი მელნითაა დაწერილი, ნაკლებადაა დაზიანებული და სადაც წამხდარია ცალკეული მარცვლები (იშვიათ შემთხვევაში სიტყვები), დიდი გულმოდგინებით არის აღდგენილი. იქ, სადაც ძველი რესტავრაცია მინაწერებს შეიცავდა, ჩვენ ის ხელუხლებლივ დავტოვეთ და დავამაგრეთ მხოლოდ ორივე მხრივ თხელი გამჭვირვალე აბრეშუმის ქაღალდით.

თანახმად ა. შანიძის შენიშვნისა, ჩვენამდე მოღწეული ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ცალი სხვადასხვა კორექტურულ და ტექნიკურ შეცდომებს შეიცავს. მე19 ცალშიც ამგვარი შეცდომები უხვად დაიძებნება. აქაც არეულია ზოგან პაგინაცია. ჩვენ აქ ტაბულის სახით წარმოვადგენთ ამ მე-19 ცალის პაგინაციას ისე, როგორც დაბეჭდილია, და იქვე ვუჩვენებთ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ფაქტიურად. დაზიანებული გვერდების სავარაუდო პაგინაცია ჩასმულია ფრჩხილებში ( ), როცა არ ვართ დარწმუნებული გვერდის რა მაჩვენებელი იყო დაბეჭდილი. ვიძლევით კითხვის ნიშანს, ჩასმულს კვადრატულ უბრალო ფრჩხილებში; ბეჭდვის დროს ჩავარდნილ გვერდების აღმნიშვნელ ასოებს ნულით (0) აღვნიშნავთ, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევებისათვის ვხმარობთ კვადრატულ ფრჩხილებს [ ]:

არის	უნდა იყოს		არის	უნდა იყოს		არის	უნდა იყოს	
(ა)	ა	1	(ი)	ი	10	(იშ)	ით	19
(ბ)	ბ	2	(ია)	ია	11	ით	კ[illegible]	20
(გ)	გ	3	(იბ)	იბ	12	კ	კა	21
(დ)	დ	4	(იგ)	იგ	13	(კ)ა	კბ	22
(ე)	ე	5	(იდ)	იდ	14	?	კგ	23
(ვ)	ვ	6	(იე)	იე	15	?	კდ	24
(ზ)	ზ	7	(ივ)	ივ	16	ლშ	კე	25
(შ)	შ	8	(იზ)	იზ	17	კთ	კვ	26
(თ)	თ	9	(იშ)	იშ	18	ლ	კზ	27

არის	უნდა იყოს		არის	უნდა იყოს		არის	უნდა იყოს	
ა	ა	28	პ	ო	78	რლ	რ	128
ბ	ბ	29	პა	ოთ	79	რლ(ა)	რთ	129
გ	გ	30	პბ	პ	80	(რლბ.	რლ	130
დ	დ	31	პგ	პა	81	(რლგ)	რლა	131
ე	ე	32	პდ	პბ	82	(რლდ	რლბ	132
ვ	ვ	33	პე	პგ	83	რლ(ე)	რლგ	133
ზ	ზ	34	პვ	პდ	84	(რლვ	რლდ	134
თ	თ	35	პზ	პე	85	რლზ	რლე	135
ი	ი	36	პთ	პვ	86	რლთ	რლვ	136
კ	კ	37	პი	პზ	87	რლი	რლზ	137
ლ	ლ	38	პკ	პთ	88	რმ	რლთ	138
მ	მ	39	პლ	პი	89	რმა	რლი	139
ნ	ნ	40	პმ	პკ	90	რმბ	რმ	140
ო	ო	41	პნ	პლ	91	რმგ	რმა	141
პ	პ	42	პო	პმ	92	რმდ	რმბ	142
ჟ	ჟ	43	პპ	პნ	93	რმე	რმგ	143
რ	რ	44	პჟ	პო	94	რმვ	რმდ	144
ს	ს	45	პრ	პპ	95	რმზ	რმე	145
ტ	ტ	46	პს	პჟ	96	რმი	რმვ	146
უ	უ	47	პტ	პრ	97	რმთ	რმზ	147
ფ	ფ	48	რე	პს	98	რნ	რმი	148
ქ	ქ	49	რა	პტ	99	რნა	რმთ	149
ღ	ღ	50	რბ	რ	100	რნბ	რნ	150
ყ	ყ	51	რგ	რა	101	რნგ	რნა	151
შ	შ	52	რდ	რბ	102	რნდ	რნბ	152
ჩ	ჩ	53	რ	რგ	103	რნე	რნგ	153
ც	ც	54	რვ	რდ	104	რნვ	რნდ	154
ძ	ძ	55	რზ	რე	105	რნზ	რნე	155
წ	წ	56	რი	რვ	106	რნი	რნვ	156
ჭ	ჭ	57	რთ	რზ	107	რნთ	რნზ	157
ხ	ხ	58	რი	რი	108	რპ	რნი	158
ჯ	ჯ	59	რია	რთ	109	რპა	რნთ	159
ჰ	ჰ	60	რიბ	რი	110	რპბ	რპ	160
ჰდ	ჰა	61	რიგ	რია	111	რპგ	რპა	161
ჰე	ჰბ	62	რიდ	რიბ	112	რპდ	რპბ	162
ჰვ	ჰგ	63	რიე	რიგ	113	რპე	რპგ	163
ჰჰ	ჰდ	64	რივ	რიდ	114	რპვ	რპდ	164
ჰჯ	ჰე	65	რიზ	რიე	115	რპზ	რპე	165
ჰი	ჰვ	66	რიი	რივ	116	რპი	რპვ	166
ჰთ	ჰზ	67	რით	რიზ	117	რპთ	რპზ	167
ჰო	ჰი	68	რკ	რიი	118	რპ	რპი	168
ოა	ჰთ	69	რკა	რით	119	რპა	რპთ	169
ობ	ო	70	რკბ	რკ	120	რპბ	რო	170
ოგ	ოა	71	რკგ	რკა	121	რპგ	როა	171
ოდ	ობ	72	რკდ	რკბ	122	რპდ	რობ	172
ოე	ოგ	73	რკე	რკგ	123	ეპრ	როგ	173
ოვ	ოდ	74	რკვ	რკდ	124	რპვ	როდ	174
ოზ	ოე	75	რკზ	რკე	125	რპზ	როე	175
ოი	ოვ	76	რკი	რკვ	126	რპი	როვ	176
ოთ	ოზ	77	რკთ	რკზ	127	რპი	როზ	177

არის	უნდა იყოს		არის	უნდა იყოს		არის	უნდა იყოს	
რ პთ	როთ	178	სკგ	სია	211	სნვ	სმდ	244
რჟა	როთ	179	სკდ	სიბ	212	სნხ	სმე	245
რუბ	რპ	180	სკე	სრგ	213	სნთ	სმვ	246
რუგ	რპა	181	სკვ	სიდ	214	სნთ	სმხ	247
რუდ	რპბ	182	სკხ	სიე	215	სდ	სნთ	248
რუე	რპგ	183	სკთ	სივ	216	სდა	სმთ	249
რუვ	რპდ	184	სკთ	სიხ	217	სდბ	სნ	250
რუხ	რპე	185	სლ	სით	218	სდგ	სნა	251
რუთ	რპვ	186	სლა	სით	219	სდდ	სნბ	252
რჟთ	რპხ	187	სლბ	სკ	220	სდე	სნგ	253
ს	რპთ	188	სლგ	სკა	221	სდვ	სნდ	254
სა	რპთ	189	(სლდ)	სკბ	222	სდხ	სნე	255
სბ	რუ	190	სლე	სკგ	223	სდთ	სნვ	256
სგ	რჟა	191	სლვ	სკდ	224	სდთ	სნხ	257
სდ	რუბ	192	სლხ	სკე	225	სო	სნთ	258
სე	რუგ	193	სლთ	სკვ	226	სოა	სნთ	259
სია	რუდ	194	სლთ	სკხ	227	სობ	სდ	260
სზ	რუე	195	სმ	სკთ	228	სოგ	სდა	261
სთ	რუვ	196	სმა	სკთ	229	სოდ	სდბ	262
სთ	რუხ	197	სმბ	სლ	230	სოე	სდგ	263
სი	რუთ	198	სმგ	სლა	231	სოვ	სდდ	264
სვ	რჟთ	199	სმდ	სლბ	232	სოხ	სდე	265
სიბ	ს	200	სმე	სლგ	233	სოთ	სდვ	266
სიგ	სა	201	სმვ	სლდ	234	სოთ	სდხ	267
სიდ	სბ	202	სმხ	სლე	235	სპ	სდთ	268
სიე	სგ	203	(სმთ)	სლვ	236	სპა	სდთ	269
სივ	სდ	204	სმთ	სლხ	237	სპბ	სო	270
სიხ	სე	205	სმთ	სლთ	238	სპგ	სო	271
სით	სვ	206	სნა	სლთ	239	სპდ	სობ	272
სით	სხ	207	სნბ	სძ	240	სპე	სოგ	273
სკ	სთ	208	სნგ	სმა	241	სპვ	სოდ	274
სკა	სთ	209	სნდ	სმბ	242			
სკბ	სი	210	სნე	სმგ	243			

ამ ტაბულიდან ირკვევა, რომ გვერდების დანომვრაშიც შემდეგი შეცდომებია: გვერდები იწ, ლბ, დე. რპწ და სმთ ორ-ორჯერ მეორდება. რდთ გვერდის შემდეგ იწყება არა რო გვ., არამედ რპ და გრძელდება რპ-რპთ, ხოლო რო-როთ გვერდები გამოტოვებულია (ჩავარდნილია ათი რიცხვი). იგივე შეცდომა გამეორებულია ა. შანიძის ძიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანშიც“ ლა გვ.-ის შესატყვისი უათია აღნიშნული, ან კიდევ, ჯერ არის ლწ გვ. და მას მოსდევს კთ, ხოლო კთ-ს შემდეგ არის ლ და მას მოსდევს ქა. ლთ გვ-ის შემდეგ კვლავ შეცდომით ლმ გვ. და არა მ. ად-

გილი აქვს კიდევ ამგვარ ანაბეჭდს: რ პ დ გვ.-ის შემდეგ არის ე პ რ (sic I), ე. ი. ადგილი აქვს პირველი (რ) და მესამე (ე) ასოების ერთიმეორეში გადასმას.

პოემის ტექსტს აკლია მხოლოდ ვახტანგის კომენტარები. შესაძლებელია, კომენტარები სხვადასხვა მოსაზრებით განგებ არის ამოღებული წიგნის მფლობელის (გრიგოლ ბატონიშვილის) მიერ. მის მაგიერ წიგნთან ერთად ჩაუკინძავთ ქაღალდის სუფთა (დაუწერელი) ფურცლები (რიცხვით 30-ძდე). ჩამატებული ფურცლების ჰვირნიშანია 1817 წელი. ეს საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ სუფთა ფურცლები გრიგოლ ბატონიშვილის მითითებით უნდა ჩაემატებინათ 1818 წელს, რადგანაც ამ დროს ხსენებული ცალი უკვე გრიგოლ ბატონიშვილის კუთვნილება ყოფილა.

ყდის ზედა და ქვედა ფრთების შიდა პირებზე გადაკრულ თეთრ სუფთა ფურცლებზე რვა-რვა აღგილას დასმულია წითელი ლუქები, რომლებიც ფურცლების პერიფერიულ ნაწილებში პროპორციულობით არის განაწილებული. ალბათ ამ ლუქების საშუალებით დაწებებული იყო რაღაც ძვირფასი ფურცლები — პორტრეტები, მაგრამ შემდეგში ისინი აუძვრიათ და ლუქებზე დარჩენილა მხოლოდ აძრობილი ქაღალდების ნაკვალევი. ან შეიძლება, პირიქით, ბანდეროლით ამ ცალის გადაგზავნისას ფოსტაში დალუქეს, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროისათვის.

ჩვენს ხელთ მყოფი ცალის დაზიანებული ფურცლების არეები, ყდის ფრთების შიდა პირებზე დაწებებული ფურცლები, ყდის ზედა ფრთასა და თავფურცელს შორის ჩამატებული ერთი ფურცელი (verso პირზე მინაწერით) და პოემის ბოლოში ჩამატებული 20 ფურცელი (ამ 20 ფურცლის გარდა რამდენიმე ფურცელი ამოხეულია და აკლია, თანახმად ჩვენი დაკვირვებისა, 30 და 31 გვერდებს შორის), გრიგოლ ბატონიშვილის საკუთარი ხელით მიწერილი ლექსებით უნდა იყოს აღდგენილი და შესრულებული, როგორც აღვნიშნეთ, 1818—1819 წლებში. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, გრიგოლ ბატონიშვილის ხელით წიგნზე დასმული თა-

რიღი — 1818 წელი, და, მეორე მხრივ, წიგნთან აკინძული და მისი აღდგენისას მასზე დახარჯული ქაღალდის ფურცლების ჰვირნიშნები: „AO 1816“, „AO 1817“ „PRO PATRIA“ და კიდევ ადამიანთან ზურგშექცევით უკანა ფეხებზე წამომჯდარი ლომის ფიგურა, რომლებიც აღნიშნავს ფაბრიკის მფლობელების ინიციალებს, მათ ღერბსა და თვით ქაღალდის გამოშვების წლებს. რაც შეეხება ლათინურ ენაზე გამოსახულ PRO PATRIA-ს (=მამულისათვის). იგი ფაბრიკის მფლობელისა და მისი მოღვაწეობის პატრიოტული იდეების აღმნიშვნელი ღერბი უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ა. შანიძე წერს: „გვერდის სათვალავები მოყვანილია ამ (აღდგენილი) გამოცემის მიხედვით, სადაც შესწორებულია პაგინაციაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომა პირველი გამოცემისაო“ (გვ. 396), მაინც საჭიროა აღინიშნოს, რომ მის აღდგენილ გამოცემაშიც გამეორებულია პირველ გამოცემაში დაშვებული პაგინაციის ზოგიერთი შეცდომა. მაგალითად, იზ გვერდის შომდევნო იწ გვერდი დაუნომრავადაა დარჩენილი და იწ-თი იწყება შემდეგი შომდევნო გვერდი, ე. ი. პაგინაციაში ხახტომია. ამავე დროს იგი ვახტანგისეულ გამოცემაში შეპარული შეცდომის გამეორებაა. კა გვერდის შემდეგ კვლავ გაშოტოვებულია კბ, კგ, კდ, კე გვერდები, კა-ს შემდეგ პირდაპირ იწყება კვ გვერდის ნომერი და გრძელდება დ დ გვერდამდე. ასევე დე გვ. გამოტოვებულია თავის ადგილას, მას უკავია დვ გვერდის ადგილი, ე. ი. თუ გამოშვებულ გვერდს აღვადგენთ, მაშინ დე გვერდი ორჯერ უნდა გამეორდეს[1]. დე ნახტომ გვერდიდან ტნა გვერდამდე ნორმალურად არის შოცემული პაგინაციის აღმნიშვნელი ასოების თანმიმდევრობა. პაგინაციის საერთო ჯამში ტნა გვერდის თანახმად „ვეფხისტყაოსნის“ საერთო მოცულობა 4+351 გვ. შეადგენს, ხოლო თუ მას კიდევ მივუმატებთ ზემოთ ჩამოთვლილ დაუნომრავ გვერდთა რაოდენობას, მაშინ უნდა იყოს 4+351+1 (შე-18 გვ.)+4 (გვ. გვ. 22. 23. 24. 25)+1 (65-ე გვ.)=361 გვერდი:

[1] დაწვრილებით იხილეთ ზემოთ მოტანილ ცხრილში.

სინამდვილეში კი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ გამომცემლის კომენტარებით სულ 4+341=345 გვ. შეიცავს. რაც შეეხება 16 გვ. დამატებითს განსხვავებას, რომელსაც იწვევს ზემომოტანილი გვერდების ერთიმეორესთან შედარება, იგი გამოწვეულია, ერთი მხრივ, პაგინაციის შეცდომით (რიცხვით 6 გვერდისა), მეორე მხრივ, იმით, რომ რ ჲ თ გვ. შემდეგ მომდევნო ათი გვ. (რ ო-რ ო თ) გამოტოვებულია და, აშგვარად, ნახტომის სახით რ ჲ თ გვ-ს რ ო გვ.-ის მაგიერ რ პ გვ. მოსდევს, რაც წიგნის საერთო პაგინაციას ათი გვერდით ადიდებს და ამავე დროს, ვახტანგის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ შეპარული შეცდომის სრულ გამეორებას წარმოადგენს.

ა. შანიძის მიერ აღდგენილ ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში“ შეპარული შეცდომები შეიძლება ავხსნათ რამდენიმე გარემოებით: პ ი რ ვ ე ლ ი, სხვადასხვა მოსაზრებით ა. შანიძემ განგებ გაიმეორა პირველ გამოცემაში გაპარული ზოგიერთი შეცდომა და, მ ე ო რ ე, მისდა უნებურად უნდა იყოს შეპარული ნაწილი შეცდომებისა, რომლის შესახებაც თვითონვე პატივცემული მეცნიერი წერს შეცდომების გასწორების უკანასკნელ — მეოცე მუხლში: „დასასრულ, უხდა დავსძინო, რომ ძალიან ვცდილობდი, სადმე რაიმე შეცდომა არ გამპარვოდა, ანდა, თუ შესწორებას შევიტანდი, უთუოდ აღმენიშნა (რა თქმა უნდა, უმნიშვნელო დეფექტების გარდა, როგორიცაა წერტილების ხმარება, გადაბრუნებული ასოები და მისთ.). და თუ მაინც წიგნში სადმე თავს იჩენს რაიმე ნაკლი, დაბრალებით დამბრალდეს, მაგრამ აღდგენილი გამოცემის შეფასებისას მოიგონონ პოემის პირველი სტამბური გამოცემის მომსწრე დიდი კაცის, სულხან-საბა ორბელიანის მიერ სხვა შემთხვევის გამო ნათქვამი სიტყვები: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ აძაგებთ, სრული ძნელია“ (გვ. 343).

ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში“ გაპარულმა შეცდომებმა ა. შანიძეს ასეთი აზრი გამოათქმევინა: „მართლაც, გასწორების უფლებას, პირველ ყოვლისა, თვით პირველი გამოცემის მოღწეული ცალების ერთმანეთთან შედარება მაძლევდა. ამ შედარებიდან ირკვევა, რომ ეს ცალები ყველა ერთნაირი არ

არის, არ არის იმ მხრივ, რომ თითო-ოროლა კორექტურული შეცდომა ზოგ ცალში მოიპოვება, ზოგში კი არა. როგორც ჩანს, ბეჭდვის შეცდომები აქა-იქ ბეჭდვისავე პროცესში შეუნიშნავთ და მაშინვე საბეჭდავ დაზგაზე გაუსწორებიათ. ამიტომ ერთს (ან რამდენიმე) ცალში რომელიმე სიტყვა ერთნაირად იკითხება. სხვაში (ან სხვებში) სხვანაირად" (გვ. 343). იქვე მოტანილია დამაჯერებელი ნიმუშები. შენიშვნაში ავტორი დასძენს: „შეიძლება ისეც მოხდა აქა-იქ, რომ პირველად ანაწყობი სწორი იყო, მაგრამ შემდეგ ბეჭდვისას დაებნათო" (გვ. 343). რა თქმა უნდა, ჩვენ ამის საწინააღმდეგოს აქ ვერაფერს ვიტყვით, მით უმეტეს, ისეთი გულმოდგინე შედარების შემდეგ. როგორიც მოახდინა ა. შანიძემ 18 ცალის ერთიმეორესთან დაპირისპირებით (რის საშუალებასაც პირადად ჩვენ ამჟამად მოკლებული ვართ). ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახტანგ VI ერთსა და იმავე დროს — 1712 წელს „ვეფხისტყაოსანი" ორჯერ გამოსცა? ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში მსგავსი ნიმუშები მოიპოვება. მაგალითად, 1629 წელს ქ. რომში „ქართული ანბანი ლოცვებითურთ" (Alphabetum ibericum, sive Georgianum...), თანახმად ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე ცალისა და მათი ერთიმეორესთან შეჯერებისა, საშჯერ გამოიცა[1].

ასევე მოხდა ალექსანდრე ყაზბეგის თხზულების ერთტომეულად გამოცემისასაც (4, XXXV, 1204 გვ. — დ. კარიჭაშვილის „ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის" დართვით გვ. I—XXXV). მაგალითად, ეს ერთტომეული ერთი და იმავე სახით ორი წლის განმავლობაში ორჯერ დაიბეჭდა: ერთი გამოცემა (1904 წლისა) ემთხვევა ცენზურის 1903 წლის 4 ივლისის თარიღის ნებართვით მიღებულ ტექსტს, მეორე გამოცემა კი (1905 წ. თუ 1906 წ.) ცენზურის 1905 წლის 28 ივნისის თარიღის.

---

[1] А. Абрамишвили, Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии. Книги, исследования и материалы, Сборник III, М., 1960, стр. 251—299.

ფასტურით მიღებულ ტექსტს, სადაც თავფურცლების შიდა პირებზე დაბეჭდილია: «Дозволено цензурою. 4 июля 1903 г. Тифлис» და «Дозволено. Тифлис», 28 июля 1905 г.» ამ მაგალითების დახმარებით ჩვენი მოსაზრება გამართლდება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენამდე მოღწეული ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის" 19 ცალის ერთიმეორესთან შედარებისას მათში დაშვებული კორექტურული და სხვა სახის შეცდომები თავიანთი მსგავსებით ორ სხვადასხვა ჯგუფად დაიყოფა. ყოველ შემთხვევაში ორი გამოცემა თუ არ გამართლდება, მაშინ ერთი ჯგუფი კორექტურულ ცალებს უნდა მივაკუთვნოთ, მეორე ჯგუფი კი წიგნის სერიულ წარმოებას (გამოკემას).

* * *

რამდენიმე სიტყვა მარგინალიების შესახებ. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის" ფურცლების თავისუფალ არშიებზე მფლობელს (თუ მფლობელებს) შავი მელნით ასეთი წარწერები გაუკეთებიათ:

1) გვ. ჲ ქვედა არშიაზე: „ბაღჩა ვნახე შფეთ" (თუ „ბახჩა ვასხე უფეხო"?); 2) გვ. პ ა: ქვედა არშიაზე: „ქ: მე: თქვენსა: ხელმწიფობასა: სულით: და: ხორცით: ვიხარი:"... მეორე სტრიქონი არშიასთან ერთად ჩამოჭრილია (ალბათ 1818 წლამდე) და ამოიკითხება მხოლოდ უკანასკნელი სიტყვა „ხარი"(?). გაგრძელება გადადის პბ გვერდის ქვედა არშიაზე და იკითხება: „ისეთ ნურას: გვიბოძებ: ვინც ნახოს: რომ თქვას გლახ არ(იო)"... აქაც შემდეგი სტრიქონი არშიასთან ერთად ჩამოჭრილია; 3) რ (რგ=103) გვერდის ქვედა არშიაზე ძალიან მუქი შავი მელნით ნუსხახუცურით: „მ ქილ ღ ო შ ე ცოდვილი ესე ა ნ" (მიქეილ, ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ესე, ამინ); 4) რკც გვერდის დაბლითა არშიაზე გახუნებული შავი მელნით: „აქ: უფალო: მრავალ: ჟამიერ: ყავ: შარვაშიძის ასულსა: სტანდარ"; 5) რმზ გვერდის ქვედა არშიაზე გახუნებული მოშავო მელნით: „მეფე"; 6) რპ გვერდის დაბლითა

არშიაზე: „ქ: მოწყალა იქ:“; 7) რვთ გვერდის დაბლითა არშიაზე: „ქ. მოგემ“, 8) გვ. სიგ, დაბლითა არშიაზე გახუნებული მელნით: „ყოვლად წაიმთხვა“; 9) გვ. სით, დაბლითა არშიაზე გასუნებული მელნით: „არ მიენდობის“; 10) გვ. სკგ. დაბლითა არშიაზე შავი მუქი მელნით, მშვენიერი მხედრული კალიგრაფიული ხელით მიწერილია მონოგრამა — დაქსელილი ანუ კიდურყვავილოვან დამწერლობაში გამოხატული სახელი „მიქელ“. სახელი გაყოფილია ორ მარცვლად („მიქელ“) და ამ ორ მარცვალს შორის კვლავ ჩახატულია დაქსელილი სიტყვა „მიქელ“, ე. ი. ეს წარწერა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: „მი-მიქელ-ქელ“. იგი იმ მიქელს უნდა ეკუთვნოდეს, რომელმაც იგივე სახელი ნუსხასუცური ასოებით რ გვერდზე მიაწერა; 11) გვ. სკვ. დაბლითა არშიაზე გახუნებული მელნით: „ქ იქმენ: რამ. ჩემო: ბატონო: ოტია მრავალი“. იმავე ხელით მინაწერი შემდეგი გვერდის სკზ დაბლითა არშიაზე: „ქ. ჩემო ბატონო ოტია“; 12) გვ. სნც. დაბლა — გვერდითი მარცხენა არშიაზე მოყვითალო ძელნით: ნაწერი: „ბატონს ლევანს დაშვენდება თეთრი კაბა ზარბობისა“ (ზარბაბი, ზარბაბთი — ფარჩა. იხ. დ. ჩუბინოვი); 13 გვ. სპვ, პოემის უკანასკნელ გვერდზე, რომლითაც მთავრდება დაბეჭდილი ტექსტი, დაბლითა არშიაზე მიწერილია შავი მელნით: „ქ: ეს ფურცელი: ას: სამოცი: და თუთხმეტი: არს: და: არ დაიკარგოს“. აქაც არშია ჩამოჭრილი აქვს და ძნელია იმის ვაგება, თუ შემდეგ რა ეწერა. სინამდვილეში ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ეს ცალი წინა ორი აუნუსხავი ფურცლის ჩათვლით სპვ გვერდამდე 139 ფურცელს შეიცავს და არა 175 ფურცელს.

- ჩამოთვლილი მინაწერების გვერდით ყველაზე ძეტ ყურადღებას იქცევს პოემის 1032-ე სტროფში ჩამატებული უკანასკნელი — მეოთხე სტრიქონი, რომელიც გამოტოვებულია ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში“. სახელდობრ, ეს ჩამატებული (შავი მელნით) რპთ გვერდის ჩლბ შაირის მეორე ტაეპი ასე იკითხება: „კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა: სხეით არაზ არ მოსტყდებოდა“, იმის მაგივრად, რომ იყოს: „კეტი ჰკრა. ძელი მოსტეხა, ლომს მკლავი

არ უდრკებოდა", რომელსაც ვკითხულობთ თითქმის ყველა გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში" (იხ. თბილისის უნივერსიტეტის 1937 წ., სახელგამის 1941 წ. და კიდევ სხვა გამოცემის მუხლი 1042). ჩანს, ნაკლული სტროფი გრიგოლ ბატონიშვილს შეუვსია რომელიღაც ვრცელი ხელნაწერიდან (შდრ.: „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა ვარიანტები, III, გვ. 657).

არანაკლები ყურადღების ღირსია თვით ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის" მე-19 ცალთან ერთად მოგვიანოდ შეკინძული ფურცლები, რომლებზედაც იკითხება გრიგოლ ბატონიშვილის ხელით შესრულებული, პირადად მისი და სხვა ქართველი პოეტების მიერ შეთხზული ლექსები (რიცხვით 34). ესენია:

1) ანბანთ ქება „ანზე ვისი ყმა ხარ", ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული: „ათინას ბრძნულად გაზრდილი ვლიდი ანგლიად არესა..." (სულ 37 სტროფია).

2) ანბანთ ქება, ოთხ ტეებში (ტაებში) გამოყვანილი მთელი ანბანი, თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან ფისტიკაური: „ამოდ ბაგითა გულის დაგვითა, ეშხს ვინა ზომდეთ ერთს თვით ინებით..." (ერთი სტროფი).

3) მისვე ანბანთ ქება, თქმული ჩახრუხაული: „აშას ბრძანებ გუნდ დაწყობად. . ესე ვითა ზომით Ꙁრია" (ერთი სტროფი).

4) მისგანვე თქმული ანბანთ ქება, ჩახრუხაული: „აშად ბულბულ გულსა დაღად, ერჩდი ვარდსა ზეზე Ꙁებით" (ერთი სტროფი).

5) მისგანვე თქმული ანბანთ ქება, ჩახრუხაული შაირად: „ალვა ბუტვ გულსა დაღად, ერხევ ვარდად ზრო Ꙁელვობით"... (ერთი სტროფი).

6) ანბანთ ქება, მისგანვე თქმული — უცხო: „აღმკულ ალვა აღბუტკებით, ამაოდ აშვენს აჰერს ამით" და სხვა (9 სტროფი).

7) ანბანთ ქება, ბესარიონ გაბაშვილის ჰაბუა დივანბეგს (მზეჰაბუკ ორბელიანზე), რომ დაუწერა: „ათინას აღზრდილს აქებდით, ალვად ავნორჩად ავსულსა" და სხვა (9 სტროფი).

8) პასუხის მიგება ჭაბუასაგან (მზეჭაბუკ ორბელიახისაგან): „არის ალიად აღზრდილი აღმატებით ასადაგით“ და სხვა (9 სტროფი).

9) ბესარიონ გაბაშვილისაგან [ნა]თქვამი მუსტაზადი: „ცრემლთა ისხარნი მოსისხარნი, ჩვენდა არენით“ და სხვა (25 სტრიქონი 5 სტროფად).

10) მისივე ნათქვამი მუხამბაზი: „სევდის ბაღს შეველ შენაღონები“ და სხვა (53 სტრიქონი 5 მუხლად). პირველი ტაეპის უკანასკნელი ორი სტრიქონი „ვერ მივსვდი მახვილგანაწონებიIIშევიქმენ ცრემლთა ფონები“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

11) დავითის ნათქვამი მუსტაზადი — ალექსის ძის ნათქვამი: „Ცე მოყვარეო, ზილფ ნარეო ნარდიონ გველო“ და სხვა (სულ 29 სტრიქონი 5 სტროფად). პირველი სტროფის უკანასკნელი სტრიქონი — „ბაღრიბის მზეო სევდის მწეო წყნარო და ნელო“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

12) მუხამბაზი, ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული: „მე მივხედ მაგას შესაბრალებსა“ და სხვა (50 სტრიქონი 5 სტროფად). პირველი სტროფის უკანასკნელი ორი სტრიქონი „თუმცა უყვარდი მის შავ თვალებსIIრად არ შევიწვი მისა ალებს“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

13) მისგანვე თქმული ჭაბუა მდივანბეგზე (მზეჭაბუკ ორბელიანზე) შესაბამი იმის მოყვანილობისა, თუ ტანად როგორ იყო აგებული, მუსტაზადი: „დამპალო ლეშო, თვალ ხენეშო, გულღადარაო“ და სხვა (23 სტრიქონი 4 სტროფად). პირველი სტროფის უკანასკნელი სტრიქონი „მე შენი ქება მომენება არ დავფარაო“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

14) საოთნამას (საიათნოვას) ნათქვამი მუხამბაზი: „გალობს თუთი ყაზალახი, ბულბულის ბანი მინდოდა“ და სხვა (5 სტროფი).

15) თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან, მუსტაზადი: „სევდამ მომიცვა, ვჰე მოლხენით გულით შვებულად“ და სხვა (39 სტრიქონი 4 სტროფად). პირველი სტროფის უკანასკნელი სტრიქონი „შვილდთა მისთაგან მე შევიქმენ გახელებულად“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს. პირველ სამ

სტროფს ჯვარედინი ხაზი აქვს გადასმული იმავე მელნით.

16) მუხამბაზი, მისგანვე თქმული: „როს მესმა სახის სილამაზე და მშვენებანი“ და სხვა (37 სტრიქონი 5 სტროფად). მეორე სტროფის უკანასკნელი ორი სტრიქონი „როს მესმა სახის სილამაზე და მშვენებანი || მყის განვიძრახე მისდა მაქვნდეს აშიკობანი“ მეორდება ყველა მომდევნო სტროფის ბოლოს. პირველ სამ სტროფს იმავე მელნით ჯვარედინად ხაზი აქვს გადასმული.

17) მისგანვე თქმული მუსტაზადი: „ეწე მთიებო, გევედრები მე განმანათლო“ და სხვა (40 სტრიქონი 5 სტროფად). პირველი სტროფის უკანასკნელი სტრიქონი „მე გლახ დამწვარსა შენის ეშხით მკლავ ნაზიანო“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

18) მისგანვე თქმული მუსტაზადი: „სევდამ ძომხვია გულსა ბრჭალები“ [ბრჭყალები] და სხვა (44 სტრიქონი 5 სტროფად). პირველი სტროფის პირველი ორი სტრიქონი „სევდამ მომხვია გულსა ბრჭალები || ზედ დამრთო ჭირნი მალისმალები“ მეორდება ყველა მომდევნო სტროფის ბოლოს.

19) მარიამ ბატონიშვილისაგან თქმული მუსტაზადი: „ეტრფის მთიებსა შესამკობლად გული ურვილი“ და სხვა (29 სტრიქონი 5 სტროფად). პირველი სტროფის უკანასკნელი სტრიქონი „თუ დავალებულს გულსა შეხვდეს მისი წყურვილი“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

20) თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან სტეფან პავლიჩზე მუხამბაზი, დიდუბეში რომ წყალი გამოჰქონდა მეშიბავს: „სტეფანე ჭიანურზე ბუღამები დაიწყე || რუსეთში წასასვლელად გუდა ბარათ გაიწყე“ და სხვა (85 სტრიქონი 12 სტროფად). პირველი სტროფის უკანასკნელი ორი სტრიქონი „დოხტურ გეურქ აღასა ხელი კარგად შეუწყე, || ჩუღურეთის ბაღები ლაზათიან მოურწყე“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

21) იოანე მროვლისაგან თქმული—გედევანიშვილისა—თქმული მუსტაზადი: „შეყრილან ერთად მკრთოლვარენი უზადოდ მნათნი“ და სხვა (26 სტრიქონი 5 სტროფად).

22) თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან კარლი ივა-

ნიჩის ქალზედ, რომელსა ეწოდება ნატალია ვარდოვნა— მუხამბაზი: „მზისგან მომედვა ცეცხლის ალები“ და სხვა (38 სტრიქონი 5 სტროფად). პირველი სტროფის უკანასკნელი ორი სტრიქონი „დამწვარს მომხედე, შეგებრალები || გნებავს, გამკურნავს შენი ხალები“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

23) თქმული გრიგოლ ბატონიშვილის მიერ დავით ბატონიშვილის ლექსის ხმაზე „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“ რომ იყო თქმული: „დრო-ვლილო ბულბულო, იგლოვდი მზარედ“ და სხვა (4 სტროფი). მე-5 სტროფი აკლია (თანახმად ამ ლექსის დაბეჭდილი ვარიანტისა) და ამით ერთხელ კიდევ ირკვევა, რომ 2-3 ფურცელი ამოხეულია ამ ჩანაწერებიდან.

24) ჩახრიხაული [ჩახრუსაული] უთხრა. ალექსა(ნ)დრემ: „საწუხმამან ხმამან საკმაოდ კმამან, მამცნო მთოვარის განლეულობა“ და სხვა (ერთი სტროფი).

25) ოდეს ბესარიონ გაბაშვილმა გაიოზ არქიერი სადილად დაპატიჟა და გაიოზ არ მოვიდა. ადრე მიეღო სადილი და ბესარიონ[მა] მისწერა ესრე(თი) ჩახრუხაული: „მაღალ ღირსებას მჭამადი სუყე მძიმედ მოსვლია ვით მიწა უყე“ და სხვა (ერთი სტროფი).

26) ოდეს კონსტანტინე ბატონიშვილმა თავისი ცოლი გაუშვა ანასტასია აბაშიძის ქალი, და იმ ქალის ძენენიცა (Именинница) მოვიდა ანასტასიაობა და მე, ბატონიშვილმა გრიგოლმა, მივსწერე ეს ლექსი კონსტანტინეს ძაუიერათ ანასტასიას: „ალვად სრულსა, კოკორ სხმულსა, მისთვის ცეცხლი არად მწვისა“ და სხვა (ერთი სტროფი).

27) თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისა-გან ოსებ გაბაშვილზედ მუხამბაზი, ოდეს ჯარიდამ მოვიდა: „სალამალექ, კარნეტო, რისთვის მოგიწყენია“ და სხვა (34 სტრიქონი 5 სტროფად). პირველი სტროფის პირველი ორი სტრიქონი „სალამალექ, კარნეტო, რისთვის მოგიწყენია || მინდა ღირსად შეგამკო, ქება შენი მსმენია“ მეორდება ყველა სტროფის ბოლოს. სათაურის კურსივად გამოყოფილი სიტყვები წაშლილია იმავე მელნით.

28) ოდეს ამილახვრის შვილები იყრებოდნენ და ეფემია[ს] შვილმა ნინიამა თავის წილად დავით ლეკტორი, ცუკია, მდივან ბეგად ამოირჩია, და ამ დროს ხორგუაშვილი დავით და დავით ცუკია ნარდის თამაშობას მოჰყვნენ და ცუკიამ წააგო სამ თუმნამდინ და აღარა ჰქო[ნ]და ფული, ხორგუაშვილმა არ უყაბულა: აღარ ვითამაშებო. ცუკიამ უთხრა: ითამაშეო, — არა, ფული მოიტანე და კიდევ ვითამაშებო; ცუკია გაჯავრდა და ნარდის ფიცარი თავში ასეთი დაკრა, რომ ზედ თავზედ დაეფხვნა, და ხორგუაშვილმა დაუწერა ლექსი შაირად:

არ გინახავს მეპასუხე, ილანძღები სახლში ბაქით.
არ გინახამ იმერეთი, არგვეთი და რაჭას აქით,
ვერ იპოვნი ამის მთქმელსა, რომ ეძებო თუნდა ჭრაქით;
და თუღა იტყვი უშვერს რასმე, გაგესვრება წვერი ქაქით.

29) კურთხეული მეფე ირაკლი მდევარზე წაბრძანდა და კახნი და ქართველნი თავადნი თან ახლდნენ, დავით ციციშვილი — სიძე მეფისა, სარდალი, წითელის კაბით თეთრ ტაიჭზე ზედ მჯდომი წინ მიუძღოდა. ამ დროს ხორგუაშვილი იქ იყო დ[ა] ბატონმა მეფემ დაუძახა ხორგუაშვილს და ჰკითხა ამ სახით: გკითხავ, ვინ არს წითლოსანი თეთრ ტაიჭსა რომე ზისა?

პასუხ უგო ხორგუაშვილმა მეფესა:

გკადრებ, სარდალ მოურავი სიძე არსო სიმაღლისა.

30) ოდეს ნაპოლიონ ბონოპორტე რუსეთის საბრძოლად წარმოემართა, მაშენ ეს ქვემო დაწერილი ლექსი მოსწერა თავისმა ცოლმა, კეისრის ქალმა, ესრეთ (და ეს ლექსი გაზეთში იყო და მე გრიგოლ ბატონიშვილმა გადმოვიღე რუსულიდან ქართულს ენაზედ ისევ ლექსად) — „მიტევებთ მე წარსვლისათვის დიდებისადმი“ და სხვა (სულ 4 სტროფი).

31) პასუხი ნაპოლიონისა ბონოპორტისაგან ცოლისადმი თვისისა კეისრის ქალისადმი: „მე დაგივიწყო, დავკარგო სახსოვარი“ და სხვა (სულ 5 სტროფი).

32) ოდეს მივწერე უკანასკნელი წიგნი ჩემს საყვარელს ეკატერინეს ეს ჩახრუხაული ფისტიკაურად: „ეკატერინავ,

მყნოსელ, ზმირინავ, მე შენი ეშხით ვიწვი წყენითა“ და სხვა (ერთი სტროფი).

33) თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან ანბანთ ქება— ანზე ვისი ყბა ხარ: „ასურეთით ამერიკას მოვინებე მიმოსვლანი“ და სხვა (31 სტროფი).

34) მაჩაბალის ნათქმული ხელთუბაში მუხამბაზი: „ჩვენ დიმიტრის ვიახელით მთაშია || პირობა შევკარით ხელთუბანშია“ და სხვა (5 სტროფი). მოყვანილი პირველი ორი სტრიქონი მეორდება ყველა მომდევნო სტროფის ბოლოს.

ზოგიერთი ზემოჩამოთვლილი ლექსი ცნობილია და სხვადასხვა დროს დაბეჭდილია შემდეგ შრომებში: 1. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი დ. — ქართული ქრესტომატია, ნაწილი II (ორი გამოცემა), ს.-პეტერბურგი, 1846 წ. და 1863 წ.; 2. ს კ ა ნ დ ა რ ო ვ ი გ ი ო რ გ ი — სალხინო საზანდარი... (სამი გამოცემა), თბილისი 1870 წ., 1873 წ. და 1875 წ.; 3. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ალ. — ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1904 წ.; 4. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ ო რ ნ ე ლ ი, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. II, თბილისი, 1924 წ. (იხ. სხვა გამოცემებიც); 5. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი. — საიათნოვა, თბილისი, 1918 წ. (იხ. საიათნოვას სხვა გამოცემებიც); 6. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია (ია ეკალაძისა და ალ. ბარამიძის გამოცემა), ტ. II, თბილისი, 1928 წ.; 7. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ბ ე ს ა რ ი ო ნ, თხზულებათა სრული კრებული (ალ. ბარამიძის და ვ. თოფურიას გამოცემა), თბილისი. 1932 წ.; 8. ბ ა რ ა მ ი ძ ე ალ., ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1940 წ.; 9. ბ ე ს ი კ ი (ლ. ასათიანის წინასიტყვაობით), თბილისი, 1948 წ. და სხვა. დასახელებულ წიგნებში გამოქვეყნებული ზოგიერთი ლექსი გადაბეჭდილია სხვა ავტორთა შრომებში და ერთი-ორი ნიმუში იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიც“ არის მოტანილი. გრიგოლ ბატონიშვილის რამდენიმე ლექსს ექვთიმე თაყაიშვილიც იხსენიებს (იხ. «Описание рукописей Общества распространения грамотности», II, 1906—1912). უფრო სრულად, თუმცა ბევრი დასახელებული ლექსის გამოკლებით და ნაწილობრივ ცოტა სხვა ვარიანტებით, გრიგოლ ბატონი-

შვილის მიერ ს.-პეტერბურგში შეკრებილი, ჩაწერილი და ოვითონ მის მიერ შეთხზული ლექსების კრებული დაცულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერების კოლექციაში (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, თბილისი, 1949 წ., გვ. 82—96, № 2130). გრიგოლ ბატონიშვილის ხსენებული ლექსების კრებული 180 ფურცლისაგან შედგება და შიგ მოთავსებულია ქართველი პოეტების 121 ლექსი. კრებული შედგენილი უნდა იყოს XIX საუკუნის არა უგვიანეს 30-იან წლებში და მის შედგენას უსწრებს „ვეფხისტყაოსანზე" მიწერილი ლექსები.

* * *

რამდენიმე სიტყვა გრიგოლ ბატონიშვილისა და მისი შვილის, ივანეს, შესახებ და მათ საოჯახო მარგინალიებზე. გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილი დაიბადა თბილისში 1789 წელს და თავისი ხანმოკლე სიცოცხლის სამი მეოთხედი რუსეთში გაატარა. გრიგოლი გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკის ჩინით 1830 წლის 21 სექტემბერს ს.-პეტერბურგში და დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში, იქ, სადაც მისი მამა იოანე იყო დაკრძალული. აქვეა დასაფლავებული მისი მეუღლე ვარვარა (ბარბარე) ფედოროვნა (გარდ. 1876 წ.) და მათი შვილი პატარა ივანე (გარდ. 1880). გრიგოლი რუსეთის არმიის საკმაოდ განათლებული ოფიცერი იყო და მსახურობდა ასტრახანის კაზაკების პოლკში. ნაწილი დრო თავისი სამსედრო სამსახურისა ს.-პეტერბურგში გაატარა და ნაწილიც — ასტრახანში. ასტრახანში გრიგოლს შეეძინა ორი ვაჟიშვილი — დავითი და იოანე (ივანე), ხოლო პეტერბურგში — ორი ასული: ქეთევანი და ეკატერინე.

გრიგოლის განათლება მარტო სამხედრო ცოდნით არ შემოისაზღვრებოდა. იგი მხატვრულ ლიტერატურასა და ისტორიასაც კარგად იყო დაუფლებული. მშობლიური ენის საუცხოოდ ცოდნა მის ქართულ ლექსებში გამოვლინდა. ქართული სწავლა-განათლება გრიგოლმა მამის იოანეს, იონა ხელაშვილისა (1772—1837) და პლატონ იოსელიანისაგან მიიღო.

სწორედ მათ ჩაუნერგეს ქართული ლიტერატურის სიყვარული. გრიგოლის მამას იმ დროისათვის მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა მოეპოვებოდა და იქ დაცული წიგნები მას ბავშვობიდანვე გადაკითხული ჰქონდა. მამამისის ფართო მეცნიერულმა ოჯახმა და მათი ოჯახის ახლო მეგობართა მოწინავე ინტელიგენციის წრემ დადებითი ზეგავლენა მოახდინა მომავალ პოეტსა და რუსეთის არმიის ახალგაზრდა ოფიცერზე. გრიგოლი თავისუფალ დროს ყოველთვის ლიტერატურულ შემოქმედებას ანდომებდა. ლექსებს წერდა და ხშირად რუსულიდანაც თარგმნიდა. ამის ნიმუშებად თვითონ „ვეფხისტყაოსანზე“ მიწერილი მისი ორიგინალური და თარგმნილი ლექსები და ლექსების ორი კრებული (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია № 358 და „ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. 5, თბილისი, 1949 წ., № 2130) ჩაითვლება. გრიგოლს რუსეთის მტრების საწინააღმდეგო ლაშქრობაშიაც ბევრგან მიუღია აქტიური მონაწილეობა. 1815 წლის ერთ ასეთ გალაშქრებას საფრანგეთზე თავის მოგონებაში აგვიწერს (იხ. იქვე, გვ. 126, № 2178). ქართული, რუსული, ფრანგული და არაბულ-სპარსული ენების გვერდით გრიგოლს სომხური ენის შესწავლაც დაუწყია. შემონახულია ერთი პატარა ხელნაწერი: „თვითმასწავლებელი სომხურისა ენისა, შედგენილი გრიგოლ ბატონიშვილისა და დიმიტრის ხითარიშვილის ძიერ“ (18 ფურცელი). ამ მცირედ წაშრომს წინასიტყვაობის მაგიერ ასეთი თხოვნა აქვს წამძღვარებული: „საყვარელო ჩემო მეგობარო, დიმიტრი ხითარიშვილო, მოწყალეო ხე[illegible]ფევ, გთხოვ, რომ ამ ქართულს ლაპარაკს ზედ მიაწერო თარგმანები სომხური სიტყვა ქართული წერილით, რომელ მწადს. სომხური ვისწავლო; თუ ვისწავლე სომხური, მერწმუნე, რომ შენი მადლიერი ვიქნები და საოსტატოსაც მოგართმევ. შენი მეგობარი ბატონიშვილი გრიგოლ“ (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 290). გრიგოლის ამ ხელნაწერს თარიღი არ უზის. ჩვენი მოსაზრებით, ის დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1820 წლისა. გრიგოლი „ქალმასობის“ ავტორის საყვარელი და საიმედო შვილი იყო. ამიტომაც მამამისი ხშირად თავის ქართულ წიგნებს და ხელნაწერებს მას გადასცემდა

ხოლმე. ამისი მაგალითი მრავალია, თვით ეს ზემოაღწერილი „ვეფხისტყაოსნის“ მე-19 ცალიც.

აი, კიდევ ორიოდე ასეთი მაგალითიც:

1764 წ. ანტონის მიერ სომხურიდან თარგმნილ წიგნს „რიტორიკა ყრმათათვის“, უკანასკნელ გვერდზე ახლავს გრიგოლის ხელით მინაწერი: „ეს რიტორება მეფის ძის იოვანესი ძე გრიგოლისაა ღ~ნ მოახმაროს. ამინ“ (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია № 292). ან: „აქ ეს წიგნი, რომელსა სახელად ს ე ი ლ ა ნ ი ა ნ ი ქვიან და ივანე ბატონიშვილის იყო და ახლა თავის ძეს უბოძა. ღ~ნ მშვიდობაში მოახმაროს, ამინ. მეფის ძის ძე გრიგოლ“ მიწერილი აქვს გრიგოლის ხელით იოახე ბატონიშვილის მიერ 1761 წლის თარიღით სპარსულიდან თარგმნილი საგმირო რომანის უკანასკნელ გვერდზე (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია № 17).

მე-18 საუკუნის ხელნაწერს „თ~ნნი ათორმეტე თ~თა საკითხავი (ჩეტი მინეი)“-ს ტექსტის წინდართულ სუფთა ფურცელს გრიგოლის ხელით აწერია: „ეს წიგნი მეფის რძლის, წერეთლის სახლთხუცესის ზურაბის ასულის, ქეთევანისა იყო და იმის მიცვალების შემდგომად დაშლილიყო და ძემან მისმან, მეფის ძის ძემ გრიგოლმა შევაკერეინე სამ მილანთულად სულისა მისათვის საოხად. მკითხველნო, შენდობას უყოფდით. გრიგოლ, 1825 წელსა მაისის 2“ (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 222).

1793 წ. თბილისში დაბეჭდილ „მარხვანი“-ს ერთ ჩვენს ბიბლიოთეკაში დაცულ ცალს გრიგოლის ხელით შემდეგი ვრცელი მინაწერი აქვს გაკეთებული მოყვითალო მელნით: „ქ. ვიყავ ათას რვაას ოცდა ოთხში საქართველოში და ეს მარხვანი გიორგი პაიჭაძემ მომყიდა თუთხმედ მანეთად. ვინც ეს მოიპაროს და ან დროებით მთხოვოს და არღა მომცეს ან ჩუქებით მოინდომოს ვინმე გაუწყრეს პ~დ ღ~თი და მერე მისნი წმინდანი და მეორეთ მოსვლას დღესა მას საშინელსა ერგოს დგომა თიკანთა თანა და დღესა ამიერ განსვლისა მისისა დაეკვეთოს ხორცი და სისხლი ქრისტესი, ამინ. ა ხ ლ ა მ ე ფ ი ს ძ ი ს ძ ი ს გ რ ი გ ო ლ ი ს ა რ ი ს ე ს მ ა რ-

ხ ვ ა ნ ი. გიორგი, გამომსყიდველი ამისა, ღმერთმა აცხოვნოს. დაშლილი მომყიდა და მე, მეფის ძის ძემან, გრიგოლ, ოდეს მოველ ტფილისით ასტრახანს შევაკვრევინე, თორმეტი რუბლი ასიგნაცია მივეც ხელფასი თავის ყდით. მეფის ძის ძე გრიგოლ. ამავე წელს ჯვარი დავიწერე დირექტორის ქალზე, რომელსა სახელად ეწოდების ბარბარე. ტფილისში დავიწერე ჯვარი, გარეთუბანს, ეფრემ მღვდელმა დამწერა ჯვარი სამების საყდარში, იანვრის 21, წელსა 1824. ამავე წელსა დეკემბრის 28 მამაც [ა] ღ~ნ ძე დავით. დაიბადა დღესა აღდგომისასა, კვირიაკესა, შუადღისას მეთორმეტე საათზედ. გრიგოლ".

1798 წელს გადაწერილ „ქ ა რ ა ბ ა დ ი ნ ის" პირველ სუფთა ფურცელზე გრიგოლ ბატონიშვილს ერთიც ასეთი მინაწერი გაუკეთებია თავისი ორი შვილის დაბადებაზე:

„გრიგოლ ბატონიშვილის ძე, პ ა ტ ა რ ა ი ვ ა ნ ე, დაიბადა [წელსა] 1826, თიბათვის 24 დღესა, ოთხშაბათს ღამის 12 საათზე, ნათლის-მცემლის დღესა, იმისმა მადლმა გაზარდოს, ამინ.

გრიგოლ ბატონიშვილის ქ ა ლ ი ქ ე თ ე ვ ა ნ დაიბადა მარიამობის თვის 16-სა, წელსა 1828. ღმერთმა გაზარდოს, ამინ" (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 81/166).

როგორც ამ უკანასკნელი მინაწერიდან ირკვევა, გრიგოლს მამისა და დედის პატივსაცემად ვაჟისათვის მამის სახელი იოანე დაურქმევია, ქალიშვილისათვის კი დედის სახელი — ქეთევანი.

ეს დღემდის უცნობი რამდენიმე მინაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო, როგორც ბატონიშვილების ბიოგრაფიების შესწავლისა და ქართული დამწერლობა-წიგნთმცოდნეობის ისტორიისათვის, ასევე სხვა ამდაგვარი ხარვეზების ამოსავსებად.

გრიგოლი ბევრს კითხულობდა ქართულ-რუსულ ენებზე. ამის საილუსტრაციოდ ჩვენი მარგინალიებიდან დავიმოწმებთ ორიოდე ნიმუშს:

„ჩემო ივან იაგორიჩ, ეს წიგნი წავიკითხე, მომირთმევია და ახლა ამილახვრის წიგნი მათხოვე (მხედველობაში უნდა იყოს: История георгианская о юноше князе Амилахва-

рове, СПб, 1779. ა. ა.). წავიკითხავ და მოგართმევ შენი მეგობარი გრიგოლ", — ვკითხულობთ მეფის თეიმურაზ I-ის ლექსთა ხელნაწერი კრებულის ყდის შიდა პირზე (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია — 8/26).

ერთი ასეთი მინაწერი მოთავსებულია გრიგოლ ბატონიშვილის მიმართ ვინმე იოელ ალექსეევის მიერ ხელნაწერზე „ცხოვრება ესპესი [ეზოპესი] და მისი იგავ-არაკები 40-მდე": „ბატონის შვილო გრიგოლ, ეს წიგნი თქვენის სძლის პირის ხელთან კი არ მოგეწონება. პირველი ჩემი ემა წვალებით დაწერილი ეს არის. ამასთანავე მინდოდა მომერთმევინა ბატონიშვილის სალომესათვის წიგნი. რძალდედამთილის ჩხუბი, მაგრამ გადაწერა ვეღარ მოვასწარ და იმას დიმიტრი ვახტანგოვის ხელით მოკართმე[ვ], როდესაც წამოვა. ასრე უბრძანეთ სალომეს. თქუნ[ი] უმორჩილესი მოსამსახურე იოელ ალექსეევი" (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 58).

ამ სახის მინაწერებით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ გრიგოლს სამშობლოდან შორს — ს.-პეტერბურგში მამასთან ერთად დიდი პატრიოტული უნარი და ინიციატივა გამოუჩენია თავიანთი ქართული მამაპაპეული ბიბლიოთეკის გამდიდრება-დაკომპლექტებაში, რაც ხდებოდა სხვადასხვა პირთაგან შესყიდვის სახით და სხვა დედნებიდან ასლების გადაღებით. ყოფა შემთხვევა. როდესაც დაბეჭდილი წიგნების ან ჟურნალ-გაზეთების მთლიან პირებს იღებდნენ ხელით. ერთ ასეთ ნიმუშს „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" პირველი ნომრის მთლიანი ასლი წარმოადგენს (იხ. ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 362). მთავარი წყარო ქართული კულტურის ყოველმხრივი გამდიდრებისა თარგმნა იყო და ბატონიშვილების გვერდით ამ გზას ადგა პეტერბურგში მცხოვრები მრავალი სხვა ქართველი მეცნიერიც.

იოანე ბატონიშვილისეულ უმეტეს ქართულ წიგნებსა და ხელნაწერებს ამშვენებს მათი ოჯახის წევრების საკუთარი ხელით გაკეთებული მარგინალიები. ხშირად ამ მინაწერების ავტორებად იხსენიებიან იოანე, მისი მეუღლე ქეთევან— ზურაბ წერეთლის ასული. მათი შვილი — გრიგოლი. ამ უკანასკნელის ძე — პატარა ივანე და ასული — პატარა ქეთევანი.

იოანე გრიგოლის ძე ბატონიშვილი-გრუზინსკი (მეტსახელად პატარა ივანე) დაიბადა 1826 წლის 24 ივნისს ქ. ასტრახანში და გარდაიცვალა 1880 წლის 15 სექტემბერს პეტერბურგში. პატარა ივანემ, შემდეგში ივანე გრუზინსკად ცნობილმა, ახალი არაფერი დაგვიტოვა შემოქმედების სახით. გარდა იმისა, რომ თავისი მამაპაპეული მდიდარი ბიბლიოთეკა კიდევ უფრო ბევრად გაამდიდრა პლატონ იოსელიანის, ბაგრატ ბატონიშვილისა და სხვა კერძო პირებისგან შეძენილი ძველი ქართული წიგნებითა და ხელნაწერებით[1].

ივანე გრუზინსკის (ბატონიშვილის) მთავარი დადებითი მხარე კიდევ ის იყო, რომ რუსეთში დაბადებული და აღზრდილი მშობლიურ ქართულ ენას კარგად ფლობდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული მისი უაღრესად გულდადებითი ზრუნვა ქართულ კულტურაზე ს.-პეტერბურგში. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ პაპისა და მამის სიკვდილის შემდეგ მან ქართული წიგნებისა და ხელნაწერების იშვიათი კოლექცია ნახევარ საუკუნეზე მეტხანს საგანგებოდ შემოინარჩუნა.

---

[1] ა. გერცენის ერთი უცნობი წერილით ირკვევა, რომ 60-იან წლებში იგი ახლოს იცნობდა ი. გრუზინსკის. ეს დაახლოება კი უფრო შეიცარიაში უნდა მომხდარიყო, სადაც, გერცენისავე სიტყვებით, იოანეს განუზრახავს ვილის (ბაღიანი აგარაკი, მდიდრული ხახლი ქალაქგარეთ) ყიდვა. ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა და უთუოდ ახალ შენაძენადაც უნდა ჩაითვალოს რუსულ-ქართული კულტურის ურთიერთობის ისტორიაში (იხ. ჩვენი წერილი: «Герцен и Иван Грузинский — Багратион», жур. «Литературная Грузия», 1962, № 8).



ს. ს. ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტი და მისი უცნობი მხატვარი ბაბრატ ბატონიშვილი

1938 წ. გ. ლეონიძის ვრცელი წინასიტყვაობითა და ს. იორდანიშვილის რედაქციით გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. წიგნში მრავალი, ძველი საილუსტრაციო ნახატია მოყვანილი. მათ შორის სულხან-საბას ახალგაზრდობის ეს, ქვემოთ მოთავსებული, პორტრეტიც. წიგნი დიდი მონდომებითა და მეცნიერული სიზუსტით არის შედგენილი, მაგრამ მასში რატომღაც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ სხვა საილუსტრაციო მასალებთან ერთად, საიდან არის ამოღებული სულხან-საბას ჭაბუკობის პორტრეტი.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ქართულ ფონდთა საბინინის კოლექციაში მეც-

მეტე ნომრით დაცულია ს.-ს. ორბელიანის ცნობილი ძხატვრული ნაშრომი „სიბრძნე სიცრუისა“. ხელნაწერი დასათაურებულია ასე: „წ ი გ ნ ი, ს ი ბ რ ძ ნ ე. ს ი ც რ უ ი ს ა. ნ ა თ ქ ვ ა მ ი. ს უ ლ ხ ა ნ, ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა. ჟ ა მ ს ა ს ი ჯ ა ბ უ კ ი ს ა. თ ვ ი ს ი ს ი ს ა“. მთლიანად ხელნაწერი შეიცავს: 1 ფურცელი — საბას ახალგაზრდობის პორტრეტს + 263 გვ. დაწერილ ტექსტს, აგრეთვე 30 დაუწერელ, სუფთა ფურცელს, რომელთა ნაწილი (8 ფ.) ტექსტის წინ არის მოთავსებული. და ნაწილიც (22 ფ.) ტექსტის შემდეგ. ხელნაწერი დათარიღებულია 1814 წლის 26 აპრილით. იგი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძეს — ბაგრატს შეუსრულებია პეტერბურგში.

ტექსტი იწყება პირველ გვერდზე: „იყო. ხელმწიფე: ერთი. რომლისა საქმენი. არავისაგან მოიგონებიან“... და მთავრდება 262-ე გვერდზე სიტყვებით: „ჰე. სედრაქ. მეც. მიმძიმს. თქვენი. ასრე. გადაკიდება. მაგრამ. ესრე. ვხედავ ვერც. შენ. გარდარჩები. ამ საქმეს. უფათერაკოდ. და ვერც მე. და ვერც სხვა ვინმე“.

ტექსტის დასასრულს ჩახატულია ერთი პატარა, ენძელას მსგავსი, ყვავილი, რომელიც სიმბოლო უნდა იყოს ხელნაწერის შინაარსისა და მისი დიდი წვალებით გადათეთრებისა. ამ, ხელით შესრულებული, ორნამენტის შემდეგ 262—263-ე გვერდებზე მოთავსებულია გადამწერის ვრცელი ავტოგრაფიული მინაწერი:

> „აღიწერა წიგნი ესე მალხენელი და მარტოს გამამძლებინებელი, სიბრძნე სიცრუისა, ხელითა მეფის გიორგის ძის, ბაგრატის მიერ, სამეფოსა ქალაქსა სანკტპეტერბურღსა, წელსა 1814, თვესა აპრილისა 26. თუმცაღა არა ჯერ იყო ჩემ მიერ წიგნისა ამის აღწერა, გარნა ვინაითგან ვიყავ მწირ, მამულით ჩემით დიდსა როსიასა შინა, ამად აღარ მივეც თავი ჩემი უქმობისა, მწუხრებასა, და მითი განვატიე დრო რაოდენიმე, იძულებულმან —

დის ჩემისა მეუღლისა, თუშთ მოურავის,
თავადის ჩოლოყაშვილისა
დურმიშხანის ასულის ჩერქეზისშვილის
სულხანის კნეინის
სოფიოსაგან, რომ (ე)ლმანცა, მაიძულა წიგნისა
ამის აღწერა, და ვერ ურჩ ვექმენ თხოვასა მისა-
სა, უკეთუ შეცდომა რაიმე იხილოთ, ნუ
გამკიცხავთ. ამიტომ დედანი დიდად ცუდი
ნაწერი და უკანონოთ დათხზული იყო. და.
საქმის გაჭირებით გადმოვსწერე ესე წიგნი
წელს 1814, აპრილის 26. სულ იქმნა
ვასილის ოსტროეში. ხამუთომის სახლ'ში"

(გვ. 263).

წიგნი მშვენიერ ყდაშია ჩასმული. თავისი ჰვირხიშნებით 1812—1813 წლებით არის დათარიღებული.

იმავე ტექსტის „АО 1813" ქაღალდზე საბას ახალგაზრდობის პორტრეტია. იგი მოთავსებულია ხელნაწერის წინა ფურცლის შიგნითა პირზე. მთლიანად ხელნაწერის ფურცლების ზომა 20×33 სმ., ხოლო პორტრეტისა 19×27 სმ.

აღსანიშნავია, რომ საბას პორტრეტი ბაგრატის ავტოგრაფი უნდა იყოს. პორტრეტზე გამოსახულ საბას წინ გადაშლილია „სიბრძნე სიცრუისა". წიგნს კი აწერია სამად გაყოფილი ორი სიტყვა: „იყო ხელმწიფე", რომლითაც საერთოდ ამ წიგნის ტექსტი იწყება და რომელიც, სხვათა შორის, თვით ბაგრატის ხელნაწერია. პორტრეტის ქვემოთ მოთავსებული წარწერაც — „თავადი სულხან ორბელიანი — რომელსაცა აღუწერია ისტორია ესე ჟამსა სიჭაბუკისა თვისისასა" — ბაგრატის ავტოგრაფია. იგი იმავე ხელითაა დაწერილი, რომლითაც შესრულებულია მთლიანად ხელნაწერი.

ბაგრატის სიტყვით, ეს „მალხენელი და მარტოს გამაძლებინებელი სიბრძნე სიცრუისა" მას გადმოუწერია „საქმის გაჭირებით" თავის ცოლის დის სოფიოს შეკვეთით „დიდად ცუდი და უკანონოდ დათხზულ დედნიდან". ისმება კითხვა: პირველი, ბაგრატს მართლაც

ხელთ ჰქონდა ს.-ს. ორბელიანის ავტოგრაფული „დ ე დ ა ნ ი“ თუ სხვა ვარიანტის ხელნაწერს უწოდებდა „დედანს“? მეორე, ბაგრატის ავტოგრაფულ ხელნაწერებში ჩახატული საბას პორტრეტი მისი პირადი ფანტაზიის ნაყოფია, თუ მან იგი იმ უცნობ ხელნაწერიდან გადმოიღო, რომლიდანაც „აღწერა“ თვით ტექსტი „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“?

ეს ორი კითხვა ჩვენს წინ წამოიჭრა ჯერ კიდევ 1939 წელს. როდესაც საკანდიდატო დისერტაციაზე ვმუშაობდით. სათანადო კვლევა-ძიების შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამოქვეყნებული საბას ახალგაზრდობის პორტრეტი იგივეა, რომელსაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ. პორტრეტის ავტორი ბაგრატი უნდა იყოს და მის მიერ დედნად მოხსენებულ ხელნაწერში ამის მსგავსი რამ არაფერი არ უნდა ყოფილიყო.

საბას ახალგაზრდობის პორტრეტის ავტორი რომ მართლაც ბაგრატია, ამას მოწმობს ასეთი ფაქტიც: 1818 წელს პეტერბურგში გამოცემული „ახალი აღთქმის“ ერთ-ერთ ეგზემპლარში, რომელიც ბაგრატის საკუთრება იყო, ოთხი წმინდანის (მათე, მარკოზი, ლუკა, იოვანე) პორტრეტია ჩახატული. ეს ნახატები ბაგრატის მიერ არის შესრულებული, სწორედ ისეთივე გემოვნებითა და გაფორმებით, როგორც საბას პორტრეტი.

ბაგრატისეული „ახალი აღთქმის“ ეს ეგზემპლარი, შიგ ჩართული 34 ფურცლითა და მრავალი მინაწერით, ამჟამად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ფონდში ინახება. აქვეა დაცული ოცამდე სხვა ქართული წიგნი ბაგრატის ავტოგრაფული მინაწერებით.

რაც შეეხება იმ ხელნაწერს, რომლიდანაც ბაგრატმა გადმოიღო „სიბრძნე სიცრუის“ ტექსტი, იგი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. გამოურკვეველია მართლა „დედანი“ იყო ის, თუ პირის რომელიმე ვარიანტი. ასეთები კი იმ დროისათვის ბევრი იყო პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ბატონიშვილების ოჯახებში.

* * *

ცოტა რამ გადამწერის პიროვნების შესახებ.

ბაგრატ ბატონიშვილი (1776—1841) მესამე ვაჟი შვილია საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII-ისა, რომელიც, როგორც ცნობილია, მრავალშვილიანი იყო. საქართველოს რუსეთთან შეერთებისას ბატონიშვილებიდან ბაგრატს პირველს ხედა წილად თავის უფროს ძმა ივანესა და უმცროს ძმა მიხეილთან ერთად 1801 წლის 9 მარტს მიეტოვებინა საქართველო და ორი თვის მგზავრობის[1] შემდეგ, სამუდამოდ პეტერბურგს დასახლებულიყო. ბაგრატს თან ახლდა შეუღლე ეკატერინე, დურმიშხან ჩოლოყაშვილის ასული, ერთი წლის ვაჟიშვილი, სპირიდონი (დაიბადა 21. V. 1800 წ.), ძმები და ნათესავ-მახლობლები. ისინი დაბინავდნენ პოლკოვნიკ ხომუთოვის სახლში ვასილის კუნძულზე, იქ, სადაც ტრადიციით პეტერბურგის უნივერსიტეტის მომავალი ქართველი სტუდენტები ცხოვრობდნენ. 1801—1803 წწ. საქართველოდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და, კერძოდ, ს.-პეტერბურგში, გადმოსახლებულ იქნა ასზე მეტი ბატონიშვილი. ბევრმა შემდეგში თვითონვე მიატოვა საქართველო და მუდმივად მოსკოვსა და ს.-პეტერბურგში დასახლდა. ქართველი ბატონიშვილების ცხოვრებას რუსეთში უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მათ ბევრი რამ გააკეთეს ქართული კულტურის სასარგებლოდ. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული, ლენინგრადისა და საქართველოს წიგნსაცავებში შემორჩენილი მრავალი ქართული ხელნაწერი-ძეგლი, რომელთა ავტორებია ბატონიშვილები: თეიმურაზი, იოანე, ივანე, ბაგრატი, დავითი, დიმიტრი, გრიგოლი და მათ მიერ აღზრდილი სხვა ქართველი მეცნიერ-მწიგნობრები: იონა ხელაშვილი, ი. ბაზლიძე, პ. ლარაძე (ყარიბი), პ.ქებაძე, ს. ტაბიძე, გ. ფირალოვი, დ. ჩუბინაშვილი, ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი და ბევრი სხვა. აკად. შ. ბრო-

---

[1] იხ. ნაწილობრივ ამ მოგზაურობის შესახებ — ნიკოლოზ ონიკოვი, „მოგზაურობა მცხეთიდან პეტერბურგამდე", საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 2810.

სეც ხომ თეიმურაზის მიერ იყო განსწავლული ქართულ დამწერლობაში.

ბაგრატმა რამდენიმე წიგნი თარგმნა რუსულიდან ქართულად. ზოგი მათგანი, მაგალითად, „სამკურნალო ცხენთა და სხვა პირუტყვთა“ (ს. პეტ., 1818), „წიგნი შესამზადებელი სანოვაგეთა მზარეულთაგან“ (ს.-პეტ., 1818) და სხვა გამოქვეყნდა კიდეც. ხელნაწერებად მან ბევრი წიგნი დაგვიტოვა სხვადასხვა კრებულისა და მხატვრული ნაწარმოების სახით („კრებული“, 1817, „ამირან-დარეჯანიანი“. 1814, „მირზა მეჰთი — ისტორია სპარსეთის მეფის ნადირ ავშარელისა“, 1814. „ლაშქრობა ნაპოლეონისა“ — ორ ნაწილად, 1824 და სხვა მრავალი).

ბაგრატის კალამს ეკუთვნის მრავალი ორიგინალური ნაწარმოებიც, მათ შორის: „ისტორია რუსეთ-სპარსეთის ომისა 1826—1828 წწ.“, „მოკლე ისტორია რუსეთისა და თურქეთის ომისა 1828—1829 წწ,“ და ერთი საუკუნის მანძილზე „საქართველოს ახალი ისტორია (1744—1842 წწ.)“. ეს ნაშრომი ავტორს თავის ძმა დავითთან ერთად დაუწერია. სამივე ამ წიგნის ბაგრატისეული ავტოგრაფული ხელნაწერი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაშია დაცული.

ბაგრატი ცნობილი ბიბლიოფილიც იყო. მის მდიდარ ბიბლიოთეკაში უხვად მოიპოვებოდა ქართული წიგნების, ხელნაწერებისა და სხვადასხვა ფერებში წაკუთარი ხელით შესრულებული სურათ-ნახატთა იშვიათი ეგზემპლარები..

როგორც აღვნიშნეთ, ს.-პეტერბურგში ჩასვლისას ბაგრატ ბატონიშვილი ვასილის კუნძულზე დაბინავდა, სადაც 1821 წლამდე ცხოვრობდა. აქ შეეძინა მას ვაჟიშვილი დავითი და ასული — ბარბალე, რომელიც შემდეგ პოეტ დიმიტრი ორბელიანის მეუღლე გახდა. ბაგრატის ქალიშვილის დაბადებას დიმიტრი ბაგრატიონმა ასეთი ლექსი მიუძღვნა:

„ჩრდილოს აღმოხდა ივერით, ქალი მართ ვითა მთიები,
კამკამით ელვა გამოჰკრთის, ლამაზად მოციმციმები,
ანათებს ოთხთა კიდეთა, შუქითა მონასხიები,
და მზესა მოაკლო მწველობა, მთვარე ჰყო შენაცვლები.

ჯერ მისი მსგავსი ყმა ქალი, არ ეის უნახავს, აროსა,
ნურ ვინ იქადის შვენებით, ვერცავინ შეედაროსა,
რადგან პირბადობს სიმცროსვე, ხამს თავი გაიმთვაროსა, .
და ალხინოს ჰვრეტით მშობელთა, ელაღოს, ებარბაროსა".

ბარბარეს სიმშვენიერეს არა ნაკლებ საალერსო ლექსი პროზით მიუძღვნა თვით მისმა მეუღლემ დიმიტრი ორბელიანმაც.

1822 წლიდან ბაგრატს უკვე თავისი საკუთარი სახლი აქვს იმავე კუნძულის მე-12 ხაზზე, № 261, აქ გაატარა კამერჰერის, წმიდა ანას პირველი ხარისხისა და წმიდა იოანე იერუსალიმელის მეორე ხარისხის ორდენების კავალერმა ბაგრატ ბატონიშვილმა თავისი უკანასკნელი დღეები. გარდაიცვალა იგი 65 წლის ასაკში, 1841 წ. 8 მაისს. 11 მაისს მისი ცხედარი ალექსანდრე ნეველის ლავრის წმიდა იოანე ოქროპირის საყდარში დაასაფლავეს, იქ, სადაც იმხანად განისვენებდა მისი ზოგიერთი თანამოგვარე და თანამემამულე.

ბაგრატ ბატონიშვილის დიდი ამაგი ქართული კულტურის მიმართ შეუნიშნავი არ დარჩენიათ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს. კერძოდ, პ. იოსელიანმა მას უძღვნა თავისი ნაშრომი „პირველდაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა. შედგენილნი პლატონ ეგნატისა-ძის იოსელიანისა მიერ" (სამი გამოცემა: 1840, 1851 და 1863 წწ.). სამივე გამოცემის პირველ გვერდზე ვკითხულობთ: „მათს უგანათლებულესობას საქართველოს მეფისა გიორგი მეათცამეტისა ძეს, ტაინის სოვეტნიკს, სენატორს, ორდენთა: პირველისა ხარისხისა ანნასი, თეთრისა არწივისა და იოანე იეროსალიმელისა მჭონსა, მეფის-ძეს ბაგრატს.

მდაბლად წიგნსა ამას მიუძღვნის თფილისის სემინარიასა შინა ფილოსოფიისა და ფიზიკისა მასწავლებელი, ღვთისმეტყველებისა კანდიდატი პლატონ იოსელიანი.

1840-სა წელსა
მარტის 25-სა დღესა
ქ. ტფილისით".

იონა ხელაშვილის რეკომენდაციით ბაგრატ ბატონიშვილის სამ შვილს სოლომონ დოდაშვილი ასწავლიდა. ეს უკა-

ნასკნელი, განსაკუთრებით ს.-პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში, დიდად მეგობრობდა ბაგრატის ოჯახს.

ბაგრატის სიკვდილის შემდეგ მისი მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა დაიშალა: ნაწილი იოანე (ივანე) გრუზინსკის ბიბლიოთეკის კოლექციას შეუერთდა, ნაწილი გვიან მიხეილ პავლეს ძე საბინინის საკუთრება გახდა, მთავარი ფონდი კი 50 წლის განმავლობაში შთამომავლობით უმცროსი ვაჟიშვილის, დავითის ოჯახში იყო შემონახული.

იოანე გრუზინსკიმ და მიხეილ საბინინმა თავიანთი მდიდარი ფონდები (1880 წ. და 1896 წ.) იმპერატორის საჯარო ბიბლიოთეკას (ლენინგრადის დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკა) მიჰყიდეს. რაც შეეხება ბაგრატის უმცროსი შვილის ოჯახში შემორჩენილ ბიბლიოთეკას, ამის შესახებ გაზეთ „ივერიისა“ (1888 წ. 22 დეკ., № 270) და ჟურნალ „მწყემსის“ (1889 წ. 15 იანვ., № 1) ფურცლებზე ა. ხახანაშვილი დავით ბაგრატის ძე ბატონიშვილის (1809—1888) გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოსკოვიდან შემდეგს გვატყობინებს: „განსვენებულს დარჩა ძვირფასი სურათები ჩვენი სამეფო გვარეულობის წარმომადგენელთა; ამ სურათებში ყურადღებას იპყრობს მშვენიერი ხელოვნურად დახატული სურათები მეფეთა-თეიმურაზ II-სა და ვახტანგ VI-სა. გარდა ამისა ჩვენ ვნახეთ აქ სურათები დარეჯან დედოფლისა, მარიამ დედოფლისა, გიორგი მეფისა და სხვათა. სურათები იმ ზომისაა, რა ზომისაც არის შოთა რუსთაველის სურათი, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას აქვს. ძვირფასი განძი იქნებოდა საზოგადოების წიგნთსაცავისათვის ეს სურათები, რომელთაც სამი ოთახი უჭერია, და აგრეთვე ის წიგნები, რომელნიც დასტოვა განსვენებულმა თავადმა. წიგნთ-საცავი უკვე გადატანილია იმის მემკვიდრეობის სახლში და ამიტომ ვერ მოგვიხდა ჯერჯერობით იმისი გადათვალიერება“.

დავით ბატონიშვილის (გრუზინსკის) სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეებისაგან ხსენებული კოლექცია მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარმა არქივმა შეიძინა. ამ ბიბლიოთეკის დაწვრილებითი აღწერა კი პროფ. ა. ცაგა-

ხელმა გამოაქვეყნა (იხ. «Сведения о памятниках грузинской письменности», т. I, вып. III, СПб., გვ. 248—251).

ს.-ს. ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტის გვერდით უნდა ვიფიქროთ, რომ ა. ხახანაშვილისა და ა. ცაგარელის წერილებში დასახელებული სურათები და ნახატები: შოთა რუსთაველის, თეიმურაზ II-ს. არჩილის, ვახტანგ VI-ს, გიორგი XII-ს, ქართველი დედოფლების, წმიდანების და სხვა მრავალი ნახატი, „რომელთაც სამი ოთახი ეჭირათ" დავით ბატონიშვილის სახლში, ყველა თუ არა, მეტი წილი მაინც თვით ბაგრატის ხელით არის შესრულებული. ამდენად, საჭიროა ბაგრატ ბატონიშვილის მხატვრული მემკვიდრეობის, კერძოდ, მის ფერწერულ ქმნილებათა, შესწავლა.



თეიმურაზ II-ის პორტრეტისათვის

1939 წელს გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონითა და შენიშვნებით გამოიცა თეიმურაზ მეორის თხზულებათა სრული კრებული, რომელსაც წამძღვარებული აქვს თეიმურაზის ეს პორტრეტი. გ. ჯაკობიას წინასიტყვაობაში არაფერია ნათქვამი იმაზე,[1] თუ როდის, სად და ვინ დახატა იგი[1]. ალბათ, ამიტომაც არ აქვს ა. ბარამიძის, შ. რადიანისა და ბ. ჟღენტის ავტორობით რუსულად გამო-

[1] თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ ლაკონურ წინადადებას, რომელიც თორნიკე ჭყონიამ მიუძღვნა ამ პორტრეტს („გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი", „ლიტ. ძიებანი", ტ. 4, 1948 წ. გვ. 257—258).

ცემულ ქართული ლიტერატურის ისტორიას თეიმურაზის პორტრეტი, იგივე ითქმის ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის პირველ ნაწილზე, რომლის ყველა გამოცემა უხვად არის ილუსტრირებული იტალიელ მხატვარ კასტელის ნახატებით, მაგრამ თეიმურაზის პორტრეტი არც აქ ჩანს.

1760 წლის აპრილის პირველ რიცხვებში სპარსეთ-ლეკთა ურდოების თარეშით შეწუხებული თეიმურაზი დიდი ამალით რუსეთს გაემგზავრა. აპრილის ბოლო რიცხვებში იგი 130 კაცის თანხლებითა და ბარგით დატვირთული ორი ურმით ქალაქ ყიზლარში შევიდა, სადაც იმავე წლის 20 ოქტომბრამდე დააკავეს.

1761 წლის დასაწყისს თეიმურაზი უკვე ს.-პეტერბურგშია. 8 აპრილს ხვდება იმპერატორ ელიზავეტას მის კარზე. თეიმურაზის პეტერბურგში ყოფნას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მან აქ შექმნა მრავალი ნაწარმოები, დაათვალიერა ღირსშესანიშნავი ადგილები, ინახულა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულება და მათ შორის, აკადემიის სტამბა, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. სტამბის მუშაკებმა თეიმურაზს მიართვეს მისალმების ფურცელი ქართულ-რუსულ ენებზე:

„თეიმურაზს ნიკოლოზის ძეს, მემკვიდრეს მეფის საქართველოსას, კახეთსა და ქართლის ქვეყნების მპყრობელს, მოსულს 1761 წელსა სანკტპეტერბუხს თაყვანის საცემლად მათის ყოვლად განათლებულობის იმპერატორობის დიდებულობის უხელმწიფესის სრულიად რუსეთისას. იმპერატორის აკადემიის სწავლის სტამბის მსახურნი, ამ საბეჭდავით პატივცემულობასა თვისთა მოწმობენ. დღესა 21 ივნისსა 1761 წელსა“ (იხ. „ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია“, ტომი 1, თბ., 1941, გვ. 53) .

თეიმურაზის ვიზიტი რუსეთის აკადემიის სტამბაში შემთხვევითი არ იყო. ამ სტამბის საქმიანობას იგი კარგად იცნობდა დავით გურამიშვილის უფროსი ძმის, ქრისტეფორე გურამიშვილის, საშუალებით. ქრ. გურამიშვილი პირველი ქართველთაგანი იყო, რომელმაც პეტერბურგის აკადემიის სტამ-

ბაში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად კარგად შეისწავლა წიგნის ბეჭდვის პროცესი. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით აქ „ხელახლა" ჩამოისხა მომავალში მოსკოვში გახსნილ ბაქარისა და ი. სამებლის სტამბის (1737—1744 წწ.) ქართული შრიფტები. ამ სტამბაშივე მუშაობდა ქრ. გურამიშვილი 1737—1744 წლებში და მრავალ საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებდა. 1737 წელს გამოაქვეყნა „რუსულ-ქართული ანბანი", 1744 წლის ბოლოს იღუმენი ქრ. გურამიშვილი, სხვა ქართველ სასულიერო პირებთან ერთად, მოსკოვიდან ოსეთში გაემგზავრა ქრისტიანობის გავრცელების მიზნით და თან წაიღო 931 ქართული წიგნი, ორი წლის შემდეგ კი ოსეთიდან საქართველოში გადავიდა და კათოლიკოს ანტონ I-სა და თეიმურაზ II-ს დაეხმარა გარეშე მტერთა მიერ გაპარტახებული პირველი ქართული სტამბის აღდგენაში. (იხ. «Материалы для истории императ. Акад. Наук», тт. 3 и 8, СПб., 1886 г.; უფრო დაწვრილებით ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია — «История Грузинского книгопечатания за пределами Грузии», Л., 1947 г.).

ეჭვი არ არის, რომ თეიმურაზის სტუმრობა რუსეთის აკადემიის სტამბაში სწორედ ქრ. გურამიშვილის მიერ 1746 წელს თბილისში ნაამბობით იყო გამოწვეული. თეიმურაზ II მოისურვა პირადად გასცნობოდა რუსეთის სტამბის მოწინავე ტექნიკურ მეთოდებს და შეძლებისდაგვარად საქართველოში გადმოენერგა, მაგრამ უეცარმა სიკვდილმა შეუშალა ხელი.

თეიმურაზისა და ქრ. გურამიშვილის ბიოგრაფიების ხარვეზების ამოსავსებად ზემომოყვანილ, ქართულ წყაროებში ნაკლებად ცნობილ, მომენტებს უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ და ჩვენც ამიტომაც დავუთმეთ მათ რამდენიმე სტრიქონი.

თეიმურაზი 1762 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა, იმპერატორ ელისაბედის სიკვდილიდან 14 დღის შემდეგ. მისი ცხედარი საქართველოში წამოასვენეს, რათა მცხეთაში დაესაფლავებინათ, მაგრამ ნეშტმა ასტრახანს ვეღარ გამოაღწია და 5 ივლისს აქვე მიაბარეს საკათედრო ტაძარს. თეიმურაზის

დასაფლავების შემდეგ მისი ამალიდან მხოლოდ 55 კაცი დაბრუნდა საქართველოში, 22 კაცი პეტერბურგის, მოსკოვის, ასტრახანისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქების მუდმივი მაცხოვრები გახდა, 53 პირი კი მოგზაურობის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ასე უნაყოფოდ ჩაიარა საქართველოსთვის თეიმურაზისა და მისი ამალის რუსეთში მოგზაურობამ.

* * *

1761 წ. თეიმურაზის მისვლამ იმპერატორის კარზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ელისაბედს მაშინვე ბრძანება გაუცია თეიმურაზის პორტრეტის დასახატავად. ამ ამბავის ინიციატორი ყოფილა კავკასიის მეფისნაცვლის, მ. ს. ვორონცოვის პაპა გრაფი მიხაილ ილარიონის ძე ვორონცოვი, რომელიც იმჟამად სახელმწიფო კანცლერი იყო. სწორედ მას მოუწვევია სასახლის მხატვარი ალექსი პეტრეს ძე ანტროპოვი (1716—1795). იმის შესახებ, თუ შემდგომ მიხ. ვორონცოვმა როგორ გაამრავლა თეიმურაზის პორტრეტის პირები, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1761 წ. 14 აგვისტოს თარიღით შედგენილი ეს პატარა საბუთი: «В журнале канцелярии Академии Наук записано: приказали, по требованию его сеятельства господина канцлера и графа Михайла Ларионовича напечатать вырезанный портрет грузинского владетеля пять экземпляров на белом атласе, также и впредь сколько оного требовано будет» (см. Архив Академии Наук СССР, фонд № 3, опись № 1, дело № 263, л. 276, от. 14. VIII. 1761 г.). ამას გარდა ს. სავინოვი თავის ნაშრომში («А. П. Антропов», М.—Л. 1947) წერს:—«Когда в Петербург приехал грузинский владетель Теймураз Николаевич и произвел благоприятное впечатление в столице, то Антропову поручили «списать портрет его»... «Антропов внимательно написал красивое, умное лицо грузинского царя, не преувеличив в нем черт, которые ему могли бы показаться необычными».

თეიმურაზის პორტრეტის დახატვამდე ანტროპოვი ცნობილი იყო როგორც ტაძრების, სასახლეთა ჭერებისა და კედლების მხატვარი, რომელსაც ნაწილობრივ არქიეპისკოპოსების პორტრეტების ხატვაშიც ჰქონდა მცირე გამოცდილება. ასე რომ, ანტროპოვის მთელი ნიჭი და 30 წლის პრაქტიკული ცოდნა სწორედ თეიმურაზის პორტრეტის შექმნაში გამოვლინდა. ამას თვით რუსი სპეციალისტებიც ადასტურებენ: «Свое произведение он (ანტროპოვმა, ა. ა.) дополнил на этот раз вполне оправданным декоративным эффектом, написав узорную ткань одежды Теймураза.

Портретные произведения Антропова начала 60-х годов, открываемые изображениями архиепископов и царя Теймураза, имеют глубокое значение для понимания творчества художника вообще».

ანტროპოვის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებული თეიმურაზის პორტრეტი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ამ პორტრეტის გრავიურამ, რომელიც იმავე დროს შეასრულეს ე. ვინოგრადოვმა და ა. გრეკოვმა. ეს გრავიურა ამჟამად ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში ინახება. მას ჯერ კიდევ 1853 წ. მიაქცია სათანადო ყურადღება აკად. მარი ბროსემ, რომელმაც იგი რუსეთის აკადემიის წიგნის მაღაზიაში აღმოაჩინა. ბროსემ ამ გრავიურის საშუალებით დაბეჭდა თეიმურაზის პორტრეტები, დაურთო მეფის მოკლე ბიოგრაფია და გაავრცელა ს.-პეტერბურგისა და მოსკოვის წიგნის მაღაზიებში. პორტრეტი ღირდა 50 კაპ. იმდროინდელ გაზეთებში გამოცხადებული იყო[1], თუ რომელი ქალაქის რომელ მაღაზიაში იყიდებოდა. ამასთან ერთად აკად. მარი ბროსემ თეიმურაზის პორტრეტზე დართული ორგვერ-

[1] აი თვით გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადების ტექსტი: Портрет и при нем историческое известие, составленное г.—ак Броссе, продается по 50 коп. сер., у комиссионеров Академии Наук Эггерса (на Невском просп. № 1 и № 10) и Глазунова (в Санктпетербурге; по Большой Садовой, в доме Публичной Библиотеки, № 21 и 22, а в Москве в Никольской ул., в книжном ряду, под № 16 и 14). Кроме того, можно обращаться в Комитет Правления Академии Наук» (см. «СПБ Вед.», 1853 г., № 221, стр. 902).

დიანი ტექსტი რამდენჯერმე გამოაქვეყნა («Учен. зап. АН по I и III отд. т. 2, вып. 3, СПб., за декабрь 1853 г.» стр. 460—461; «СПб Вед.», 1853 г., № 221, стр. 901—902 და газ. «Кавказ», 1853 г., № 79, стр. 341).

თეიმურაზის პორტრეტის გრავიურის პოვნას აკად. მარი ბროსე ასე გვატყობინებს: «Между медными досками, хранящимися в книжном магазине бывшей Академии Наук и Художеств, что ныне Императорская Академия Наук, нашелся портрет грузинского царя Теймураза, сына Николая или Ираклия I. Эта доска, отлично выгравированная за 92 года пред сим. делает большую честь русским художникам А. Антропову, писавшему портрет с натуры, и граверам Е. Виноградову и А. Грекову».

ამის შემდეგ მარი ბროსე ახასიათებს პორტრეტის ღირსებას, მასში გამოხატულ თეიმურაზის სიცოცხლით სავსე გრაციას და მოკლედ გადმოგვცემს თეიმურაზის ბიოგრაფიას.

თეიმურაზის გარდაცვალების თარიღად მარი ბროსე 1762 წ. 10 აპრილს ასახელებს; აგვიწერს მისი ცხედრის ასტრახანში დასაფლავების ცერემონიას და ა. შ. ბოლოს, მარი ბროსე დასძენს, რომ თეიმურაზის საფლავის ქვაზე ამოჭრილი ქართულ-რუსული წარწერა დღემდის შეძორჩენილაო. აი, ეს წარწერები: „თეიმურაზ ნიკოლოზის ძე, მემკვიდრე მეფე საქართველოსი, კახეთისა და ქართლისა, ძოსული ჩღდა (1761) წელსა სანკტ პეტერბუხს თაყვანის საცემლად მათის ყოვლად განათლებულობის იმპერატორობის დიდებულობის უხემწიფესის სრულიად რუსეთისას".

«Теймураз Николаевич Наследной царь Грузинской, Кахетинской и Карталинской, прибывшей в Санктпетербурге 1761 году на поколение ее Императорскому Величеству Монархине Всероссиской».

სხვათა შორის, პორტრეტის ქვედა ნაწილში მოთავსებულია ლამაზი ფიგურებით გამოქანდაკებული ოთხკუთხოვანი ქვა რუსული წარწერით. ეს თეიმურაზის საფლავზე დადებული ქვის მთლიანი სურათია. პორტრეტის ქართული წარწერა

ის ქვის ზედაპირზე ყოფილა. პორტრეტის რამის ქვედა-გარეთა ნაწილზე მოთავსებული რუსული მინაწერი მხატვრისა და გრავიორთა პიროვნებებზე ლაპარაკობს: «Писал А. Антропов, Вырез. Е. Виноградов и А. Греков в С. Петербурге при Императорской Академии Н. и Худож. 1761 г.» ორიგინალური ზომა (სიმაღლე 29 სმ. და სიგანე 21 სმ) 29×21 სანტიმეტრია.

დ. ა. როვინსკი თავის «Подробный словарь русских гравированных портретов (1888 г.)» მესამე ტომის 2030—2031-ე გვერდებზე დაწვრილებით აგვიწერს თეიმურაზის პორტრეტს და იქვე, მთლიანად იმოწმებს აკად. მარი ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ბიოგრაფიულ ცნობებს.

1949 წელს საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის მუზეუმმა ლენინგრადში მე-18—19 საუკუნეების რუსული პორტრეტების, გრავიურებისა და ლითოგრაფების გამოფენა მოაწყო. ამ გამოფენაზე თეიმურაზის პორტრეტის გრავიურას 24-ე ადგილი ეკავა. მის ავტორად ე. ვინოგრადოვი იყო გამოცხადებული. გამოფენის დაწვრილებითი კატალოგი იმავე წელს დაიბეჭდა პროფ. ვ. კ. მაკაროვის რედაქციით.

თეიმურაზის პორტრეტი სხვა რუსულ სპეციალურ წყაროშიცაა მოხსენებული და ყველგან მისი შემსრულებლების მაღალ ოსტატობაზეა ლაპარაკი.

უცნობი ქართულ-რუსული ლექსიკონი

ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივის სახალხო განათლების სამინისტროს განყოფილების ფონდში ფრიად საინტერესო მასალებია დაცული დღემდე ყველასათვის უცნობი ქართულ-რუსული ლექსიკონის შესახებ. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი ქართულ-რუსული ხელნაწერი ლექსიკონი, რომელსაც დაბეჭდვა არ ეღირსა, შემდეგ კი მისი ხელნაწერი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ხსენებულ ორ-ენეული ლექსიკონის შესახებ არსებობს მხოლოდ ისტორიული მასალები, რომლებიც წარმოდგენილია მიმოწერის სახით ორ, პატარა ფორმატის ფურცელზე.

ლექსიკონი რუსეთის საგარეო საქმეთა განყოფილების ქართული ენის ყოფილ თარჯიმანს ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე იგნატიევს (ეგნატაშვილს) შეუდგენია. ნიკოს შამა სიმონ იაგორის ძე იგნატიევი (ეგნატაშვილი), რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი, ბესიკის თანამედროვე და ამხანაგი, ცნობილია როგორც ქართული ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების საუცხოო მთარგმნელი. მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველ წლებში ს. ეგნატაშვილმა მრავალი ქართული ორიგინალური ნაწარმოები თარგმნა რუსულად. ბევრი მათგანი სტამბის ღირსი გახადა. მათ შორის „ბარამ-გულანდამიანი", რომლის ორიგინალის ავტორად წიგნის თავფურცელზე დილარგეთ თბილელია მოხსენებული («Похождения новомодной красавицы Гуланданы и храброго принца Барама. Сочиненное Диларгетом, секретарем Тифлисским, а переведено с грузинского языка Московского Университета информатором Семеном Игнатье-

вым спб, 1773, стр. 144)[1]. აგრეთვე ალექსანდრე ამილახვრის ისტორიული მემუარი" («История георгианская о юноше князе Амилахварове, с кратким прибавлением истории тамошней земли от начала до нынешнего века, которую рассказывает Усим купец Анатолский сотоварищам своим между разными известиями. Переведено на российский язык П[гнатьевым] С(еменом), Спб, тип. Х. Ф. Клеэна, 1779, 104 с. I л. с портр. А. Амилахорова»») და ქართველი ბრმა მუსიკოსის სიმღერა ეკატერინე Მეორეზე (Грузинская песень слепого певца Екатерине Великой. С грузинского перевел колежский ассессор Семен Игнатьев». См. стр. 24—25. «Труды и летописи общества истории и древностей Российских, учрежденного при императорским Московском Университете. Часть VIII, содержащая летописи общества с 1828 по 1826 год. М., тип. Университета, 1837, 403).

ეს სიმღერა ანუ ლექსი შეიცავს 7 ოთხ-ოთხ პწკარიან ტაეპს, მისი სათაურის შენიშვნაში ნათქვამია: «Песен сия играна Имеретинцем в Кутаисе на балалайке, имеющей долгую шею и нитяные струны. Полковник Тамара (?) приказал произнесенные во время пения слова записать и перевести.»

დათარიღებული არ არის როდის მოხდა ლექსის ჩაწერა ან მისი თარგმნა რუსულ ენაზე. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ, მართალია, იგი დაგვიანებით გამოქვეყნდა, მაგრამ ქუთაისელმა ბრმა მუსიკოსმა ლექსი წარმოთქვა მე-18 საუკუნის 90-იან წლებში, ხოლო მისი თარგმანი შესრულდა არა უგვიანეს ამავე საუკუნის მიწურულისა. ამას მოწმობს ის ფაქტიც,

---

[1] ეს 144 გვერდიანი „ბარამ-გულანდამიანის" წიგნი რუსულ ენაზე პროზაულად და ლექსად არის ნათარგმნი. ქართული ცნობილი ტექსტისაგან განსხვავებით მიჯნურთა მიმოწერის 10 წერილი სულ მოლიანად ლექსად არის წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, რუსული თარგმანი უნდა აერთიანებდეს „ბარამ-გულანდამიანისა" და „ბარამ-გულიჯანიანის" ორივე ვარიანტს, რომლის ორიგინალი ქართულად ჯერჯერობით მიუგნებელია.

რომ ხსენებული ლექსი, სხვა საარქივო ისტორიულ მასალებთან ერთად, ზემოდასახელებულ „შრომების“ საზოგადოებას გამოსაქვეყნებლად მიაწოდა იმ დროისათვის კარგად ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ვ. ნ. კარამზინმა.

ნიკო ეგნატაშვილმა დიდი შრომით შედგენილი ქართულ-რუსული ლექსიკონი მოკრძალებით მიუძღვნა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს. 1809 წლის 26 თებერვალს იგი ჰოსკოვიდან პეტერბურგს გადაუგზავნა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრს გრაფ პ. ვ. ზავადოვსკის იმპერატორისათვის გადასაცემად. ლექსიკონს თან წარუმძღვარა ორი პატარა წერილი: ერთი — მინისტრ პ. ზავადოვსკის, ხოლო მეორე — თვით იმპერატორის სახელზე. ნიკო ეგნატაშვილი აქ მოგვითხრობს:

«Грузинский лексикон с переводом на Российский язык, который на-черно составлен был умершим отцом моим подполковником Семеном Игнатьевым, а по смерти его трудами моими на Грузинский язык переписан и весь исправлен в надлежащий алфавитный порядок».

პირველ წერილში ნიკო ეგნატაშვილი უაღრესი პატივისცემით სთხოვს პ. ზავადოვსკის, ლექსიკონი ბარათითურთ რაც შეიძლება დროზე გადაეცით იმპერატორსო, ხოლო იმპერატორის სახელზე გაგზავნილ წერილში დიდი სურვილია გამოთქმული, ეგებ ჩემი შრომა თქვენი ყურადღების ღირსი გახადოთო. მართლაც, იმავე წლის 6 მარტს ლექსიკონი და წერილი წარუდგინეს მეფეს, თანაც მოახსენეს ავტორის ვინაობა, მაგრამ იმპერატორმა „საჩუქარი არ იპყრო პატივსაცემად“ და, ამგვარად, ლექსიკონი უყურადღებოდ დატოვეს. იმპერატორის ასეთი უარყოფითი გადაწყვეტილება ავტორმა, ალბათ, ჯერ კიდევ არ იცოდა 1809 წ. 4 აპრილს, ამიტომ პ. ზავადოვსკის მან ახალი წერილი გაუგზავნა და სთხოვა მეფესთან შუამდგომლობა. აპრილის შუა რიცხვებში პ. ზავადოვსკიმ უპასუხა:

«Милостивый Государь мой Николай Игнатьевыч (უნდა იყოს Семенович, ა. ა.)! Я подносил Государю Императору доставленный мне от Вас грузинский лекси-

кон; но не скрою от Вас, что как он заключает в себе собрание весьма немногих Грузинских слов, то и не может ни назваться по справедливости полным лексиконом, ни принести пользы, лексиконам свойственной».

ამ პასუხს ვერ მიუღწევია ადრესატამდე. ამიტომაც ნ. ეგნატაშვილმა 1810 წ. 5 სექტემბერს უფრო ვრცელი წერილი გაუგზავნა ახლად დანიშნულ სახალხო განათლების მინისტრს გრაფ ა. კ. რაზუმოვსკის. წერილში იგი დაწვრილებით ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ ვინ არის, როგორ შეადგინა ქართულ-რუსული ლექსიკონი. ამავე დროს საყვედურს გამოთქვამს უფროსი მინისტრის მიმართ პასუხის გაუცემლობის გამო. ამავე წერილიდან ვგებულობთ, რომ ნ. ეგნატაშვილმა ავადმყოფობის გამო დაანება თავი სამსახურს. „მარტო გადაწერასა და სათანადო ანბანზე დალაგებას შვიდი თვე მოვანდომეო“ — წერს იგი. ნ. ეგნატაშვილი თხოვნა-მუდარით მიმართავს ახალ მინისტრს, თქვენ მაინც გამიწიეთ შესაფერისი შუამდგომლობა იმპერატორის წინაშე და ჩემი შრომა როგორმე გახადეთ მისი ყურადღების ღირსიო. იმავე წლის 19 სექტემბერს ა. რაზუმოვსკიმ ნიკო ეგნატაშვილის წერილი მიიღო, 21 სექტემბერს კი ასეთი პასუხი გასცა: Милостливый Государь мой Николай Игнатьевич (უნდა იყოს Семенович, ა. ა)! Доставленный от вас к предместнику (Завадовскому, ა. ა.) моему Грузинский лексикон, по жсланию Вашему был от него поднесен Государю Императору. Но как он заключает в себе собрание весьма немногих грузинских слов и не может ни назваться по справедливости полным лексиконом, ни принести пользы лексиконам свойственной, то приношение осталось без уважения. Возвращая при сем помянутый лексикон, пребываю и истинным почтением ваш покорным слугою А. Разумовский».

როგორც ირკვევა, ნ. ეგნატაშვილს იმხანად არც ეს ზემოთქმული წერილი მიუღია და არც ლექსიკონი დაბრუნებია უკან. ამას ადასტურებს მინისტრ ა. რაზუმოვსკის წერილი (1811 წ. 3 თებერვალი) მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნ-

ველ პ. ი გოლენიშჩევ-კუტუზოვის სახელზე. ა. რაზუმოვსკი ჯერ მოკლედ მოუთხრობს პ. გოლენიშჩევ-კუტუზოვს ნიკო ეგნატაშვილის ვინაობაზე, აღწერს მის მიერ შედგენილ ქართულ-რუსულ ლექსიკონს, რომლის დაბრუნებასაც ავტორი თხოულობს, მერე კი აღნიშნავს, რომ ავტორის სახელზე მოსკოვს გაგზავნილი პასუხი უკან დამიბრუნდა, რადგან ეგნატაშვილმა არ უჩვენა თავისი მისამართი და ამდენად ფოსტამაც ვერ შესძლო მისი პოვნაო. შემდეგ იგი ავალებს პ. გოლენიშჩევ-კუტუზოვს, როგორმე გაიგეთ ლექსიკონის ავტორის მისამართი, ბოლოს და ბოლოს პოლიციის საშუალებით მონახეთ, ჩააბარეთ ლექსიკონი და ჩემი ოფიციალური მიმართვაო. გოლენიშჩევ-კუტუზოვი, მართლაც, ასე მოიქცა და მინისტრს პასუხად ორი წერილი გაუგზავნა ზედიზედ. პირველში, 1811 წ. 13 თებერვლის თარიღით, იგი ატყობინებს ა. რაზუმოვსკის, რომ ლექსიკონი და თქვენი ოფიციალური მომართვა ნიკო ეგნატაშვილის სახელზე მივიღე, სათანადო განკარგულება გავეცი და როგორც კი ჩავაბარებთ ლექსიკონს, ხელწერილს ჩამოვართმევ და პასუხსაც თავის დროზე გაცნობებთო. მართლაც, 14 თებერვალს ნიკო ეგნატაშვილს გადაეცა ლექსიკონი და მინისტრის ოფიციალური მიმართვა. ამის შესახებ ა. გოლენიშჩევ-კუტუზოვმა მეორე წერილში, 16 თებერვლის თარიღით, აცნობა ა. რაზუმოვსკის, აი, ნ. ეგნატაშვილის ხელწერილის ტექსტი:

«Присланный на имя Его Превосходительства Господина попечителя Московского учебного округа Павла Ивановича Голенищева-Кутузова Грузинский лексикон от Его сиятельства Господина министра народного Просвещения с приложением от него ношения ко мне мною получены».

ამ ძუნწი ცნობების გარდა სხვა არაფერი ვიცით ხსენებული ქართულ-რუსული ლექსიკონის ბედის შესახებ. არაა ცნობილი, თუ რამდენ სიტყვასა და გვერდს შეიცავდა იგი. ვიცით მხოლოდ, რომ ლექსიკონის შავად შედგენაზე პირველად დიდი ხანი უმუშავია სიმონ ეგნატაშვილს. მისი სიკვდილის შემდეგ კი საქმე განუგრძია სიმონის შვილს—ნიკოს

რომელსაც მარტო მის გადაწერა-გადათეთრებაზე, შვიდი თვე დაუკარგავს. ასე რომ ლექსიკონი, ალბათ, მოცულობით კარგა მოზრდილი იქნებოდა, 600—700 გვერდამდე მაინც.

ჩვენი აზრით, დღემდე ცნობილ ქართულ-რუსულ ლექსიკონებს შორის აღნიშნული ლექსიკონი ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა იყოს და თუ ის საბას ცნობილი ლექსიკონის მთლიან პირს 'არ წარმოადგენდა, ყოველ შემთხვევაში. მისი უშუალო დახმარებით მაინც უნდა ყოფილიყო შედგენილი. შესაძლოა იგი გადაურჩა მოსკოვის ხანძარს 1812 წ. და დღეს სიძველეთა რომელიმე არქივში ინახება. ამდენად სასურველი იქნება ქართველმა მკვლევარებმა არქივებში მუშაობის დროს გაამახვილონ ყურადღება ამ საკითხის ირგვლივ.

უცნობი ქართველი პოეტი სოლომონ კავკასიელი

ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში რამდენიმე სახელწოდების ქართულ ხელნაწერთა კოლექციაა დაცული. მათ შორის მკვლევართა ყურადღებას იქცევს: იოანე ბატონიშვილის კოლექცია (181 ბიბლ. ერთეული), საბინინის (17), გრენის (9), დორნის (3), ქართული ახალი სერია (13), ავტოგრაფების კოლექცია (5) და სხვ. ასე რომ, მთლიანად სულ 381 ბიბლიოთეკური ერთეულია. ბევრი მათგანი თავის მხრივ რამდენიმე სახელწოდების ნაწარმოებს შეიცავს. დასახელებული ფონდების კოლექციები მრავალ მასალას იძლევა ქართული კულტურის თითქმის ყველა დარგის შესახებ უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე. ხელნაწერთა ძეგლების ყველაზე ადრინდელი ნიმუშები მე-9—10 საუკუნეებისაა. აქ შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი წინაპრების იშვიათი ორიგინალური ნაშრომები, საკუთარი ხელით გადაწერილ-გადათეთრებული სქელტანიანი ტომები, კრებულები, პატარ-პატარა ფურცლები და მრავალი სხვა სახის ავტოგრაფული წიგნი და დოკუმენტი — ხშირად გადამწერთა და მფლობელთა უნიკალური მინაწერებით. უმეტესი ნაწილი უკვე დიდი ხანია, რაც ქართველ მეცნიერთა კვლევის საგანი გახდა. ნაწილი შესწავლილია და სათანადო კომენტარებით გამოქვეყნებულიც. ნაწილს ახლა სწავლობენ, მაგრამ ეს მდიდარი კოლექცია მაინც შეტ ყურადღებას ითხოვს.

მე-19 ს. პირველი ათეული წლების საქართველოს ისტორიის ხარვეზების შესავსებად ფრიად საყურადღებო მასალებს იძლევა ბატონიშვილების კერძო საოჯახო და ოფიციალური მიმოწერის ჩვენამდე მოღწეული ფურცლები. საყურადღებოა,

მაგალითად, მარიამ დედოფლის გულახდილი წერილები თავისი შვილის მიხეილისადმი ბელოზეროდიდან ს.-პეტერბურგში, ერეკლე II-სა და გიორგი XII-ს დაჭილდოვება-გამხნევების სიგელები ოსებისადმი და ა. შ.

ამჟამად შევჩერდებით მხოლოდ იოანე ბატონიშვილის კოლექციაში დაცულ ერთ ფურცელზე, რომელზედაც იკითხება ვინმე სოლომონ კავკასიელის უთარიღო ლექსი.

აი, ამ ლექსის მთლიანი ტექსტი:

„წალკოტს ვსჯედ მჭმუნვარე გულ სევდიანი,
სიყვარულის ლახვრით, თვალ ცრემლიანი:
გოდებით მომთქმელი სვისა ჩემისა,
ანაზდად მომესმა ხმა ფრთისა ცემისა.
სიყვარულის ღმერთმა მსწრაფლ მომფრინავი,
ჩემს განსაწონადი მახვილ მჭრელი:
სატრფოს ღიმილით ლამაზ ფრთოსანსა,
პშვენოდა აღჭურვა ქაპარჭოსანსა.
პირველად გამიწყრა მტყორცნა ისარი,
მითხრა, შენი მკელელი, აჰა, ის არი:
მისგან დაგესო ისარი გულსა.
იგივე განკურნებს შაგ შენსა წყლულსა.
მიეღე, ყარიბო, ფერხთ ქვეშ დაეგე:
სიყვარულსა მისსა მარადის ეგე.
განვკართი, რა მივხვდე, ვსთქვი, ეს ვინ არი,
სავსის მთვარის მგზავსი პირ მოცინარი!
მყის მიცელ, დაეცი პირის პირ მისსა,
თვალ ვერ შეეადგი ვით მზისა სხივსა.
მსწრაფლ აღმადგინა, მიპყრო მან ველი
მრქვა, ნურღა გაშმაგდი რაგვარცა ხელი.
ამიერ ნურღა სტირ ცხარის ცრემლითა,
მე მარად შენი ვარ გულ დადებითა,
დავსწერე ეს ლექსი სალმობით ხელ მან
სოლომონ, წოდებულ კავკასიელმან.

როგორც უკანასკნელ სტრიქონშია ნათქვამი, ეს ლექსი სოლომონ კავკასიელს შეუთხზავს, ჩვენი აზრით, მე-19 საუკუნის არა უგვიანეს 30 წლებისა. ამავე არქივში დაცული მსგავსი ფურცლები ამ თარიღებით არის შემოსაზღვრული. ზოგიერთი სიტყვის ჯერ ერთი ფორმით დაწერა, მერე წაშლა, მის ნაცვლად სხვა ფორმის მოცემა, ბოლოს, ზმნის აწმყო დროი-

დან ნამყოში გადატანა და სხვა ამგვარი რამ გვაფიქრებინებს, რომ ტექსტი პოეტის ავტოგრაფი უნდა იყოს.

ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი? იცნობდა თუ არა მე-18—19 სს. ქართული ლიტერატურა ასეთ პოეტს? ამ საკითხის დასაზუსტებლად ჩვენ გადავათვალიერეთ კორნელი კეკელიძის, ალექსანდრე ბარამიძის, გიორგი ლეონიძის, ტრიფონ რუხაძის, შალვა რადიანის, აკაკი გაწერელიასა და სხვათა შრომები, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მკვლევარი არ იხსენიებს სოლომონ კავკასიელს.

ვიცით მხოლოდ, რომ მე-18 საუკუნის 90-იანი წლებიდან მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე ქართული ლიტერატურის ისტორიაში და საქართველოს სახელმწიფო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე რამდენიმე „პოეტი" და სხვადასხვა საბუთების „გადამწერი", ანუ „მეფე კარის მდივანი სოლომონია" ცნობილი. მათ შორის დავით რექტორის ძმა და ანტონ პირველის ნიჭიერი მოწაფე, დეკანოზი სოლომონ ალექსიშვილი, მდივანი და გადამწერი სოლომონ დავითის ძე ქობულაშვილი (იხ. „ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა", ტ. 6, გვ. 118), დავით რექტორის მეგობარი და ერეკლე II-ის მდივანი სოლომონი (იხ. „ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა", ტ. 4, გვ. 209), რომელმაც 1785 წ. შეწირულობის წიგნი გადაწერა; დავით რექტორის შეგირდი სოლომონი (იხ. „ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა", ტ. 3, გვ. 81), რომელმაც 1791 წ. 2 აპრილს თელავის სემინარიის 14 მოწაფესთან ერთად დაწერა გიორგი XII-ძის, დავით ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი; ცნობილი პოეტი, ერეკლე II-ის კანცლერი და სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე (1754—1811); მარიამ დედოფლის (გიორგი XII-ის მეუღლე) კარზე აღზრდილი, მისი თანამხლები 1803 წ. ბელგოროდში გადასახლებისას, ქართველი აზნაური სოლომონ ფანიოვი (1790—1812); პუშკინის თანამედროვე და მისი ლექსების პირველი მთარგმნელი ქართულად სოლომონ რაზმაძე (1793—1862 წწ.). აგრეთვე „გადამწერი სოლომონ", რომელსაც მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში „მარინას წამება (ლექსად)" გადაუწერია და თანაც ზედ თავისი ასეთი ხუთკუპლეტიანი დაურთავს:

ნეტარ ხარ, წმინდაე მარინავ,
ტკბილად გიბრძანებს უფალი,
თავსა დაგადგა გეირგვინი,
შეგამკო ეით დედოფალი.
ედემი მოგცა სამყოფად,
სამოთხე განშვენებული
და მეცა მაცხოვნე ს ო ლ ო მ ო ნ
მწერალი თავისუფალი.
ჰი, წმიდაო მოწამეო,
დიდებულო, საშინელო,
ვეშაპი მოჰკალ რომელმან,
და ლომბრიოზ მძლეთა მძლეო.
სატანაცა შენ აღხოცე,
ჩაახეთქე ჩაღმა ქვეო
და მეოხ ეყავ მას ნ ი ნ ა ს ა,
მის სახელზედ აღესწერეო.
ვისაც ხელთ იყოს ეს წიგნი,
მას მიეც ედემს ნათელი.
ქმარი და შვილნი უცოცხლე,
რას ედგას თვალთა ნათელი,
მას მოარიდე მავნენი და
ეშმაკისა საფრთხენი,
და თაეი და ქმარი უცოცხლე,
რაც იქმნას მათგან ნაშენი.
(იხ. „საქ. სახ. მუზეუმის ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა", ტ. IV, გვ. 333—334).

ამ სიის გაგრძელება კვლავაც შეიძლება, მაგრამ, არც ერთი მათგანი „სოლომონ კავკასიელის" გვარს არ ატარებდა.

მაშ ვინ არის ავტორი ჩვენამდე მოღწეული მშვენიერი 6 კუპლეტიანი ლექსისა „წალკოტს ვსჯედ მჭმუნვარე გულ სევდიანი"? ჯერჯერობით ამ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მისი დამწერი საკმაოდ დახელოვნებული პოეტი უნდა ყოფილიყო და სამშობლოდან რუსეთში გადახვეწილი „ყარიბი" (უცხოელი მოხეტიალე). სიტყვა „კავკასიელი" პოეტის გვარი არ არის, იგი კავკასიიდან პეტერბურგში გადახიზნული, ეროვნებით ქართველი კაცი უნდა იყოს, რომელიც, ალბათ, პეტერბურგში მცხოვრებ ბატონიშვილების კარზე იმყოფებოდა ან კიდევ

„ინოსტრანის კოლეგიის მთარგმნელი-გადამწერი“ (მდივანი) იყო და, ამავე დროს, კარგ ლექსებსაც წერდა. ზემოჩამოთვლილ პირებიდან ზოგიერთი სხვადასხვა დროს კი იმყოფებოდა პეტერბურგში, ზოგიც მუდმივად ცხოვრობდა იქ, მაგრამ გადაჭრით თქმა მაინც ძნელია.

დასახელებულ სოლომონთაგან ყველაზე ცნობილი პოეტებია სოლომონ ლიონიძე და სოლომონ რაზმაძე. მათ გვერდით შეიძლება დავაყენოთ „მარინას წამება (ლექსად)“ გადამწერი სოლომონი. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ამათგანი უნდა იყოს „სოლომონ კავკასიელი“, რადგან ისინი თავიანთი ლექსების რითმული ფორმით უფრო ახლოს არიან ლექსთან „წალკოტს ვსჯედ მჭვუნვარე გულ სევდიანი“, ვიდრე სხვები. კიდევ ერთი ასეთი აზრი: ხომ არ შეიძლება სოლომონ დადაშვილი იყოს ამ ლექსის ავტორი? მაგრამ ეს აზრი კითხვის დასმისთანავე ეჭვს იწვევს, რადგანაც ამ შემთხვევაში ს. დადაშვილი ლექსს აუცილებლად დაბეჭდავდა, საკუთარ ლიტერატურულ ჟურნალში ან არა და მისი კვალი სათანადო არჭივს შემორჩებოდა. ერთი სიტყვით, აქ ჩამოთვლილი მოსაზრება ჯერჯერობით მაინც ჰიპოთეზად რჩება. საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა დამატებითი საბუთები.

მკვლევართა ყურადღება უნდა მიიქციოს კიდევ ერთმა ასეთმა კითხვამ: რატომ უწოდებს პოეტი თავის თავს „სალმობით ხელ მანს“, ე. ი. სულიერად ავადმყოფს, ტკივილებით შეპყრობილს? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტი ამ სიტყვებით იმდროინდელი ქართველი ერისა და საერთოდ კავკასიის ხალხთა სოციალურსა და პოლიტიკურ ტკივილებს გამოხატავს?

პუშკინის ლექსის პირველი ქართული თარგმანი

იოსებ გრიშაშვილის, კარპ. დონდუას, მ. გოცაძისა და სხვა მკვლევართა წერილების გამოქვეყნების შემდეგ ნათელი გახდა, რომ სოლომონ რაზმაძე (1797—1862), მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ეს ჩუმი მოღვაწე, პუშკინის ნაწარმოებთა პირველი მთარგმნელია ქართულ ენაზე. როგორც ირკვევა, სოლ. რაზმაძე ახლო გასცნობია პუშკინს და მისი პოეტური შემოქმედების დიდი მოტრფიალე და თაყვანისმცემელი ყოფილა. სოლ. რაზმაძის თარგმანით პუშკინის ლექსი „განღვიძება" („Пробуждение") გამოქვეყნდა 1830 წლის „ტფილისის უწყებანის" მეორე ნომერში, ხოლო „მელოდია-ღიშპანური სიმღერა" („Испанский романс") და „ლხინი" („Веселый пир") 1832 წლის პირველი ქართული ლიტერატურული გაზეთის („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათაგანი") მეხუთე ნომერში (გვ. 114 და 115). ამათ გარდა სოლ. რაზმაძეს უთარგმნია „წინასწარმეტყველი", „დემონი", ნაწყვეტები „ევგენი ონეგინიდან", „ავაზაკებიდან" და სხვა მრავალი ლექსი, რომელთა უმრავლესობა, თავის დროზე დაუბეჭდაობის გამო, დაიკარგა. ერთი ასეთი ლექსი აღმოაჩინა და გამოაქვეყნა ი. გრიშაშვილმა, ერთიც ჩვენ ვიპოვეთ და აქვე ვაქვეყნებთ.

სოლ. რაზმაძე პეტერბურგში ცხოვრობდა 1811—32 წლებში (იგი თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად ჩავიდა იქ). სწორედ პეტერბურგში ყოფნისას მწიფდება პოეტის ნიჭი. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი თარგმნითი შემოქმედებაც.

1948 წელს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებში, კერძოდ, იოანე ბატონიშვილის კოლექციაში, ვნახეთ ერთი, ორად მოკეცილი, ფურცელი (14×10), რომელზეც ლამაზი მხედრულით დაწერილია ა. ს. პუშკინის ლექსის („К морфио") უცნობი ქართული თარგმანი. პირველ გვერდზე ქართული თარგმანია, მეორეზე იგივე თარგმანი რუსული ტრანსკრიპციით, მე-3 გვერდი სუფთაა, მე-4 გვერდზე კი ორიგინალია.

აი, ქართული თარგმანი:

ცისკრამდე რულო, მეც მელხინება
ტანჯულს სიყვარულს პრიდე წყინება.
მოვედ, დაშრიტე ლამპრის ბრწყინება,
აკურთხე გულის ზრახვის დინება.

ნუ განუცხადებ უნდოს გონებას,
ზარსახდელს განყრის სჯა განჩინებას!
მიტევე, ვსჭვრეტდე სატრფოს მონებას,
და ღირს მყავ მისსა ხმისა სმინებას.

ოდეს განივლტის ღამისა ბნელი
და შენც დასტეო თვალთ საბარდნელი,
ნეტამც ძალ-ედვას სულს ეს საქმნელი
ვიწყდეს ტრფობა სხვა ღამედმე ბნელი!

აღსანიშნავია, რომ თარგმანს არ აქვს თარიღი, არც ის არის მინიშნებული, ვინ თარგმნა და სად. მაგრამ, სხვადასხვა მასალასთან შედარებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლექსი უთუოდ სოლ. რაზმაძემ თარგმნა დაახლოებით 1824—1830 წლებში, უფრო კი 1824 წელს, როდესაც პუშკინის ეს ახალგაზრდობის, ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლის, დროს დაწერილი ლექსი, პირველად ა. ბესტუჟევმა და კ. რილეევმა გამოაქვეყნეს 1823 წლის დეკემბრის რიცხვებში გამოცემულ კრებულში „Полярная звезда".

საინტერესოა, რომ სოლ. რაზმაძეს გარდა პუშკინის ეს ლექსი დღემდე არავის უთარგმნია, ყოველ შემთხვევაში ასე-

თია ქართული ბეჭდვითი წყაროების მონაცემები 1950 წლამდე.

ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვები პუშკინის ლექსებს თავისუფლად თარგმნიდნენ; სოლ. რაზმაძე კი ცდილობს ზუსტად გადმოცეს ორიგინალის კოლორიტი, დაიცვას როგორც ლექსის შინაარსის, ისე ფორმის თავისებურებანი.

ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი“ ბალაკირევის ნოტებზე

ცნობილი რუსი კომპოზიტორი მილი ალექსის ძე ბალაკირევი (1836—1910) თავის დროზე ხშირი სტუმარი იყო საქართველოსი. კერძოდ, მე-19 საუკუნის 60—70 წწ. იგი სამჯერ ყოფილა ჩვენში.

მ. ბალაკირევი 15 წელი მუშაობდა თავის სიმფონიურ პოემაზე „თამარი“, რომელმაც სახელი მოუხვეჭა მას. პოემას საფუძვლად დაედო ლერმონტოვის ცნობილი ნაწარმოები. ირკვევა, რომ სიმფონიის შექმნამდე კომპოზიტორს ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზეც უმუშავნია. 1868 წ. მას ფორტეპიანოზე დასაკრავად გურული ხალხური საწრეო თამაში „ისლამეი“ ჩაუწერია.

ბალაკირევის არქივში მრავალი, დღემდე შეუსწავლელი, კავკასიური ხალხური სიმღერაა დაცული. მათ შორის ჭავჭავაძის — „მუხამბაზი ლათაიური“. იგი კომპოზიტორს 70-იან წლებში ჩაუწერია სხვადასხვა მომღერლებისაგან, ამდენად დარღვეულია ლექსის ავტორისეული თანამიმდევრობა და სიტყვებიც დამახინჯებულია. მ. ბალაკირევს არც სცოდნია, რომ ტექსტის ავტორი ალ. ჭავჭავაძე იყო.

ბალაკირევის სიმღერებიდან ყურადღებას იპყრობს — ფორტეპიანოზე სასიმღერო ქართული ლექსი — „ფასკუნჯი“, რომელიც დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების მ ა. ბალაკირევის კოლექციაში. იგი ნამდვილად შეიცავს ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიურის“ სიმღერას: „ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიალალი, დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიალალი“ და სხვ. აქედან ნო-

ტებზე სულ სამი კუპლეტია გადაღებული. ქართული ტექსტი რუსული ტრანსკრიპციით არის დაწერილი. თარიღი არ უზის. უნდა ვიფიქროთ, რომ ბალაკირევს იგი შესრულებული აქვს სწორედ 60—70-იან წლებში, როდესაც საქართველოს სტუმრებია და, ალბათ, ეს სიმღერა ბევრჯერ მოუსმენია.



თეიმურაზ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის

წიგნი ძველ ქართულში, უპირველეს ყოვლისა, ბარათს ნიშნავდა. შემდეგ წიგნსა და წერილს (ბარათს) შორის უფრო ზუსტი, გარკვეული დიფერენციაცია მოხდა. წიგნის ისტორია ხომ ზოგჯერ ცოცხალი ადამიანის ისტორიას მოგვაგონებს. არის შემთხვევა, როდესაც წიგნი მეტყველებს არა მარტო იმას, რაც ავტორს დაუწერია, არამედ იმასაც, თუ რამდენი თაობის ხელში გაუვლია მას, ვის რა მინაწერები დაუტოვებია მის ფურცლებზე. ხშირად თაობიდან თაობაზე გადასული ზოგიერთი ძველი ხელნაწერები თუ ბეჭდური გამოცემა ისეთ ძვირფას მინაწერებს შეიცავს, რომ მკვლევართათვის მათი ცნობები უფრო ბევრად საინტერესო ხდება, ვიდრე თვით იმავე წიგნების შინაარსი.

თეიმურაზ ბატონიშვილის უცნობი წერილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ავამეტყველებთ ერთ ქართულ სასულიერო წიგნს, რომელმაც თეიმურაზთან ერთად შემოიარა მთელი საქართველო, დიდი რუსეთის თვალუწვდენელი ველები, პეტერბურგი, გერმანიის ღირსშესანიშნავი ქალაქები და კურორტები, ლიფლანდიის, კურლანდიის, პოლონეთის, პრუსიის, პომერანიის და მეკლენბურგის სამთავროები. საქსონია, ბოჰემია და სხვა მრავალი სამკურნალო ადგილი, შემდეგ კი მდინარე რეინით კვლავ ღაუბრუნდა პეტერბურგს და 1880 წლიდან საბოლოოდ საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა. დღეს იგი ამ ბიბლიოთეკის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის განყოფილების ქართულ წიგნთა ფონდში ინახება. მისი თავფურცლის მოკლე აღწერილობა ასეთია: „გამოკრებული სადღესასწაულო", სოფ. წესი (რაჭა), 1811 წ., გვ. 519 (იხ. „ქართული წიგნი", ტ. 1, № 101). ამ წიგნის ორი ცალია დაცული აღნიშნულ ბიბლიოთეკაში. ერთს (ინვენტარის № 20.588) თავფურცლის მეორე გვერდის დასასრულს შავი მელნით აწერია: „ჩემმა ძმამ, გრიგოლ წერეთელმა. მიბოძა, მეფის სძალ ქეთევან, ჩყივ" (1816 წ.), ივნისის 14-ს. თვესა და რიცხვს ჩვენ ვადგენთ სხვა ნაჩუქარ წიგნზე ანალოგიური მინაწერებით, კერძოდ 1815 წ. საჩხერეში დაბეჭდილი „სამოციქულოს" თავფურცელზე გაკეთებული შემდეგი წარწერით: „ბრწყინვალე თავადმა გრიგოლ წერეთელმა მიბოძა ბარათოვ მდივნის ასულ მაიკას, ოდეს ვახლდი დასა მათსა, მეფის ქალ ქეთევანს და მწყალებითა მამანათვლინა ასული თავისი ნატალია, ჩყივ (1816 წ.) წელსა, ივნისის იდ (14). და ერთი სტამბის სადღესასწაულო. მაიკა. ღმერთმა ადღეგრძელოს გრიგოლ".

ამრიგად, გრიგოლ წერეთელს მაიკა ბარათოვისათვის უბოძებია „გამოკრებული სადღესასწაულო" და „სამოციქულო". იმავე გამოცემის თითო წიგნით გრიგოლ წერეთელს დაუსაჩუქრებია თავისი და ქეთევანი, რაც დასტურდება „სამოციქულოს" სხვა ცალზე შემონახული ასეთი მინაწერით: „კნიაზ

გრიგოლ წერეთელმა მიბოძა მე, დასა თვისა, მეფის სძალ ქეთევანს, ჩყივ (1816) წელსა, ივნისის იდ (14)". მაშასადამე, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს საკუთარი „საფასით დაბეჭდილი" წიგნებიდან თავისი დის ქეთევანისა და მაიკა ბარათოვისათვის 1816 წ. 14 ივნისს ორ-ორი წიგნი უჩუქებია: თითო ცალი „გამოკრებული სადღესასწაულო" და თითოც — „სამოციქულო".

„კალმასობის" ავტორის, იოანე ბატონიშვილის, მეუღლის ქეთევანისა და მისი ოჯახის მახლობლის მაიკას კუთვნილი ოთხი წიგნიდან სამი ამჟამად სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ქართულ წიგნთა ფონდშია დაცული და სამივეზე მფლობელთა ზემოთ მოყვანილი ცნობებია მიწერილი. რაც შეეხება „გამოკრებული სადღესასწაულოს" მეორე ცალს (ინვენტარის № 20589) იგი ბაგრატ ბატონიშვილის საკუთრება ყოფილა. ამჯერად თავისი მინაწერებით (მარგინალიებით) სწორედ ეს ეგზემპლარი იპყრობს ჩვენს ყურადღებას და ამიტომაც უფრო დაწვრილებით მასზე შევჩერდებით.

სსენებული ცალი იმით განსხვავდება სხვა პირველი ეგზემპლარისაგან, რომ დაბეჭდილ 519 გვ. ერთად აკინძულა 201 გვ. ლამაზი, მხედრული ხელით შესრულებული დამატება. ეს დამატებანი დაურთავს მეფის ძეს ბაგრატს. გვ. 1—2 და 197 დაწერილია გარკვეული მხედრულით და შიგადაშიგ ასომთავრული აქვს გარეული. ტექსტი შავი მელნითაა, ხოლო თავები, აბზაცები და ზოგიერთი სიტყვის დასაწყისი ასოები წითელი მელნით. 198 და 199 დაუნომრავი გვერდები სუფთაა, ხოლო 200—201 დაუნომრავ გვერდებზე თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერებია დაცული. აქვე ვიმოწმებთ ბაგრატისა და თეიმურაზის ზოგიერთ მინაწერს: „ესენი, რომელიც აღვჰსწერე ამ დაბეჭდილს თორმეტ საუფლოში, არ დაებეჭდა ყოვლად სამღვდელოს იმერეთის — არხიეპისკოპოზს ნიკოლოზ წმინდელს — სოფრონ წულუკიძეს. და რათგან მოგზაურთათვის საჭირო იყო, მე ესე მხედრულად ჩაკჰსწერე აქა. და ამასთან რიცხვნი წლისანი (1834—1863 წწ. იხ. გვ. 180-

196, ა. ა.), რომელს დღეს რა დღესასწაული მოვა ან როდის დამარხვდება ანუ გახსნილდება, ესენი უნაკლოდ აღვსწერე, რომელიც ისი[ლვის]... გვ. 1)... ბაგრატა. 1833. მაისის 24" (გვ. 2), შემდეგ მიდის თვით დამატების ტექსტი (გვ. 1—196) და, ბრლოს, 197-ე გვერდიდან, ასე ამთავრებს ბაგრატი თავის ნაშრომს: „მე საქართველოს მეფის გიორგის ძემან, ბაგრატმან, და რუსეთის სენატმა და მისის დიდებულების ხელმწიფის კარის კამარლერმან და კავალერმან, აღვპსწერე ესე რაოდენიმე დღესასწაულთა საგალობელი და სახარებანი სამოციქულოთ, ვინათგან ამ პატარა სამგზავროს თქვენს აკლდა, რომელიცა დაიბეჭდა მაღალ ყოვლად სამღვდელოს ნიკოლოზ წმინდელს — სოფრონს წულუკიძეს — იმერეთსა შიდა და ესე ნაკლი მე შევასრულე. გთხოვთ მკითხველთა, რომელ ჩემ ცოდვილისათვის შენდობასა ბრძანებდეთ. მეფის ძე ბაგრატა. წელს 1833-ს, თვესა ივნისსა 3, ს.-პეტერბურგს".

ქართული კულტურის დიდ მოამაგეს ბაგრატ ბატონიშვილს (მის შესახებ იხ. ჩვენი წერილი — ჟურნ. „დროშა". 1957 წ., № 1) მეტად მცირე დროის განმავლობაში (2 თუ 24 მაისიდან 3 ივნისამდე) მოსდენილი ხელით 200 გვერდიანი ნაშრომი შეუდგენია და გადაუწერია.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია თეიმურაზ ბატონიშვილის ორი ასეთი პატარა მინაწერი: „ღ[ა]ნ ამისი მადლი შეაწიოს და ყ[ო]ველ წ[ა]ის ღ[ა]ის მ[ო]მბელს მეფის ძე ბაგრატს და იმის შვილებსა და მეცა ცოდვილსა ამას. ამის მადლსაც აქ წმინდანი სწერან, ყოველთავე შემწე გვეყოს" (გვ. 200). „წელსა 1836-სა, მაისის 26 წაველ ს.-პეტერბურგიდან ალემანიაში ბოღმის მინერალნი წყლებზე კარლსბადს და მარანბადს (მარიენბადს")[1], იქიდამ რეინის პირებში. და მრავალი ქალაქი და სოფელი და ადგილი მოვლე. მრავალი უცხო სანახავები ვნახე და მრავალნი დიდებუ-

[1] 1891—92 წწ. ეკიმების რჩევით აკაკი წერეთელსაც დაუპირებია ს.-პეტერბურგიდან მარიენბადენში წასვლა გულის სამკურნალოდ (ა. კობლავაშვილი, „აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, თბ., 1958, გვ. 159—160: „აკაკი წერეთლის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი").

ლნი. გვამნი, რომელთაც შეევმცნე და პატიჟითა ფრიადითა მიმიღეს. და იქიდამ მობრუნებული მოველ ს.-პეტერბურგს ნოენბრის გასულს. ეს საღმრთო წიგნი თანა მქონდა და ისევ მადლობით მოგართვი ჩემს ძმას, მეფის ძეს ბაგრატს, ს"დ საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ" (გვ. 201).

ეს მინაწერი ავსებს თეიმურაზ ბატონიშვილის მემუარების სახით შედგენილ დაუსრულებელ „მოგზაურობას" (იხ. თეიმურაზ ბატონიშვილის — „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა", თბ., 1944, ს. იორდანიშვილის გამოცემა), რადგანაც ხსენებულ ნაშრომში აღნიშნული არ არის, თუ როდის დაბრუნდა თეიმურაზი ს.-პეტერბურგს, მინაწერში კი ცხადად არის ნათქვამი, რომ „იქიდამ მობრუნებული მოველ ს.-პეტერბურგს ნოენბრის გასულსო".

ევროპაში მოგზაურობისას თეიმურაზ ბატონიშვილს „მრავალი უცხო სანახავები და მრავალნი დიდებულნი გვამნი" უნახავს, რომელთა შესახებაც დაწვრილებით მოგვითხრობს ნაშრომში. ავტორი ხშირად იუმორსაც მიმართავს და თავის თავგადასავალს იუმორისტული ლექსებით აგვიწერს, რაც, რა თქმა უნდა, ადიდებს მის ლიტერატურულ ღირსებას.

ი. ანდრონიკაშვილის წერილის თანახმად («Тогильская находка». жур. «Новый мир», 1956, № 1), 1836 წლის მაისის შუა რიცხვებში, ექიმების რჩევით, ს.-პეტერბურგიდან ევროპაში სამკურნალოდ გამგზავრებულა იმ დროისათვის ცნობილი ისტორიოგრაფის ნ. მ. კარამზინის შვილი ანდრია, რომელსაც შემოუვლია გერმანია, საფრანგეთი და იტალია. ანდრია კარამზინი გაჩერებულა ფრანკფურტში, ემსაში, ბადენ-ბადენში და დაუსვენია. ასე, რომ რაკი თეიმურაზ ბატონიშვილსა და ანდრია კარამზინს ერთდროულად უმოგზაურიათ და უმკურნალიათ ევროპაში, ალბათ, ისინი უთუოდ შეხვდნენ ერთმანეთს. მართალია, თეიმურაზი არ იხსენებს „მოგზაურობაში" ანდრია კარამზინს, მაგრამ უდავოა, რომ ბატონიშვილი ახლოს იცნობდა მას, იცნობდა მის ხალონურ ოჯახს. სადაც, კარამზინის სიკვდილის შემდეგაც, მისი ქვრივის პოწვევით.

ხშირად იკრიბებოდა იმდროინდელი პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენცია. პეტერბურგის სახელგანთქმულ მეცნიერთა ოჯახების საპატიო სტუმრად ხშირად ვხვდებით თეიმურაზ ბატონიშვილსაც. ერთ-ერთი ასეთი ოჯახი იყო რუსეთში კარგად ცნობილი ბიბლიოთეკარის, ვასილ გრიგოლის ძე ანასტასევიჩის ბინა. აქ ხშირად იმართებოდა ლიტერატურულ-მეცნიერული პაექრობანი. თეიმურაზსაც, თავის მხრივ. უყვარდა სტუმრიანობა, რაც აკად. მარი ბროსესადმი მიწერილი ბარათებითაც დასტურდება.

თეიმურაზ ბატონიშვილის (23. 4. 1782—25. 10. 1846) წიგნებიდან აღსანიშნავია 1743 წ. ბაქარისა და იოსებ სამებელის მიერ მოსკოვში გამოცემული სასულიერო დამწერლობის ენციკლოპედია „ბიბლია“ (ინვენტ. № 31685), რომელიც ამჟამად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული. ხსენებულ ეგზემპლარს არ აწერია, ვის ეკუთნოდა იგი, მაგრამ მის ფურცლებზე შემორჩენილი მარგინალიებით, მინაწერების შინაარსითა . და პალეოგრაფიული ნიმუშებით ცხადი ხდება, რომ „ბიბლია“ თეიმურაზის საკუთრება ყოფილა და მინაწერებიც თვითონ მას გაუკეთებია. მაგალითად, „ჩოზ—ჩპა (1077—1081) გვერდებზე დაბეჭდილ „ქრონიკონს“ ზედნადებთა ჩამოთვლისას (1—532) ქართული წელთაღრიცხვის მარცხენა და მარჯვენა თავისუფალ არეებზე მიწერილი აქვს არაბული ციფრები და, ამრიგად, ქართულ ქრონიკონის („ა-ფლბ“) გვერდით ჩამოწერილია ახალი — ევროპული წელთაღრიცხვა (ე. ი. „ა-ფლბ“ = 1-532 + 1311 = „1313 — 1844“ წწ). აქ საყურადღებო ის არის, რომ ზოგიერთი წლის გვერდით. თეიმურაზის ხელით, ასეთი შინაარსის მინაწერებია გაკეთებული: „1624 წელსა ქ~ესით ათას ექვსას ოცდა ოთხს წ~ა ქეთევან დედოფალ ეწა (მა) შაბაზ პირველის მიერ“ (მხედველობაშია თეიმურაზ 1-ის დედის, დედოფალ ქეთევანის, წამებით მოკვლა), „ტფილისი, წასტყ. 1795“ (მხედველობაშია ასპინძის ომი და თბილისის აოხრება აღა-მაჰმად-ხანის მიერ), „სპარსეთში წაველ, 1803“, „1811. პეტერბურგს მოველ“, „1836. გერმანიაში წაველ“ და სხვ. უკანასკნელი სიტყვები „სპარსეთში წაველ,

1803“, „1811· პეტერბურგს მოველ“ და „1836. გერმანიაში წაველ“ საბოლოოდ ამტკიცებენ, რომ, მართლაც, ბიბლია თეიმურაზის საკუთრება ყოფილა, მინაწერებიც მას გაუკეთებია და ეს წასვლა-წამოსვლაც ხომ პირადად მას ეხება. გარდა ამისა, „თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგშიც“ (თბ., 1948 წ.) იხსენიება (იხ. № 92) „ძველი აღთქმა (რომელ არს დაბადება, ე. ი. ბიბლია)“ და, ალბათ, ეს ის ბიბლია უნდა იყოს, რომელიც ზემოთ თეიმურაზის მინაწერებით მოვიხსენეთ.

თეიმურაზ ბატონიშვილს უყვარდა თავის წიგნებზე სხვადასხვა სახის ავტოგრაფის გაკეთება, განსაკუთრებით მაშინ როცა სხვას უბოძებდა. ასე მოიქცა მაგალითად თეიმურაზი ევროპაში მოგზაურობისას: „შევსწირე ლექსიკონი (მხედველობაშია ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“, ა. ა.). ესე მათს დიდებულებას, პრუსიის კოროლსა ფრიდერიკოსა ველღელმ მესამესა. მათის დიდებულების. ბიბლიოთეკისათვის უმოწაებრივისის სიმდაბლით მეფე გიორგის ძე თეიმურაზ, 1836 წ. ოქტომბრის 22 (ნოემბრის 4), ბერლინი“ (იხ. გაზეთი „სავაჭრო გზა“, 1908 წ. № 17, ა. ხახანაშვილის წერილი „თეიმურაზ ბატონიშვილის საბიოგრაფიო მასალად“). ასევე ფრიდრიხ ვილჰელმისათვისვე მას უჩუქებია მარი ბროსეს მიერ 1834 წ. პარიზში გამოცემული „ხელოვნება აზნაურებითა გინა ქართული ენისა თვის მასწავლებელი“ (იხ. თეიმურაზის წერილები მარი ბროსესადმი: 1. შოთა მესხიას პუბლიკაცია, „მასალები“, ნაკვ. 1, თბ. 1939 წ., 2. თ. ბატონიშვილი, ჩემი მოგზაურობა, თბ. 1945 წ., ს. იორდანიშვილის პუბლიკაცია. თეიმურაზ ბატონიშვილსვე უბოძებია 1819 წ. პლატონ იოსელიანისა და თავის ძმა— იოანესათვის თითო ცალი „განჰსჯანი არისტოტელისანი... (ს.-პეტერბურგი, 1818 წ.), როგორც ირკვევა წიგნებზე დაცული მინაწერებით. დაბოლოს, 1827 წ. კლაპროთის მიერ პარიზში გამოცემულ „ქართულ-ფრანგული და ფრანგულ-ქართული ლექსიკონის“ პირველი გვერდის ქვედა თავისუფალ არეზე თეიმურაზს ასეთი წარწერა გაუკეთებია: „ჩემ სას(?) რვა (სასურველს თუ საყვარელს?) დის წულს“ (თუ ძმისწულს?) იოანეს ვძღვენ ეს ლექსიკონი. მეფის ძე თეი-

მურაზ ბატონიშვილი. წელსა 18(?) ფებრელს". წარწერა ძნელი გასარჩევია. რადგანაც ვიღაცას უცდია მისი ამოშლა, მაგრამ მელნის ანაბეჭდი შუქზე გახედვით მაინც ამოიკითხება.

თეიმურაზის ბიოგრაფიისათვის საინტერესო მასალაა აგრეთვე ის ბარათი, რომელიც მისმა დამ თამარმა მისწერა მეორე ძმას, მიხაილს: „ჩემო საყვარელო ძმაო მიხაილ, თქვენი წიგნი მომივიდა და თქვენი შეუძლებლობა შევიტყევ, და დიდად შევწუხდი, მაგრამ გებრძანებინათ, წიგნს იმიტომ არ ვწერდიო, რომ ავანტყოფობა არ გამოჰყვესო. მე შარშან შესაყარი ყელის ტკივილი მჭირდა და მე წიგნს არ გწერდით და მასხარათ ამიგდეთ, რომ წიგნს ავანტყოფობა როგორ გაჰყვებაო. ახლა შევიტყევ, თქვენ ფეხი გტკივებიათ და ფეხის ტკივილი უფრო როგორ გაჰყვება? მე ჩემ დღეში სულ ფეხი მტკივა (მხედველობაში აქვს თავისი სიკოჭლე, ა. ა.). თეიმურაზის წიგნი მომივიდა ვარონიჟიდამ, მშვიდობით მობრძანდება და ამაზედ უკეთეს(ი) ამბავი აღარ ვიცოდი (ხაზი ჩვენია, ა. ა.). თქვენი და თამარი. 1810 წელ. 12 (თუ „22"?) დეკემბერს".

მეფის ასულის, თამარის, იუმორით დაწერილი ეს პატარა ბარათი, ერთი მხრივ, მეტყველებს მის ენამახვილობაზე და, მეორე მხრივ, გვეხმარება დავაზუსტოთ — სპარსეთიდან საქართველოზე გამოვლით თეიმურაზი როდის ჩავიდა მოსკოვსა და ს.-პეტერბურგში.

* * *

აქვე პირველად ვაქვეყნებთ თეიმურაზ ბატონიშვილის რამდენიმე წერილს, რომელთა შინარსი უდავოდ შეავსებს მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ მხარეს. წერილებს ვბეჭდავთ უცვლელად, ხოლო სასვენი ნიშნები, წერილების ნომერაცია, ფრჩხილებში მოქცეული სიტყვები ჩვენ გვეკუთვნის. შევცვალეთ მხოლოდ ზოგიერთი ძველი ასო თანამედროვე ქართული ანბანის ნორმებით.

1. წერილი დავითს:

„უსასურველესო ძმაო, უმოწყალესო ხელმწიფევ (დავით),

თქვენი წიგნი თქვენის ნახვის მგზავსად მიამა. რა ვქნა, ჩემი გული ჩემი ოჯახის ამ უპატიურობას ვერ ითმენს. თქვენს ადგილზედ ერთი ვიღაცი გიჟი კაცი იჯდეს (მხედველობაშია, ალბათ, პ. დ. ციციანოვი) და თქვენ ტყვეთ იყვნათ, რათა და ვის გულისათვის თუ რომ ჩვენი თავიანთთან მიყვანა უნდათ, ერთ-ერთი ჩვენის ოჯახიდან მეფედ დასონ, საქართველო მოკვეცენ და მერე ყოველი შფოთიც დაწნარ(დ)ება და მრავალს ქვეყანასაც შევამატებთ. რაც ხარჯი აქვსთ, იმისი მესამედიც აღარ მოუვათ და აღარ(ც) ამდენი ჯარი გაუწყდებათ. არც ამთენს ბეაბრეობას ნახვენ. თუ ეს ასე იქნება, მოვალთ და თუ ეს ასე არ იქნება, ჩვენ სიკვდილამდისინ ამ სოვლაზედ (სოვლაზედ-სვლაზედ) ხელის ამღები არა ვართ. ყოველს ჩვენს ამბავს ეს გოგია (ყალუაშვილი) მოგახსენებსთ და დიდი მადრიული ვარ ამისი. მე აქ ვერა ვარგე რა ამისი სიკეთისა და თქვენ იცით, როგორც ამას სიკეთეს უზამთ. ნუ დამივიწყებ. თუ კაცი გამოისტუმროთ, ესევ (ისევ ეს) გამოისტუმრეთ და ერთი ქართლის ცხოვრება, ერთიც ლექსიკონი და ერთი ქვეყნის პლანი მიბოძე. თუნდ ფრანცუცული იყოს, კარგი იყოს და მსუბუქი სატარებელი. შენს ამბავს მიბრძანებდე. ივლისის ლ(30 ქ~კს უქგ (493+1312=1805 წ.). უმდაბლესი ძმა თქვენი თეიმურაზ".

ხელის მოწერის შემდეგ წერილი გრძელდება: „დღე და ღამე მე მოუცალებელი ვარ, თქვენს ომალს („თუ „ომარს"?) აქედამ ყურს ვერას (ვ)უგდებ, რა იქმნება, მანდ მაგთენნი ძმები მყევხართ, წელიწადში თქვენიდამ მცირე რამ სოვლათი (სულადი-დოვლათი) მაგას ებოძოს, თქვენთვის რა ნაკლებობა არის. არავინ მოწყალე არსაითა ჰყავს, ყმას აღარ ანებებენ, მამულს და სხვას არას აძლევენ. თქვენ იცით.

ქ. იოანე სარდარმა (თამარის შვილი—ერეკლე II-ის შვილის შვილი) იოსებ მოურავმა, ასლანმა და სხვათა და აზნაურთა ქართლისა და კახეთისთა, გლეხთა მდაბლად თაყვანის ცემა მოგახსენებსთ. გოგია თიატრელმა ხელს გაკოცათ".

წერილი გრძელდება მესამე გვერდზეც: „დიმიტრი მდივანს, გოდერძი ფირალოვს, მირზა ყარამანს და სხვათ, თქვენთან მყოფთ, ძმურის სიყვარულით მოვიკითხავ".

დასასრულს, მინაწერი პირველი გვერდის მარცხენა თავისუფალ არეზე: „ბიძა თქვენმა (მხედველობაშია ალექსანდრე ბატონიშვილი)[1] დიდის სიყვარულით მოგიკითხათ, ეგრეთვე ლეონმა (მხედველობაშია იულონის ძე) — თქვენმა ბიძაშვილმა“.

2 ფურცელი (ტექსტი 3 გვ.), ქაღალდის ზომა (21×16,5) სმ.

2. წერილი ერეკლე II-ის ქვრივ დედოფალ დარეჯანს:

„უმაღლესო დედოფალი, ყ~დ მოწყალევ ხემწიფა დედაო (დარეჯანო), ვიცი, მოწყალებისა თქვენისა მიერ ვარ ყოველთვის უმაღლესობისა თქვენისაგან დავიწყებულნი და კვალად მოწყალებისა ამის მთხოველ ვარ. წ~გ (წიგნი?) თქვენისა, რათა მოწყალებითთა ლმობითა არა დავიწყებულ ვიქმნა თქვენ მიერ. და ყოველნი აზრი ჩვენნი ბატონის, ბიძის ჩემის წიგნით მოგვიხსენებია თქვენთვის[1] და პეტრე ბაგრატიონი-

---

[1] იგულისხმება ალექსანდრე ბატონიშვილის იმავე დღეს გაგზავნილი უცნობი ბარათი: „უმაღლესო დედოფალო, მოწყალევ ხელმწიფევ დედაე (დარეჯანო), ჩემს მოწყალეს ხელს გაკოცებ. თქვენი წიგნი მებოძა. რომელმანცა თქვენის ნახვისოდენად მას ამოვნა. ჩემი მანდ წამოსვლა გებრძანათ, რა ვქნა, თუ რომ მაგათ ჩემი თავიანთთან მოსვლა უწადთ. ჩვენის ოჯახიდამ ერთ-ერთი დასონ ვინმე მეფეთ და ჩვენ მოვალთ და ხელმწიფეს ვემსახურებით, თუ არა და ჩვენ მანდ მომსვლელნი არა ვართ. ჩვენ არც პერის მოპთაჯნი (სპარსული: მონატრული, გაჭირვებული) ვართ, რომ ეოთი ლუკმა პურისათვის შევეხვეწნეთ ვისმე. ჩვენ, აქედან იქნება თუ სხვიდამ, ვეცდებით ჩვენი საქმისათვის და დიდი ხელმწიფენი არიან, ერთ-ერთიც არის შემწეობას გაიღებს. რა ვქნათ, თქვენ თუ მანდ ტყვეთ არ იყვნეთ და საქართველოში, როგორც მოგვიხსენებია, ისე თავისუფლად იყვნეთ, რაც გვიბრძანოთ, თქვენს სიტყვას არ წაუვალთ. თუ არა და თუ თქვენ მანდ ტყვეთ იქმნებით, ჩვენ რა ვქნათ, ვერ მოვალთ. ხელმწიფემ ჩვენი ოჯახი გააბედნიეროს ისევ და ასეთი საქმეები ვაჩვენოთ, რომ არც ეს შფოთები იყოს და ქვეყანა უხლოთ დაუპიროთ. სხვა რაღა მოგახსენოთ, ყოველს ჩვენს ამბავს გოგია ყალუშვილი მოგახსენებს. დიდად მადრიელნი ვართ ამ გოგიასი. თუ რომ გამოისტუმროთ ვინმე, ამის მეტს ნურავის გამოისტუმრებთ, ამისი მადრიელნი ვართ. ამთენხას ჩვენ არ გამოუშვით და ჩვენს სიამოვნებასა და სამსახურში იყო.

სათვისაც მოგვიწერია. ვითხოვ, არ დამივიწყოთ. უმდაბლესი მონა და მოსამსახურე, ძის ძე თქვენი თეიმურაზ. წელსა 1805, ქ~კს უჟგ [493+1312=1805 წ., (ივლისის ლ(30)]".

ამ ტექსტის შემდეგ პირველი გვერდის მარცხენა თავისუფალ. არეზე წერილი გრძელდება შემდეგი სიტყვებით: „ბიძა ჩემებს ყოველსავე მდაბლად მოკითხვას მოვახსენებ, ეგრეთვე ჩემს სძლებს და ბიძაშვილებს". წერილი გადადის მეორე გვერდზე და გრძელდება ასე: „თქვენმა შვილის შვილმა ლეონმა (იულონის ძე) მოკითხვა და თავის მოწყალეს ხელს კოცნა მოგახსენათ, კარგად, მშვიდობით გახლავს. და ლეონ, ახლა რომ ნახოთ, ასეთი შვილი შექმნილა, რომ თქვენი მოსაწონი. ამისი ჯავრი ნურა გექნებათ რა, ჩვენთან არაფერი არ გაუჭირდება".

ამის შემდეგ ავტორი გადადის მესამე გვერდზე და წერილს ამთავრებს სიტყვებით: „ჩვენ თავადთ ყოველთავე მდაბლად თაყვანის ცემა მოგახსენესთ, ივანე სარდარმა (თამარის შვილი — ერეკლე II-ის შვილის შვილი), ასლანმა თქვენმა სიძემ".

2 ფურც. (ტექსტი 3 გვ.), ქაღალდის ზომა (21,5×16) სმ.

3—4. თეიმურაზის წერილები დედოფალ მარიამისა და ძმა იოანეს.

„უმაღლესო დედოფალო (მარიამ), ყ~დ მოწყალე ხელმწიფა დედავ, ჩემს მოწყალეს ხელს გაკოცებ. დიდი ხანი არის რა წაბრძანებულხართ, თქვენი ამბავი აღარა ვიცი რა, დიდად მაწუხებს. მე ღ~ის მოწყალებით მშვიდობით გახლავარ, მაგ-

---

ივლისის (ლ-30), ქ~კს უ~ჟგ (493+1312=1805 წ.), უმდაბლესი ძე თქვენი და მონა და მოსამსახურე მეფის ძე ალექსანდრე (აქვე მისი ბეჭედი აქვს დასმული).

ჩვენ თავადთ და ყოველთვის სისხლდაღვრით მოსამსახურეთ თავადთა ჩვენთა ქიზიყის მოურავთან იოსებმა და სხვათა ქართლისა და კახეთისა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა მდაბლად თაყვანის ცემა მოგახსენესთ. იოანე სარდარმა და ასლანმა მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენესთ".

2 ფურცელი (ტექსტი 3 გვ.), ქაღალდის ზომა (21×16,5) სმ.

რამ თქვენი და წვრილი ჩემის ძმების და დების ჯავრი მაქვს. თქვენი მშვიდობის ამბავი, საიდამაც იყოს, მაცნობეთ, როგორის ცხოვრებით მყოფობთ და ღმერთს შეავედრეთ. თქვენი უმდაბლესი ძე თეიმურაზ.

წელსა 1805, ივლისის ლ(30)".

იმავე პირველ გვერდზე დამატების სახით მინაწერი: „თამარს, ირაკლის და ანას ჩემს საყვარელს პირს ვაკოცებ". გაგრძელება მეორე გვერდზე: „თქვენს კერძობათ ყოვლისავე დიდი სიყვარულით მოგიკითხავთ".

ამავე წერილთან ერთად ორ სხვა პატარა ფურცელზე დაწერილია თეიმურაზის შემდეგი ბარათი: „უსაყვარელოსო ძმაო ჩემო იოანე, მე იმედი არა მქონდა თქვენგან დავიწყებისა. გული და გონება შენს ტრფიალებაში არის, ვითხოვ, არ დამივიწყო. ჩვენი შემთხვე(უ)ლების ამბავნი ყველა წვრილად დამიწერე. თქვენ მოგწერე, ამ ჟამათ ვერ მოგართვი, არ გადამეწერინებინა და ამასაც მოგართმევ. ვითხოვ, არ დამივიწყო. ივლისის ლ(30), ქ~კს უჟგ (493+1312=1805 წ.). ძმა თქვენი უმდაბლესი თეიმურაზ. ყოველს ჩემს ამბავს გოგია (ყალუაშვილი) მოგახსენებს. ჩემს სასურველს ძმას, ჯიბრაილს, ილიას და ოქროსპირს, ჩემს პირებს ვაკოცებ. მაგათ მშვიდობას ღ~ა ვსთხოვ. ზაზას და სხვათ, რომელნიც თქვენთა მყოფობენ ძმურის სიყვარულით მოვიკითხავ".

თეიმურაზ ბატონიშვილის ოთხივე წერილი, აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილის ბარათი დედოფალ დარეჯანის სახელზე დაწერილია ერთ დღეს, 1805 წლის 30 ივლისს, სპარსეთში. ისინი რუსეთში ჩამოიტანა და ადრესატებს მიართვა გოგია ყალუაშვილმა. ამჟამად ყველა ზემომოყვანილი წერილის დედნები, სხვა ქართველი ბატონიშვილების მრავალ საოჯახო კორესპონდენციასთან ერთად, იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაშია დაცული და ხსენებულ ბიბლიოთეკაში ინახება.

თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები მრავალ მხრივ არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა მათი შინაარსიდან აქ შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი საკითხები: 1. იმდროინდელი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია და ქართ-

ველ ბატონიშვილთა დამოკიდებულება ამ გარემოებისადმი; 2. სპარსეთში გაქცეული და რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების ურთიერთ წერილობითი კავშირი, რომელიც ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა და საიდუმლო ხასიათს ატარებდა; 3. ბატონიშვილებთან ერთად წერილებში მჟღავნდება სხვა მრავალი პირის გვარი და სახელი; 4. თეიმურაზ ბატონიშვილის ზრუნვა თავის პატარა ძმებსა და დებზე; 5. ახალი შენაძენია ერეკლე II-ს დროინდელი ქართული თეატრის ისტორიისათვის ვინმე „გოგია თეატრელის", დღემდე უცნობი პიროვნების, დასახელება, რომელიც, სხვა მრავალ პირთან ერთად, თეიმურაზს, ალექსანდრეს, ფარნაოზსა და იულონს სპარსეთში გადახვეწისას თან გაჰყოლია; 6. „ქართლის ცხოვრება", „ლექსიკონი" და „ქვეყნის პლანი" მიბოძე თუნდ ფრანცუცული იყოს, კარგი იყოს და მსუბუქი სატარებელი" ან კიდევ „დღე და ღამე მე მოუცალებელი ვარ" და მრავალი სხვა გამოთქმა — ბევრს მეტყველებს თეიმურაზის მეცნიერულ და სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე;[1] 7. თეიმურაზს ახლო კავშირი ჰქონია პეტრე ბაგრატიონთან და წერილებიც მიუწერია მისთვის; 8. ფრიად მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ იოანე ბატონიშვილისადმი მიწერილ ბარათში ნათქვამი სიტყვები: „ჩვენი შემთხვეულების ამბავი ყველა წვრილად დამიწერე". ჩვენი აზრით, თეიმურაზი ამ სიტყვებში იოანეს „კალმასობის" შედგენას უნდა ვარაუდობდეს. თუ ეს მართლა ქართველი ერის გარკვეული დროის ენციკლოპედიურ ნაშრომს ეხება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე ბატონიშვილს „კალმასობის" შექმნაზე უმუშავია არა 15 წელი (1813—1828 წწ.), როგორც ეს მიღებულია სპე-

---

[1] თეიმურაზ ბატონიშვილმა ირანში მყოფ საფრანგეთის ელჩის ძმას, გარდანს, 1807—1808 წწ. თურქეთ-სპარსეთში მოგზაურობისას შეუდგინა მოკლე სამენეული თარგმნითი „იტალიურ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი", რომელიც დამატების სახით დაერთო 1809 წ. პარიზში დაბეჭდილ გარდანის „მოგზაურობის დღიურს" [იხ. (Gardane Ange,de) **Journal d'un voyage Dans la Turquie d'Asie et la Perse, fait en 1807 et 1808. Paris, 1809**]

ციალურ ლიტერატურაში, არამედ 28 (1801—1828 წწ.) ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 24 წლისა (1805—1828). სხვათა შორის, დღემდის არ არის დადგენილი, თუ იოანე ბატონიშვილი როდის შეუდგა „კალმასობის“ შედგენას. 9. ბოლოს, თეიმურაზი ურიგდება სხვა ბატონიშვილების რუსეთში გადასახლების ბედს და ბევრი მიწერ-მოწერის შემდეგ, 1810 წელს, იგიც რუსეთში მიემგზავრება. ს.-პეტერბურგში საბოლოო დასახლებით თეიმურაზი მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგიით ქართული კულტურის შესწავლა-დამუშავებას ჰკიდებს ხელს, რასაც მოწმობს ლენინგრადის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის (აზიის სალხთა) ინსტიტუტში დაცული თეიმურაზის მდიდარი ხელნაწერთა კოლექცია. პეტერბურგში წამოწყებული ქართველმცოდნეობის ფუძემდებლობის პრიორიტეტიც თვით თეიმურაზ ბატონიშვილს ეკუთვნის და ამიტომ მისი პიროვნების ყოველმხრივ შესასწავლად, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს მიერ მოყვანილ ამ მცირე ცნობებსაც. თეიმურაზის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გარკვეული ადგილი უნდა მიეჩინოს როგორც მის წერილებს, ისევე მისი ხელით ძველ წიგნებზე გაკეთებულ მარგინალიებსაც.

რუსეთის პირველი ქართველი აკადემიკოსი

რუსეთის პირველი ქართველი აკადემიკოსი — თეიმურაზ ბატონიშვილი ვეჯინელი ქალის შვილი იყო.

ერეკლე მეორეს 17 შვილი ჰყავდა. მრავალშვილიანობით მას არც უფროსი ძე, გიორგი XII, ჩამორჩა. მას 19 ქალვაჟი ეყოლა.

გიორგის პირველ ცოლად ქიზიყის მოურავის, ვეჯინელი პაპუნა ანდრონიკაშვილის ასული, ქეთევანი, ჰყავდა. მათი შეუღლება მოხდა 1766 წელს, როდესაც მომავალი მეფე — გიორგი XII სოფ. ვეჯინს ესტუმრა. გიორგიმ მცირეწლოვან ქეთევანთან შეუღლების სურვილი ქალის უფროს ძმას, რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილს, გაუმხილა, რადგანაც იმ დროს საპატარძლოს მამა, პაპუნა ანდრონიკაშვილი ცოცხალი აღარ იყო. რევაზმა გიორგის თანხმობა მისცა და 13 წლის ქეთევანი მეფის ძე გიორგის კანონიერი ცოლი გახდა. ნიშნობა ჩატარდა სოფ. ვეჯინში, საკმაოდ მოზრდილი ქორწილი კი თბილისში გადაიხადეს.

მეფის რძლის მბლებლის, ბერო პავლიაშვილის პირით, ასე მოგვითხრობს ამ ამბავს პლატონ იოსელიანი: მეფის ძე გიორგიმ „1767 წელსა (უნდა იყოს 1766 წ., ა. ა.) შეირთო ცოლად ქეთევან, ქალი პაპუნა ქიზიყის მოურავისა ანდრონიკაშვილისა, 13 წლისა. ქორწილი გადაიხადეს ქალაქსა თფილისსა დიდისა დღესასწაულობითა, ენკენისთვის 20. იტყვიან ქალისა ამისათვის რომელ, ოდეს მეფის ძე მოვიდა კახეთსა და ეწვია სოფელსა ვეჯინსა ანდრონიკაშვილს რევაზსა, მაშინ მოხდა დევნა ლეკთა, რომელნიცა გამოჩნდნენ ალაზნისა გაღმა. რევაზ და სხვანი თანადამსწრენი ომისა ლეკებთა თანა,

ესრეთ მსხეთ გამოჩნდნენ, რომელ მეფის ძე თვით, მუნ დამსწრე, გაჰკვირდა ოდეს იხილა რევაზ ანდრონიკაშვილი მუხლსა მძიმედ დაჭრილი, მოვიდა რა სახლსა, მაშინ გამოაცხადა დაჭრილობა თვისი. განკვირვებულმა მეფის ძემან გამოუცხადა მას გმირსა რევაზს სურვილი ღისა მისისა ქეთევანისა შერთვა ცოლად. დროსა ამას, ქალსა ამას არღა ჰყვანდა მამა ცოცხლად. ამბავსა ამას მოუთსრობდა სწორად აზნაური ბერო პავლიაშვილი, რომლისათვისაც დავსწერე და დავბეჭდე სიტყვა გარდაცვალებისა გამო მისისა, ვითარცა რედაქტორმან გაზეთისა" (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936, გვ. 8—9). ქეთევანის მზითევში მოყოლებული ბერო პავლიაშვილი 107 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისს, 1845 წლის 15 აგვისტოს.

ქეთევანი იყო დიდი ჯყუა-გონების ადამიანი. ფრიად მაღაცი და ყველაზე სასიყვარულო რძალი ერეკლე მეფის ოჯახში. ქეთევანის ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდს პლატონ იოსელიანი ასე გადმოგვცემს: „ესე ქეთევან იყო თვით, იგი, რომელიცა მიმავალმან ქართლად 300 ცხენოსნითა ღართის ქარისა ვიწროებაში, ჰქმნა სახელოვანი ძლევა ლეკთა ზედა, რომელნიცა იყვნენ ხუთასნი. თვით მიუძღვა ჯარსა და გატეხა სამგზის გამაგრებული ლეკნი. უკუქცეული, შემდგომად თვისა ერთისა, მუხრანითა, მიიღო ირაკლიმან გმირი რძალი თვისი ქ: თფილისს დიდისა დღესასწაულობითა, ზარბაზანთა ცისიდამ სროლითა და ჩირაღითა. ესე იყო 1778 წელსა" (იქვე, გვ. 10).

ვეჯინელი ქალის ამ გმირობასა და მეფე ერეკლეს ქარისადმი მის უაღრეს ერთგულებას ისტორიკოსებიც მოგვითხრობენ, ყველაზე დაწვრილებით გადმოგვცემს ერეკლე II-ს შვილიშვილი, თეკლე ბატონიშვილის ძე, ალექსანდრე (პუბლია) ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი. ქეთევანმა ღვიძლი ძმაც, რევაზიც, კი არ შეიბრალა. მამამთილისადმი განზრახული შეთქმულებაში და მეფეს ღროზე მოახსენა მისი ღალატი. ერეკლემ სასწრაფოდ მიიღო სათანადო ზომები: რევაზ ანდრონიკაშვილი მაშინათვე გადააყენა სარდლობიდან და

ქიზიყის მოურაობიდან და მის მაგიერ დანიშნა საკუთარი სიძე (ელენეს მეორე ქმარი) ზაქარია ანდრონიკაშვილი (იხ. ა. ჯამბაკურ-ორბელიანის შრომები და ს. კაკაბაძის „წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის", წიგნი I, თბ. 1914).

„მეფის რძალსა, — გადმოგვცემს პ. იოსელიანი, — ამას (ქეთევანსა, ა. ა.) ეშვნეს შვილნი: ძ ე ნ ი: დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, ა ს უ ლ ნ ი ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე. 3 ივნისსა 1782 წელსა მშობიარობისა გამო თეიმურაზზედ, მეფის რძალი ქეთევან, გარდაიცვალა და დასაფლავდა დავით გარესჯისა მონასტერსა იოანე მახარებელისა დიდსა ეკკლესიაში წინაშე ჴლსავლისა კარისა, მუნ სადაცა მარხია ალექსანდრე, მეფე კახეთისა. მუნვე მონასტერსა ბერად ანუ მონაზონად შემდგარი და გარდაცვალებული. მეფემან ირაკლი, მწუხარემან სიკვდილისა გამო რძლისა თვისისა, წარმოთქვა ოხვრითა შემდეგი სიტყვა „ა ხ ლ ა დ ა ი ღ უ პ ა ჩ ე მ ი ო ჯ ა ხ ი ო" (პ. იოსელიანი, დასახელებული შრომა, გვ. 10—11).

ამრიგად, 28 წლის, სრულიად ახალგაზრდა, 9 შვილის დედა ქეთევან ანდრონიკაშვილი-ბატონიშვილისა თეიმურაზის მშობიარობის 42 დღის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა. 15 წლის ტკბილი-უანგარო ცხოვრება გიორგისთან ქეთევანმა დაასრულა იმით, რომ თავის საყვარელ სამშობლოს ღირსეული შვილი და პირველი ქართველი აკადემიკოსი აჩუქა. ასევე ცნობილი გახდნენ შემდეგში ქეთევანის სხვა ვაჟიშვილები, რომლებიც პეტერბურგში მოღვაწეობდნენ. დავითი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და პირველი ვოლტერიანელი ქართულ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე შრომა, („ნარკვევი", „საქართველოს ისტორია" და სხვა). რაც შეეხება კალმასობის ავტორს იოანე ბატონიშვილს, იგი პირველ ქართველ ენციკლოპედისტად არის აღიარებული; ასევე საგრძნობი კვალი დატოვა მან ქართული კულტურის ისტორიაში, მრავალი ძველი ქართული წიგნი და ხელნაწერთა კოლექცია შემოუნარჩუნა შთამომავლობას ბაგრატმაც.

ქეთევანის სიკვდილის ორმოცი დღის შემდეგ გიორგიმ

მეორე ცოლად შეირთო 14 წლის ქალი — გიორგი ციციშვილის ასული, მარიამი და მასთან კიდევ 10 ქალ-ვაჟი შეეძინა: მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, სფირიდონ (ეს ორი სიყრმეში გარდაიცვალა) ოქროსპირი, სვიმონ (ყრმა გარდაიცვალა), ირაკლი, თამარ, ანა (7 წლის გარდაიცვალა) და კიდევ ანა.

გიორგი XII-ის შვილები, განსაკუთრებით ვაჟები, თითქმის ყველა ეწეოდა სხვადასხვა სახის ისტორიულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას პეტერბურგსა და მოსკოვში. ყველა მათგანს შესაფერისი ადგილი უკავია ქართული კულტურის ისტორიაში. ამჟამად, თეიმურაზ ბატონიშვილზე გვსურს შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. თეიმურაზის პირადი ცხოვრება, მისი ბიოგრაფია მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა. იგი დაიბადა ქ. თბილისში, 1782 წლის 23 აპრილს, გარდაიცვალა 64 წლის ასაკში პეტერბურგს — 1846 წლს 25 ოქტომბერს. ცხედარი დაასაფლავეს ალექსანდრე ნეველის ლავრის ფედოროვის საყდარში.

თეიმურაზის აღმზრდელი — ლალა (მამამძუძე) იყო ცნობილი პოეტი პეტრე ლარაძე (ყარიბი), ხოლო მასწავლებელი — თელავის სემინარიის რექტორი დავით ალექსიშვილი (მესხიშვილი). 18 წლის თეიმურაზმა 1800 წელს ცოლად შეირთო ქართლის სარდლის ოთარ ამილახვარის ასული ელენე, რომელიც მასზე 15 წლით უფროსი იყო.

სამი წლის ტკბილი ცხოვრების შემდეგ 1803 წ. თეიმურაზმა უარი თქვა რუსეთში გადასახლებაზე და სპარსეთში გაიქცა თავის ბიძა ალექსანდრესთან, ცოლი კი სიმამრს დაუტოვა გორში.

სპარსეთში გადახვეწილი თეიმურაზი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოვალეობას ასრულებდა: იყო სპარსელთა ჯარის საარტილერიო ნაწილის სარდალი, სამხედრო შტაბის ერთერთი კონსულტანტი (იხ. თეიმურაზის ზემოდასახელებული ოთხი წერილი) და ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილი მალე დარწმუნდა სპარსელების ვერაგობაში და 1810 წ. თავისი სურვილით გამოცხადდა გენერალ ა. პ. ტორ-

მოსკოვთან, რომელმაც იგი მეუღლითურთ (ელენე) საქართველოდან პეტერბურგს გაისტუმრა.

1811 წ. დასაწყისიდან თეიმურაზი მუდმივ საცხოვრებლად პეტერბურგს დაბინავდა მეუღლითა და სპარსეთიდან გამოყოლილი მცირერიცხოვანი ამალითურთ. მის ამალაში გურჯაანელი ივანე წიბოლაშვილიც ერია.

თეიმურაზის სიკვდილიდან 20 წლის შემდეგ 99 წლის ასაკში გარდაიცვალა მისი მეუღლე ელენე, რომელიც ქმრის გვერდით დაასაფლავეს. თეიმურაზს შვილი არ დარჩენია.

თეიმურაზისა და ელენეს საფლავის ლოდს ასეთი ქართულ-რუსული წარწერა აქვს:

„მუნ განისვენებს საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი, XIII-ს ძე თეიმურაზ, დაბადებული წელსა 1782, აპრილსა 23. მიიცვალა წელსა 1846, ოქტომბრის 25".

„ქვე სახსოვრისა ამის ვმდებარებ საქართველოს მეფის ძალი. ქვრივად მყოფი, მეფის გიორგის XIII პირმშოს ძისა თეიმურაზის მეუღლე, ასული ქართლის სარდალ ოთარ ამილახვარის, ელენე: შობილი წელსა 1767, სექტემბერსა 8, მიცვალებულ ვიქმენ სამეფოსა ქალაქსა ამას წელსა 1866, მარტის 10".

ამავე საყდრის სავანეში განისვენებენ თეიმურაზის ძმები დავითი და ბაგრატი, დავითის მეუღლე ელენე (აბამელიქის ასული). იულონის ძე დიმიტრი, ფარნაოზის მეუღლე ანა, მიტროპოლიტი იონა და თეიმურაზის კიდევ ზოგიერთი სხვა ნათესავი. ერთი სიტყვით, პეტერბურგს გადასახლებულ ქართველ მეფეთა შთამომავლობის მთელი საგვარეულოს უმრავლესობა ალექსანდრე ნეველის ლავრის რამდენიმე საყდარში არის დასაფლავებული, ზოგიც ღია ცის ქვეშ მიებარა მიწას (ხსენებულ ლავრაში ხუთი ეკლესია და სამი სასაფლაოა).

ბატონიშვილთა საფლავის ლოდებზე აშოკვეთილი ქართულ-რუსული ეპიგრაფები ამჟამად თითქმის ყველა დაზიანებულია და ამიტომ ძნელად იკითხება.

თეიმურაზ ბატონიშვილი დიდად განათლებული და ფართო ერუდიციის ადამიანი იყო. ქართული ენის გარდა ის კარგად ფლობდა ბერძნულს, ლათინურს, სპარსულს, თათრულს,

რუსულს, ფრანგულს, მისი შემოქმედების ფარგლები იყო: ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება; ლექსიკოგრაფია, ლექსიკოლოგია, ეთნოგრაფია, ნუმიზმატიკა, ლიტერატურა, ფილოსოფია, გეოგრაფია, ბიბლიოგრაფია, სამხედრო საქმე. ერთი სიტყვით, თეიმურაზი იყო ნამდვილი ფილოლოგი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, და, ამავე დროს, პოეტი, მწერალი და იშვიათი ბიბლიოფილი. მისი „მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე“ (16. X. 1810—12. I. 1811) და „მოგზაურობა ჩემი ევროპასა და სხვათადასხვათა ადგილთა“ (26. V.— 1. XI 1836) ოსტატობითა და მოხდენილი ქართულით არის დაწერილი. მათ საპატიო ადგილი უკავიათ ს. ს. ორბელიანის ტიმოთე გაბაშვილის და იოანე გედევანიშვილის „მოგზაურობათა“ გვერდით.

ბატონიშვილის დიდმა განსწავლულობამ ქართველოლოგიასა და აღმოსავლეთმცოდნეობაში ადრევე მიიქცია ყურადღება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და „პარიზის მეაზიელე საზოგადოებისა“, რომელთაც XIX ს. 40-იან წლებში იგი რუსეთის საიმპერატორო აკადემიის საპატიო აკადემიკოსად და პარიზის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების წევრად აირჩიეს. თეიმურაზის ეს ორი უმაღლესი ხარისხის დიპლომები ამჟამად დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

თეიმურაზ ბატონიშვილი საქართველოსა და ქართული კულტურის უდიდესი პატრიოტი და ერთგული მფარველი იყო. ყველაფერს ქართულს მოწიწებით იხსენიებდა იგი და საქმის ცოდნითაც ამდიდრებდა. ევროპაში მოგზაურობის ერთი წლის შემდეგ აკად. მარი ბროსესადმი (1802—1880) მიწერილ ერთ-ერთ წერილში თეიმურაზი ასეთ შეფასებას აძლევს თავის სამშობლოსა და მის ნიჭიერ შვილებს: „მე ამ განვლილს წელს გერმანიაში მრავალნი სხვადასხვანი ადგილნი ვნახე. რა საკვირველი არის, რომ თუმცა თავისუფალს ხალხსა დამონებული ერი როგორ უნდა შევადარო, მაგრამ ხალხის პირველად ხარაკტირი, მშვენიერება, ახოვნება, ჰაეროვნება, მთა, ბარი, ძველი მონასტრები, ციხეები, ქვეყნის

გარემოზღუდვილება, ჰაერი, წყალი, ნაყოფიერება, სიუხვე, მდებარეობა, თუნდ გულოვნება, ხალხის სიმდიდრეც, სტუმართმოყვარეობა — სულ განსხვავებული არის ჩვენის საქართველოსი".

ბარათი პატრიოტული პათოსითაა დაწერილი: „იმ ძველ ჟამებში, როდესაც არც ჯერ თქვენში (საფრანგეთში, ა. ა.) და არც გერმანიაში ხუთი კაცი არ იპოებოდა, რომ სწორეთ ანაბანა თავიდან ბოლომდის ჩაეკითხათ, მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო იმ ჟამებში, თუ სთქვა, სრულს განათლებაში და წერილებით აღსავსე და სიბრძნითა აყვავებული".

აი, ასეთი შთამაგონებელი სიტყვებით ესაუბრებოდა თეიმურაზი თავის ღირსეულ მოწაფეს, სახელოვან მეცნიერ-ორიენტალისტს აკად. მ. ბროსეს, რომელმაც, თავის მხრივ, ასევე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართველოლოგიაში. მ. ბროსემ ასე დაახასიათა თეიმურაზი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადო კრებაზე 1838 წელს: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვსთქვა თეიმურაზის სახელი, რომელშიც მაღალი ზნეობა შეერთებულა განათლებულ გონებასა და დიდ ცოდნასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილურ გასართობს, რომლის მიზანია — თავისი შრომით უკვდავჰყოს ხსენება თავისი ერისა, ამ ადამიანის მდაბალ მოწაფედ — სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა — ვაღიარებ ჩემს თავს". თუმცა არც თეიმურაზი აკლებდა მზრუნველობას მ. ბროსეს, როგორც ნიჭიერ შეგირდს. 1834 წ. პარიზში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში თეიმურაზი დარიგებას აძლევდა მას: „შენს გამოცემაში ტყუილები არ ჩაწერო, თორემ სირცხვილი იქნება. მერე ქართველები მე დამცინებენ: აი, ამისთანა შეგირდები გყავსო". ამ პატარა წინადადებაში მასწავლებლის რაოდენ დიდი სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობაა გამოხატული! აქედან ისიც ირკვევა, რომ ბროსეს გარდა თეიმურაზს სხვა „შეგირდებიც" ჰყოლია.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თეიმურაზმა საქართველოს გარეთ გაატარა, მაგრამ წამითაც არ შეუწყვეტია

სამშობლოზე ფიქრი და ზრუნვა. მისი სახლი პეტერბურგში, ვასილის კუნძულზე, მდიდარი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების ფონდებით, — მუდამ ღია იყო მოსწავლე ახალგაზრდობისა და ყველა სხვა მსურველისათვის. ასე, მაგალითად, სწორედ აქ მიიღეს მეცნიერული ნათლობა პლატონ იოსელიანმა, სოლომონ დოდაშვილმა, დავით ჩუბინაშვილმა, სოლომონ რაზმაძემ, სიმონ ტაბიძემ და სხვებმა. ერთი სიტყვით, თეიმურაზის სახლი პეტერბურგში იმ დროინდელ სწავლულ პირთა პაექრობისა და თათბირის სალონად იყო გადაქცეული. სტუმართა შორის ხშირად იყვნენ ნ. მ. კარამზინი, ვ. გ. ანასტასიევიჩი და სხვ. თეიმურაზს თავისი კარის ეკლესიაც კი ჰქონდა პეტერგოფში, მასში მღვდლად ჯერ ი. ხელაშვილი იყო, შემდეგ კი ტ. ა. მესხიშვილი.

სიკვდილის წინა დღეებში დაწერილი ანდერძით თეიმურაზმა თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ სასარგებლოდ დატოვა. სინამდვილეში მისი ხელნაწერების კოლექცია 1847 წ. რუსეთის აკადემიის საჯარო მუზეუმში მოხვდა, წიგნები კი — საჯარო ბიბლიოთეკაში.

როგორც უკვე ვთქვით, თეიმურაზ ბატონიშვილს უყვარდა თავის წიგნებსა და ხელნაწერებზე სხვადასხვა შინაარსის მარგინალიების გაკეთება. ზოგჯერ ამგვარ მინაწერებს იგი ნათხოვარ წიგნებზედაც აკეთებდა. ბევრი მისი მინაწერი ავტორის ბიოგრაფიის ხარვეზებს ავსებს. ასე, მაგალითად, 1743 წ. მოსკოვში გამოცემული — „ბიბლიის“ ერთ ეგზემპლარს თეიმურაზის ხელით ასეთი მინაწერები აქვს გაკეთებული: „1803 წ. სპარსეთში წაველ“, „1811 წ. პეტერბურგს მოველ“, „1836 წ. გერმანიაში წაველ“ და მრავალი სხვა.

თ. ბატონიშვილი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. ამავე დროს მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასა და პარიზის სააზიო საზოგადოებასთან, რომელთაც სისტემატიურად აწვდიდა სხვადასხვა სახის მასალებს საქართველოს ისტორიიდან. მისი ნაშრომების თვალის გადავლებაც კი გვარწმუნებს, რომ თეიმურაზი თავისი დროის ნამდვილი ენციკლოპედისტი იყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ერთი პატარა დეტალი

ნ. ბარათაშვილის ლირიკულ ლექსში „...ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი“ (1841 წ.), გრიგოლ ორბელიანისადმი და ბაბალე საგინაშვილისადმი მიწერილ წერილებში მოხსენებული „...ნა...“ და „ნინა ალექსანდროვნა“, ჩვენი აზრით, უნდა იყოს არა ეკატერინე და ნინა ჭავჭავაძეები, არამედ ნინა ალექსანდრეს ასული ეილერი — რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე.

ნ. ბარათაშვილი 1844 წ. 23 მაისს გრ. ორბელიანს ატყობინებს, რომ „ნ(ინა) ალ(ექსანდროვ)ნა ოდესაში მიდის 9 ივნისსო“, ხოლო 1845 წ. 23 აგვისტოს კი ბაბალე საგინაშვილს სთხოვს. „შენს გაჰრდას, ბაბალე! ნინა ალექსანდროვნა ჩემ მაგიერ მოიკითხე და ასე უთხარ, მატუროვის ცოლმა მოგიკითხა-თქო. ჩვენი დროს გამტარებელი ეს არის. მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამისი ენა ჯერ არ მესმის“.

ვინ უნდა იყოს „მატუროვის ცოლი“, რომლის „ენა“ ნ. ბარათაშვილს ჯერ არ ესმის და ნინა ალექსანდროვნას კი, ალბათ, უნდა სცოდნოდა? „მატუროვის ცოლის“ ვინაობა ჯერჯერობით ვერ გამოვარკვიეთ, მოკითხვის ადრესატად კი აქ უთუოდ უნდა იგულისხმებოდეს ნინა ალექსანდრეს ასული ეილერი, რომელმაც რუსულის გარდა კარგად იცოდა ფრანგული, იტალიური, გერმანული ენები.

ნ. ბარათაშვილი ახლოს იცნობდა რევაზ ივანეს-ძე ანდრონიკაშვილსა და მის ოჯახობას. ისინი ყრმობის მეგობრები იყვნენ. ლევან მელიქიშვილმა 1846 წ. 19 იანვარს გ. ორბელიანს გაუგზავნა სამძიმრის ბარათი. თავდაპირველად რევაზ [illegible]

სკოლის მეგობარისა და გულის მესაიდუმლის ნიკოლოზ ბარათაშვილის უდროოდ დაკარგვას. რომლის სიკვდილმა დააობლა არა მარტო მისი ახლო მეგობრები, არამედ თვით საქართველოც და, შემდეგ კი, პოეტის ბიძას გრ. ორბელიანს ასეთ ცნობას აწვდის: „ახლა გაგახარებ იმ ამბით, რა პატივის ცემის გრძნობა აქვთ განსვენებულისა და მისი ნიჭის იმის ყველა მცნობებს. — 14 იანვარს (ქნეინა ნინოს დღეობას) ჩვენ რამდენიმე ყმაწვილი ქართველები რევაზ ანდრონიკაშვილთან ვიყავით სადილად; ჩვენთან ყაფლანიც იყო, რომელსაც ვთხოვეთ „სულო ბოროტო“ ემღერა. მაგრამ, წარმოიდგინე, არც იმან და არც ერთმა ჩვენგანმა არამც თუ ზეპირად არ იცოდა ეს მშვენიერი ლექსი, — არც კი ვისმე ჰქონდა (გადაწერილი) და ყველანი გულით შევწუხდით, რომ განსვენებულის მშვენიერი ნაწერები იკარგება. მაშინათვე განვიზრახეთ განსვენებულის ყველა ლექსები დავბეჭდოთ ჩვენის ხარჯითა. მეორე დღეს გავმართეთ ხელის მოწერა. რომლითაც ვთხოვეთ განსვენებულის ნათესავებს და ნაცნობებს — შემოწირულება შემოეტანათ დასაბეჭდად, როგორც მისი საკუთარი ნაწერებისა, აგრეთვე ნათარგმნისა, რომ საშვილიშვილოდ დარჩეს განსვენებულის ნაწარმოებნი, გაყიდული წიგნების შემოსული ფულის ნაწილით ძეგლი დაედგას და დანარჩენი მის სახლობის (შინაურობის — ა. ა.) სასარგებლოდ მიეცეს. ხუთ დღეში ჩვიდმეტმა კაცმა შემოსწირა ათასი მანეთი. აქედან მიხვდები, რა ძლიერი სიყვარული ჰქონიათ მის ნაცნობებს. ახლა ვაგროვებთ განსვენებულის ყველა ნაწერებს. ერთ წიგნად დავბეჭდავთ, ზედ დაურთობთ მის სახეს“ (იხ. „კვალი“, 1893 წ. 17 იანვრის № 3. გვ. 9. წერილის დედანი რუსულ ენაზე დაცულია საქ. სახ. მუზეუმში, პალეოგრაფიის განყ., s. № 2484).

საინტერესოა თვითონ ის ფაქტი, რომ იდეა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ერთტომეულად გამოცემისა ავტორის სურათით პირველად რევაზ და „ნინა ალექსანდროვნა“ ანდრონიკაშვილების ოჯახში წამოიჭრა და ისიც ნინოობის დღეს — პოეტის გარდაცვალების სამი თვისა და ხუთი დღის თავზე. დიდად სამწუხაროა, რომ ეს განზრახვა რაღაც გამოურკვე-

ველი მიზეზების გამო არ გამართლდა და არ შემოგვენახა პოეტის ნამდვილი „სახე“ — პორტრეტი. ასევე საყურადღებოა ლევან მელიქიშვილის დღემდე შეუმჩნეველი შენიშვნა „14 იანვარს (კნეინა ნინოს დღეობას“). სქოლიოში ლევან მელიქიშვილი ასეთი კითხვით მიმართავს გრ. ორბელიანს: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი საყვარელი საბრალოსი. (ნ. ბარათაშვილისა — ა. ა.) იყო ნინო, არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო?“ (იქვე, გვ. 9).

. ეს კითხვა მეტად საინტერესოა. ამიტომ გვინდა ყურადღება ამ მიმართულებით გავამახვილოთ. ლევან მელიქიშვილმა (1817—1892) და ნიკოლოზ ბარათაშვილმა (1817—1845), როგორც ყრმობის მეგობრებმა, ზედმიწევნით იცოდნენ ერთიმეორის საიდუმლოებანი. ეჭვგარეშეა, რომ ლევანმა კარგად იცოდა ვინ იყო ნ. ბარათაშვილის პირველი სიყვარული. ამიტომაც იგი პოეტის ბიძას, ორბელიანს, ატყობინებს, რომ ნ. ბარათაშვილის „პირველი საყვარელი იყო ნინო“ და განგებ არ უსახელებს, თუ „რომელი ნინო“. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ „განსვენებულის“ მეგობარს არ უნდოდა გაეშჭღავნებინა მისი გულის საიდუმლოება. ერთი კი ცხადია, რომ ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ობიექტი იყო ნინო ანუ ნინა ალექსანდროვნა და არა ეკატერინე, ან სხვა ვინმე. სახელი „[ეკატერი]ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი“ უნდა გამოირიცხოს და მის მაგივრად მიზანშეწონილი იქნება ვივარაუდოთ“ [ნი]ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი“. თუ ამ შემთხვევას გამართლებულად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ ნ. ბარათაშვილის ლირიკულ ლექსსა და ორ წერილში მოხსენებული ნინა და ნინა ალექსანდროვნა ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს.

ახლა ისმება კითხვა: ვინ იყო საიდუმლოებით მოცული ნინა, ანუ ნინა ალექსანდროვნა? აქ ნინო ჭავჭავაძე ანუ ნინა ალექსანდროვნა ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა გამორიცხულია. ჯერ ერთი, ნინოსა (1812—1857) და ეკატერინე (1816—1882) ჭავჭავაძეების მოტრფიალე იყო ნიკოლოზის ბიძა — გრიგოლ ორბელიანი (1804—1883), რომელმაც 1829 წლიდან მოყო-

ლებული სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ა. ჭავჭავაძის ასულებისადმი ტრფობა რამდენჯერმე გამოამჟღავნა და, მეორე, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ნ. ბარათაშვილს ხუთი წლით უფროსი და დაქვრივებული ნინო ჭავჭავაძე — გრიბოედოვისა ჰყვარებოდა. აქ ნამდვილად სხვა ნინა ანუ ნინა ალექსანდროვნა არის. 1844 წ. 28 ნოემბრიდან 1845 წ. მარტის ბოლომდე ნ. ბარათაშვილი ნახჭევანის მაზრის უფროსის, ლ. მელიქიშვილის, თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. ამავე დროს, ისინი ყრმობის მეგობრები იყვნენ და, როგორც უკვე ვთქვით, ბუნებრივია, მათ ერთმანეთის ბევრი რამ საიდუმლო ეცოდინებოდათ. ხსენებული წერილი ლ. მელიქიშვილმა დაწერა ანდრონიკაშვილის ოჯახში მიღებული შთაბეჭდილების შემდეგ და იქვე ახსენა ნ. ბარათაშვილის ტრფობის საგანი ნ ი ნ ა, რომლის შესახებ, ალბათ, არა ერთხელ სმენია თვით მგოსნისაგან. დავადგინეთ, რომ თბილისში რევაზ ანდრონიკაშვილის სახლში, მესანგრის ქუჩაზე, 1846 წ. 14 იანვარს ჩატარებული ნინოობა მიეძღვნა მასპინძლის მეუღლეს — ნინა ალექსანდრეს ასულ ეილერ-ანდრონიკაშვილს. 40-იან წლებში პეტერბურგიდან საქართველოში გამოთხოვებული ნინა ალექსანდრეს ასული ეილერი-ანდრონიკაშვილისა (1818—1871) წარჩინებული გვარის შთამომავალი იყო. მისი მამა არტილერიის გენერალი, ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე ეილერი (1773—1849) დიდი უფლებებით აღჭურვა რუსეთის იმპერატორმა. 1840—1849 წწ. იგი რუსეთის იმპერიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო. ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე შვილიშვილია რუსეთის აკადემიის აკადემიკოს ლეონარდ (ლეონგარდ) პავლეს (პაულის) ძე ეილერისა (1707—1783).

* * *

რამდენიმე სიტყვა თვით გენერალ-ლეიტენანტ რევაზ ანდრონიკაშვილის (1814—1877) შესახებ. რევაზი წარმოშობით სოფ. ბაკურციხიდან (გურჯაანის რაიონი) იყო; სწავლა-განათლება მან პეტერბურგის პირველ კადეტთა კორპუსში

მიიღო. სამხედრო სამსახური 1834 წლიდან დაიწყო პრაპორშჩიკის ხარისხით. 1845—1849 წლებში იგი მეფისნაცვლის — მ. ს. ვორონცოვის ადიუტანტია. რევაზმა ბევრი სხვა სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობა გამოიცვალა; 12 წლის განმავლობაში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი-მარშალი იყო, ამ თანამდებობაზე ის ორჯერ სამ-სამ წელიწადს დიმ. ყიფიანამდე მუშაობდა და ორჯერაც მის შემდეგ; მისი სახლი თბილისში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთ კულტურულ სალონად ითვლებოდა. აქ ხრა მარტო სჯა-ბაასი და პაექრობა, არამედ ხშირად ქართული წარმოდგენებიც იმართებოდა. ასე მაგალითად, 1870 წელს ელ. ყიფიანის, ვლ. აბაშიძის, ვას. თარხნიშვილისა და სხვათა მონაწილეობით რევაზ ანდრონიკაშვილის სახლში შესანიშნავი ქართული წარმოდგენა დაიდგა (გაზ. „დროება“, 1871 წ., № 4).

რევაზ ანდრონიკაშვილი საკმაოდ შეძლებული მემამულე იყო. კახეთში (ბაკურციხე, ანაგა, კარდანახი, ველისციხე და მელაანი) ჩინებულად მოწყობილი ვენახების ზვრები და სახლ-მარნები ჰქონდა. ერთი სიტყვით, რევაზ ანდრონიკაშვილი სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და კერძოდ, კახური ღვინოების ევროპულად დამუშავების ერთ-ერთი წამომწყები და მფარველი იყო, წერდა სპეციალურ სტატიებსაც. 1872 წ. მოსკოვის გამოფენაზე რევაზ ანდრონიკაშვილის მიერ წარდგენილ ერთ-ერთი მაღალი ხარისხის კახურ ღვინოს. კერძოდ ბაკურციხულს. ჯილდოდ დიდი ვერცხლის მედალი მიანიჭეს, ხოლო მის რძალს, ნინო სოლომონის ასულ ჩოლოყაშვილ-ანდრონიკაშვილისას კი ბრინჯაოს მედალი მისცეს სოფ. ბაკურციხეში ყარგი თვისების აბრეშუმის მოყვანისათვის. ძმები რევაზ და სოლომონ ანდრონიკაშვილების ერთ-ერთ ქვევრს — „მარშლიაანთ“ მარანში (სოფ. ბაკურციხეში) დიდხანს შემორჩა „ორდენოსანის“ სახელწოდება. ადგილობრივი მოხუცებულების გადმოცემით და, კერძოდ, მამაჩემის, ზაქარია ანდრიას ძე აბრამიშვილის (1873—1959) სიტყვით, ის ქვევრი თვითონ რევაზ ანდრონიკაშვილს დაუჯილდოებია ორდენით, როდესაც ბაკურციხეში დაბანაკებულა

თავისი დივიზიით და უზარმაზარი ქვევრის პირას უქეიფებია. მართლაც. სიკვდილის წინ, 1877 წლის ზაფხულს, რევაზი ალაზნის ხაზის ჯარების უფროსად დაინიშნა და ცოტახნით ბაკურციხეში დაასვენა თავისი ჯარი, დღევანდელი ტექნიკუმის უბანში, რომელიც იმ დროს შიშველი მინდორი იყო.

მ. ს. ვორონცოვის ადიუტანტობა და შემდეგში სხვა სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში დაწინაურება რევაზ ანდრონიკაშვილისათვის შემთხვევითი არ იყო. პირველ ხანებში მის დაწინაურებას ხელი შეუწყო სიმამრმა — ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე ეილერმა. რევაზ ანდრონიკაშვილის (ასევე მისი ძმის) ბიოგრაფია მრავალმხრივაა საინტერესო.

აღსანიშნავია, რომ ძმებს ანდრონიკაშვილებს მემკვიდრეები არ დარჩენიათ. სოლომონის მეუღლე ნინო (ნინუცა) ას წელს ბევრად გადაცილებული, გარდაიცვალა 1919 წელს სოფ. ბაკურციხეში. ნ. ბარათაშვილის ახლო დამოკიდებულება ანდრონიკაშვილების ოჯახთან გვავარაუდებინებს ამავე დროს მგოსნის სტუმრად ყოფნასაც ბაკურციხეში. მაგრამ საერთოდ ეს დამოკიდებულება ჯერ კიდევ შესასწავლია და ამიტომაც ჩვენი მოსაზრებანი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვენ. ერთი კი ფაქტია, რომ ნინა ალექსანდრეს ასული ეილერი-ანდრონიკაშვილისა იყო მეტად ლამაზი მანდილოსანი, ტკბილი მომღერალი, კარგი მუსიკოსი, ფაქიზი და კეკლუცი გარეგნული შეხედულებისა და ამიტომ საფიქრებელია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ 1841 წ. დაწერილი ლირიკული ლექსი „[ნი]ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი", პოეტმა ნამდვილად მას, ქართველების პატარძალს, მიუძღვნა. შესაძლებელია, რომ ნ. ბარათაშვილის ეს ტრფიალი მხოლოდ და მხოლოდ უბრალო შეხვედრებში გამოიხატებოდა. ცნობილია, რომ ახალგაზრდა პოეტის ფაქიზი გრძნობები სხვა ქალიშვილების მიმართაც გამომჟღავნებულა. საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ მხრივ ბიძინა ჩოლოყაშვილი: „ნიკოლოზ ბარათაშვილს უყვარდა ფალავანდოვის ცოლი ზაქარია ფალიაშვილის ქვრივი; (ზაქარია ნ. ბარათაშვილზე 3 თვით ადრე გარდაიცვალა — ა. ა.) ამ ქალმა კი კოსტანტინე დადიანი არჩია" („ლიტ. მატიანე", წიგნი 1—2, თბ., 1940 წ., გვ. 385).

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში 400-მდე ქართული ხელნაწერის ბიბლიოთეკური ერთეულია დაცული. მათ შორის ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს იოანე ბატონიშვილის კოლექციაში შემორჩენილი ერეკლე მეორის წყალობის სიგელები „ქსნის ხევის ოსთ“, „ჰურთის ხევის ოსებს“, „მაღრანდოლელთ ოსებს“, „ლიახველთ ოსებს“ და ორიც „წყალობისა და საფიცარი წიგნი... ჰურთის ხეველთ“ და „ქსნის ხეველთ აზნაურთა, მოხელეთა, მსახურთა, გლეხთა და ოსთა“.

ეს ექვსი საბუთი, ხსენებულ კოლექციაში ცალკეული ფურცლების სახითაა დაცული, ისიც უსახელოდ. ამდენად, ჩვენ მხოლოდ პირობითად დავნომრეთ ისინი თარიღების მიხედვით, აი, ისინიც:

„ქ. წყალობითა ღ~ისათა, ჩვენ, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანშან, მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთამან, ყაზახისა, ბორჩალისა და შამშადილის ფლობით მპყრობელო-მჭონებელმან, მეორემან ირაკლიმ, ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენს ერთგულთ ერთობით ქსნის ხევის ოსთ, ასე რომელ ჩვენს სახასო ყმად დაგდევით. დღეს და დღეის იქით ჩვენს მეტს კაცს თქვენთან საბატონყმით ხელი არავისა აქვს. ამაზედ ღ~თსა ვფიცავთ, არას კაცს ყმად არ მიგცემთ. ჩვენ სახასოდ დაგვიდიხართ და ჩვენ უნდა გვემსახუროთ. მთიბათვის ზ(7), ქ~კს უძგ (466+1312=1778 წ.). ქ. აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობარის თუმანიშვილის სულხანის ხელითა. ამას ჩვენი შვილები ასე დაამტკიცებენ თავეთის ბეჭდებით.

ჩვენზედ გულ დაჯერებულნი იყავით, რომ თქვენი გაცემა აღარ იქნება".

ტექსტის ბოლოს დასმულია ხუთი ბეჭედი: „მეფე ერეკლე", „მეფისძე გიორგი" და სხვ. 1 ფურცელი (2 გვ.), ზომით 23×24 სმ.

„ქ:. წყალობით, ღ~ისათა, ჩვენ, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმან, მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთამან, უაზახისა, ბორჩალისა და შამშადილისა ფლობით მპყრობელმან, მეორემან ირაკლიმ, ესე წყალობის სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთ(გუ)ლთ ჰურთის ხევის ოსებს, ასე რომელ ჩვენს სახ(ა)სო ყმად დაგდევით, დღეს და დღეის იქით ჩვენს მეტს კაცს თქვენთან საბატონყმოთ ხელი არავისა აქვს. ამაზედ ღ~თს ვფიცავთ, არას კაცს ყმად არ მიგცემთ. ჩვენი სახ(ა)სონი ხართ და ჩვენ~ უნდა გვემსახუროთ. ამას ჩ(ვენი) (შვილებ)იც თავეთის ბეჭდის დასმით დაგვიმტ(კიცებენ). (და ჰეშმარიტებით) გულ დაჯერებულნი იყავით. რომ თქვენი გაცემა არ იქნება. აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის სულხანის ხელითა. თიბათვის ᲆ (8), ქრონიკონს (უᲓვ?=466+1312=1778 წ.)".

ტექსტის ბოლოს დასმულია ოთხი სხვადასხვა ბეჭედი, მათ შორის „მეფისძე გიორგისა". 1 ფურცელი, ზომით 40×23 სმ. სიგელი ოდნავ დაზიანებულია. ზოგი სიტყვა და ასო სხვა ანალოგიური სიგელებიდან აღვადგინეთ, დათარიღებაც ჩვენია.

„ქ:. წყალობითა ღ~თისათა, ჩვენ, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმან, მეფემან ქართველთამან და მეფემა კახთამან, უაზახისა, ბორჩალისა და შამშადილისა ფლობით მპყრობელ-მჭონებელმან, მეორემან ირაკლიმ, ესე წყალობის სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულთ მაღრანდოლელთ ოსებს, ასე რომელ ჩვენს სახასო ყმათ დაგდევით. დღეს და დღეის იქით ჩვენს მეტს კაცს თქვენთან საბატონყმოთ ხელ(ე)ბი არავისა აქვს. ამაზედ ღ~თსა ვფიცავთ, არას კაცს ყმად არ მიგცემთ, ჩვენი სახასონი ხართ და ჩვენ უნდა გვ(ე)მსახუროთ. ამას ჩვენი შვი-

ლებიც თავეთის ბეჭდის დასმით დაგიმტკიცებენ და ჰეშმარიტებით გულ დაჯერებულნი იყავით, რომ ჩვენგან თქვენი გაცემა არ იქნება. აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანის შვილის ლაშქარნივისის მანუჩარისითა. თიბათეს (თიბათვის) თ(9). ქ~კს უჟვ (466+1312=1778 წ.)".

დასმულია ოთხი ბეჭედი, მათ შორის, „მეფისძე გიორგის" ბეჭედიც. 1 ფურც., ზომით 32×22 სმ.

„ქ:. წყალობითა ღ~თისათა, ჩვენ, იესიან დავითიან სოლომონიან ბანკრატოვანმან, მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთამან, ყაზახისა. ბორჩალისა და შამშადილისა ფლობით მპყრობელ-მჭონებელმან, მეორემან ირაკლიმ, ესე წყალობის სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულთ ლიასველთ ოსებს, ასე რომელ ჩვენ სახასო ყმით დაგდევით. დღეს და დღეის იქით ჩვენს მეტს კაცს თქვენთან საბატონებოთ ხელი არავის აქვს, ამაზედ ღ~თსა ვფიცამთ, არას კაცს ყმად არ მიგცემთ, ჩვენი სახასონი ხართ და ჩვენ უნდა გვემსახუროთ. ამას ჩვენი შვილებიც თავეთის ბეჭდის დასმით დაგიმტკიცებენ და ჰეშმარიტებით გულ დაჯერებულნი იყავით. რომ ჩვენგან თქვენი გაცემა არ იქნება. აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანის შვილის ლაშქარნივისის მანუჩარისითა. თიბათვის თ(9), ქ~კს უჟვ (466+1312=1778 წ.)".

ტექსტის ბოლოს დასმულია ოთხი ბეჭედი, მათ შორის „მეფე ერეკლეს", „მეფის ძის გიორგის" და სხვ. 1 ფურც., (2 გვ.), ზომით 31×22 სმ.

„ქ:. წყალობითა ღ~თისათა. ჩვენ, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმან, მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთამან და მპყრობელმჭონებელმან ყაზახისა, ბორჩალისა და შამშადილისამან, ირაკლი მეორემან და თანამემკვიდრემან ჩვენმან დადიანის ასულმან დედოფალმან დარეჯან, პირმშომან და სასურველმან ჩვენმან ორთავე საქართველოთა უფლის წულმან პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლეონ, პატრონმან იულონ, პატრონმან ვახტანგ. ანტონიმ, მირიან და ალექსანდრემ და ფარნაოზ და ძისა ჩვენისა ძეთა დავით, იოვანემ და ბაგრატ. ესე წყალობისა დასაფიცარის წიგნი

გიბოძეთ თქვენ ხელ ერთპირ ჰურთის ხეველთ, ასე რომ თქვენ ძველთაგან ქსნის ერისთავიანთ ყმანი იყავით. გიორგი ერისთავი ჩვენ უკუგვიდგა, ლეკის ჯარი შეიყარა, მი(ი)ყვანა და ციხ(ე)ები გა(ა)მაგრა, ჩვენ ღ~თის მადლით გიორგი ერისთავი დავიჭირეთ და, რადგანც ჩვენი მუხანათი იყო. იმისი მამული სრულად ჩვენთვის სახასოდ დავდევით და თუ რომ ერისთავის შვილს როსტომს მთაში მამული ჰქონდა და ყმა ჰყვანდა, იმასაც გამოვართვით და მაგიერი ყმა და მამული ბარში მივეცით. ახლა თქვენთვის ეს წიგნი გებოძება და ამისად გასათევებლად ღ~თი მოგვიცია. ღ~თი იყოს თქვენი თავდები, რომ ჩვენგან თქვენი გაცემა აღარ იქნება და თქვენ ქსნის ერისთავიანთ ჯილაგს აღარ მიგცემთ, ამაზე ყოველითურთ ხათრიჯამი იყავით და თქვენც ჩვენს ერთგულს სამსახურს ეცადენით და ჩვენც თქვენი მწყალობელი ვიქნებით, და თუ ვინმე ჩვენს სამსახურზე ბეჯითი არ იქნებით და უარშეობას (ურჩობას) დაიწყებთ რასმე, იმანაც კარგა გულდაჯერებით იცოდეს, რომ არას გზით არ შევარჩენთ და ედეც (კიდეც) გადავახდევინებთ. ჩვენ ეს საფიცრისა და წყალობის წიგნი გვიბოძებია და ყველამ ამაზე გული და(ა)ჯერეთ, რომ როგორც გვიბრძანებია, ისე აღვასრულებთ. თიბათვის იდ (14), ქკს უღვ (466 + 1312 = 1778 წ.). ქსნის საერისთო ამილახვარს გივს ეჭირა, ღ~თის მოწყალებით და ჩვენის ხმლით გამოვართვით და ქსნის ერისთავიანთ უბოძეთ და ისინი ამ წყალობის მაგიერად ჩვენ ერთგულებაში და მუხანათობაში შევიდნენ, რომელიც ზემორეთ დაგვიწერია. ერთხელ არა ჰქნა გიორგი ნაერისთვალმა ორგულობა და იმისმა ძმამ და კიდევ შანშემ, დიაღ, მრავალჯერ და(ა)შავეს და მრავალჯერ ჰქნეს ჩვენი მუხანათობა. შანშე ამაში უფრო დამნაშავეც არის გიორგი ნაერისთელისაგან (ნაერისთველისაგან) და ამისათვის არ იქნება ამ მამულის გაცემა და არც ქვეყანას უჯობს. ამისათვის რომ თავიან ნაქნარის საქმის ჩვეულება რომ აქვსთ იალბუზში და მთებში, არც მე, ბატონს გამომადგებიან, რომ კიდემ უმუხანათებენ და უორგულობენ და შარის კაცთ ამიტომ არ უჯობსთ, რომ არეულობასა და მთაში ბრძოლაზე თავიანთ სარჩოს და სასარგებლოს საქმეს მოს-

ცდებიან და დიდს ზიანში შევლენ და მთის კაცს კიდემ ამისთვის არ უჯობს, რომ შარის ქვეყანას და მთის კაცში შფოთის ჩამომგდებელნ(ი) ესენი ყოფილან მრავალჯერ. მთის ალაგი და ქვეყნები დარბეულან და თავიანთ სასარგებლო საქმეებს მომცდარან. ტყვეც მრავალი დატყვევებულა და სისხლიც ბევრი დაღვრილა. ახლა ეს მიზეზები ყველა მოიშალა და სულ მშვიდობის გზა მიეცა. ვინც თვითონ თავის თავს ძალათ საქმეს არ გაუჭირებს და ჩვენც, ურჩებაში არ შევა ასე იცოდენ".

ამის შემდეგ დასმულია ოთხი სხვადასხვა ქართული სამეფო ბეჭედი. 1 ფურცელი, ზომით 43×17 სმ.

„ქ:. წყალობითა ღ~თისათა, ჩვენ, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმან, მეფემან ქართველთამან და კახთამან და მპყრობელ-მჭონებელმან ყაზახისა, ბორჩალისა და შამშადილისამან, ირაკლი მეორემან და თანამცხედარმან ჩვენმან დადიანის ასულმან დედოფალმან დარეჯან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ორთავე საქართველოთა უფლისწულმან პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლეონ, პატრონმან იულონ, პატრონმან ვახტანგ, ანტონიმ, მირიან, ალექსანდრემ, ფარნავაზ და არჩილ; და ძისა ჩვენისა ძეთა: დავით, იოანემ, ბაგრატიმ და სოლომონ, ესე მტკიცე დაუცვალებელი წყალობისა და საფიცრის წიგნი გიბოძეთ თქვენ ერთობით ქსნის ხეველთ აზნაურთა, მოხელეთა, მსახურთა, გლეხთა და ოსთა, ასე რომე თქვენ ძველთაგან ქსნის ერისთავიანთ ყმანი ვიყავით. გიორგი ნაერისთვალმა ჩვენ გვიმუხანათა, უკუ გვიდგა და ციხეები გაამაგრა და ლეკის ჯარი შეიყარა და სეერისთოში მიიყვანა; ჩვენ ჯარები გაუსიეთ, ღ~თით ციხეებიც აართვეს და კიდეც დაიჭირეს და რადგანაც ჩვენი მუხანათი იყო, იმისი მამული სრულად ჩვენთვის სახასოდ დავდევით, და თუ რამ ერისთვის შვილს როსტომს მთაში მამული ჰქონდა და ყმა ჰყვანდა, იმასაც გამოვართვით და მაგიერი ყმა და მამული ბარში მივეცით. ქსნის სეერისთო ამილახვარს გივს ეჭირა და ჩვენ ღ~თითა და ჩვენი ხმლით გამოვართვით და ქსნის ერისთვის შვილებს მივეცით და ისინი ამ წყალობის მაგიერ ჩვენს ორგულობისა და მუხანათობაში შევიდნენ.

ერთხელ არა ქმნა და ორჯერ გიორგი ნაერისთვალმა და მისმა ძმამ ზურაბმა ჩვენი მუხანათობა და ორგულობა, და მათ გარდა კიდევ შანშე ერისთავი უფრო დიდი მუხანათი იყო ჩვენი და ორგული და უფრო დიდი დამნაშავეც იყო ჩვენზე. გიორგი ნაერისთვლისაგანაცა და მათის ამგვარის მუხანათობისაგან მრავალჯერ თქვენც დიდი ზიანი და აკლება და დარბევა მოგსვლიათ და ვინც ჩვენი ერთგულნი ყმანი ქართველნი და კახნი არიან, იმათაც ზიანი მოსვლიათ და თავიანთ საქმეებს მოცდომილან და ნიადაგ საქართველოში შფოთის მიზეზნი ეს ქსნის ერისთვის შვილები ყოფილან, და მაების მიზეზით ჩვენს სახასოდ დავდევით და ეს წიგნი გიბოძეთ და მისად გასათავებლად ღ~თი მოგვცია. ღ~თი იყოს თქვენი თავდები, რომ ჩვენგან თქვენი გაცემა აღარ იქნება, არც ერთი კომლის კაცისა. რომ თქვენ ქსნის ერისთვის შვილების ჯილაგს აღარ მიგცემთ, ამაზე ყოველითურთ ხათრი ჯამნი იყავით. ერთი ამისთანა წიგნი უწინათ გიბოძეთ[1], მაგრამ ზოგიერთის ავის კაცისაგან თქვენს ყურში როგორმე სიტყვა შემოსმენილიყო და ამის მიზეზით კიდევ ეს მეორე წიგნი გიბოძეთ და ამ საფიცრით დაგიმტკიცეთ, ნეტარად ხსენებულს მამაჩვენს ვფიცავთ, იმისმა მზემა, რომ არც ჩვენგან და არც ჩვენის შვილებისაგან თქვენი გაცემა არ იქნეს და თუ ვინმე მოინდომოს ან ჩვენმა შვილმა და ან შვილისშვილმა ჩვენის მამაშვილობისაგან დაწყეველილი იყოს. როგორათაც ნოემ თავისი შვილი ქამ დაწყევლა, ისემც დაიწყევლება და იმ საკვრელითამც შეიკვრის და დამამტკიცებელნი ამისნი ღ~თნ აკურთხნეს. აღიწერა ხელითა ლაშქარ ნივისის ხერხეულიძე ომანისათა, თუსა ივნისსა კგ (23), ქ~კს უჲზ (467+1312= 1779 წ.)".

ტექსტის ბოლოს, დადასტურების მიზნით, დასმულია მეფე ერეკლესა და მისი შვილების 9 სხვადასხვა ბეჭედი. ერთიც შავი მელნით მინაწერი „ანტონი". პირველი გვერდის მარცხენა თავისუფალ არშიაზე (კიდურზე) მოგვიანო მინაწერია:

---

[1] იგულისხმება 1778 წ. თიბათვის 14-ში ნაბოძები „საფიცრისა ღ› წყალობის წიგნი", ა. ა.

„ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთისა და ყოვლისა საქართველოდ-
სა კათოლიკოზი, ძე სანატრელისა მეფისა ირაკლი მეორისა,
ანტონი ვამტკიცებ გრაგნილსა ამას წერილსა. წელსა ჩყა
(1801 წ.), თვესა მარტს ე (5), ქ~კს უპთ (489+1312=1801
წ.). ხ~კათალიკოსობისა ჩვენისა მეთსამეტსა (მეცამეტე)
წელსა. ანტონი". 1 ფურც., (2 გვ.), ზომით 52×34 სმ.

ტექსტები ქვეყნდება უცვლელად, მართლწერა უმთავრე-
სად ორიგინალისაა, შეცვლილია მხოლოდ სამ-ოთხ შემთ-
ხვევაში ძველ ქართულში მიღებული „ქ" ჩვეულებრივი „ხ"
თი. ფრჩხილებში მოთავსებული ასოები და სიტყვები ჩვენია,
სასვენი ნიშნებიც ჩვენ გვეკუთვნის, რადგანაც ზოგიერთ სა-
ბუთში ან სულ არ მოიპოვება სასვენი ნიშნები ან კიდევ თით-
ქმის ყველა სიტყვის შემდეგ წერტილებია დასმული. ქარა-
გმიანი სიტყვები (ქ~კს—ქრონიკონს, ხ~—სოლო. ღ~თისა-
თა—ღმერთისათა და სხვა) უცვლელად დავტოვეთ.

როგორც მე-5 და მე-6 „საფიცრისა და წყალობის წიგნე-
ბიდან" ირკვევა, ძველად „ქსნის საერისთო" გივი ამილახვარს
სჭერია. ამ უკანასკნელისათვის იგი მეფე ერეკლეს „ხმლითა
და ღმერთის ძალით" წაურთმევია და გიორგი ქსნის ერის-
თავისათვის უბოძებია, მაგრამ გიორგისა და მის ძმებს უფრო
მეტი მუხანათობა გამოუჩენიათ სამშობლოს წინაშე. ამიტო-
მაც მეფე ერეკლეს ისევ წაუღია ქსნის საეროსთავო.

ერთი ცოტა უფრო მოგვიანო საბუთით (1797 წლის 16
აპრილს დაწერილი ორმხრივი პირთა საფიცრის სიგელი) ირ-
კვევა, რომ „ქსნისა და ლიახვის საერისთოს" ჯერ კიდევ
ამილახვარამდე ყულარაღასისშვილები ფლობდნენ თავიანთი
განაყოფი ბიძაშვილებით.

ყველა საბუთი დამტკიცებულია ერეკლე II-სა და მისი
ვაჟიშვილების საკუთარი ბეჭდების დასმით. ზოგ სიგელზე
სამიდან ცხრა ბეჭდამდეა დასმული. საინტერესოა, რომ
ყველგან მეფე ერეკლე II თავის თავს „ირაკლით" იხსენიებს,
ბოლო ბეჭედზე კი „ერეკლე" აწერია.

ზემომოყვანილი საბუთები საინტერესოა, როგორც მათში
მოხსენებულ პიროვნებათა, ისე საქართველოსა და ოსეთის
ისტორიული ურთიერთობის შესასწავლად.

პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიისათვის

პლატონ იოსელიანი დაიბადა 1809 წლის 18(30) ნოემბერს, გარდაიცვალა 1875 წლის 15(27) ნოემბერს და დასაფლავებულ იქნა სამი დღის შემდეგ—18 (30) ნოემბერს „მისგანვე აშენებულს ამაღლების ეკლესიაში". დაბადების რიცხვი და დაკრძალვის თარიღი ორივე ერთ დღეს — 18 (30) ნოემბერს ემთხვევა.

დღემდის არ იყო დადგენილი, თუ როდის დაიბადა ჩვენი მხატვრული ლიტერატურის, ისტორიის, არქეოლოგიის ღვაწლმოსილი მოღვაწე და სწავლული კაცი — პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი. ქართულსა და რუსულ წყაროებში პ. იოსელიანის დაბადების შესახებ ორი სხვადასხვა თარიღი იყო გაბატონებული: ერთნი (გაზ. «Кавказ», 1875, № 146, «Словарь кавказских деятелей», Тифл., 1890. Энцикл.-пед. словарь Брокгауза и Ефрона, т. XIII а; Биографический словарь студентов первых XXVII-ми курсов С.-Петербургской Духовной Академии 1814 — 1869 гг.». СПб., 1907 г., А. Родосского და სხვა მრავალი აქედან გამომდინარე) პლატონ იოსელიანის დაბადებას 1810 წელს მიაწერს; ხოლო მეორენი (ზ. ჭიჭინაძე, ი. იმედაშვილი, აკ. გაწერილია, სოლ. ყუბანეიშვილი, სოლ. ცაიშვილი, თვითონ პ. იოსელიანის წერილები, მისი ხელნაწერთა „უ" ფონდის № 1793 სერია და ამ უკანასკნელიდან გამომდინარე სხვა მრავალი ცნობა) კი მისი დაბადების თარიღად 1809 წელს აღნიშნავენ. ამ ორი თარიღიდან 1809 წელია სწორი. ჩვენს მკვლევართა მიმოხილვებში (თუნდაც აკ. გაწერელიას ნარკვევში) არასწორადაა გადმოცემული პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიული ცნობები. მაგრამ ამ გარემოების

დაწვრილებითს ანალიზს აქ არ შევუდგებით. შევეხებით მხოლოდ ახალ ცნობებს.

რა არის უტყუარი საბუთი, რომელიც ასეთ დამაჯერებელ ცნობებს იძლევა პ. იოსელიანის დაბადების შესახებ? ჩვენს ხელთ არის ამჟამად წყარო, რომელიც ყველაზე უფრო სწორ ცნობას იძლევა არა თუ მარტო პ. იოსელიანის დაბადებაზე, არამედ მისი მშობლების, ბიძა-მამიდების, მთელი საგვარეულოს ორი-სამი თაობის გენეალოგიაზეც კი. ესაა იოსელიანების გვართა რამდენიმე თაობის „საოჯახო კალენდარი", რომელსაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში პროფ. ა. ცაგარელმა მიაქცია ყურადღება, მაგრამ, ანაქრონიზმების სახით, შეცდომა დაუშვა და მნიშვნელოვანი ფაქტები თავისდაუნებურად დაჩრდილა. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ წიგნთა ფონდში დაცულია მრავალი ძველი, ქართული წიგნი, რომლის უმრავლესობა ყიდვისა და სხვადასხვა შეწირულობის სახით შეუძენია ბიბლიოთეკას იმ დროინდელ საქართველოდან რუსეთში, კერძოდ კი პეტერბურგში, გადახვეწილი ქართველი ბატონიშვილების წიგნთა კოლექციებიდან. ეს ძველი ქართული ხელნაწერები და დაბეჭდილი წიგნები თავიანთი ძვირფასი მარგინალიებით (მინაწერებით) საყურადღებოა ისტორიისათვის. უდავოა, რომ ზოგიერთი მინაწერი მრავალ ხარვეზს ამოავსებს, განსაკუთრებით ისტორიულ პირთა ბიოგრაფიების შესწავლისას.

ძველად წიგნებზე სხვადასხვა ისტორიული ფაქტების მიწერა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. და დღეს ზოგიერთი ფაქტის დაზუსტების ერთადერთი სანდო წყარო სწორედ ეს მინაწერებია. წიგნებზე მიწერა განსაკუთრებით უყვარდა დიდგვაროვან ხალხს. მინაწერებს ორგვარი ხასიათი ჰქონდა. ერთი მხრივ, მათში აღინუსხებოდა იმდროინდელი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, მეორე მხრივ კი საოჯახო კალენდარი.

ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის სწორედ ამგვარი საოჯახო კალენდარი დაგვეხმარა. ასე გადმოგვცემს, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის და—ელისაბედი—თავისი ძმის დაბადების შესახებ: „ტყუილია, ვითომც გან-

სვენებული ჩემი ძმა დაბადებულიყვეს იანვარში. მე კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში იყო სახარება, რომელშიაც მამაჩემისაგან საკუთარის ხელით იყო აღნიშნული ყველა მისი შვილების დაბადების დღე. კარგად მახსოვს, ჩემი ძმის ი. ჯ. შესახებ ეწერა, რომ დაიბადა 27 ოქტომბერსაო" (იხ. გიორგი ლეონიძე, მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. „ლიტ. მემკვიდრეობა", I, თბ., 1935. გვ. 555).

ამჯერად ჩვენ აქ შევჩერდებით ერთ-ერთ სასულიერო წიგნზე. ესაა **„ჩეტიმინეი"**, ანუ **„თვენი"**, რომელიც. ჩვენი მტკიცებით, იოსებ სამებელისა და ბაქარიას სტამბაში უნდა იყოს დაბეჭდილი (მოსკოვი, 1741 წ.). წინამდებარე წერილისათვის დიდ ინტერესს იწვევს ზემოხსენებული წიგნის ჩვენთან დაცული ეგზემპლარი. თავის დროზე ეს ცალი პლატონის პაპის. მეფე ერეკლე II-ის კარის მღვდლის — ონისიმე სესიას ძე იოსელიანის საკუთრება იყო. მისგან მემკვიდრეობით ჯერ პლატონის მამას ეგნატეს მიუღია, შემდეგ თვით პლატონს. ამ უკანასკნელისაგან კი 1860 წელს, სხვა ქართულ წიგნებთან ერთად, იგი პეტერბურგიდან სამშობლოში სტუმრად ჩამოსულ იოანე ბატონიშვილს (გრუზინსკის) შეუძენია. 1880 წელს, როგორც უკვე ვიცით, იოანე ბატონიშვილმა თავისი მამაპაპისეული მდიდარი ბიბლიოთეკა იმპერატორის საჯარო ბიბლიოთეკას მიჰყიდა. მათ შორის იყო ეს „თვენიც".

წიგნს ახლავს მინაწერები, რომლებიც გაკეთებული უნდა იყოს ორი პირის მიერ სხვადასხვა დროს. ერთი მინაწერი— პირველი სუფთა ფურცლის recto პირზე, მოყვითალო მელნით, ონისიმეს ხელით უნდა იყოს შესრულებული, ხოლო წიგნის უკანასკნელი სუფთა ფურცლის recto პირზე შავი მელნით შესრულებული მინაწერი კი პლატონის მამას—ეგნატეს უნდა ეკუთვნოდეს.

პირველი მინაწერი, სადაც პ. იოსელიანის დაბადებაც იხსენიება, ასეთია:

„ქ~კს უნბ (452), **ევფემია** დაიბადა იანუარს კ**ზ** (28): ქ~ესით ჩღად (1764).

ქ~კს უნე (455), **ეგნატი** დაიბადა, იანუარს იგ (13): ქ~ესით ჩღაზ (1767)[1].

ქ˘კს უნთ (459), **თეონა** დაიბადა, იანუარს კ$^{\text{ზ}}$ (28): ქ˘ესით ჩღოა (1771).

ქ˘კს უდა (461), **თინათინ** დაიბადა, მარტს ით (19): ქ˘ესით ჩღოგ (1772).

ქ˘კს უო (470), **ზაქარია** დაიბადა იუნისს კ (20): ქ˘ესით ჩღპბ (1782).

ქ˘კს უოგ (473), **სოფრონ** დაიბადა მარტს ია (11): ქ˘ესით ჩღპე (1785).

ქ˘კს უეზ (497), **პლატონ** დაიბადა, ნოემბერს იზ (18): ქ˘ესით ჩყთ (1809)".

ბოლო მინაწერი კი მოგვითხრობს: „მამა (ე. ი. ონისიმე. ა. ა.) გარდაიცვალა ღ˘ისადმი მარტს ივ [16] ჩყიე (1815). სამშაფათს, მწუხრს შემდგომ. თეონა გარდაიცუალა ღ˘ისადმი ოკდომბერს კზ [27] ჩყიე (1815), ოთხშაფათს, მწუხრად. თინათინ გარდაიცვალა ნოემბერს ე (5) ჩყლგ [1833], კვირას ღამე".

---

[1] სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ქართულ ფონდთა იოანე ბატონიშვილის კოლექციაში დაცულია № 223 ხელნაწერი სათაურით: „პროკლე დიოდოხოსის პლატონისა ფილოსოფისა კავშირი ღუთის მეტყუელებისა"... „გადმოთარგმნილი ლათინური ენიდან იოანე ფილოსოფოსი პეტრიწის მიერ ქართულად, ხოლო ქართულიდან ნათარგმნი არმანთა (სომხურ) ენათა ზედა და ამ უკანასკნელიდან ქართულად გადმოღებული 1757 წელს იოანე ჯამბაკურიან ორბელიანის მიერ". ეს ხელნაწერი მთავრდება სიტყუებით: „და სრულ იქმნა წიგნი ესე კავშირი ხელითა ჩემ... ეგნატი მთავარ დიაკვნის ონისიმე მღვდლის ძისათა... თვესა იანვრისა კ (20), დღესა ორშაბათსა, ქ˘კსა უოზ (478), ქ˘ეს აქეთ ჩღე (1790). ვიყავ წლისა ოცდაერთისა". თანახმად ამ ავტოგრაფული მინაწერისა, ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი დაბადებულა 1769 წელს (1790—21=1769), მაგრამ თუ ვიფიქრებთ, რომ ეგნატი 21 წლისა იყო არა 1790 წ. იანვარს, როდესაც 390 გვ. ნაშრომის გადაწერა დაასრულა, არამედ 1788 წ., როდესაც მის გადათეთრებას შეუდგა, მაშინ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ეგნატი ონისიმეს ძე იოსელიანი ნამდვილად 1767 წელს დაბადებულა.

მაშ ასე, პლატონი დაბადებულა 1809 წლის 18 (30) ნოემბერს ქალაქ თბილისში. იმავე 1809 წ. პატარა პლატონი მოუნათლავს დავით ბატონიშვილის მეუღლეს ელენეს (ხამფერვარს)—სომეხი აბი მელიქის ქალიშვილს, როგორც აღნიშნავს თვითონ პლატონ იოსელიანი: „ესე მიამბო თვით მეფის ასულმან (უნდა იყოს: „მეფის რძალმან", ა. ა.) ელენე. **ემბაზით მიმქმელმან ჩემმან 1809 წელსა,** ოდეს მისულმან პირველად რუსეთსა ვიხილე იგი 1831 წელსა". „მახსოვს... ხშირად მემკვიდრისა დავითისა მეუღლისათანა ელენე მეფისა რძალთან 1831 და 1832 წელთა შინა ქ. ს. პ. ბ". ან კიდევ: „მოკლენი მოთხრობანი საქართველოისანი, რომელნიცა მივართვი გარდაცვალებულს და ჩემდა ნათლიად ყოფილს ელენას—დავით ბატონიშვილის მეუღლეს"; „თვით ელენე, მეფის რძალი და მემკვიდრისა ცოლი, იყო ემბაზით მიმქმელი ჩემი, ამისათვის ვიცნობდი მოკლედ მას, მოარულსა მასთან 4 წელსა ს. პ. ბ. (1831—1834)"; ანუ „1831 წელიწადიდამ, დროთაგან ჩასვლისა ჩემისა რუსეთად სასწავლებელში". ეს ამონაწერები ამოღებულია პ. იოსელიანის—„მეფე გიორგი XIII-ს ცხოვრებიდან" და აკად. მარი ბროსესადმი მიწერილი ბარათებიდან. ისინი ერთხელ კიდევ გვიდასტურებენ პ. იოსელიანის 1809 წ. დაბადების თარიღს, პეტერბურგში ჩასვლას (1831 წ.), იქ ყოფნას (1831—1835 წ. წ.)[1] და მეფის რძლის—ელენეს ნათლიაობას.

პირველდაწყებითი სწავლა პ. იოსელიანს მიაღებინა ერეკლე მეფის დროს თელავის გიმნაზიის ყოფილმა რექტორმა და გამოჩენილმა კალიგრაფოსმა დავით ალექსის ძე ალექსიშვილმა, რომელსაც მეტ სახელად „ცუკიას" უწოდებდნენ. დავით რექტორის შემდეგ პლატონს ასწავლიდა იოანე ნათლისმცემლის მღვდელი. 1817 წლიდან კი, როდესაც თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია და მის გვერდით სემინარიაში შემსვლელთა მოსამზადებელი სასწავლებელი, პლატონიც პირველ წლიდანვე იქ მიაბარეს 30 მოსწავლე ახალგაზრდასთან ერთად. მალე გადაიყვანეს თვით სემინარიაში.

[1] „ცისკარი", 1868 წ. № 12, გვ. 5—9.

რომელიც წარჩინებულად დაამთავრა 1829 წელს და იმავე წლის 12 ოქტომბერს დაინიშნა იქვე სემინარიის მოსამზადებელი სასწავლებლის რუსული ენის, კატეხიზმოსა და არითმეტიკის მასწავლებლად. 1796—1800 წწ. მოზდოკში გამოქვეყნებული ქართული გრამატიკის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ ცალზე პ. იოსელიანის ავტობიოგრაფიულ მინაწერებში ვკითხულობთ: «Из книг Платона Иоселиани 1829-го окт. 14-го. Определен учителем уездного при Семинарии училища 1829-го́ окт. 12-го дня, по предметам Российской грамматики, катехизиса и арифметики. П. И».

1829—1830 წწ. პლატონი მასწავლებლობს ხსენებულ სასწავლებელში, 1831 წელს კი იგი პეტერბურგშია და შედის სასულიერო აკადემიაში, რომელსაც 1835 წელს ამთავრებს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. სადიპლომოდ წერს ნაშრომს „საქართველოს მოკლე ისტორია“, რომელიც შემდეგში რუსულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა. სხვათა შორის, პ. იოსელიანის დაბადების ამ თარიღის გაბატონება უნდა მივაწეროთ თვითონ მის პირად საანკეტო მონაცემებს, სადაც მან დაბადების თარიღი განგებ შეცდომით აღნიშნა, რადგან იმ ხანებში აკადემიაში შემსვლელთა ასაკი 22 წელს არ უნდა ასცილებოდა.

1835 წ., პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრებისთანავე, პ. იოსელიანი ბრუნდება სამშობლოში და ინიშნება თბილისის სასულიერო სემინარიის ფიზიკისა და ფილოსოფიის მასწავლებლად.

პ. იოსელიანის ნამდვილი ფართო მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა იწყება აკადემიის დამთავრების შემდეგ, თუმცა სამასწავლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე იგი ჯერ კიდევ 1829 წელს გამოვიდა. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტი პ. იოსელიანი თარგმანების საშუალებით ამდიდრებს მშობლიურ სასულიერო და საერო ლიტერატურას. რუსული, ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნის სხვადასხვა სახის ნაწარმოებს, ბევრი მისი ნათარგმნი ხელნაწერი, 1831—1835

წლებში შესრულებული, დაცულია ჩვენი ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში. საქართველოში დაბრუნებისას უფრო მეტი ნაყოფი გამოიღო მისმა შრომამ. 1838 წლის 11 სექტემბერს აკად. მარი ბროსესადმი მიწერილ ბარათში 29 წლის პლატონი აღნიშნავს 12 სახელწოდების წიგნს, რომლებიც მას დაუწერია ან უთარგმნია სხვა ენებიდან ქართულად და დაუტოვებია პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებისათვის (პ. იოსელიანი პეტერბურგში სწავლის პერიოდში ამეცადინებდა აგრეთვე ბატონიშვილის შვილებს). თბილისში დაბრუნებისას მან თავისი დაუცხრომელი ენერგია მთლიანად შესწირა მასწავლებლობას, საზოგადო მოღვაწეობას, მეცნიერებას, გაზეთის რედაქტორობას, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური შესწავლის მიზნით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობას, ათონისა და სინის მთაზე მიმოსვლას, ქართულ სიძველეთა ძეგლების შესწავლა-გამომზეურებას.

პ. იოსელიანმა იმ დროისათვის შექმნა ისეთი მდიდარი საკუთარი ბიბლიოთეკა, განსაკუთრებით ძვირფასი ძველი წიგნებითა და ძეგლებით, რომ XIX-ს. 40-იან წლებში პარიზის აკადემია და რუსეთის საიმპერატორო აკადემია ერთმანეთს ეცილებოდნენ მის შესაძენად.

აკად. მარი ბროსესადმი მიწერილ ბარათებში პ. იოსელიანი 1838 წელს უკვე ასახელებს თავის წიგნების რიცხვს „რეესტრის“ სახით 140 სახელწოდებით, ხოლო 1841 წელს ამ სახელწოდებათა რიცხვი 200 აღწევს. პ. იოსელიანმა ბოლოს მაინც ნაწილი თავისი წიგნებისა პეტერბურგის აკადემიას მიჰყიდა და ნაწილიც პეტერბურგში მცხოვრებ იოანე (ივანე) გრიგოლის ძე გრუზინსკის (ბატონიშვილს) გადასცა, რასაც ზაქარია ჭიჭინაძე საყვედურით იხსენიებს. ამ ამბავს ასე გადმოგვცემს პროფ. ცაგარელი: «Сын Григория Иоанн (Иван), от которого Публичная Библиотека приобрела упомянутую коллекцию, хотя и не заявил себя ничем в грузинской литературе, но знал язык и очень любил богатое собрание грузинских письменных и художественных памятников, доставшееся ему по наследст-

ву и сам значительно увеличил его, так в бытность свою в Грузии в 60-х [1860 წ., ა. ა.] годах он купил у известного грузинского археолога П. И. Иоселиани значительное количество грузинских рукописей и сторопечатных книг, которые он и привез с собою в С.-Петербург... в 1866—1880 г. г. он их еще увеличил, покупая или заказывая списать редкие списки рукописей. Будучи лично знаком с кн. И. Г. Грузинским в 1873 году получил от него список его коллекции»... (Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности, выпуск I, СПб., 1886 стр. XI).

პ. იოსელიანისაგან შეძენილ თითქმის ყველა წიგნს აქვს მინაწერები, ზოგს თვით პ. იოსელიანის, ზოგსაც მისი მამისა და პაპის ხელით.

1836 წლიდან დაწყებული პ. იოსელიანი თბილისიდან სისტემატურად აგზავნიდა პეტერბურგს თავისი ან სხვათა მიერ გამოცემული ყოველი წიგნის 30—50 ცალს აკადემიის, თანამემამულეთა თუ საერთოდ, ნაცნობ პირთათვის. პლატონი იყო ქართული წიგნების ნამდვილი ბიბლიოფილი და საუცხოო მცოდნე, ქართულ გამოცემათა და ხელნაწერთა ცოცხალი კატალოგი. მან კარგად იცოდა არა მარტო საკუთარი ან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაცული წიგნები და ხელნაწერები, არამედ ყველა ის ქართული ძეგლი, რომელიც პეტერბურგში გააჩნდათ კერძო პირებს. ამას ადასტურებს აკად. მარი ბროსესა და აკად. ანდრია მიხეილის ძე შეგრენისადმი მიწერილი ბარათები. თავის დროზე პ. იოსელიანი დიდ დახმარებას უწევდა ამ ორ აკადემიკოსს, პირველს ქართულ სიძველეთა შესწავლაში. ხოლო მეორეს კი—ოსური გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენაში.

პლატონ იოსელიანს ოსების დამწერლობისა და მათი კულტურის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. მისი ზრუნვითა და წახალისებით გამოიცა ან. შეგრენის კაპიტალური ნაშრომი «Осетинская грамматика с кратким словарем осетино-русским и российско-осетинским, СПб.,

1844 г. (часть 1:XXX+ 560 стр. и часть 2:XXIII+297 стр.), რომელსაც პლ. იოსელიანმა 1845 წ. „Закавказский вестник“-ის არა ოფიციალური ნაწილის მე-11 ნომერში ვრცელი რეცენზია მიუძღვნა.

ოსური დამწერლობის ისტორიისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე დავიმოწმოთ ან. შეგრენის მიერ გამომუშავებული ოსური ანბანი, რომელიც დაბეჭდილი იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული მსოფლიო ხალხთა ენების სანიმუშო ანბანთა კრებულში: „Азбука восточных и западных языков... составил Р. Ниперт“, СПб., 1859, стр. 52.

ამ იშვიათ კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე სპარსული, ფეჰლეური, ხუზეარეშული, ზენდური, სანსკრიტული, ტიბეტური, მონღოლური, კალმიკური, მანჯურული, იაპონური, სირიული, ებრაული, ეთიოპური, არაბული, თურქული, თათრული, ავღანური, სომხური, ქართული, ბერძნული, ლათინური, გოთური, კოპტური, სლავური (რუსული) ენების, სერბიული, რუმინული, ლუზაცკ-ვენური, უნგრული, მოლდავური, პოლონური, ბოჰემური, ილირიული, იტალიური, ფრანგული, ინგლისური, ესპანური, გერმანული, დანიური, შვედური, ლატვიური, ესტონური, ფინური, რუნული, თუშური, ოსტიური, ბურიათული, იაკუტური, ზირიანული, სამოედური (სამოდიური), ლეპსიუსოვური (ლეპსიუსოვის „სტანდარტალფაბეტი“, ქურთებისათვის, ლიონელებისათვის და სხვა მცირე ერთა ენებისათვის ლათინური ანბანის მიხედვით), ყველა სახის ანბანი.

XIX საუკუნეში ქართული მეცნიერების სარბიელზე არ იყო ისეთი დარგი, რომელშიაც პ. იოსელიანს თავისი სათქმელი არ შეეტანოს. მისი ყველა ცალკე გამოცემული წიგნის, შრომისა და რუსულ-ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილთა სია 250—300-ზე მეტს აღწევს. პლატონ იოსელიანის ობიექტური შეფასებისათვის საკმარისია თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ მისი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი შრომები ერთად რომ შეიკრიბოს და გამოიცეს, არანაკლებ 20 ტომს შეადგენს.

ეს ის ძვირფასი საგანძურია, რომელიც სახელოვანმა მეცნიერმა სიცოცხლეშივე ძეგლად დაიდგა.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1915 წლის 47-ე ნომერში დაიბეჭდა ორი პატარა წერილი „პლატონ იოსელიანის გარდაცვალებიდან 40 წ. შესრულების გამო“. ერთი მათგანის ავტორია ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე, ხოლო მეორე სარედაქციო წერილია და უნდა ეკუთვნოდეს ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელ ანა იმედაშვილს, ან მის მეუღლეს—იოსებ იმედაშვილს. „გოგლა“ (ასე აწერს ხელს, ა. ა.) ლეონიძე პლატონ იოსელიანის შემოქმედებას ჯერ ადარებს „სტრაბონის წარმტაც სტრიქონებს“ და მის შინაარსიან მეტყველებას „ჰეროდოტეს და ტაციტის ტარბაისლურ კილოს“, შემდეგ კი დასძენს: „ისე მწყურიან სტრიქონები, მისი ენებით სავსე პათოსი, რომ მისი დაწაფება მირჩევნია ყველაფერს. ხან ვით მწირი, მეუდაბნოელი—სახეთო სიტყვათა წარმომთქმელი, ‘ხან ვით სარდალი შორს გამჭვრეტელი, ხან ვით მგოსანი ჰანგად და კითხვად გადაქცეული—მიდგება თვალწინ... და ასე თვალ წინ მიდგება ის ადამიანი, რომელიც სწერდა იმ წყეულ წუთებში, როს საქართველოს კუბოს დასტიროდა მხოლოდ ველური ზურნა“; ბოლოს აღნიშნავს: „ოჰ, როგორ მენანება, რომ იგი (პ. იოსელიანი ა. ა.) არ იყო თამარის ხანაში: მაშინ ხომ სხივებით შემოსავდა თავის სტრიქონებსო“. გ. ლეონიძე პ. იოსელიანს თავისი დროისათვის „ელინთა წარმომადგენელს“ უწოდებს.

ხსენებული ჟურნალის სარედაქციო წერილი კი ასე ახასიათებს პ. იოსელიანის მოღვაწეობას. „მან ბევრი კვანძი გახსნა ქართულ ისტორიაში, ბევრი რამე გამოარკვია, ბევრიც გადაარჩინა დაღუპვას (ხელნაწერები და წარწერები) და დაგვიტოვა ძვირფას მასალად. საქართველოს გარედ ბევრს გააცნო საქართველო, ბევრ გადაგვარებულ ქართველსაც შეაყვარა სამშობლო“... და სხვა. სამწუხაროდ, მე-19 საუკუნის ასეთი დამსახურებული მეცნიერისა და მოღვაწის ბიოგრაფია დღემდის სათანადოდ შესწავლილი არა გვაქვს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი ავტორის ცალკეულ პატარა ნარკვევსა და ზემოთ მოყვანილ ცნობებს.

პ. იოსელიანმა ყველაზე დიდი დრო შესწირა სინოდალურ კანტორაში ქართული „დოკუმენტებისა და გუჯარების... ვიდრე 4000-მდე“ გარჩევა-გამოქვეყნებას, საქართველოს საეკლესიო ისტორიის ორ დიდ ტომად დაბეჭდას, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შთამომავლობის საოჯახო ენციკლოპედიის შედგენას, თბილისის სხვადასხვა სახის სკოლებში მასწავლებლობას, სადაც დღეში რამდენიმე გაკვეთილს აძლევდა: ფილოსოფიაში, ფიზიკაში, ლოგიკაში, რიტორიკაში, ფსიქოლოგიაში, ზნეობით ფილოსოფიაში. რუსულსა და ქართულ ენებში, საღვთო ისტორიაში, საქართველოს ერის ისტორიასა და, ბოლოს, ქართულ ლიტერატურაში. 1842 წლიდან დაწყებული, როგორც კი გაიხსნა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანი იქ დიდხნის განმავლობაში ასწავლიდა ბუნებისმეტყველების ისტორიასა და ქართულ ენას. ხსენებული ინსტიტუტის გახსნისას საზეიმო სხდომაზე პლატონმა წარმოთქვა მშვენიერი სიტყვა, რაც შემდეგ რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოსცა პეტერბურგში 1843 წელს.

პეტერბურგშივე გამოაქვეყნა მან 1843 წელს რუსულად ნაშრომი „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“ („Краткая история грузинской церкви“), რომელმაც ფართო გამოძახილი ჰპოვა იმ დროინდელ რუსულ-ქართულ პრესაში და კარგი შეფასებაც მიიღო. რამდენიმე ცალი მან გადაუგზავნა რუსული ლიტერატურის ცნობილ მკვლევარს, მოსკოვის უნივერსიტეტის გამოჩენილ პროფესორს სტეფანე პეტრეს ძე შევირევს (1806—1864), რომელსაც წიგნთან ერთად ასეთი ბარათიც მისწერა: «Милостивый Государь Степан Петрович! Грузинская церковь по одной своей древности уже достойная внимания всех,—осталось до ныне без своей истории. Грузинцы, занятые войной с соседними нехристианскими народами, не имели ни случая, ни времени передать потомству историю ее. Я первый решился представить ее в кратком очерке и всем сведениям о Груз. церкви дать возможный систематический порядок. Почтеннейше представляя. Вам

один экземпляр отпечатанной книги, покорнейше прошу принять его и при разборе удостоить снисходительного вашего взгляда. Во всем поручая и себя и свой первый труд благосклонному вниманию и суду нашего журнала. Остаюсь покорнейшим слугою. Тит. Сов. Платон Иоселиан, состоящий в штате канцелярии Св. Синода. 4 июня 1843 года. С.-Петербург» (იხ. ს. პ. შევრევის არქივი, К - I № 4216).

ამ წერილის თარიღით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ პ. იოსელიანი 1843 წლის ივნისში პეტერბურგს იყო[1].

პლატონ იოსელიანი პირველი ქართველთაგანია, რომელიც 10 წლის განმავლობაში (1845—1855) განუწყვეტლივ რედაქტორობდა რუსულ გაზეთს „Зак. Вестникъ". მისი გამოცემა მან პირველ ხანებში რუსულ-ქართულ, თათრულ (აზერბაიჯანულ) და სომხურ ენებზე დაიწყო. 1845 წ. 4 იანვრიდან კი იგი თბილისში რედაქტორობს გაზეთ „კავკასიისა მხარეთა უწყებანის" გამოცემას. პ. იოსელიანმა წამოიწყო ქართული საერო კალენდარის, გრამატიკისა და სხვა ამგვარი მშობლიური ლიტერატურული წიგნების გამოქვეყნება. ამავე დროს. მან 40-იან წლებში რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო წიგნი თარგმნა რუსულიდან და დაბეჭდა.

პ. იოსელიანის სახელი ცნობილი იყო არა მარტო საქართველოსა და რუსეთის ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც. მეცნიერების დარგში ფართო მასშტაბით მუშაობისა და დიდი დამსახურების გამო, პ. იოსელიანი აირჩიეს ოდესის სიძველეთა და ისტორიის საზოგადოების ნამდვილ წევრად, პეტერბურგის არქეოლოგიურ-ნუმიზმატიკური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის წევრ-კორესპონდენტად, საბერძნეთის (ათენის) სამეფო სიძველეთა საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად და სხვ.

1875 წელს გაზეთი „Кавказ", ე. ერიცოვის სახით,

---

[1] იხ. აგრეთვე, ჟურნალი „ცისკარი", 1868 წ. № 12, გვ. 7. (პ. იოსელიანის წერილი).

პ. იოსელიანის გარდაცვალებას ასეთი სიტყვებით გამოეხმაურა:

«В заключение скажем, что Платон Игнатьевич в настоящем столетии был первый ученый муж из грузин, первый редактор-грузин русского периодического издания на Кавказе. Первый был вознаграждаем в крае монаршими милостями за ученолитературные труды, первый из грузин состоял членом разных ученых обществ, первый из грузин принялся за изучение археологии своей родины».

პ. იოსელიანის მრავალმხრივ, დიდად სასარგებლო მოღვაწეობას ჩრდილიც ახლდა. ის ვერ ურიგდებოდა იმდროინდელი ახალგაზრდობის ახალ, პროგრესულ წამოწყებას და ხშირად მათ წინმსვლელობას უომედო, ეპვის თვალით უყურებდა. მაგალითად, პ. იოსელიანის თანაგრძნობა XIX ს. 20-იან წლების უდიდეს ქართველ მოღვაწე-სოლომონ დოდაშვილისადმი იმით გამოიხატა, რომ აკად. მ. ბროსეს მისწერა: „გაზეთსა 1832 წ. აბეჭდინებდა ს. დოდაევი და უბედურსა ამას მოუხდა ცუდად, რომ თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა და ექუსს თთუზედ აღკრძალეს. თვით იგი წარგზავნეს ვიატკას და მუნ გარდაიცუალა. მეცადინება მისი იყო ფრიად კეთილი, მაგრამ შეაცთინეს სხუათა უთუოდ და დაჰკარგა რვისი ჰატივი".

ამიტომ იყო, რომ პ. იოსელიანის გარდაცვალებას ქართული პერიოდული პრესა მეტად უფერულად გამოეხმაურა. მხოლოდ „დროების" 16 ნოემბრის ნომერში იყო ასეთი სახის ნეკროლოგი: „წუხელი, საღამოს, 15-ს დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ძველი, პატივცემული მოღვაწე ქართული ლიტერატურისა პლატონ ევგრატეს ძე იოსელიანი. იმ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე იმედი გვაქვს, მალე უფრო ვრცელ სტატიას წაიკითხავს მკითხველი ჩვენს გაზეთში". ესაა მთელი ნეკროლოგი. „დროების" რედაქტორმა ს. მესხიმ, მართლაც, თავისი შეპირება შეასრულა და გაზეთის 26 ნოემბრის ნომერში მოათავსა ცოტა უფრო ვრცელი წერილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში ლა-

ჭარაკია არა პ. იოსელიანის განვლილ „ლიტერატურულ მოღვაწეობაზე“, როგორც გვპირდებოდა ს. მესხი, არამედ იმაზე, თუ როდის და როგორი ცერემონიით დაასაფლავეს იგი.

პ. იოსელიანის გვამის დაკრძალვა მომხდარა გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ—18(30) ნოემბერს, „დროების“ რედაქციის მიპატიჟებით, ცხედრის გაცილებას დასწრებია დიდძალი ხალხი. ს. მესხი ასე აგვიწერს ამ ამბავს: „მართალია, ახალთაობისა და პლატონ იოსელიანის რწმუნებათა და აზრებს შუა დიდი სამზღვარია, დიდი განსხვავება... მაგრამ ყველა ამას, ახალგაზრდების თვალში, ერთი ღირსება გამოისყიდის მიცვალებულ პლატონ იოსელიანისა: ერთ დროს ის იყო მოღვაწე ქართული ლიტერატურისა. ახალგაზრდობამ დაივიწყა ყველა, რაც მიცვალებულში არ მოსწონდა, და გაიხსენა მხოლოდ ეს ერთი დამსახურება. ხომ ის ქართული მწერლობის შესამატებლად და გასამდიდრებლად ზრუნავდა. დაივიწყა ყველაფერი, რაც არ გაუკეთებია და გაიხსენა იმის წარსული შრომა, ის, რაც გააკეთა, და მხოლოდ ამისათვის სცა იმას უკანასკნელი პატივი. ქართული ლიტერატურის სიყვარულმა ორი თაობა შეაერთა მიცვალებულის საფლავზე“.

ამ ამონაწერიდან ცხადად ირკვევა, რომ ახალგაზრდობასა და პ. იოსელიანს შორის, ანუ ძველსა და ახალ თაობებს შორის დიდი უკმაყოფილება იყო. ამიტომაც საზოგადოება განცვიფრებულა, რადგან პ. იოსელიანის დასაფლავებისას „გამყოლთ რიცხვში თითქმის ყველა წარმომადგენელი ჩვენის ახლოს თაობისა ერიენ“.

ძველსა და ახალ, თერგდალეულთა, თაობებს შორის დიდ ხანს იყო ხიდი ჩატეხილი, მაგრამ მისი გამართელება 1875 წ. არ მომხდარა, როგორც ამის შესახებ აღნიშნავდა ს. მესხი; ეს უფრო ადრე მოხდა. პ. იოსელიანმა ადრევე აუღო ალღო იმ ბრძოლის უნიადაგობას, რომელიც წარმოებდა ახალი თაობის ლიტერატურული ენის წინააღმდეგ. ამიტომაც მან ჯერ კიდევ 40—50-იან წლებში, განსაკუთრებით კი 1850 წელს გიორგი ერისთავის „გაყრის“ წინასიტყვაობაში, ბოდიშის მოხდით გაანაცხადა: „მაგრამ მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხვათა, არა იყო ჩვეულებითის საუბარის ენითა. რო-

მელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთოვმან დაბადა ენა ქართული ახალისა გუარისა მწერლობისათვის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთვე მიიღო ღირსება, რომლისთვისცა ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლავტსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხუათა. მაქუს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგან ახლისა გუარისა მწერლობისა მოწონებასა, არ ვინ მიიღებს პირმოთნეობით თქმულად და თვითეული კეთილგამზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხუანიცა' ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა".

ვფიქრობთ, პლატონ იოსელიანის ეს სიტყვები კომენტარებს აღარ მოითხოვს იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა მისი შეხედულება მომავალი ქართული მწერლობის პროგრესული მიმართულების სასარგებლოდ.

ლ. ა.—დ. და მისი მივიწყებული წერილი შოთა რუსთაველზე

ქართული პერიოდიკის ისტორიაში გაზეთ „ტფილისის უწყებანს“ ქრონოლოგიურად მეორე ადგილი უჭირავს „ქართული გაზეთის“ („საქართველოს გაზეთი“, 1819—1822 წწ.) შემდეგ. იგი „Тиф. вед.“-ის პარალელურად გამოდიოდა თბილისში 1828 წლის 4 ივლისიდან 1832 წლამდე.

1829 წლის 21 იანვარს „ტფილისის უწყებანის“ მესამე ნომერში (გვ. 2—3) გამოქვეყნდა ფრიად საყურადღებო წერილი შოთა რუსთაველის შესახებ სათაურით „რაიმე რუსთაველისათჳს“, რომელიც XIX საუკუნეში პირველ ბეჭდით თხზულებად უნდა ჩაითვალოს დიდ ქართველ პოეტზე. ამას თვით წერილის ავტორი „ლ. ა.—დ.“-ც აღნიშნავს: „ვმწუსაეობ რომელ მე პირველსა მსურს თქმად მისთვის, ვინაიდგან არავის აქამომდე მოუცია ჩვენთვის სრულიადი შემეცნებაი ცხოვრებისათვის დიდისა ამის კაცისა, რომელსაცა უდიდებიეს მამული თვისი და ბრძენი მეფა მისი ვრცელითა ჳონებითა პოეტიკებრითა ტალანტითა და მოგვებრითა კალმითა თვისითა“. ავტორი შოთა რუსთაველს უწოდებს ქართველ ჰომეროსს და მწუხარებით აღნიშნავს, რომ „ღმერი ჩვენი არავინ უწყის და ჩვენ არა თუ ოდენ ვამპარტავნობთ მით, არამედ არ ვუწყით არსებობისათვის მისისაო“. ამის გამო თვითონ პირველი ჰკიდებს კალამს ხელს, ხოტბას ასხამს შოთა რუსთაველის შემოქმედებას და დაწვრილებით გადმოგვცემს მის ბიოგრაფიულ ცნობებს. თანახმად „ლ. ა.—დ“-ს სიტყვებისა, შოთა რუსთაველი „დაიბადა 1229-სა წელსა. მშობელთაგან საშუალოისა მდგომარეობისათა, ხოლო 1251 წლითგან, ვითარცა იხილების ისტორიისაგან თამარისა, იწყო მან მსახურება მამულისა... მან (თამარმა, — ა. ა.) წარგზავნა ჰაბუკნი

კაცნი აზნაურის გვარისაგანნი სასწავლებლად ათინასა შინა და მათ შორის იყო რუსთაველიცა".

ჩვენ არ შევუდგებით აქ იმის განხილვას რამდენად სწორად და მართებულად გადმოგვცემს ავტორი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს, მაგრამ თუ მის მიერ აღნიშნულ წლებს ანაქრონიზმებად არ მივიჩნევთ. მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ „ლ. ა.—დ"-ს „ქართლის ცხოვრების" ანდა „თამარის ისტორიის" დღემდის უცნობი ვარიანტით უსარგებლებია. გიორგი მაჩაბლისეულ დედანში, რომელიც 1736 წლითაა დათარიღებული, მე-400-ე გვერდზე ვახტანგ VI-ს ხელით აღნიშნულია: „ორი ქართლის ცხოვრება მქონდა, ამ ერთში თამარ მეფის ცხოვრება სხვარიგად ეწერა, ამ მეორის — სხვა რიგადაო" („ხელნაწერთა აღწერილობა", ტომი V, თბ., 1949, გვ. 98, № 2135).

აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეული „ტფილისის უწყებანის" 35 ნომერში მოთავსებული მასალებიდან ეს ერთად-ერთი წერილია, რომელიც წმინდა ლიტერატურულ თემაზე გამოქვეყნდა ადრინდელ ქართულ პრესაში.

მთლიანი ტექსტი წერილისა „რაიმე რუსთაველისათვის" 1955 წ. გამოქვეყნდა „ლიტერატურული ძიებანის" IX-ე ტომში, ხოლო, რაც შეეხება ჩვენს კომენტარებს „ლ. ა.—დ."-ის შესახებ და პოლემიკას ა. გაჩეჩილაძესთან. სამწუხაროდ, დაუბეჭდავი დარჩა, თუმცა ტექსტთან ერთად უნდა გამოქვეყნებულიყო ამავე ტომში.

ვინ არის ლ. ა.—დ., ავტორი წერილისა „რაიმე რუსთაველისათვის"?, როგორც თვით „ტფილისის უწყებანის" რედაქცია შენიშნავს სტატია ჯერ რუსულად დაუწერია ერთ მოსწავლე ქართველ ახალგაზრდას. შემდეგ კი ქართულად უთარგმნიათ.

1827-1829 წლების რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ჩვენ ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ამ წერილის მსგავსი ჯერჯერობით ვერაფერი ვიპოვეთ. შესაძლოა სტატია მართლაც რუსულ ენაზე იყო დაწერილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მისი დაბეჭდვა არ მოხერხდა. ცნობილია, რომ გაზეთ „ტფილისის უწყებანში" გამოქვეყნებული მასალა ჯერ რუსულად იწერებოდა ცენზურისა და „Тиф. Вед."-სათვის, შემდეგ კი

თუ მიზანშეწონილად ჩასთვლიდნენ მის გამოქვეყნებას, ითარგმნებოდა „ტფილისის უწყებანში“.

„ლ. ა.—დ.“-ს ვინაობაზე შემდეგი უნდა ითქვას: ეს იყო სოლომონ დოდაშვილის ერთი საუკეთესო მოწაფეთანი **ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვი,** იგი 1828-1829 წწ. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის VI კლასში ირიცხებოდა. სოლომონ დოდაშვილი კი 1827 წლის ივლისის თვის შუა რიცხვებიდან 1832 წლის 11 დეკემბრამდე უფროს მასწავლებლად ითვლებოდა აქ და ასწავლიდა ქართულ სიტყვიერებას, გეოგრაფიასა და სხვა საგნებს. ამ, დღემდის მიუწყებულ, პირველ რუსთველოლოგზე ასეთ ცნობას იძლევა 1829 წლის „Тиф. Вед.“-ის ივნისის № 24-ში მოთავსებული „შინაგანი ცნობები“: „თბილისი, 13 ივნისი, წარსული კვირის ხუთშაბათს (6 ივნისს) თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში საჯარო გამოცდები მიმდინარეობდა. აი, მოწაფეები, რომელთაც უმეტესად გამოიჩინეს თავი კარგი ყოფაქცევით. ბეჯითობითა და სწავლაში (მეცნიერებაში) წარმატებით და პირველი ჯილდოები მიიღეს; უფროს კლასებში. VI-ში: 1. **თავადი ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვი,** 2. თავადი ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკი და 3. იაკობ ვაშკევიჩი; V-ში: 1. თავადი დავით მაჩაბელი და 2. თავადი სოლომონ ანდრონიკაშვილი (1812-1871); IV-ში: თავადი დიმიტრი აფხაზი და 2. თავადი რევაზ მაკაევი (მაყაშვილი); დაწყებითი კლასებში: III-ში: 1. თავადი ბეგლარ მაკაევი (მაყაშვილი). 2. თავადი ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანსკი, 3. ლავრენტი რეშიტინი და 4. ლუკა ისარლოვი; II-ში: 1. თავადი ირაკლი ციციანოვი, 2. აბელ კარგანოვი, 3. იოსებ ისარლოვი, 4. ფადეი ელიოსოვი, 5. ამირ-ხან-აღა ელისუისკი, 6. ასლან აგალაროვი. 7. თავადი სოლომონ ერისთავი და 8. თავადი ზაქარია ბარათოვი; I-ლ კლასში: 1. ისრაფილ ედიგაროვი. 2. ბეჟან ბეჟანოვი, 3. გიორგი კოსტენკო, 4. დავით სულხანოვი. 5. თავადი მიხაილ მაჩაბელი, 6. ალექსანდრე შაგუბატოვი და 7. მიხაილ ბებუთოვი“.

ციტატი სრულადაა ამოწერილი, რადგან იგი მრავალმხრივ არის საინტერესო. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილი დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი, სოლომონ ივანეს ძე ანდრო-

ნიკაშვილი და ზოგიერთი სხვა პირი ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვის გვერდით იხსენიებიან. მათი წლოვანება კი ნაწილობრივ დაგვეხმარება დავაზუსტოთ ერთი საკითხი, კერძოდ, ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვის დაბადების თარიღი. მაგრამ სანამ რაიმეს ვიტყოდეთ ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვის ავტორობის საკითხზე, საჭიროა გავარკვიოთ რამდენი წლისა იყო ლუარსაბი და ვინ დაეხმარა, ეს თემა რომ აირჩია და დაწერა?

ლ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ბიოგრაფიისა ჯერჯერობით არა ვიცით რა. ზემოხსენებული ციტატის გარდა არსებობს კიდევ რამდენიმე ძუნწი ცნობა, რომელთაც გვაწვდის 1852, 1853, 1855 და 1856 წლების „კავკასიური კალენდრის“ გამოცემები (გვერდები შესაბამისად 111, 594, 619. 522).აი , ისინიც: თავადი ლუარსაბ პავლეს ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი 1851-1854 წწ. ელისავეტოპოლის ოლქის (გუბერნიის) მდივანი იყო, ხოლო 1854-1856 წწ. კი — დუშეთის ოლქისა. ლუარსაბის უფროსი ძმა, მიხეილი 1845-1848 წლებში თბილისის მაზრის (უეზდის) თავადაზნაურთა წინამძღოლი-მარშალი იყო, ხოლო მათი მამა, ე. წ. შტაბს-კაპიტანი, თავადი პავლე ფარსადანის ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი 1846-1852 წლებში შემახის გუბერნიისა და მ. ფ. ახუნდოვის მშობლიურ ქალაქ ნუხაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობას ასრულებდა. რაც შეეხება თვით სახელებს — ფარსადანი, პავლე, მიხეილი, ლუარსაბი, — ისინი ჩვენს ხალხში გავრცელებული საკუთარი სახელებია და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს..

. 1829 წლის ივნისის ბოლო რიცხვებისათვის ლუარსაბი 17-18 წლის უნდა ყოფილიყო, ყოველშემთხვევაში არა ნაკლებ 16 წლისა, რადგანაც იმ დროისათვის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მისაღებ მოსწავლეთა წლოვანება 10-12 წლის ასაკით შემოისაზღვრებოდა. ამრიგად, ლუარსაბი დაბადებული უნდა იყოს 1811-1812 წლებს შორის. აქ ჩვენ კიდევ ერთი ასეთი გარემოება გვეხმარება: მისი სკოლის ამხანაგები სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი და დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი, რომლებიც ერთი კურსით უკან იყვნენ, დაბადებულები არიან 1812 წელს,

ხოლო ლუარსაბის სკოლის მეგობარი და ორი კურსით უკან მოსწავლე დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი — 1814 წელს. აქედან გამომდინარე თუ ვიგულისხმებთ, რომ ლუარსაბი დაიბადა 1811-1812 წწ. შუა რიცხვებში, მაშინ გამოდის, რომ 1829 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში იგი ყოფილა 17-18 წლის მომწიფებული ახალგაზრდა, რომელსაც, მართლაც, შეეძლო ფრიად მნიშვნელოვანი სტატია დაეწერა, მით უმეტეს თუ აქვე გავიხსენებთ, რომ ლუარსაბს სტატიის წერის დროს ხელმძღვანელობდნენ ისეთი ცნობილი პირები, როგორიც იყვნენ იმავე სკოლის მასწავლებლები სოლომონ დოდაშვილი და ისტორიის მასწავლებელი ივანეს ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომლის შესახებაც დიმიტრი ყიფიანი თავის მოგონებაში წერს: „თავადი ივ. ზაქ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ისტორიას ასწავლიდა და პატივცემული იყო ყველასთვის“ (დიმ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1930, გვ. 8). შესაძლოა ივანე არღუთინსკი-დოლგორუკოვი ლუარსაბის ბიძა ან ახლო ნათესავიც იყო და ამდენად მისი დახმარება წერილის ისტორიულ ნაწილში უდავოც არის. უფრო შესამჩნევია სოლომონ დოდაშვილის აშკარა როლი, რაც განსაკუთრებით ითქმის წერილის სტილზე; თუმცა სოლ. დოდაშვილი თვითონაც გვიდასტურებს თავის მონაწილეობას სტატიის დაწერასა და მის ქართულად გადმოთარგმნა-დაბეჭდვის საქმეში. სარედაქციო შენიშვნაში, რომელიც რედაქტორის ე. ი. ს. დოდაშვილის კალამს ეკუთვნის, ეკითხულობთ: „მუხლი ესე დაწერილ არს როსიულსა ენასა ზედა ერთისა ახალგაზრდა კაცისა მიერ, რომელიცა ჯერეთ ჰსდგას ზღრუბლსა ზედა სწავლისა და ქვეყანისასა მას ზედა იყო მოქმედება მასწავლებლისა და **განვახალისე** მე, რათა სთარგმნოს მუხლი ესე ბუნებითსა ენასაცა ზედა მისსა, რომელიცა **გარემოვზღუდე** გამოსაძიებელთა მხედველობათაგან საზოგადოობისათა; **შევრთავ** მუხლსა ამას...“ და სხვა. **„განვახალისე მე“, „გარემოვზღუდე“, „შევრთავ მუხლსა ამას“** და წერილში ნახმარი მრავალი სხვა სიტყვა ცხადად მიუთითებს სოლ. დოდაშვილის უშუალო მონაწილეობას წერილის შექმნასა და გამოქვეყნებაში.

ს. დოდაშვილი-რედაქტორი ისე ზრუნავდა მშობლიური

კულტურის აყვავებისათვის, როგორც ეს ნამდვილად შეეფერება სახელოვან მამულიშვილსა და მოღვაწეს. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი ქართველი ინტელიგენტი შემოეკრიბა თავის ირგვლივ და ამით ხანგრძლივი არსებობა შეენახჩუნებინა ქართული პერიოდული პრესისათვის.

სოლომონ დოდაშვილი სკოლაში და სკოლის გარეთაც სხვადასხვა ლიტერატურულ წრეებს აარსებს, მათში თავს უყრის იმ დროის მოწინავე და მოსწავლე ახალგაზრდობას. „ტფილისის უწყებანისა“ და მისი ლიტერატურული დამატების რედაქციაში სულ ახალ-ახალ კორესპონდენტებს ეპატიჟება. თვითონ პირადად წერს ისტორიულ, ლიტერატურულ და ფილოსოფიური შინაარსის წიგნებსა და სტატიებს. რაც მთავარია, სხვებსაც, უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერ ახალგაზრდებსაც აწერინებს ასეთი ხასიათის თხზულებებს.

სწორედ ამის მაგალითია ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვის სტატიაც „რაიმე რუსთაველისათვის“. ს. დოდაშვილმა პირველმა ააღებინა კალამი ხელში თავის მოწაფეებს ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვს, დავით მაჩაბელს და სხვებს. 1832 წლის „სალიტ. ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ № 4-ში მან გამოაქვეყნა დ. მაჩაბლის ლექსი „თოვლი“ „ტფ... ღიმ. მოწ. დ.—მა...“-ს ხელმოწერით, რაც ნიშნავს „ტფილისის ღიმნაზიის მოწაფე დავით მაჩაბელს“. დ. მაჩაბელმა ამის შემდეგ რამდენიმე ლექსი მოათავსა ჟურნალ „ცისკარშიაც“. სხვათა შორის, დავით მაჩაბელს, როგორც ნიჭიერ მოწაფეს, ს. დოდაშვილი ხშირად იხსენიებს 1832 წლის შეთქმულების საბუთებში. ეტყობა იგი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე.

იმდროისათვის არ იყო თიდქმის არცერთი ისეთი კულტურული უბანი, სადაც ს. დოდაშვილს თავისი ჩირაღდნით უფრო მეტი შუქი არ მოეფინოს. განა ს. დოდაშვილის მიერ არ არის ჩაგონებული წერილის ავტორის „ლ. ა.—დ.“-ის სიტყვები — „რაიცა შეეხების საკუთრად ენასა, რუსთაველმან სძლივა უჩვეველთა სიძნელეთა, ვითარცა რუსეთის ლომონოვოსმან, იგი თანმდები იყო, რათა მოეცა თვით სახენი,

ბშირად შეადრგინა ლექსნი და შემოეტანა ცვალებანი, რომლისა დრომდეცა ენასა შინა მისსა არა საცნაურ იყვნენ, ვარდა ძალ უძსთ, რათა ჰმსახურონ წყაროდ წმინდათა კანონთა, ბუნებისაგან ენისა და ძალისაგან ნიჭისა წარმოებულთა".

წერილს „რაიმე რუსთაველისათვის" ახლავს შენიშვნა, რომლის უკანასკნელ სტრიქონებში ს. დოდაშვილი აღნიშნავდა: „შევრთამ მუხლსა ამას განხალისებისათვის მისისა და კმაყოფილებისათვის მემამულეთა. სასურველ არს, რათა სხვანიცა შეუდგნენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა შინა თვისთა სანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის მამულისა და ბედნიერებისათვის თავისა თვისისა რომელთაც შრომანი დაშთებიან უკვდავად შთამოებისათვის".

მართლაც, ბევრმა ახალგაზრდამ „აღანთო... თვისთა სანთელი მეცნიერებისა" და მომავალში გამოაქვეყნა კიდეც თავისი შემოქმედების ნიმუშები ჟურნალის შემდეგ ნომრებში („სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", 1832 წ., №№ 1—5).

„ლ. ა.—დ."-ს წერილი „რაიმე რუსთაველისათვის", ჩვენი აზრით, ქართულმა პერიოდულმა პრესამ 1829 წელს სპეციალურად უძღვნა რუსთაველის დაბადების 600 წლისთავის იუბილეს. იგი პირველი გაბედული თქმა იყო საქართველოს მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის ერთი ნაწილისა, მთლიანად კი ქართველ ხალხს მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა ნამდვილი საერთო-სახალხო, ნამდვილი ეროვნული ზეიმით აღენიშნა თავისი სახელმოხვეჭილი შვილის ღირსეული იუბილე.

* * *

1950 წლის „ლიტერატურული ძიებანის" VI ტომში მოთავსებულია ამბერკი გაჩეჩილაძის სტატია „ქართული რეალიზმის ისტორიისათვის", რომელშიც ავტორი დაწვრილებით იხილავს ლ. არდაზიანის ლიტერატურულ და საზოგა-

დოებრივ მოღვაწეობას, იძლევა მის ახალ ბიოგრაფიულ ცნობებს, ადგენს მწერლის დაბადების სრულიად ახალ თარიღს. მისი აზრით, ლ. არდაზიანი დაიბადა 1815 წელს და არა 1818 წელს, როგორც ეს დღემდის იყო ცნობილი. ჩვენ აქ ა. გაჩეჩილაძის ნაშრომის დაწვრილებით განხილვას არ შევუდგებით, გადავალთ პირდაპირ 155-ე გვერდზე მოყვანილ შენიშვნაზე, სადაც იგი წერს: „ლავრენტი არდაზიანი სამწერლო ასპარეზზე მოწაფეობისას უნდა გამოსულიყო. ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: ჩემი ფიქრით, ლ. არდაზიანს ეკუთვნის 1829 წლის „ტფილისის უწყებანის“ № 3 მოთავსებული წერილი რუსთაველზე, სათაურით რაიმე რუსთაველისათვის“, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „ლ. ა.—დ.“. როგორც ჩანს, რედაქციას აღუნიშნავს სახელის პირველი ასო და გვარის პირველი და მესამე ასო. გვარის ასეთ ფორმაში აღნიშვნა, რომ დამახასიათებელი იყო „ტფილისის უწყებათაგანისათვის“, ეს ჩანს სხვა ხელმოწერებიდანაც; მაგალითად აქვე ვხვდებით ასეთ ინიციალებს „ნ. მ.—ვ“, „ს. პჩ“. და სხვა ასეთებს. ლ. არდაზიანი ამ წერილის დაწერისას მიახლოებით 15—16 წლისა უნდა ყოფილიყო; იგი სწავლობდა სასულიერო სემინარიის სამაზრო სასწავლებელში“.

ა. გაჩეჩილაძე შემდეგ განაგრძობს: „აღნიშნული წერილის — „რაიმე რუსთაველისათვის“ შინაარსი გამოაქვეყნა ა. აბრამიშვილმა („ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. აბრამიშვილს ინიციალები „ლ. ა.—დ.“ სწორად არა აქვს გაგებული, როდესაც იგი ცდილობს მასში ს. დოდაშვილი ამოიკითხოს“. აქ ა. გაჩეჩილაძე მართალია და არც დავუწყებთ დავას; ოღონდ ამას კი გავახსენებთ, თუ რას ვწერდით 1948 წელს „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ 246-ე გვერდზე, რომელზედაც იგი მიუთითებს. ჩვენ იქ ნათქვამი გვაქვს: „ჩემი ყურადღება მიიქცია შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი წერილის ავტორმა (ლ. ა.—დ.), რომლის ინიციალების გახსნაც მე ვერასგზით ვერ მოვახერხე“. იქვე ზემოთქმულ სიტყვების შესატყვისად სქოლიოში დავძენდით, რომ „ენა ძლიერ ჩამოგავს დოდაშვილისას და საფიქრებელია მის კალამს ეკუთვნოდეს“. ბევრი კვლევა-

ძიების შედეგად ამოვხსენით ინიციალები „ლ. ა.—დ“. ეს ა. გაჩეჩილაძემაც კარგად იცოდა ჯერ კიდევ 1949 წლიდან. ავტორები ს. ხუციშვილი, ჯ. ჭუმბურიძე და მ. ბერძენიშვილი უთუოდ მართალნი არიან, როდესაც, ჩვენი დამოწმებით, „ლ. ა.—დ.“-ის ინიციალებს ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვს მიაწერენ, ხოლო ა. გაჩეჩილაძე კი ნამდვილად ცდება და ისიც სამჯერ (პირველად 1950 წ.,—„ლიტ. ძიებანი“, ტ. VI, მეორედ 1952 წ., — „ნარკვევები“, და მესამედ 1962 წ., — „ლიტ. გაზეთი“, № 45), როდესაც „ლ. ა.—დ.“ ლავრენტი არდაზიანად მიაჩნია და თანაც ფაქტობრივი მასალის მოუშველებლად დიდი დაჟინებით იცავს ამ აზრს.

განვიხილოთ არსებითად ა. გაჩეჩილაძის მსჯელობა. ვთქვათ, რომ ა. გაჩეჩილაძის აზრით, „ლ. არდაზიანის დაბადების თარიღად 1818 წლის მიჩნევა არაა სწორი“ და, მისი დასკვნით, „ლავრენტი არდაზიანი 1815 წელს უნდა იყოს დაბადებული“. თუ ავტორს დავუჯერებთ და ლ. არდაზიანის დაბადების თარიღად 1815 წლის შუა რიცხვებს მივიღებთ, „რაიმე რუსთაველისათვის“ დაწერის თარიღად კი — 1828 წლის შუა ანუ ბოლო თვეებს, მაშინ გამოვა, რომ ამ სტატიის დაწერის დროს ლავრენტი არდაზიანი მხოლოდ 13 წლის ყოფილა და არა „15-16 წლისა“, როგორც ამბობს ა. გაჩეჩილაძე. საჭიროა კვლავ გავიხსენოთ, რომ წერილი მასწავლებლის შეკვეთითა და ხელმძღვანელობით იყო დაწერილი ახალგაზრდა მოსწავლის მიერ ჯერ რუსულ ენაზე. შემდეგ კი ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდა 1829 წლის 21 იანვარს. მაშასადამე სანამ „ლ. ა.—დ.“ გამოაქვეყნებდა ამ წერილს, მან მიიღო მასწავლებ-რედაქტორის სპეციალური შეკვეთა, დაწერა იგი მასწავლებლის „ზემოქმედებით“ რუსულ ენაზე. შემდეგ კი, სანამ მას „განახალისებდა“ რედაქტორი, რათა ეთარგმნა „მუხლი ესე ბუნებითსა ენასაცა ზედა მისსა“, გაივლიდა სამი-ოთხი თვე, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წერილი დაიწერა 1828 წლის მეორე ნახევარში.

ნათქვამიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: წერილი „რაიმე რუსთაველისათვის“ შეუძლებელია ლავრენტი

არდაზიანის კალამს ეკუთვნოდეს: პირველი, რაკი წერილი 1829 წლის იანვრის 21 „ტფილისის უწყებანის" მესამე ნომერში დაიბეჭდა, იგი დაწერილი უნდა ყოფილიყო 1828 წლის შუა თვეებში, ყოველშემთხვევაში არა უგვიანეს იმავე წლის ბოლო ხანებისა. ხოლო ამ დროს ლ. არდაზიანი 13 წლისა იყო. 13 წლის ბავშვი კი ასეთ მნიშვნელოვან სტატიას ვერ დაწერდა. მეორე, წერილი „რაიმე რუსთაველისათვის" მიეძღვნა რუსთაველის დაბადების 600 წლისთავის იუბილეს, ამიტომ მისი ავტორი გონებრივად და ფიზიკურად მომწიფებული პირი იქნებოდა. ასეთი იუბილის აღნიშვნას 5-6 დღეში არ მოიფიქრებდნენ, მას უთუოდ უსწრებდა წინ რამდენიმე ხნის წინასწარი მომზადება და ავტორსაც შეკვეთას ადრევე მისცემდნენ; მესამე, ა. გაჩეჩილაძე აღნიშნავს ლ. არდაზიანი სასულიერო სემინარიის სამაზრო სასწავლებელში სწავლობდა და არა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელშიო, ეს უკანასკნელი მთავრობის დადგენილებით 1829 წლის 2 აგვისტოს გიმნაზიად გადაკეთდა (იხ. „Тиф. Вед.", 1830, № 47), სადაც 1827-1832 წწ., როგორც უკვე ითქვა, ს. დოდაშვილი ასწავლიდა ქართულ სიტყვიერებასა და გეოგრაფიას. „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის" მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი როგორ გაუწევდა „ზედამოქმედებას... მასწავლებლობისას" და „განახალისებდა" ლ. არდაზიანის სტატიას, როდესაც ეს უკანასკნელი 1829 წლიდან სწავლობდა სასულიერო სემინარიის სამაზრო სასწავლებელში, ხოლო უფრო ადრე 1823-1828 წლებში კი — თბილისის სასულიერო სემინარიის სამრევლო სკოლაში. მეოთხე, განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლ. არდაზიანი სამწერლო ასპარეზზე 1828 წელს გამოვიდა, შემდეგ კი 30 წელი უმიზეზოდ მიატოვა საყვარელი დარგი და მხოლოდ 1857 წელს დაუბრუნდა მას? რა თქმა უნდა, არა. მეხუთე, როგორ შეიძლება „ლ. ა.—დ."-ის შედარება ისეთი ინიციალებისათვის, როგორიც არის „ნ. მ.—ვ" და „ს. ჰ." ანუ „ლ. ა.—დ."-ს ამგვარი ამოხსნა, ვითომც აქ გვაქვს „სახელის პირველი ასო და გვარის პირველი და მესამე ასო"? მაშინ ისმება კითხვა — ა ასოს შემდეგ დეფისის გარდა წერტილი რომ არის დას-

მული, რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? განა ეს წერტილი ყურადღების ღირსი არ არის? უეჭველია, რომ ინიციალებში „ა.—დ.“ ორმაგი გვარია მოცემული. მსგავსი ორმაგი გვარის მატარებლები კი იმ დროს იყვნენ „არღუთინსკი-დოლგორუკოვები“. ჩვენი ხანგრძლივი ძიების შედეგად დასტურდება, რომ ინიციალებში „ლ. ა.—დ.“ ნამდვილად იგულისხმება ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვი“, რომელიც სოლ. დოდაშვილის ერთი პირველი საუკეთესო მოწაფეთაგანი იყო და რომელმაც 1829 წ. VI კლასის წარჩინებით დამთავრებისათვის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ადმინისტრაციის ძვირფასი ჯილდოც დაიმსახურა. ბოლოს, **მეექვსე**, გაკვირვებას იწვევს ა. გაჩეჩილაძის ასეთი მსჯელობაც: ლ. არდაზიანი **15 წელი** (1823-1837 წწ.) სწავლობდა თბილისის სამი სახის სასწავლებელშიო. ესენია **სამრევლო სკოლა** (1823 წ.), **სამაზრო სასწავლებელი** (1829 წ.) და **სასულიერო სემინარია** (1831-1837 წწ., იქვე, გვ. 148-149). თუ ლავრენტი არდაზიანმა სწავლა დაიწყო სამრევლო სკოლაში 1823 წელს, 1837 წ. კი თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრა, როგორც აღნიშნავს ა. გაჩეჩილაძე, მაშინ, მართლაც სრული 15 აკადემიური სასწავლო წელი იგულისხმება. მაგრამ უნდა გავახსენოთ პატივცემულ ავტორს, რომ სამაზრო სასწავლებლისა და სამრევლო სკოლის სასწავლო წელთა ხანგრძლივობა ორ-ორი წლით შემოისაზღვრებოდა, ხოლო სასულიერო სემინარია კი ექვსწლიანი იყო, ასე რომ, უბრალო არითმეტიკული გამოანგარიშებით, სამივე სასწავლებლის მთლიანი კურსის თანმიმდევრობით დამთავრებისათვის საკმარისი გახლდათ ათი და არა 15 წელი. როგორც ვიცით, ლ. არდაზიანს უმაღლესი განათლება არ მიუღია, 15 წლის სწავლა კი უმაღლეს განათლებას აძლევდა ადამიანს. ლ. არდაზიანს 10 წელზე მეტი არ უსწავლია. სწავლის კურსი საბოლოოდ დაამთავრა 1837 წელს, სტატია „რაიმე რუსთაველისათვის“ კი დაიწერა 1828 წლის ბოლო თვეებში, ე. ი. ლ. არდაზიანის მიერ სრული კურსის მიღებამდის მთელი ცხრა წლით ადრე, როცა იგი პირველი ან მეორე კლასის მოწაფე იქნებოდა, ამდენადაც მისი ავტორობა

გამორიცხულია. მოგვიანო ნაშრომში ა. გაჩეჩილაძე გვეუბნება, რომ „ლ. არდაზიანი ამ წერილის დაწერისას (იგულისხმება „რაიმე რუსთაველისათვის", ა. ა.) მიახლოებით 15-16 წლის უნდა ყოფილიყო" („ნარკვევები", თბ., 1952, გვ. 184) აქედან კი გამოდის: ლ. არდაზიანი დაბადებულა არა 1815 წელს, როგორც ამას თვით ა. გაჩეჩილაძე ადგენს, არამედ 1812 ან 1813 წელს (1828—15—16=1813—1812). სპეციალურ საკითხზე ასეთი ულოგიკო მსჯელობა ა. გაჩეჩილაძის სასარგებლოდ როდი ლაპარაკობს, ასე რომ იგი მოვალეა ამჯერად მეოთხედ, დაუბრუნდეს აღნიშნულ თემას და თანმიმდევრობით დააზუსტოს ლ. არდაზიანის ბიოგრაფიული მონაცემები. მაშინ კი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მისი ვარაუდი საბუთებით არ მტკიცდება.

რა მეცნიერული ახსნაა, რასაც ა. გაჩეჩილაძე გვთავაზობს: „ჩვენ ჩავიხედეთ ისტორიულ წყაროებში, რუსულ ლექსიკონში „კავკასიელი მოღვაწენი", რომელშიაც მაშინდელი საზოგადო მოღვაწეების მოკლე ბიოგრაფიული ცნობებია გადმოცემული; აქ მართლაც არიან დასახელებული არღუთინსკი-დოლგორუკები, მაგრამ ლუარსაბი არსად ჩანს, ასეთ პიროვნებას ამიერკავკასიის ისტორია არ იცნობს" (იხ. „ლიტ. გაზეთი", 1962 წ., № 45). ჯერ ერთი, განა შეიძლება 85 გვერდიან წიგნაკს ჰქონდეს ის პრეტენზია, რომელსაც ენციკლოპედიებსაც კი ვერ წარვუდგენთ? როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რაკი მის ფურცლებზე ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვი არ არის მოხსენებული, ასეთი პიროვნება სულაც არ ყოფილაო. მაშინ არც ისინი ყოფილან საერთოდ ამ ქვეყნად ვინც „კავკასიის მოღვაწეთა ლექსიკონში" (თბ., 1890 წ.) არ არის მოხსენებული და ვისაც ა. გაჩეჩილაძე არ იცნობს. ასეთი პიროვნება ნამდვილად არსებობდა, მისი გვარი მომდინარეობს თამარ მეფის დროს ცნობილი ზაქარია და ივანე მხარგრძელებიდან და ქართულ დამწერლობაში იხსენიება არღუთინსკი-დოლგორუკებად ან არღუთაშვილ-მხარგრძელებად. ეს გვარი მე-12 საუკუნიდან ისე შეუსისხლხორცდა ქართული ეროვნების ტრადიციას, რომ მათი სხვა ეროვნებისათვის მიკუთვნება უკვე აღარ შეიძლება. მით

უფრო, რომ ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვს თავის თავი ქართველად მიაჩნია და ამას ს. დოდაშვილიც არა ერთხელ ადასტურებს.

რაც შეეხება ჩვენს ნაადრევად გამოთქმულ აზრს და ისიც შენიშვნაში — „ენა .ძლიერ ჩამოგავს დოდაშვილისას და საფიქრებელია მის კალამს ეკუთვნოდეს“, ამას მხოლოდ იმ მიზნით ვაღიარებდით, რომ ვინც არ უნდა ყოფილიყო წერილის ავტორი. მისი რედაქცია, ენისა და სტილის გამართვა მთლიანად ს. დოდაშვილს ეკუთვნოდა. ჩვენ ახლაც ამ აზრისა ვართ.

კულტურის მოღვაწეთა ფსევდონიმების საუნჯე

1924-25 წწ. თბილისის საბჭოს აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების სექციის ინიციატივით შეუდგენიათ ჩვენი ქალაქის მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა (სულ 290 კაცის) პირადი ანკეტების სტატისტიკური კრებული. ეს 290 მრავალკითხვიანი ვრცელი ანკეტა უამრავ საინტერესო მასალას შეიცავს იმჟამად თბილისში მცხოვრებ ქართველ, რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ. ოს, თურქ, აფხაზ. ქურთ და სხვა ეროვნების მწერალთა, მეცნიერთა, ჟურნალისტთა, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა ცხოვრება-მოღვაწეობაზე. ყველა მათგანი, რა თქმა უნდა, პერსონალურ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ და მხოლოდ იმ ფსევდონიმებზე, რომლებიც თვითონ ავტორებმა შეიტანეს საკუთარი ხელით პირად ანკეტებში.

ბევრი მოღვაწე რამდენიმე ფსევდონიმს ასახელებს და ძერე დასძენს „და მრავალი სხვაო" (ი. აღლაძე, ს. ამაღლობელი, მ. ბოჭორიშვილი, ს. გორგაძე, ი. იმედაშვილი, ფ. მახარაძე, ლევან მეტრეველი, ნ. ქურიძე, აპ. წულაძე, ზ. ჭიჭინაძე და კიდევ სხვანი). ი. გრიშაშვილი ორი-სამი ფსევდონიმის შემდეგ აღნიშნავს „და სხვა 20-მდეო". შალვა დადიანი და უმრავლესობა საერთოდ არ მიუთითებენ რაიმეს.

ფსევდონიმების ჩამოწერაში დიდ სიძუნწეს იჩენენ ი. გრიშაშვილი, აპ. წულაძე, მიხ. ჯავახიშვილი, ნიკ. კურდღელაშვილი, ი. აგლაძე, ივ. გომართელი და სხვანი, მაშინ როდესაც, ჩვენი დადგენით, ბევრი მათგანი 20-დან 40-მდე სხვადასხვა სახის ფსევდონიმს, კრიპტონიმსა და ინიციალებს ხმარობდა. იოსებ გრიშაშვილს ქართულ პერიოდულ პრესაში

50-მდე ფსევდონიმი აქვს ნახმარი. იოსებ იმედაშვილმაც, რომელმაც სხვებთან შედარებით უფრო მეტი გულუხვობა გამოიჩინა, ჩამოთვალა მისი ფსევდონიმების მხოლოდ ერთი მეათედი. ერთი სიტყვით, 290 პირიდან 188 კალმოსანი სულ არ ასახელებს თავის ფსევდონიმს, თუმცა ზოგიერთ მათგანს ასეთები ბლომად ჰქონდა.

ამრიგად, 102 პირად ანკეტაში სულ 233 ფსევდონიმია დაცული და პერსონალურად მათი მატარებელნი იყვნენ შემდეგი პირები: 1. აბაშიძე მემედ ბეგ — სამკვიდრებელს მოკლებული. 2. აგლაძე ილია სვიმონის ძე — ილო; ი. ა.-ძე; ზოსიმე. 3. აკობია პავლე ოტიას ძე — თავისუფალი. 4. ალექსიძე მარიამ მარკოზის ასული — მარიჯან. 5. ალავერდოვი გიორგი დანიელის ძე — ჩარხიშვილი. 6. ამაღლობელი სერგო ივანეს ძე — ს.-ელი; ეკონომისტი. 7. არსენიშვილი დავით ილიას ძე — ოკრიბა, 8. ახმეტელი ალექსანდრე ვასილის ძე — ჯუანშერ. 9. აფხაიძე მანუელ ელისის ძე — ჩაქუჩ-მანაველი. 10. Арутюнян Мих. Григ. — Гаврош. 11. Аббасов — Гариб Алекпер Таги Огли — А. Гариб. 12. აკოფიანი აკოფ მინ. ძე — Пролетар. 13. აღნიაშვილი პეტრე სიმონის ძე — პეტრე. 14. ბალანჩივაძე ვასილ ანტონის ძე — ფილიპე ბარბაქაძე. 15. ბოჭორიშვილი მიხ. ნიკოლოზის ძე — ადონის; მირბახ. 16. Бабаянц Хачатур Саркисович — Христофор Саркисян. 17. გაბაშვილი ეკატერინე რევაზის ასული — ეკ-ლი. 18. გაფრინდაშვილი ვალერიან ივანეს ძე — ტრისტან მაჩაბელი. 19. გაჩეჩილაძე მიხ. სპირიდონის ძე — მანოელიძე. 20. გვეტაძე რაჟდენ მათეს ძე — რომანიშვილი; რაჟაძე; მათიაშვილი. 21. გეგეჭკორი ლადო გიორგის ძე — ლადო კატოძე. 22. გომართელი შალვა დიმიტრის ძე — გორისელი; შანგანი; ზემო იმერელი; ჟუჟუნა. 23. გომელაური ივანე მიხეილის ძე — ი. გ-რი; მირზა; მირზაანელი. 24. გორგაძე სერგო რომანოზის ძე — დროებით ჩრდილოელი, ს. გ., ს. ინ-კანელი; მეგრელი; ერისგანი; ვალსამონი; არისტინი. 25. გორგაძე ვასო ვასილის ძე — ცოტნე დადიანი. 26. Дадвадзе Павел Федорович — Федоров; Дельта; Д-е.

27. ერთაწმინდელი სეზმან (ბატკოშვილი [ბატკუაშვილი] სეზმან ალექსის ძე) — ს. ერ-ლი; სანელი; სიუზანა; ორში; ტარზან; დამნა; ტანკა; მაყვალა-ზაირო; ცანკა. 28. ელიოზიშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე — მასალსკი. 29. Грошян Жон Георгиевич — Новель; Завон. 30. Есаян Саркис Галустович — Е.; Ес.; Саргало; Рецензент; Аплаберци; Мест. кор. Е. 31. ვაჩნაძე ნატალია გიორგის ასული — ანდრონიკაშვილი — ვაჩნაძე ნატო. 32. Вержбицкий Николай Константинович — Исоя Громов; Эп. Кавеев. 33. თავაძე სოლომონ ეგნატეს ძე — ობოლი მუშა. 34. თავართქილაძე ს. რემანოზის ძე — ს. რემონიძე; სოლია; — ლია; — ა. 35. თოდრია სილიბისტრო ესეს (იასეს) ძე — ს. თ-ია. 36. თუმანიშვილი — წერეთლისა ანასტასია მიხეილის ასული — ტასო. 37. თურქია ლაუ ნიკოლოზის ძე — სორტელი. 38. იმედაშვილი იოსებ (სოსო) ზაქარიას ძე — ი. არიმათიელი; ელი; იზიძე; იმედი; ექიმი შტოკმანი; ი. წინამძღვარი; ორინი; ი—ი; თვალყურა: კაიუს გრაკხუს; Грязь; იმედაშვილი — ხაშმელი; ხაშმელი სოსიკა; ი. ხაშმელი; უსუფ უმუთოღლი; უსუფ უმათოღლი; ჭინკა; ჭიტა. 39. კალანდაძე პოლიექტო ანტონის ძე — ირეთელი. 40. კასრაძე დავით ილარიონის ძე — Canbide; Де-ка; ქართელი. 41. კვირკველია ტერენტი სამსონის ძე გრანელი ტერენტი. 42. კინწურაშვილი მიხ. პავლეს ძე — იასამანი. 43. კურდღელაშვილი ნიკოლოზ სივმონას ძე — ნარკანი; შოლტი; მენავე; პ. ჯარიაშვილი. 44. კურდღელაშვილი — ხოსიტაშვილი ბაბილინა ისაკის ასული — ბაბილინა. 45. Караджян Георгий Артьемович — Аркомед С. Т. 46. Каспаров Каспар Богданович—Сулейман; Рот; Руж. 47. Кузьмина Наталия Константиновна — Эн-ка; Н. Донская; Наталка-Ярославка. 48. Корганов Конст. степанович — Кавелин. 49. ლორთქიფანიძე ნიკოლოზ მერაბის ძე — Ardon; 50. მახარაძე ფილიპე იესეს ძე — შემოქმედელი; პროვინციელი; Vetus; 51. მამამთავრიშვილი ბარბარე მიხეილის ასული — მრავალი. 52. მამულაიშვილი — მეგრელიძე ლიუდმილა ისმაილის ასული — მიმქრალი; დასელი ქალი. 53. მამულაშვი-

ლი იოსებ გრიგოლის ძე — გრიშაშვილი; მარუთა; შუამდინარელი. 54. მაჭავარიანი გრიგოლ ტარასის ძე — გრ. საქარიქედელი; „გრი“; გრ. გრძელიშვილი. 55. მიქაბერიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — პელაგიაშვილი; ა. ყუმისთაველი; ა. მ; ა-ლე. 56. მიქელაძე ეკატერინე (კატო) დავითის ასული — რაიონელი ქალი. 57. მეტრეველი ლევან თევდორეს ძე — ლელი. 58. მსხალაია რომანოზ ნიკოლოზის ძე — სალაყაია. 59. მუმლაძე გიორგი ესტატეს ძე — არწივი; მუმლი; კულყვითელა; ლელო; იგივე; გელა; გ. ჯავახი. 60. Мелик Адамян Леон Варданович — Эло; Люмена; Гражданин; Мелик; Каш. Аг. 61. ნახუცრიშვილი დავით გიორგის ძე — ივრელი; ნარვილ გარეკახელი; გლეხიშვილი ბერიკა; დ. ნ.; დ. ნ-ლი. 62. ნიკოლაიშვილი ხარიტონ ივანეს ძე — ვარდოშვილი. 63. Навасарянц Мкиртич Арутинович — Ландыш; Сервантес; Черноморецн. 64. Назаретян Арам Маркарович — Калхас. 65. ორახელაშვილი მამია დიმიტრის ძე — მ. ამია. 66. Ованесян Михенл Захарьевич — Нар-Дос. 67. Оганян Арутюн Микиртичевич — Гиж Артуш. 68. Овакимян Гаик Григорьевич — Норайр. 69. პავლიაშვილი დავით სვიმონის ძე — პარდონი; ავყია; ანჩისხატელი. 70. პატარიძე მიქელ აბესალომის ძე — შოთა პუპრი; მიქელ რინდი; მ. პ. 71. პიასეცკისა ბარბარე პავლეს ასული — რონელი. 72. Папянц Сергей Карапетович — Папик; Серго. 73. ჟორდანია პაჭუ ლევონუხის ძე — მიმოზა. 74. როსტომაშვილი დავით მიხეილის ძე — დ. ნინოწმინდელი; ტუსაღი. 75. რუხაძე ვარლამ ალექსის ძე — ჩახრუხაძე. 76. რუხაძე ილია ზოსიმეს ძე — რუ-ილ. 77. რუხაძე არჩილ გერმანეს ძე — პლებეი; ა. კანსკი. 78. საფაროვი ზაქარია (შაქრო) მიხ. ძე — სავანელი. 79. სულიაშვილი დავით სოკრატის ძე — დ. ლიხელი. 80. სონღულაშვილი იროდიონ თომას ძე — ინ-შანი; ირ. სონღული. 81. Сокольский Николай Александрович — Али. 82. Соловейчик Абрам сидорович — Солов; Сидорич; А. С. 83. ტოფაძე ირაკლი იოსების ძე — ირა; ი. ტ; იტ-ე; როკოკო. 84. Тер-Григорян Иван Григорьевич — XXX; Вано; Неизвестный; В. Т.; И. Т. Г.

85. ფანცხავა სიმონ (სოსიკო) ევსევის ძე — ს. ნ.; ს. ნინაშვილი. 86. ქვარიანი სიმონ ალექსის ძე — ახალგაზრდა ქართველი; სიმონა მეჩონგურე; რიონელი; სირანო. 78. ქურიძე ნოე ალმასხანის ძე — ნ. ზომლეთელი; ონისიმე; ენუქა; ნიანგი. 88. ყოჩიაშვილი მიხეილ სტეფანეს ძე — ჩაუქიძე. 39. შანშიაშვილი ალექსანდრე (სანდრო) ილიას ძე — გარდანქეშან; ა. შ-ლი. 90. ჩარკვიანი დავით კონსტანტინეს ძე — მაგდა-ეროდე. 91. ჩიქვინიძე პლატონ ევგენის ძე — კორიშელი. 92. ჩიქვანაია თომა ეგნატეს ძე — რისხვა; თ. ჩ. 93. ჩხეიძე დავით ანდუყაფარის ძე — დ. თურდოსპირელი. 94. ციცქიშვილი გობრონ ქრისტეფორეს ძე — გობრონ არგარელი; აგარელი; გ. ა. 95. წულაძე აპოლონ ივანეს-ძე — პიტნა; ანწლაძე; თემის თოკლე; თემის თოკლე ანწლაძე; ძველი მეურნე: 96. ჭიჭინაძე ზაქარია ეგნატეს ძე — ტფილისელი; მთაწმინდელი; მარუშაძე. 97. ხუროძე ვარლამ მალაქიას ძე — ვ. მალაქიაშვილი. 98. ჯავახიშვილი მიხეილ საბას ძე — ჯავახიშვილი — ადამაშვილი; ალი; მალი; ადლი; მადლი. 99. ჯაბაური გიორგი ნინიკას ძე — ნინიკაშვილი. 100. ჯანაშვილი მოსე გიორგის ძე — ესომ; ლასურიძე; ფისტონი; გიორგიძე. 101. ჯამბაკურ-ორბელიანი ელისაბედ ირაკლის ასული — Sazan d'ary (საზანდარი). 102. ჯაჯანაშვილი არჩილ რაქდენის ძე — გარდელი; გ. ბარელი.

გვარების ანბანზე დალაგება და მათ გვერდით ფსევდონიმების სპეციალური გამოყოფა ჩვენ გვეკუთვნის, ხოლო მათი, ე. ი. ფსევდონიმების თანმიმდევრობითი განლაგება კი ორიგინალისაა. მართალია, ნაწილი ზემომოყვანილი ფსევდონიმებისა კარგა ხანია ცნობილია თავად ავტორთა და მათზე დაწერილ შრომებისა და ნარკვევების მიხედვით, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიყვანეთ ისინი რათა გვეჩვენებინა მთლიანი სურათი ხსენებულ ფსევდონიმთა საუნჯისა. სწორედ ამიტომაც არ დაგვიმატებია მათთვის სხვა, ჩვენთვის ცნობილი, უამრავი ფსევდონიმი, კრიპტონიმი და ინიციალი.

ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში ცხოვრებიდან

ილია ჭავჭავაძეს ბევრი რამ ჰქონდა საერთო გურჯაანის რაიონის ზოგიერთ სოფელთან, კერძოდ ბაკურციხესთან (კოლაგ-კარდანახი). მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თავისი ცნობილი პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან (კაკო ყაჩაღი)“ — მან კარდანახის ახლოს, ალაზნის ჭალებში პირადად ნახულ სინამდვილეზე აავო! ამის შესახებ ილიას ახლო ნათესავი, კარდანახელი კოხტა აფხაზი მოგვითხრობს თავის მოგონებაში.

ახალგაზრდობისას ი. ჭავჭავაძე 1857 წლამდე, და მოგვიანებითაც, რამდენჯერმე ყოფილა კარდანახში, სადაც მისი მეუღლე ოლღა ხშირად სააგარაკოდ მიდიოდა ხოლმე. ილიას უფროსი და, ნინო, კარდანახს იყო გათხოვილი ნიკოლოზ აფხაზზე; აღსანიშნავია, რომ სწორედ ნინომ ჩაუნერგა უმცროს ძმას ლექსების წერის სურვილი, რაც, სხვათა შორის, დასტურდება წერილით, რომელიც თვითონ ილიამ გაუგზავნა ნინოს 1857 წელს. ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა პოეტმა თავისი პირველი შესანიშნავი ლექსი „ყვარლის მთებს“ 1857 წლის 15 აპრილს დაწერა კარდანახში, პეტერბურგში გამგზავრების წინ. ამას გარდა ილიას მრავალი ბარათი გაუგზავნია კარდანახში, ბაკურციხესა და კოლაგში მცხოვრებ აფხაზებისათვის, სოსიკო და სოფო ვაჩნაძეებისათვის. ილიას დისწული, გიგო აფხაზი, ხომ 1875 წელს მგოსნის „დიდ მოურავად“ ითვლებოდა ყვარელში.

ნამდვილად ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში პირველად გამგზავრების წინ ყვარლის მთებს სოფელ კარდანახიდან გამოეთხოვა და აქედან გაუდგა რუსეთის იმპერიის დედაქალაქის გზას. ვისაც კარდანახი უნახავს, დაგვეთანხმება, რომ ამ მშვენიერი ადგილიდან ხე-

ლისგულივით მოჩანს მთელი შიგნი კახეთი, მათ შორის თვით ილიას მშობლიური ყვარელიც.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა დიდი ხნის განძილზე იყო მჭიდროდ დაკავშირებული პეტერბურგის ახალ-ახალ წამოწყებებთან. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამემამულეები აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ძმები ღოღობერიძეები, ლორთქიფანიძეები და ბევრი სხვა ქართველი ახალგაზრდა სწორედ იმ ხანებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, როდესაც რუსეთის დემოკრატიული იდეებით აღჭურვილმა ინტელიგენციამ დიდი ძვრები მოახდინა მხატვრულ ლიტერატურასა და სოციოლოგიაში.

1857—1861 წწ. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია. ამ დროს, როგორც ცნობილია, რუსეთის მწერლობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ ლ. ტოლსტოი, ტურგენევი, ნეკრასოვი, გონჩაროვი, დოსტოევსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი. ამავე პერიოდში მწიფდება და იფურჩქნება ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა.

ილია ჭავჭავაძე სათავეში უდგება იმჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ ქართველ სტუდენტთა წრეს, რომელმაც 30 წელი იარსება. აღსანიშნავია, რომ ამ წრიდან გამოვიდა თითქმის ყველა ჩვენი მომავალი საზოგადო მოღვაწე: ნიკო მარი, ივ. ჯავახიშვილი, ალ. ცაგარელი, ალ. ყიფშიძე, აკაკი შანიძე, კარპეზ დონდუა და სხვ.

ილიას, აკაკის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებული სათაურით: „ჩონგური, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა მწერლების ლექსების კრება“ პირველად სწორედ პეტერბურგში დაიბეჭდა 1864 წელს. იგი შეადგინა კირილე ლორთქიფანიძემ და გამოსცა რუსეთის აკადემიის სტამბამ. ამავე აკადემიის სტამბაში პირველად დაიბეჭდა (1869 წ.) ილია ჭავჭავაძის მხატვრული შედევრი „კაცია ადამიანი?!“ მისი გამოქვეყნებით ილიამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის, აკადემიკოს მარი ბროსეს ყურადღებაც მიიპყრო. ბროსემ იმავე წლებში „კაცია ადამიანი?!“ მთლიანად თარგმნა

ფრანგულ ენაზე (ეს თარგმანი ამჟამად დაცულია სსრ კავშირის აზიის ხალხთა ინსტიტუტის მ. ბროსეს კოლექციაში).

ილია ჭავჭავაძე სტუდენტობის შემდეგაც არაერთხელ ყოფილა პეტერბურგს, ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ლიტერატურის განყოფილების თაროებს ამშვენებს ილია ჭავჭავაძის 260-ზე მეტი ცალკე გამოცემული წიგნი, „ივერიის", „საქართველოს მოამბისა" და „დროების" მთლიანი კომპლექტები. აქვე, ქართული ორიგინალური ბეჭდვითი წყაროების გვერდით, მოთავსებულია ლიტერატურა საბჭოთა ხალხების 86 ენაზე, რომელთა შორის საკმაოდ არის წარმოდგენილი ილიას თხზულებათა თარგმანები.

ილია ჭავჭავაძე 50 წლის მანძილზე თავისი მახვილი კალმითა და საზოგადო მოღვაწეობით მშობლიური ერის წყლულს აშუშებდა; იგი 30 წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობას, რომელმაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენს ხელთ არის 1893 წელს ცალკე ბროშურად გამოცემული, ნაკლებად ცნობილი, „თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საგანგებო კრების" სტენოგრაფიული ანგარიში. კრებისა, რომელიც ჩატარებულა იმავე წლის 14—16 თებერვალს. ამ პატარა წიგნაკიდან ერთხელ კიდევ ირკვევა, თუ რა ენერგიით ხელმძღვანელობდა დიდი ილია საზოგადო საქმეს. სტენოგრაფიულ ანგარიშში ილიას 18 გამოსვლაა აღნიშნული. მოხსენებაში ხაზი აქვს გასმული კახეთში რკინიგზის გაყვანის საკითხის მომზადებას, ხიზნების საქმის მოგვარებას, ხარჯების გაღებას სათავადაზნაურო და წინამძღვრიანთ კარის სკოლებისათვის და სხვა. ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა სრულებით არ არის შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი ხსენებული სტენოგრაფიული ანგარიშისა დაბეჭდილი იყო 1893 წელს „ივერიის" ფურცლებზეც (იხ. №№ 33—34, 39—44).



ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს დეპუტატებს შორის (პეტერბურგი, 1906 წელი).

1906 წლის 28 მარტს ილია ჭავჭავაძე იგზავნება პეტერბურგს, სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. 6—8 აპრილს სრულიად რუსეთის სათავადაზნაურო ყრილობა ილიას, როგორც საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენელს, ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

აქვე ვაქვეყნებთ იმჟამად გადაღებულ სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩეველთა ყრილობის ჯგუფურ სურათს, რომელიც იმ დღეებში „პეტერბურგსკაია გაზეტას“ ილუსტრირებულ დამატებაში იყო მოთავსებული (1906 წ. 16 აპრილი, № 102). როგორც მკითხველი შენიშნავს, პირველ რიგში ქართველებიდან სხედან ილია ჭავჭავაძე და გედევანიშვილი, ხოლო მესამე მწკრივში კი — ერისთავი და მიქელაძე (სურათზე დაცულ წარწერაში გვარები თანმიმდევრობით არაა).

ახლად არჩეულ სახელმწიფო საბჭოს წევრების ბიოგრაფიული მონაცემებისა და მათი დახასიათების შემდეგ იმდროინდელი გაზეთები ასეთ დასკვნას იძლევიან ილიას შესახებ:

„ამგვარად, თავადაზნაურობისაგან სახელმწიფო საბჭოში არჩეული 18 წევრიდან 13 ეკუთვნის ცენტრის მარჯვენა ფრთას, 4 — უკიდურეს მემარჯვენეებს და 1, რომელიც ზოგიერთი შენიშვნით იღებს სახალხო თავისუფლების პარტიის პროგრამას, ხოლო ზოგიერთ მუხლში ამ პროგრამაზე მემარცხენე ხაზი უკავია.

ეს ხელახლა არჩეული ერთადერთი პროგრესული წევრი სახელმწიფო საბჭოსი ცნობილი ქართველი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი თავადი ი. გ. ჭავჭავაძეა, რომელიც ყრილობაზე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წარმომადგენელია და შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ქართველი თავადაზნაურობის რჩეულს...

მეტისმეტად დამახასიათებელია პაექრობა, რომელიც წინ უძღოდა თავადის (ე. ი. ილია ჭავჭავაძის) არჩევას სახელმწიფო საბჭოში. თავადები ი. გ. ჭავჭავაძე და ვ. ს. მიქელაძე მხურვალედ ლაპარაკობდნენ ქართველი თავადაზნაურობის მზადყოფნაზე — დათმონ მიწები მშრომელი მასების სასარ-

გებლოდ. საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენელთა ღია გამოსვლამ შეაშფოთა ცეხტრის წარმომადგენლები და განსაკუთრებით უკიდურესი მემარჯვენეები. თავადის (ე. ი. ილია ჭავჭავაძის) კანდიდატურას ალბათ წყალი შეუდგებოდა, რომ თავად ვ. ს. მიქელაძის მხურვალე სიტყვას არ გამოესწორებინა საქმის მდგომარეობა. ამ სიტყვაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ერთიანობა და განუყოფელობა რუსეთის მონარქიის სკიპტრის ქვეშ შეიძლება მიღწეულ იქნეს არა რეპრესიების პოლიტიკით, რომლის წინააღმდეგ ერთსულოვნად, როგორც ერთი კაცი, ილაშქრებს მთელი ქართველი ხალხი, არამედ, პირიქით, მისთვის ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის მინიჭებით და ადგილობრივ საკითხებში კანონმდებლობის უფლებით. თავადმა ჭავჭავაძემ თუმცა მიიღო ხმების ნაკლები რაოდენობა ვიდრე ბალტიისპირეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ის მაინც არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად" (გაზ. „რეჩი", 1906, 10—23 აპრილის, № 44, გვ. 4—5).

აპრილის შუა რიცხვებში ილია ჭავჭავაძე დროებით საქართველოში ჩამოვიდა, მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ, კვლავ პეტერბურგს დაბრუნდა. ამის შესახებ გაზეთი „შრომა" იუწყება: „გუშინ 2 მაისს თბილისიდან პეტერბურგს გაემგზავრნენ სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ი. გ. ჭავჭავაძე და სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი" („შრომა", 1906 წ. 3 (16) მაისის № 24, გვ. 3).

როგორც ცნობილია, პირველი (27 აპრილი — 28 ივლისი 1906 წ.) და მეორე (20 თებერვალი — 2 ივნისი 1907 წ.) სათათბირო საბჭო დათხოვნილი იქნა; პირველი და მეორე „დუმის" დათხოვნასთან დაკავშირებით ბევრი დეპუტატი დააპატიმრეს და, მათ შორის, რამდენიმე ქართველიც. კერძოდ, 1906 წ. 15 ივლისის გაზეთი „მუშა" იტყობინება, რომ „როგორც „ჩერნომორსკი ვესტნიკი" გადმოგვცემს, პეტერბურგში დაუპატიმრებიათ ი. ჭავჭავაძე და ი. რამიშვილი". ანალოგიურ ცნობას იძლევა სხვა დეპუტატების დაპატიმრებაზე 1907 წ. ჟურნალი „რიჟრაჟი": „ჯერ არავინ იცოდა" დუმის გარეკვის ამბავი (ლაპარაკია მეორე სათათბიროზე.

ა. ა.), რომ სოც.-დემ. ფრაქციის ბინას პოლიცია თავს დაესხა და დააპატიმრა ყველა იქ მყოფნი: ირ. წერეთელი, არჩ. ჯაფარიძე, გერუსი, ლომთათიძე, მახარაძე, კუზნეცოვი და სხვა. გარეკვის პირველ დღეებში დააპატიმრეს ბევრი სხვანიც — სულ 30-მდე სოც.-დემოკრატი-დეპუტატი. პეტერბურგში გაჩაღდა საარაკო ჩხრეკა, დაპატიმრებულ იქნა აუარებელი ხალხი, სხვათა შორის, პირველი დუმის დეპუტატები: ი. რამიშვილი, ანიკინი და სხვა." („რიჟრაჟი", 1907 წ. 1 ივლისის № 1, გვ. 76).

ილიას დაპატიმრება თუ რამდენად შეეფერება სიმართლეს, ამას ლენინგრადში დაცული, დღემდე შეუსწავლელი. საარქივო მასალა გვეტყვის მომავალში, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძეს მეფის მთავრობა და მისი ჯალათები „სოციალურად საშიშ პიროვნებად თვლიდნენ" და მის ყოველგვარ მოქმედებას ფარულ ზედამხედველობას უწევდნენ პეტერბურგში.

ილიას 1906—1907 წწ. პეტერბურგში ყოფნას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. იმჟამად პეტერბურგში მისი თანმხლებნი ავგუსტ შაუმანი და მალაქია ბოლქვაძე დაწვრილებით მოგვითხრობენ ილიას იმ დაუღალავ, ენერგიულ მუშაობაზე, რომელიც მას გაუწევია სათათბიროს საბჭოს სხდომაზე სიკვდილით დასჯის, აგრარულ და სხვა იქ წამოჭრილ აქტუალურ საკითხებზე. მ. ბოლქვაძე ასე გადმოგვცემს ი. ჭავჭავაძის სიტყვებს, რომლებითაც მას მიუმართავს ჟურნალისტ შაუმანისადმი: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა, არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელის საქართველოსა და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს" („განათლება", 1908 წ. № 3—4, გვ. 108).

ასე ესმოდა ილია ჭავჭავაძეს თავისი მოვალეობა საქართ-

ველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. იგივე ბოლქვაძის გადმოცემით, ილიას უთქვამს: „მე საქართველოში რეტროგრადს მეძახიან, ესენი კი — ჩემი მოხსენება რომ წავუკითხო, მგონი რევოლუციონერს დამიძახებენო“ (იქვე, გვ. 123).

სათათბირო კრებაზე ჩამოსული ქართველი დეპუტატების — ნ. ჟორდანიას, ის. რამიშვილის, ივ. გომართელის, იოსებ ბარათაშვილის, ჯაფარიძისა და წერეთლის მოქმედებას ილია ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით ეპყრობოდა და მწუხარებას გამოთქვამდა, როდესაც მათ გამოსვლებში სიცრუეს ხედავდა. განსაკუთრებით ილია შეწუხებულა ი. წერეთელისა და ის. რამიშვილის ფორმალურ-ულოგიკო ორატორობით.

1906—1907 წწ. პეტერბურგში ყოფნისას ილია დაინტერესებულა იქ მყოფი ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-საქმიანობით. როდესაც შეუტყვია, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა სწავლის ნაცვლად ფუქსავატობასა და ბანქოს თამაშში ატარებდა დროს, პოეტი შეწუხებულა და დიდი სინანული გამოუთქვამს. ამასთან დაკავშირებით მას რჩევა-დარიგება მიუცია პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ალ. ცაგარელისა და ალ. ყიფშიძისათვის. ი. ჭავჭავაძეს სურდა. რომ სამშობლოს ღირსეული შვილები აღზრდოდა, რომ ქართველ სტუდენტებს შეეთვისებინათ მოწინავე რუსული კულტურა და შემდეგ იგი საქართველოში გადმოეენერგათ.

სასტუმრო „ევროპაში“ გამართულ სუფრაზე, რომელსაც ილიას მეთაურობით ესწრებოდნენ ალ. ცაგარელი, ალ. ყიფშიძე, მ. ბოლქვაძე, ის. რამიშვილი, ნ. ჟორდანია, სარაჯიშვილი და სხვა, ცხარე პოლემიკა გაჩაღებულა საქართველოს მომავალ ბედ-იღბალზე.

რა იცოდა ქართველი ერის დიდმა მოამაგემ, რომ პეტერბურგში მისი ყოფნა უკანასკნელი იყო, რომ როდესაც იგი სასტუმრო „ევროპაში“ საქართველოს მომავალ გაფურჩქვნა-აყვავებაზე მსჯელობდა, მშობლიურ მიწა-წყალზე მას მეფის ჯალათები სიკვდილს უმზადებდნენ.

ამჟამად თბილისში ცხოვრობს 89 წლის პენსიონერი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მხცოვანი საბავშვო მწერალი ნინო მიხეილის ასული შიუკაშვილი-გონიაშვილისა. მასთან



ამ სახლში (ჟუკოვის ქ. № 11) ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე 1907 წელს პეტერბურგში ყოფნისას.

პირადი მიმოწერით. გამოირკვა შემდეგი პატარა დეტალი: 1907 წ. მეორე სათათბირო საბჭოს სხდომებიდან გულნატკენი ილია ჭავჭავაძე უკანასკნელად ემშვიდობება პეტერბურგს და თავისი ბარგით საქართველოსკენ მოისწრაფის. სამშობლოში გამომგზავრების წინა დღეს ილია ვიზიტს უკეთებს ალექსანდრე დავითის ძე გოგნიაშვილის ოჯახს (ჟუკოვსკის ქ. № 37) და სთხოვს მასპინძელს საზოგადოება „კახეთიდან" ბარგი გადამატანინე რკინიგზის სადგურშიო. ალ. გოგნიაშვილს სიამოვნებით შეუსრულებია ილიას თხოვნა და გამოუცილებია იგი. სხვათა შორის, იმ ხანებში ილია ჭავჭავაძეც იქვე. ჟუკოვსკის ქუჩის № 11, ცხოვრობდა.

1905—1911 წლებში გოგნიაშვილის ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა. პირადად ალექსანდრე სოფლის მეურნეობის საზოგადოება „კახეთის" განყოფილებას განაგებდა, მისი მეუღლე — ნინო კი სხვადასხვა ფსევდონიმით კორესპონდენციებს აწვდიდა ქართულ პერიოდულ პრესას. ნინო ილიას პირადად იცნობდა 1894 წლიდან.

მოსყიდულმა ჯალათებმა ქართველი ერის სიამაყე სიცოცხლეს გამოასალმეს. ერის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. ყველამ მოწიწებით დახარა თავი, ქართველების გოდებას მოსკოვისა და პეტერბურგის ცენტრალურმა გაზეთებმაც მისცეს ხმა. მათ შორის ყველაზე თბილი, მგრძნობიარე სიტყვები ილიას შესახებ ფსევდონიმს ამოფარებულმა სერგო ეგნატეს ძე უმანეცმა გამოაქვეყნა (იხ. „ს. პეტ. ვედომოსტი", 1907. 2 სექტემ. № 194).

პირველი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი

1907 წელს აკაკი წერეთლის რედაქტორობით თბილისში გამოვიდა პირველი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი კარიკატურებით „ხუმარა“, რომლის გამოცემა შეწყდა... პირველსავე ნომერზე. სატირულ-იუმორისტულ წერილებს ფელეტონების სახით ქართული პერიოდული პრესა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-90-იან წლებიდან ბეჭდავდა. გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ (1896—1906) პირველმა წამოიწყო ილუსტრირებული ჟურნალის ბეჭდვა სახელწოდებით „ცნობის ფურცელი — სურათებიანი დამატება“ (1901—1906), მაგრამ აკაკი წერეთლის „ხუმარას“ გამოსვლა კარიკატურებით სულ სხვა იყო ქართული პერიოდული პრესის ისტორიაში: ამით სათავე დაედო სრულიად ახალ ლიტერატურულ ჟანრს. საფუძველი ჩაეყარა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალისტიკას.

ი. გრიშაშვილი ერთ ადრინდელ ნარკვევში აღნიშნავს, რომ ამ მხრივ გამონაკლისი იყო კარიკატურებიანი ჟურნალი: „ჩვენებური რამე-რუმე“, რომელიც 1894 წ. „პატარა კაცის“ ფსევდონიმით გამოსცა ვ. გუნიამ (იხ. მისი „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბ. 1957, გვ. 465), თუმცა პირველობას სამართლიანად ანიჭებს ჟურნალ „ხუმარას“. აქვე უნდა ითქვას შემდეგშიც: „პატარა კაცის“ (ვ. გუნია — ი. გრიშაშვილის ამოხსნაა) „ჩვენებური რამე-რუმე“ ჟურნალი არ ყოფილა, იგი ორსვეტად დაბეჭდილი მოზრდილი ფორმატის (29×22 სმ.) 16 გვერდიანი ბროშურაა და შედგება ოთხფურცლიანი ტექსტისაგან, რომლის ავტორიც თვითონ ვალერიან გუნია არის.

„ხუმარას“ გამოსვლამ იმდროინდელი თბილისის პერიო-

დული პრესის სენსაცია გამოიწვია, რამაც უდავოდ დადებითი როლი ითამაშა მომავალი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალისტიკის განვითარებაში.

იმდროინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებები გვეხმარება ზუსტად დავათარიღოთ, თუ როდის გამოვიდა ჩვენამდე უთარიღოდ მოღწეული „ხუმარა“ და როდის დააპატიმრეს მისი მხცოვანი რედაქტორ-გამომცემელი აკაკი წერეთელი, რადგანაც ეს ორი თარიღი („ხუმარას“ გამოსვლა და აკაკის დაპატიმრება) მკვლევართა ნაშრომებში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი.

გაზეთი „ისარი“ (1907 წ. 17 თებერვალი) იტყობინება: „კვირას, 11 თებერვალს, ტფილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი თავ. აკაკი წერეთლისა „ხუმარა“. გაზეთი მეორე დღესვე დაკეტეს და მოხუცი პოეტიც დააპატიმრეს. შემდეგ ისევ გაათავისუფლეს“. აკაკის 1908 წლის საიუბილეო სურათებიანი ალმანახის პირველ ნომერში (უკანასკნელ გვერდზე, სადაც მოთავსებულია „საოსუნჯო მასალა“ და მგოსნის კარიკატურა-სურათი წარწერით „ერთი ღამე მეტეხში“) აღნიშნულია: „1907 წლის პირველ რიცხვებში გამოვიდა პირველი იუმორისტული გაზეთი „ხუმარა“ აკაკის რედაქტორ-გამომცემლობით. ამ დრომდე არსებობდა მხოლოდ გაზ. „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება, რომელშიაც კარიკატურების გარდა იუმორისტული შინაარსისა თითქმის არაფერი იბეჭდებოდა. გაზეთი „ხუმარას“ ასეთი არა სახუმარო დრო შეხვდა, რომ პირველ ნომერზევე მოესპო სიცოცხლე და მისი მოხუცი რედაქტორი „დამცველთა“ რაზმის თანხლებით მეტეხისაკენ გაუყენეს. საბედნიეროდ აკაკი დიდ ხანს არ დარჩენილა სატუსაღოში, რადგანაც მეორე დღესვე განთავისუფლებულ იქნა. აქვე მოყვანილი კარიკატურა-სურათი გამოხატავს მგოსნის მეტეხისაკენ მგზავრობას და დაბეჭდილი იყო ალმანახ „მასხარას“ № 2“.

ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალის გამოცემის ნებართვა აკაკი წერეთელმა კავკასიის საცენზურო კომიტეტსა და მეფისნაცვალს ჯერ კიდევ 1905 წლის 17 მაისს სთხოვა, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, მისი გამოცემა პოეტმა მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოახერხა (ა. იოვიძე. აკაკი წე-

რეთელი — მასალები, „საისტორიო მოამბე", 1953, №№ 59—63).

„ხუმარას" დახურვისა და მისი რედაქტორ-გამომცემლის დაპატიმრების უმთავრესი მიზეზი იყო თბილისის გუბერნატორ რაუშ ფონ ტრაუბენბერგის სასაცილო კარიკატურა, რომელიც მხატვარ გიგო ზაზიაშვილს ეკუთვნოდა. ამ კარიკატურის ერთ მხარეს გამოსახულია ვირის პროფილი გუბერნატორ რაუშის საპარადო მუნდირით, მეორე მხარეს — თავადაზნაურთა მარშალი გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი, რომელიც ნიშადურს ულესავს ვირს, ხოლო გვერდზე დახატულია ამ სცენის მაყურებელი კინტო გაცინებული სახით. კარიკატურა მოთავსებული იყო „ხუმარას" თავფურცელზე. ქვემოთ კი აკაკის ლექსი მიებეჭდათ:

დიდყურაანთ ყროყინას
ჩვენები ეჯავრება;
საიდანაც მოსულა,
იქით მიეჩქარება.
და ნიშადურს ულესავს
გულ-მოსული მარშალი,
რომ აქ აღარსა დარჩეს
ამ ვირის გზა და კვალი.
კინტო კი გაოცებით
შესცქერია ამ ამბავს
და ხმა მაღლა იძახის:
„ამოუსვით, რაუშავს!"

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გუბერნატორს მხედველობიდან არ გამორჩა და ამიტომ ჟურნალის გამოცემა აკრძალა, ხოლო მისი რედაქტორ-გამომცემელი მეტეხის ციხისაკენ გაისტუმრა. პოეტის დაპატიმრება იმავე წლის მარტის პირველ რიცხვებში გამოცემულმა „მასხარას" მეორე ნომერმა აუწყა საზოგადოებას გ. ზაზიაშვილის კარიკატურით. ეს სასწრაფოდ მოედო მთელ საქართველოს. ამის შესახებ ცნობები დაბეჭდეს „ისარმა", „კავკაზმა", „მასხარამ" და სხვ.

აკაკის იუმორისტული ჟურნალის მთავარი დევიზი იყო

ცბიერების, მლიქვნელების, გაიძვერების მხილება და გამათრახება. ამაზე თვით ჟურნალის ქვესათაურიც მეტყველებს: „ხუმარა“ ერთი რომელიმე პარტიის ორგანო არაა. ისაა კარიკატურა გაზეთი. აზრთა შეჯახება — აი, რაა ჭეშმარიტების გამომკვეთელი. დეე, დაეჯახონ სხვადასხვა მიმართულების შეხედულებანი ერთმანეთს — ეს საჭიროა და კარგი. „მოყვარეს პირში უძრახე“ თუ ზნეობრივი სიბრძნეა, „მტერს რომ პირში უძრახო“ ეს კიდევ მეტი ხარისხის ზნეობრივი სიბრძნე იქნებაო“. და მართლაც, აკაკის ჟურნალის პირველი ნომერი ნიმუშია ამ დევიზის განხორციელებისა.

ზოგიერთი მკვლევარი აკაკის დაპატიმრების დღედ 1907 წლის 16 თებერვალს ასახელებს, მაგრამ ეს სწორი არ არის. გაზეთ „ისარის“ ცნობით „ხუმარა“ გამოსულა 1907 წ. 11 თებერვალს, კვირა დღით, ორშაბათს კი 12 თებერვალს პოეტი დაუპატიმრებიათ და სამშაბათს, 13 თებერვალს, დილით უკვე გაუთავისუფლებიათ.

აკაკი წერეთელმა შემდეგ კვლავ აღძრა შუამდგომლობა ჟურნალის განახლების თაობაზე. პრესა გვაცნობებს, „ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო მას განაგრძოს ყოველკვირეული ჟურნალის „ხუმარას“ გამოცემა“ (იხ. „ისარი“, 1907 წ. 18 თებერვლის № 37). აკაკიმ „ხუმარას“ განახლება მისი სინონიმური სახელწოდებებით წამოიწყო და ზედიზედ გამოსცა „მასხარა“, „ეკალი“, „ოხუნჯი“, „ბზიკი“, „ცეცხლი“, „ეშმაკი“ (იხ. „ეშმაკი“, 1907, № 1, გვ. 1) გ. ზაზიაშვილის, ივანეშვილის, როტერის, ო. შმერლინგისა და სხვა მხატვართა კარიკატურებით.

უნდა აღინიშნოს ასეთი ფაქტიც: იუმორისტული გაზეთ „ხუმარას“ გამოცემა ქუთაისში აკაკიზე ადრე, ჯერ კიდევ 1881 წელს, ი. ჭყონიამ გადაწყვიტა, შუამდგომლობაც აღძრა სათანადო ორგანოებში, მაგრამ თბილისის საცენზურო კომიტეტმა უარი განუცხადა (იხ. გაზ. „დროება“, 1881 წ. 22 დეკემბრის № 269, გვ. 2).

აკაკის მოგზაურობა კახეთში და მის თხზულებათა ერთი კომენტარის დაზუსტებისათვის

(მონოგრაფიიდან „ჩემი სოფელი ბაკურციხე 1600 წლისაა")

გენერალ-ლეიტენანტი ივანე მალხაზის ძე (ანდრონიკაშვილი I) და გენერალ-ლეიტენანტი რევაზ ივანეს ძე (ანდრონიკაშვილი II) ანდრონიკაშვილები სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ერთიმეორეშია არეული, ერთის მოქმედება-დამსახურებას მეორეს მიაწერენ და — პირიქით. ხან კიდევ, დაუდევრობის გამო, მათი ინიციალები არ არის დასახელებული. მათ იხსენებენ მხოლოდ სამხედრო წოდებითა და გვარით, რომელთა იგივეობა გაუგებრობას იწვევს. ასე. მაგალითად, გენერალ-ლეიტენანტ ანდრონიკაშვილის ინიციალები — ივანე მალხაზის ძე — გამომჟღავნებული არ არის ჟურნალ „ცისკარში" (1853 წ. № 12, გვ. 70. 76), რამაც შეცდომაში შეიყვანა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის" (ნაკვეთი I, თბ., 1940). „საქართველოს ისტორიის ლიტერატურული წყაროების" (თბ., 1955, ავტორები: ც. კალანდაძე და ო. სოსელია, რედაქტორი პროფ. შ. ჩხეტია) და ზოგიერთი სხვა ნაშრომის ავტორები. გაუგებრობას იწვევს პროფ. შ. ჩხეტიას „საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში" (თბ., 1950) დართულ „პირთა საძიებელში" ინიციალების გაუხსნელობა, ზოგჯერ კი მოუხსენებლობაც კი. ტექსტში დამოწმებულ პირთა ნაწილი სულ არაა საძიებელში შეტანილი. ანდრონიკოვი I (გენერალ-ლეიტენანტი) და ანდრონიკოვი II რევაზი (გვ. 281) გაშიფრული არ არიან (გვ. 496), მაშინ, როდესაც პირველი გენერალ-ლეიტენანტი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილია

(1793—1868) და მეორე კი — გენერალ-ლეიტენანტი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (1814—1877). პოდპოლკოვნიკი სოლომონ ივანეს ძე (სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა მარშალი). და მისი ცოლი „პოდპოლკოვნიცა კნეინა ნინო" ანდრონიკაშვილები (გვ. 281) საძიებელში შეცდომით არიან მითითებულნი (გვ. 496).

სამწუხაროდ, აკად. გ. ხაჭაპურიძის კაპიტალურ ნაშრომებშიც („საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 1958 და იგივე რუსულად, თბ., 1950) ივანე მალხაზის ძე და რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილები ერთმანეთშია არეული და პირველის დამსახურება მიწერილია მეორესათვის.

ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო შემდეგში აკაკი წერეთლის თხზულებათა შენიშვნებში შეუწყნარებელმა ლაფსუსმა იჩინა თავი.

* * *

როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელმა ოთხჯერ იმოგზაურა კახეთში (1882, 1897, 1898 და 1911 წწ.). ასე რომ იგი კარგად იცნობდა არა მარტო თელავსა და სიღნაღს, სადაც ხშირად ჩერდებოდა, არამედ კახეთის სოფლებსაც (გურჯაანი. კარდანახი, ანაგა), მათ შორის, ბაკურციხეს. აკაკის ძლიერ უყვარდა ილია ჭავჭავაძის ეს მშობლიური მხარე და ამიტომაც კახელებიც სიამოვნებით მასპინძლობდნენ მას.

„დროების" კორესპონდენტი. ვინმე დამსწრეს ფსევდონიმით, დაწვრილებით აღუწერს ერთ საღამოს. რომელიც აკაკის მიეძღვნა 1882 წ. 16-17 აგვისტოს თელავში. ვახშამზე თამადას, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს, მკრძნობიარე სიტყვა წარმოუთქვამს აკაკის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე. სოლო მგოსანს კი პასუხად შემდეგი მოუსმენებია: „უწინ კახელებს მუდამ პირველი ადგილი ეჭირათ საქართველოს სამეფოს ცხოვრებაში, კახეთში, როგორც განაპირებულს ქვეყანაში, არცერთი ბიჯი მიწა არ მოიპოება, რომ ჩვენი წინა-

პრების სისხლით არ იყოს მორწყული; ვერც ერთ ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ იგი შეზავებული არ იყოს ჩვენთა წინაპართა სისხლხორც-ძვლითაო“ (გაზ. „დროება“, 1882 წ. გვ. 29, № 181). აკაკის ხსენებული სიტყვა მთლიანად დაბეჭდა იმავე გაზეთმა (1882 წ. 2 სექტ. № 183).

აგვისტოს ბოლო რიცხვებში უფრო დიდი შეხვედრა მოუწყეს აკაკის სიღნაღში, სადაც „სიღნაღის უეზდის მარშალს რევაზ ვაჩნაძეს წარმოუთქვამს ჰკვიანური და გრძნობიერი სიტყვა“ აკაკიზე. არც პოეტი დარჩენილა ვალში და თავის მხრივ უთქვამს ქართველ ქალთა სადღეგრძელო. ლხინი გვიან საღამომდე გაგრძელებულა და მეორე დღეს რევაზ ვაჩნაძეს, მრავალ სტუმართან ერთად, აკაკი თავის ოჯახში მიუპატიჟნია. ერთი სიტყვით, პოეტის სტუმრობა თელავსა და სიღნაღში ისე საგანგებოდ ყოფილა აღნიშნული, რომ ერთ „ჩინოსანს“ ასეთი გესლიანი სიტყვები წამოუროშნია: „აქ ვინ იცის რამდენჯერ მობრძანდებიან ხოლმე დაწინაურებული და დაჯილდოებული პირები, მათთვის ყურსაც არავინ იბერტყავსო და ახლა კი თავ-კისერს იმტვრევენო“ („დროება“, 1882 წ. 1 სექტ. № 182).

მაგრამ ხალხმა უკეთ იცის, ვინ რისი ღირსია და სწორედ ამით აიხსნება აკაკის ასეთი მიღება. რევაზ ვაჩნაძე ბაკურციხიდან იყო და ამიტომ, საფიქრებელია, რომ მან პოეტი სტუმრად ბაკურციხის მამულში მიიპატიჟა, თუმცა მას სიღნაღშიაც ჩინებული სახლი ჰქონდა.

აკაკი წერეთლის მთელი მემკვიდრეობა ერთავად სამშობლოს მსურვალე სიყვარულითაა გაჟღენთილი. ყველა კუთხე — ეს იქნებოდა ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია თუ სამეგრელო, პოეტისათვის ერთნაირად ძვირფასი, დედის რძესავით ტკბილი იყო.

დიდი ყურადღების ღირსია აკაკის შემდეგი სიტყვები სამშობლოზე: „ბევრი დარი უნახავს საქართველოს. უფრო მეტჯერ ავდარი დასდგომია... დედამიწის ზურგზე არ გვეგულება ჩვენ ქვეყანა იმდენათ თავ-გადასავლიანი და იმ გვარათ ჭირ-ნახული, როგორც ჩვენი საქართველო. უძველეს დროიდან აქამომდე არ დარჩენლა ხალხი, რომელსაც არ შეხ-

ლოდეს ძალაუნებურათ და ან რაიმე დამოკიდებულება არ ჰქონდეს" („სამი ლექცია „ვეფხის-ტყაოსანზე", თხზულებანი, ტომი XII, გვ. 67). იმავე წერილში აკაკი წერეთელი კავკასიელებისა და ქართველი ხალხის სიმტკიცეს მითოლოგიურ გმირს, პრომეთეოს, ამირანსა და კავკასიის ქედის სიმტკიცეს ადარებს. 1881 წ. აკაკი წერს: „არ ვიცით, ძველათაც ტანჯვაში ყოფილა საქართველო, თუ ეს არაკი იყო წინასწარმეტყველება საქართველოზე, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ამ პრომეთეოსს გვიხატავს კავკასიის ქედის ფეხთით გაშლილი, ტანჯული მრავალ-გვარათ, წამებული საქართველო. ვიმეორებ, არ დარჩენილა ხალხი, რომელსაც, როგორც შავ · ყორანს პრომეთეოსისათვის, საქართველოსათვის არ ჩაეცლოს გულ-ღვიძლში ხელი" (იქვე, გვ. 68). მიუხედავად ამისა, პოეტის სიტყვით, ქართველი ერი და მისი დედა-ენა „იმ ძალაუნებურ შეტაკებაში მაინც ძლევამოსილი დარჩენილა".

აკაკი ასეთ შედარებას იძლევა საქართველოს სიმაგრე-სიმტკიცეზე: „ერთ სტაქან წყალში რამდენიმე წვეთი ღვინისა რომ ჩაურიოთ, უთუოდ ფერს უცვლის წყალს, მაგრამ რამდენიმე წვეთი წყალი რომ ერთ ყანწ ღვინოში ჩაურიოთ, ვერც ფერს დააკარგვინებს და ვერც ძალასაო" (იქვე, გვ. 70).

საქართველოს წარსულს არა ერთხელ დაუბრუნდა ქართული ლექსის ჭურუმი. იგი ყოველთვის მოწიწებით ეპყრობოდა მის მდიდარ ისტორიას. 1897 წელს, თელავში წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი აღნიშნავდა: „ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია: უძველეს დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს!.. ეგვიპტე, ბაბილიონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ.. საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირათ, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზე ეხლებიან, მაგრამ, დაუძლურებული და ქაფათ ქცეული უკანვე იქცევიან... უფრო უახლოებელს დროში მაჰმადიანობამ ჩაყ-

ლაპა დიდი ვიზანტია, დაიმონა სლავიანის ქვეყნები და ამ პატარა ქვეყნის კუთხეს — კი ბოლო ვერ მოუღო... ჩვენმა მამა-პაპებმა გადაიწერეს პირჯვარი, შესძახეს ერთმანეთს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვით-კირსაო“ და. სარწმუნოებასთან ერთად შეხორცებული ეროვნება გაამტკიცეს!...“ (თხზულებანი, ტომი XIII, გვ. 294—295).

ჩვენ წინაპრებს გარე'შე მტერთან მუდმივ ბრძოლებში ცალ ხელში ფარ-ხმალი ეჭირათ და მეორე ხელში კი სამეურნეო იარაღი. ამ საქმეში მამაკაცებს სულ ერთაბად გვერდში ედგნენ ქალებიც. „ჩვენი დედები, — დასძენს აკაკი, — მართლა დედები და ცოლები იყვნენ. მიტომაც დაურქმევიათ „ცოლი“, ე. ი. „ცვალი“, რომ ქმრის გამონაცვლება შესძლებოდა, ანუ მეუღლე, რომ ქმართან ერთად ცხოვრების უღელი გაეწია. დღევანდელი ქალები, მხოლოდ „ყენები“ არიან, რადგანაც სიტყვა „ყენა“ სანსკრიტულად მშობელს ანუ მომგებს ნიშნავს და ამათაც ხომ მეტი არა შეუძლიანთ რა. ამას მიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ ქალები გავჰკიცხო და შეურაცხყოფა მივაყენო, მით უფრო, რომ იმათ ბრალი არაფერში აქვთ!... მათი უვარგისეობა დროთა ვითარების ბრალია და მეც გულისტკივილი მალაპარაკებს. ის უიმედობა და გულის ტკივილი, რომელიც საფლავში თან უნდა ჩამყოლოდა, თუ დღევანდელ კახეთის ნახვას ჩემთვის გული არ გაემთელებია!...“ (იქვე, გვ. 297—298).

1897 წ. დაწერილ „კახეთში მოგზაურობაში“ აკაკი წერეთელი შემდეგ ცნობას იძლევა იმ ჟამად სოფ. ბაკურციხეში მცხოვრებ ნინო სოლომონის ასული ჩოლოყაშვილ-ანდრონიკაშვილისას (1815—1819) შესახებ: „თელავიდან სიღნაღზე წამოვედით და გზაში ბევრი სასიამოვნო არა მინახავსრა. ყველგან რთველი იყო გამართული, მაგრამ ლხინი და სარგებელი კი — სხვებისა იყო: თავზე მოვალეები ადგენ ყველგან და პატრონებს — კი ყურძნის ჭამის ნებაც კი არა ჰქონდათ!.. გზაში შემთხვევა მომეცა, რომ მენახა კნეინა ანდრონიკაშვილისა, ჩოლოყაშვილის ქალი, საზოგადოდ, კახეთში მარშლის ცოლად წოდებული. იმაზე ბევრი კარგი მქონდა გაგონილი და მართალიც გამოდგა. კნეინა ერთი იმ ძველ

ქართველ ქალთაგანია, რომელიც დღეს გვენატრება: ზრდილი, დარბაისელი, სიტყვაპასუხიანი და ყოველ კარგის მოსანაგრძნობი. სასიამოვნოთ დამრჩა არა თუ მარტო მისი სახვა, არამედ იმათიც — კი, ვინც მას გარს ეხვიენ და მომაგონებდა დედაჩემის დარიგება: შვილო, მეტყოდა ხოლმე, უნდა ცდილობდე კარგი ადამიანისა და კარგი საზოგადოების დაახლოვებას, ისე როგორც მზისა და მთვარისას; იმათი სხივი და ნათელი შენც მოგეხდება და გამოგაჩენსო" (თხზულებანი, ტომი XIII, გვ. 316—317). შემდეგ პოეტი განაგრძობს „ერთი ღამე გზაში მამა პოლიევქთ კარბელაშვილისას გავათიე. ხადაც გავსინჯე მისი ქართული ბიბლიოთეკა და კმაყოფილი დავრჩი. ამ საზოგადო მოღვაწე მღვდელზე, როგორც მამა დეკანოზ ღამბაშიძეზე, ჩემ თავგადასავალში ბევრი რამ მექნება მოხსენებული და ამიტომაც აქ აღარას ვამბობ. მეორე დღეს სიღნაღში ამოვყავი თავი და ისე შევწუხდი. რომ ნეტავი არ მენახა-მეთქი..." (იქვე).

აკაკის „თხზულებათა სრული კრებულის" XIII ტომში „კახეთში მოგზაურობას" ახლავს რედაქტორ-გამომცემლებისა (გ. აბზიანიძე, ლ. ასათიანი, ი. გრიშაშვილი, პ. ინგოროყვა და შ. რადიანი) და პირადად ტომის რედაქტორ-კომენტატორის — გ. აბზიანიძის არასწორი შენიშვნები. კერძოდ, აკაკის მიერ დასახელებულ „კახეთში მარშლის ცოლათ წოდებული" კნეინას მეუღლედ შეცდომით უცვნიათ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1793—1868), რომელიც ერთ დროს თბილისის სამხედრო გუბერნატორი იყო და არა თავადაზნაურთა მარშალი.

გარე. კახეთში მცხოვრები ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი, დის შვილი იმერეთის მეფე სოლომონ მეორისა, სულ სხვა პიროვნებაა და აკაკის მიერ დასახელებული „კნეინას" მეუღლე კი სულ სხვა. 1863 წელს, როდესაც ივანე მალხაზის ძემ თავისი უფროსი ვაჟიშვილი, არჩილი, გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტი, თავიანთ საგვარეულო აკლდამაში დაასაფლავა სოფ. ქოდალოში, იგი უკვე ქვრივი იყო და ქალიშვილებთან, რძალთან და არჩილის ორ ვაჟიშვილთან ერთად აფრქვევდა ცხარე ცრემლებს უდროოდ დაკარგულ შვილს.

ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ნეკროლოგის გამოქვეყნებისას („კავკაზი“, 1868 წ. 22 სექტ., № 111) განსვენებულის ახლობლებიდან მხოლოდ მისი ორი ქალიშვილი ელენე ჩოლოყაშვილი, ვარვარა თუმანიშვილი და რძალი (არჩილის ქვრივი) ვარვარა ანდრონიკაშვილი აუწყებდნენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 23 სექტემბერს სოფ. ქოდალოში დასწრებოდნენ განსვენებულის გვამის დაკრძალვას. ისე, რომ არც ამ მეორე უბედური შემთხვევის დროს ჩანს ივანეს ქვრივი.

აკაკი წერეთელს თავისი მოგზაურობისას კახეთში 1897 წლის სექტემბერში მიზნად ჰქონდა დასახული პირადად გაცნობოდა შუამთის, ალავერდის, ბოდბის, წმ. ნინოსა და კახეთის სხვა უძველეს ტაძრებსა და მონასტრებს. აკაკის მოგზაურობის მიზნები კიდევ უფრო ზუსტდება იმდროინდელი პრესის საშუალებით. ასე, მაგალითად, ნადიკვრელის ფსევდონომით ილია ზარაფიშვილი („ივერია“, 1897 წ. № 202) აკაკის თელავში ჩასვლას და მის მიერ შუამთის ტაძრის დათვალიერებას 11 სექტემბრით ათარიღებს, 13-ში პოეტი ალავერდში გამგზავრებულა და 14-ში იქ დასწრებია ორ მომღერალ გუნდს, რომელთა შორის ერთს მათგანს ცნობილი მგალობელი პოლიევქტ კარბელაშვილი ლოტბარობდა. 18 სექტემბერს აკაკი პ. კარბელაშვილის თანხლებით თელავიდან სიღნაღს გაემგზავრა არა გარე კახეთით, ქოდალოზე გავლით, არამედ შიგნი კახეთის სოფლებზე გავლით. 18-ში ღამით გურჯაანს დარჩა პ. კარბელაშვილთან, ხოლო 19 სექტემბერს დილით ნინო ჩოლოყაშვილ-ანდრონიკაშვილისას ესტუმრა სოფ. ბაკურციხეში და ამ უკანასკნელთან დარბაზობის შემდეგ კარდანახ-ანაგაზე გავლით სიღნაღს გაემგზავრა.

ამგვარად, ზემოდამოწმებულ ციტატაში ყოველგვარ ეჭვს გარეშეა აკაკის მხედველობაში ჰყავს ნინო (ნინუცა) სოლომონის ასული ჩოლოყაშვილი, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა მარშალ სოლომონ ანდრონიკაშვილის ქვრივი. პოლკოვნიკი სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (1812—1871) უფროსი ძმა იყო გენერალ ლეიტენანტ რევაზ ანდრონიკაშვილისა. ორივენი დიდი ხნის განმავლობაში თავადაზ-

ნაურთა წინამძღოლებიც იყვნენ: პირველი 1847 წლიდან 1871 წლამდე სიღნაღის მაზრის მარშალი იყო, ხოლო მეორე 12 წლის განმავლობაში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთ ხელმძღვანელობდა. ძმები ხანგრძლივად იყვნენ თავადაზნაურთა წინამძღოლები ანუ „მარშლები". ამიტომაც მათ კახეთში მეტსახელად „მარშლიანთი" შეარქვეს და ეს სახელწოდება დღემდე მოიხსენება სოფელ ბაკურციხეში. ორივე ძმას კახეთში — ბაკურციხეში, კარდანახში, ანაგაში, ველისციხეში და მელაანში — დიდძალი მამული, ვენახი და სახლმარნები ჰქონდა.

სოლომონისა და ნინოს სახლკარი, კარის ეკლესია და ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ფერმა სოფ. ბაკურციხეში ჯერ კიდევ 1858 წლიდან იყო ცნობილი რუსეთის იმპერიასა და მთელ ევროპაში. მათ ჩინებულად მოწყობილ ბაღ-ვენახებს, კვიპაროსების ხეივანს, თუთისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების წალკოტს მრავალმა ქართველმა და უცხო კალმოსანმა მიუძღვნა წერილები ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურსა და სხვა ენებზე. რუსეთიდან თუ სხვა უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული პირები მუდამ მოხიბლულები იყვნენ წლის ყოველი დროის ათასჯურა მშვენიერი ხილნარის სანახაობით.

ქართველ მოღვაწეებიდან ბაკურციხის „მარშლიანთ წალკოტს" სხვადასხვა დროს ესტუმრნენ: ივ. კერესელიძე, ნიკო ლომოური, ივანე მაჩაბელი, დიმ. ყიფიანი, გრ. ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ივანე გომელაური, დავ. სარაჯიშვილი, მოსე ჯანაშვილი, ივ. როსტომაშვილი, პ. კარბელაშვილი, ნ. დიასამიძე, დავ. კასრაძე, შალვა დადიანი, მიხ. ცხაკაია, ფილ. მახარაძე და მრავალი სხვანი. თითქმის ყველა მათგანმა ქების წერილები მიუძღვნა ანდრონიკაშვილების ხსენებულ ფერმას ბაკურციხეში. არის მოსაზრება, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ახლო ნათესავები ჰყავდა კარდანახსა და ბაკურციხეში, უნდა სტუმრებოდა ნ. ანდრონიკაშვილის ოჯახს, მით უფრო, რომ თბილისიდან ყვარელში მიმავალი ილია ყოველთვის ბაკურციხეში გაივლიდა ხოლმე და თავისი ეტლით ორ მხრივ უვლიდა „მარშლიანთ ფერმას". გაზ. „დროების" კო-

რესპონდენტი, ვინმე „ბაკურციხელი", აგვიწერს ბაკურციხის სიმშვენიერეს და აღნიშნავს, რომ „ჩვენი მაზრის მარშალი ამ სოფელში ცხოვრობს, უწინდელი მარშალიც აქ ცხოვრობდაო" („დროება", 1879 წ. № 139). გაზ. „დროების" რედაქტორმა ივანე მაჩაბელმა მთავრობის მიერ ხსენებული გაზეთის დახურვის ცნობა 1885 წ. თელავში შეიტყო დათიკო მესხის დეპეშით და მეორე დღეს ბაკურციხეში სტუმრად მყოფ მენადიმებთან ერთად „დროებასაც" გლოვობდა (გრ. ყიფშიძის მოგონება გაზ. „სახ. ფურცელი", 1916 წლის 1 იანვარი, № 476).

ივ. როსტომაშვილმა, დავ. კასრაძემ, შალვა დადიანმა და ზოგიერთმა სხვა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ სპეციალური წერილები მიუძღვნა „ბაკურციხელ ასწლოვან ნინო ანდრონიკაშვილს".

პირველი აბრეშუმის ფაბრიკა 1859 წ. ბაკურციხეში სოლომონ ანდრონიკაშვილმა გახსნა და აქვე დიდძალი თუთის პლანტაცია გააშენა. 150.000 ძირი თუთის ხე იდგა მის მამულში. სპეციალური წყალსადენი რწყავდა მათ. ფაბრიკასაც წყალსადენი ამუშავებდა. ს. ანდრონიკაშვილის მიერ ბაკურციხეში გამოყვანილი წმინდა კახური და იტალიური ჯიშის აბრეშუმის პარკი იმ დროისათვის კარგად იყო ცნობილი მთელ ევროპაში. ასე, მაგალითად, 1872 წელს მოსკოვში სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენაზე სოლომონის ქვრივი ნინო ანდრონიკაშვილი კარგი აბრეშუმის მოყვანისათვის ბრინჯაოს მედლით დააჯილდოვეს, ხოლო მის მაზლს — რევაზს დიდი ვერცხლის მედალი აკუთვნეს ბაკურციხის მარკის ღვინის წარდგენისათვის. ოქროს მედლით კი დააჯილდოვეს თავ. ალ. ჭავჭავაძის (1818—1884) წინანდლის ღვინო (გაზ. „კავკაზი", 1872, №№ 130—148).

პირველი ქართული ენციკლოპედია „სალარო ცოდნისა" სათანადო ადგილს უთმობს სოფ. ბაკურციხეს და იქ გაშენებულ ანდრონიკაშვილების მამულებს (წიგნი მეორე, თბილისი, 1898 წელი, გვ. 222). გაზ. „დროების" კორესპონდენტი ზ. წინამძღვრიშვილი 1867 წელს 10 ივნისის თარი-

ღით სოფ. ახაშნიდან ასეთ ცნობას აწვდის ხსენებული გაზეთის მკითხველებს:

„სიღნაღის უეზდის კეთილშობილი — წინამძღომელის თავად ანდრონიკაშვილის ფერმა, რომელიც არის სოფელ ბაკურციხეს (სიღნაღის უეზდში), თითქმის უკან არ ჩამორჩება ევროპის ნაქებ ფერმებს; ყოველსგვარს ევროპის და სხვადასხვა ქვეყნების მცენარეს დაინახავს ამ ფერმაში“ („დროება“, 1867 წელი, № 25). ანდრონიკაშვილის ფერმას ბაკურციხეში ყველაზე ადრე წერილები მიუძღვნეს ივანე კერესელიძემ, თვითონ სოლომონ ივანეს ძემ („ცისკარი“, 1861 წ., № 12; „გუთნის დედა“, 1862 წ., № 7; გაზ. „კავკაზი“, 1862, № 88) და ზოგიერთმა ევროპელმა მოგზაურმა. სხენებულ მამულში გაშენებულ ორანჟერეას მარტოოდენ ასეული ლიმონისა და ფორთოხლის ხე ამშვენებდა.

სოლომონი და მისი მეუღლე დიდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ, ნერგავდნენ ბაღ-ვენახების ევროპული მეთოდებით დამუშავების წესებს, გაუმჯობესებული ჯიშის აბრეშუმისა და კარგი ხარისხის ღვინის გამოყვანა-დაყენების ჩვევას, შეძლებისდაგვარად მათ ხალხში შეჰქონდათ აგრეთვე წერა-კითხვის ცოდნა. ამიტომაც იყო, რომ 1867 წელს „სიღნაღის უეზდის მარშლათ მეოთხეჯერ ამოირჩიეს უწინდელი მარშალი პოლკოვნიკი თავ. სოლომონ ანდრონიკაშვილი“ („დროება“, 1867 წ. № 25).

1861—1871 წლებში სოლომონ ანდრონიკაშვილმა 11 წერილი მისწერა ბაკურციხიდან დიდ ქართველ მოღვაწეს დიმ. უიფიანს და ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი თავდადება სოფლის მეურნეობის აღმავლობისადმი. სოლომონმა თავის მამულს შეუერთა მისი ცოლის მზითევში მიცემული მამულებიც და საგრძნობლად გაიზარდა მისი ფერმის ფართობი სოფ. ბაკურციხეში. ქმრის სიკვდილის შემდეგ ნინომ, მართალია, მამულების ნაწილი ბაკურციხესა და კარდანახში 1872—1873 წწ. გაყიდა, მაგრამ უმეტესი მაინც დაიტოვა და კარგადაც შეინახა 1919 წლამდე.

აკაკის მგრძნობიარე სიტყვები ნინოს მიმართ ნამდვილად ზედგამოჭრილი იყო მასზედ, პოეტმა მასთან შეხვედრა და

საუბარი საგანგებოდ აღნიშნა თავის „კახეთში მოგზაურობაში“.

სოლომოხსა და ნინოს შვილები არ დარჩენიათ. ცოლქმარი დასაფლავებულია ბაკურციხის ეკლესიაში.

აი, ვინ იყო „კნეინა ანდრონიკაშვილისა-ჩოლოყაშვილის ქალი, საზოგადოდ, კახეთში მარშლის ცოლად წოდებული“, რომელსაც 1897 წლის 19 სექტემბერს პოეტი ესტუმრა სოფ. ბაკურციხეში და რომელიც აკაკის თხზულებათა XIII ტომის კომენტატორმა — გ. აბზიანიძემ შეცდომით გენერალ-ლეიტენანტ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის მეუღლედ მიიჩნია.

საინტერესო წარსული აქვს სოფელ ბაკურციხეს, რომელიც ოდესღაც ქალაქად იწოდებოდა. საუკუნეთა განმავლობაში მის თავზე ბევრ დარსა და ავდარს გადაუვლია. ამას მეტყველებს უძველესი წყაროები, ადგილობრივი არქეოლოგიური გათხრების ნაშთები, ძველთაძველი ციხე-ეკლესიების ნანგრევები და, ბოლოს, თვით ჩვენ მემატიანეთა ცნობები. დავით ბატონიშვილის (1767—1819) გადმოცემით, ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე, 332—330-იან წლებში ვითომც „ალექსანდრემან მაკედონელმან აღიღო ქალაქი ბაკურციხე, რუსთავი, მცხეთა, ნასტაკისი, ციხე დიდი, უფლების ციხე, სარკინეთი, სამშვილდე და ურბნისი“... ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილის (1782—1846) სიტყვით კი — „მეფე იქმნა ბაკურ წელთა ქრისტესით 233-სა და ეგო იგი მეფობასა შინ თვისსა მშვიდობით და უშფოთველად, აღაშენა ამან ქალაქი ბაკურციხე კახეთსა შინა მახლობელ ქიზიყისა (ბაკურციხე ეგო მრავალ წელ ჩინებულს ქალაქად; ხოლო უკანასკნელ დაირღვა და იქმნა დაბად, რომელიცა ჟამად ამადამდე არს დაბად)“...

* * *

რამდენიმე სიტყვა პოლიევქტ კარბელაშვილზე (1855—1936), რომლის ბინაზე, გურჯაანში, 1897 წ. 18 სექტემბერს ერთი ღამე დარჩა აკაკი წერეთელი. მართალია, პოეტი შეგ-

ვპირდა ამ საზოგადო მოღვაწე მღვდელზე, მომავალში ბევრ რამეს ვიტყვი ჩემს „თავგადასავალში“-ო, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ გაამართლა.

პოლიევქტ კარბელაშვილი თავის დროზე მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ქართული დამწერლობის ისტორიასა და ძველი ძეგლების შესწავლა-გამომზეურებაში. იგი ქართული წიგნთმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის პიონერი იყო. კარბელაშვილი მრავალი შრომის ავტორია. მისი სტატიები გაბნეულია ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში. ეს ამაგდარი კალმოსანი და საზოგადო მოღვაწე თავის დროზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ამიტომაც არ უნდა დავივიწყოთ იგი. პოლ. კარბელაშვილი გურჯაანშია დაკრძალული და კარგი იქნებოდა მის საფლავზე ძეგლი აღიმართოს, ყოფილი ბინა სახლ-მუზეუმად გადაქცეულიყოს, რჩეული თხზულებანი კი გამოიცეს, ასევე სასურველია, კარბელაშვილისა და ნინო ანდრონიკაშვილის სახლებზე გურჯაანსა და ბაკურციხეში აკაკი წერეთლის საპატივსაცემოდ მემორიალური დაფები გაკეთდეს.

ჰოლა ლომთათიძე

ჰ ო ლ ა ს

გული გავიპე და მის წიაღში,
ჩემო ძვირფასო, შენ დაგასვენე:
იგი ვაქციე ძმათა საფლავად,
ცრემლებით მოვრთე და დავამშვენე.
აქ დამიფერფლდით, მეგობრის ძვლებო,
აქ განისვენეთ სამარადისოდ,
შენ კი, ოდითვე დევნილო სჳლო,
გასწი, იარე ისევ უთვისოდ...

გ. ქუჩიშვილი.

არიან ადამიანები, რომლებიც მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ იფერფლებიან და თავიანთი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად შთამომავლობისათვის სიამოვნებით მოსაგონებელ კვალს ტოვებენ. აი, სწორედ ასეთი დიდი გრძნობების ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა 1906 წლის რსდმპ IV გაერთიანებელი სტოკჰოლმისა და ლონდონის ყრილობების დელეგატი ვორობიოვი. რომელსაც ვ. ი. ლენინი ორჯერ იხსენიებს თავის შრომებში (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 10, გვ 360 და 371), მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი (გაზეთები „პარუს“, 1907 წ., 20 თებერვ., № 8 და „წინ“, 1907 წ., 25 თებერვ., № 11), სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ქართული პროზისა და პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბიკენტი (ჰოლა) ბიბინოს ძე ლომთათიძე (1879—1915). ამ ადამიანის ხანმოკლე ცხოვრების მდიდარი ბიოგრაფია მეტად შინაარსიანი და მრავალმხრივ საინტერესო არის.

ჰოლა ლომთათიძეზე საკმაოდ ვრცელი „მონოგრაფია“

პირველად ქართველ მკითხველებს 1960 წ. დანიელ რამიშვილმა მიაწოდა, შემდეგ მას მოჰყვა გ. ციციშვილის შრომა (1966 წ.). ამიტომ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მწერლის შეუსწავლელ მხარეებზე, კერძოდ კი მის ფსევდონიმებზე, თარგმნით მუშაობაზე, დავასახელებთ პირველ ბეჭდით წყაროებს ქართული პერიოდული გამოცემებიდან, სადაც ამა თუ იმ ფსევდონიმით, ჭოლას ორიგინალური ნაწარმოები და თარგმანები იბეჭდებოდა.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველებმა იცოდნენ, რომ უნგრეთის სახალხო პოეტის, შანდორ პეტეფის (1823—1849), ფინეთის რეალისტური მხატვრული სიტყვის ოსტატის, იოჰან ახოსა (1861—1921) და პოლონეთის დემოკრატი მწერლის, კრიტიკოს ანტონ სიგეტინსკის (1850—1923) ნაწარმოებთა პირველი მთარგმნელი ქართულ ენაზე ჭოლა ლომთათიძე იყო. ეს მნიშვნელოვანი, ბევრის მთქმელი ფაქტები და მრავალი სხვა საკითხი უთუოდ ხელს შეუწყობს ჭოლა ლომთათიძის თხზულებების შემდგომ სრულ გამოცემას.

ჭოლა ლომთათიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1896 წელს გაზ. „კვალში“ და იმ დღიდან მოყოლებული სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე მას თავისი მადლმოსილი კალამი ხელიდან არ გაუგდია. მწერლის მხატვრულ ქმნილებათა უმეტესობა დაწერილია რუსეთის იმპერიის (პეტერბურგი, ასტრახანი, სარატოვი, ბაქო, თბილისი, ბათუმი და ახალციხე) ციხეებში 1907 წლიდან სიკვდილამდე ჭ. ლომთათიძე, ფიზიკურად სუსტი ორგანიზმის მიუხედავად, მთელი სისასტიკით განიცდიდა ცარიზმის თვითმპყრობელობის უსასტიკეს რეჟიმს.

იქ გაცდილი ტკივილები მწერალმა გამოხატა მაღალიდეურ, მხატვრულ ქმნილებებში; თუმცა ეს მისი შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელიც ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა შემოგვინახა. ჭოლა ლომთათიძის ნაწერების დიდი ნაწილი თვითმპყრობელური რუსეთის ციხეების ზედამხედველებისა და ცენზურის მსხვერპლი გახდა. მაგრამ

რაც გადარჩა, ნათლად მეტყველებს ჭოლა ლომთათიძის ნათელ აზროვნებასა და ნაყოფიერ შემოქმედებაზე. ალბათ, იშვიათია მწერალი, რომელსაც ისეთი ამაღელვებელი თხზულებანი დაეტოვებინოს შთამომავლობისათვის, და ისიც. რაც მთავარია, ციხეებში შექმნილი. ამიტომ მართლაც დასანანია, რომ „არსებული დოკუმენტური მასალების შესწავლისა და მხატვრული შემოქმედების ანალიზის გარეშე ჭოლა ლომთათიძე გამოცხადებულია მენშევიკად... (დ. რამიშვილის დასახელებული შრომა, გვ. 36). ავტორი აქვე შენიშნავს რომ „მხატვრული მემკვიდრეობისადმი მარქსისტულ-ლენინური დამოკიდებულება უფლებას არ გვაძლევს მებრძოლი შემოქმედებისადმი სასტიკნი ვიყოთ". ჭოლა ლომთათიძე რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქარტეხილს მოსწრებოდა, იგი უეჭველად პირველი მიესალმებოდა მას და ამ მონაპოვარს კეთილსინდისიერად მოუვლიდა და ვაჟკაცურად დაიცავდა.

სამწუხაროდ, ჭოლა ლომთათიძე არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც დაუმსახურებლად მიეცა დავიწყებას. მისი ხვედრი სხვა მრავალმა ღირსეულმა ქართველმა რევოლუციონერმა გაიზიარა, მაგრამ იმედია დადგება დრო, როდესაც, ყველა თუ არა, ბევრი მათგანის ცხოვრება და შემოქმედება მაინც იქცევა მეცნიერთა საგანგებო კვლევის საგნად და ნათელი მოეფინება ჩვენი ისტორიის ზოგ ჩრდილოვან მხარეს.

ჭოლა ლომთათიძეს მრავალი ფსევდონიმი ჰქონდა. მათ შორის: მცირიშვილი; სპ. მცირიშვილი; სპირიდონ მცირიშვილი; სპ. მც-ლი; ჭოლა; ჭ-ოლია; ჭ. ოლა; ჭ. ოლია; გერი; ჭ. გერი; ჭ. გ-რი; ხასან; ხასან (ჭოლა); ჭ.; ანარქისტი; ბიკენტი მეწიეთელი; ჭ. ბარელი; ბიკტორი; ვორობიოვი; ვორაბეევი; ვიქტორი; Виктор; Гола; Чола; Чо-ла; და მრავალი სხვა. ნამდვილი სახელისა და გვარის (ბიკენტი ლომთათიძე) ხელმოწერით მხოლოდ „კვალში", „სხივსა" (1905—1906 წწ.) და „სიტყვაში" (1913 წ.) დაბეჭდა

თავისი ნაწარმოებები, დანარჩენ ყველა გამოცემაში ფსევდონიმებით ან ანონიმებით აქვეყნებდა.

ინტერესმოკლებული არ იქნება ვიცოდეთ რომელი ფსევდონიმით რომელ გამოცემებში იღებდა მონაწილეობას ჭოლა ლომთათიძე: მცირიშვილი („ალიონი", კრებული, 1911 წ.); სპირიდონ მცირიშვილი და ხან სპ. მცირიშვილი („კვალი", „ივერია", „ცნობის ფურცელი", „ცნობის ფურცელი, სურათებიანი დამატება", „ცისარტყელა", „ცისკარი", „მომავალი", „სხივი" (1909—1910 წწ.), „ფონი", „ჩანგი", „ჩვენი აზრი", „ახალი აზრი" (1910 წ.), „ახალი გზა", „მნათობი" (1911 წ.), „ახალი აზრი" (1913—1915 წწ.), „სიმართლის ხმა", „სიტყვა" (1913 წ.), „აზრი", „თანამედროვე აზრი", „სამშობლო" და სხვა; სპ. მც-ლი („ლახვარი"); ხასან („ჩვენი ცხოვრება", 1906 წ.), „შინაური საქმეები", „ცხოვრების საქმე" („თანამედროვე აზრი"); ხასან (ჭოლა) („თანამედროვე აზრი"); ჭოლა („სხივი", 1909—1910 წწ.); გერი („ნიშადური", „საქართველო", „თემი", „მნათობი", 1911 წ., „დილა", 1912—1913 წწ. „ჩვენი ცხოვრება", 1912 წ., „სიტყვა", 1913 წ.); ჭ. გერი („ახალი აზრი", 1910 წ., „საქმე"); ჭ. ოლა („ახალი აზრი", 1910 წ., „თეატრი და ცხოვრება"); ჭ. ოლია („ეშმაკის მახე", „ჰენრიხ ჰეინეს ლექსების კრებული", 1913 წ.); ჭ-ოლა („გრიგალი"); ჭ. („ტალღა", „ჩვენი ცხოვრება"; 1906 წ.); ჭ. გ-რი („თანამედროვე აზრი"); ბიკენტი მეწიეთელი („კვალი"); ჭ. ბარელი („ნიშადური"); Виктор („მოგზაური"); ანარქისტი (იხ. რამიშვილი, ჭოლა ლომთათიძე, გვ. 46. „ანარქისტის ფსევდონიმით ჭოლამ მრავალი ნაწარმოები გამოაქვეყნა"); Чола (იხ. Контор, Р. М. Каторга и ссылка за десят лет (1921—1930), М., 1931, გვ. 111, 191); **Чо-ла (Масанов, И. Ф.** Словарь псевдонимов, т. IV, см. **Ломтатидзе В. Б.); Мцыришвили** (Первая русская революция, Указатель литературы, М., 1930, გვ. 671); **Воробьев,** (В. И. Ленин, Соч., 4-ое изд., т. 10, стр. 273, 283).

რამდენიმე სიტყვა ჭ. ლომთათიძის ზოგიერთი ფსევდონიმის წარმოშობის შესახებ. ჭოლამ და ქუჩიშვილმა ე. ნინოშვილის საპატივცემლოდ მისი გმირები აიღეს ფსევდონიმებად. პირველმა ამოირჩია სპირიდონ მცირიშვი-

ლი, მეორემ კი — გოგია უიშვილი. ეს ფაქტი შემთხვევითი არ იყო, ორივეს ნინოშვილის იდეების უშუალო გამგრძელებლად მიაჩნდათ თავი.

ჭოლა ლომთათიძის მხატვრულ ქმნილებებს თუ ყურადღებით გადავიკითხავთ, დავრწმუნდებით, რომ ხშირად მწერალი თავის მოთხრობებში მოქმედ პირებს თავისივე ფსევდონიმებით ალაპარაკებს: „ხასანა! ანარქისტი! — წაილაპარაკებდა კოლა...“; „ერთხელ ბათომის სატუსაღოში ჯდომის დროს, ვიღაც შეპრენტილი აჭარელი ენახა მას (კოლას, „მოზვერს“, ა. ა.), რომელიც თავის თავს „ანახლუსტს“ ეძახდა თურმე. ამ აჭარელის სახელი იყო ხასანა და იმ ხასანას, არ ვიცი რათ, მამსგავსა მე. მას შემდეგ მე პარტიულ სახელათ გადამექცა ეს სახელი და ყველა ჟანდარმმაც იცის ეს და ეს იყო „მოზვერის“ ბრალი“ („პირველი მაისი“); „შერცხვეს სოციალ-დემოკრატი ბიკტორ აგიაშვილი, იგივე ხასანა...“ (იქვე); „ბიკტორ... ბიკტორმა... ასე ფიქრობდა ბიკტორი...“ („დასაფლავება“); ჯეირან, სპირიდონ, „მოდი, შვილო, ჯეირან!... ჯეირან ვარდოსანიძე“ („სახრჩობელას წინაშე“); ჯეირან ვარდოსანიძე თვითონ ჭოლა ლომთათიძეა, ხოლო სპირიდონი კი მისი ამხანაგია საპყრობილეში, მაგრამ აქაც მწერალს თავის თავი ჰყავს მხედველობაში. „საპყრობილეში“ მთავარ გმირად გამოყვანილია ავადმყოფი, ჭლექით დაავადებული მცირიშვილი, პირველი პირით მოლაპარაკე და ესეც თვითონ ჭოლა ლომთათიძეა. „უსათაუროს“ პერსონაჟი ვანოც თვითონ ჭოლაა, ხოლო მისი ობიექტი კი ლიზა-ხვარამზე იყო. ილიკო იაშვილი („ჩემი დღიური“) და ბევრი სხვა ნაწარმოების მთავარი გმირებიც თვითონ მწერლის პირით ლაპარაკობენ. ერთი სიტყვით, ჭოლას მიერ ციხეებში შექმნილი ნაწარმოებები თითქმის ყველანი ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებენ.

საყურადღებოა ერთი ასეთი ფაქტიც: 1906 წლის 5 (18) ივლისის გაზ. „სიმართლეში“ (№ 1) აპოლონ წულაძემ, ფსევ-

---

[1] აპ. წულაძის ხსენებულ კორესპონდენციას პოლემიკით გამოეხმაურა ფედერალისტი ე. დავითაშვილი (გაზ. „შრომა“, 1906 წ. № 104), ხოლო ამ უკანასკნელს კი სასტიკი კრიტიკული წერილებით უპასუხეს რიჟამ და ხასანამ („სახსოვრათ ბ-ნ დავითაშვილს“, იქვე, №№ 4, 5).

დონიმით რ ი ჟ ა, მოათავსა ერთი კორესპონდენცია[1] გურიიდან, რომელშიც კარგად ახასიათებს სოციალ-დემოკრატ ჭოლა ლომთათიძის ბრძოლას ფედერალისტებთან და აღწერს 1906 წ. 18 ივნისს დაბა ლანჩხუთში ჩატარებულ ერთ მიტინგს, რომელსაც თურმე 2.000-მდე ქალი და კაცი ესწრებოდა. ხსენებულ მიტინგზე ფედერალისტებიდან სიტყვით გამოსულა ვიღაც სტუდენტი. ჯ. რ ი ჟ ა ს გადმოცემით, ორატორს „პასუხი გასცა ამხ. ხასანმა, რომლის აღგზნებული გრძნობიერი სიტყვა ტაშისცემით მიიღეს" იქ მყოფთაო. ეს ფაქტი ნამდვილად ჭოლას ორატორულ ნიჭზე მეტყველებს, რაც გ. პლეხანოვსაც არა ერთხელ აღუნიშნია[2]. სხვათა შორის, თავისი გამოსვლით ჭოლამ რსდმპ IV ყრილობაზე მიიქცია ვ. ი. ლენინის ყურადღება. ალბათ ამიტომ იყო, რომ აპ. წულაძემ ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალებისადმი გამოქვეყნებულ ერთ პატარა წერილში — „ჩემს ჭოლას", — ამხილა თავისი ფსევდონიმი და ძველ მეგობარს ასე მიმართა: „შენი" რიჟასთვის „სულ სხვა იყავ შენ, ჩემო კერპოო" (გაზეთი „თანამედროვე აზრი", 1915 წ., № 211).

აპოლონ წულაძეს ხსენებული ფსევდონიმის გარდა 70-მდე ფსევდონიმი ჰქონდა. ამავე 1906 წ. პერიოდს ეხება ერთ თავის მოგონებაში გ. ქიქოძე და წერს: „პოლიტიკურ მიტინგზე მხოლოდ ერთხელ გამოველი. ეს იყო გურიაში, სოფელ შემოქმედში, სადაც მახლობელ სოფლებიდან დიდძალმა გლეხკაცობამ და ინტელიგენციამ მოიყარა თავი. მიტინგზე სოციალ-ფედერალისტებმა საუკეთესო ორატორები გამოიყვანეს, მათ მხარს უჭერდნენ ქარხველი სოციალისტ-რევოლუციონერებიც. სოციალ-დემოკრატების მხრივ ფილიპე მახარაძე და ჭოლა ლომთათიძე გამოვიდნენ; მეც წარმოვთქვი მოკლე სიტყვა. გლეხობას უფრო ჩვენი სიტყვები მოეწონა, ინტელიგენციას — ჩვენი მოწინააღმდეგებისა..." (გ. ქიქოძე, რჩეული

---

[2] Р. Н. (В. И. Якобсон) — Памяти Виссиона Ломтатидзе, «Русские ведомости» от 8-го ноября 1915 г. № 257, стр. 7.

თხზულებანი, ტ. III, გვ. 467). იმავე ხანებში, გერონტი ქიქოძის გურიაში ყოფნის დროს, მის ბინაში შეჭრილა მეფის ერთგული „ურიადნიკი“ კოწია ბერიძე ჩაფრებით. ვიქტორი რომ ვერ უპოვნია, თვითონ გ. ქიქოძე წაუყვანია ოზურგეთში და წარუდგენია გენერალ-გუბერნატორ ტოლმაჩოვის კანცელარიაში... ვ ი ქ ტ ო რ ი ს პარტიული სახელით მაშინ ჭოლა ლომთათიძე იმალებოდა.

ვინ იყო სტუდენტი ჯ., რომელსაც ორატორების დუელში 1906 წ. 18 ივნისს ჭოლა ლომთათიძემ აჯობა. ჩვენი დადგენით, ეს გახლდათ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი არჩილ რაჟდენის ძე ჯაჯანაშვილი, რომელიც ხელმოწერით: Homu, Homunculus, შინაური; გ. მარგალიტაძე; ა.; ჯ.; ა. ჯ.; ა. ჯ-შვრლი; არ. ჯ-შვილი; ა. ჯაჯანაშვილი; არ. ჯაჯანაშვილი; გარდელი; გარდილი; გ. ბარელი; გ. ბარველი და კიდევ სხვადასხვა ფსევდონიმითა და კრიპტონიმით აქტიურად თანამშრომლობდა სოციალისტ-ფედერალისტების ისეთ ორგანოებში — როგორიცაა „მეგობარი“, „შრომა“, „ისარი“, „ამირანი“, „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო გაზეთის სურათებიანი დამატება“, „სახალხო ფურცელი“, და სხვ.

აღვნიშნავთ ერთ ასეთ ფაქტსაც: ა. ჯ-შ ვ ი ლ ი-ს ხელმოწერით გამოქვეყნებული წიგნების აღწერისას, რატომღაც „ქართულ წიგნში“ (ტ. I, №№ 3092, 3155, 3261) ეს ადვილად ამოსახსნელი გვარი გაშიფრული არ არის, იმ დროს, როდესაც ბიბლიოგრაფიაში არჩილ ჯაჯანაშვილის სხვა ლექსების წიგნაკი სრულად არის აღწერილი (იხ. № 2296). სხვათა შორის, ეს ის არჩილ ჯაჯანაშვილია, რომელსაც 1908 წ. 5 იანვარს ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია დაენიშნა. აი რას ვკითხულობთ 1908 წ. 8 იანვრის გაზ. „ისარის“ № 6-ში: „შაბათს, 5 იანვარს, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ გაანაწილა ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიები. მთხოვნელები ორასამდე იყო. გამგეობამ აირჩია 29 კაცი და ამათგან ხმის უმეტესობით სტიპენდიები დაუნიშნა შემდეგ მოსწავლეთ: ავალიშვილს იო-

სებს, ამირაჯიბს შალვას, გოზალიშვილს ალექსანდრეს, დგებულაძეს ალექსანდრეს, შიუკაშვილს თამარას, დადვაძეს პავლეს, ელიავას შალვას, ჯაჯანაშვილს არჩილს, ცინცაძეს იაკობს, ორჯონიკიძეს ვლადიმერს, ფაღავას აკაკის, იმნაიშვილს ნ., იმნაძეს ვარ., მგელაძეს ვლასას, მდივანს ვ., მირზაშვილს გიორგის, რცხილაძეს ვასილს, ჯიჯავაძეს ელენეს, ქიქოძეს გერონტის და შურღაია ლაზარეს". ზემოთ დასახელებულ პირთა უმრავლესობა შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი გახდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჭოლა ლომთათიძე და არჩილ ჯაჯანაშვილი საერთო ფსევდონიმსაც ატარებდნენ: **ჭ. ბარელი** (ლომთათიძე) და **გ. ბარელი** (არ. ჯაჯანაშვილი).

ჭ. ლომთათიძის პირველი კორესპონდენცია პასუხია ურთი კრიტიკოსის წერილზე. ამასთან დაკავშირებით უნდა დავაზუსტოთ ინიციალები „ი. ლ.". დან. რამიშვილის მონოგრაფიასა და „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც" (ნაკვ. III, გვ. 672 და 801) ისინი გახსნილი არაა.

ისიდორე ლომაძემ ინიციალებით **ი. ლ.** სოფ. ხიდისთავიდან გაზ. „კვალში" (1896, № 28, გვ. 493—494) ერთი პატარა კორესპონდენცია მოათავსა, რომელშიც აგვიწერს ხსენებული სოფლის სამი სკოლის სავალალო მდგომარეობას, პატარა კლანჭსა ჰკრავს თვით სოფლის მამასახლისს, დაწვრილებით ჩერდება ადგილობრივ სამკითხველოზე, მის ბიბლიოთეკარზე და ბოლოს კითხულობს: „რათ უნდა იყოს ასე უყურადღებოთ მიგდებული ბიბლიოთეკის საქმეო?" წერილის ავტორი ჭოლა ლომთათიძის გვარსა და სახელს არ ასახელებს, მხოლოდ ბიბლიოთეკარად იხსენიებს. კრიტიკა რომ პირადად ჭოლას ეხება, ამას ვგებულობთ მხოლოდ თვით ბიკენტი ლომთათიძის ვრცელი საპასუხო წერილით, რომელიც გაზეთის იმავე წლის № 33-ში დაიბეჭდა. ინიციალები **ი. ალ.** ბიკენტი ლომთათიძის მიერ მხილებულია როგორც **„ის. ლომაძე"**.

ჭოლა ლომთათიძე რომ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა, ეს ყველა მკვლევარს კარგად მოეხსენება, მაგრამ ნაკლებად ცნობილია, რომ მან პირველად თარგმნა ქართულად პეტეფის და პოლონელი მწერლის ანტონ სიგეტინსკის თხზულებანი. საერთოდ, ჭოლა იმ კალმოსნების ნაწარმოებებს თარ-

გმნიდა, რომლებიც, თავიანთი შემოქმედებითი მრწამსითა და პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით, გარკვეულად ენათესავებოდნენ მას. შანდორ პეტეფის გარდა ასეთები იყვნენ ლ. ანდრეევი, ან. სიგეტინსკი, ი. ახო, ჰ. ჰაინე და სხვა. მაგრამ ჰოლა ლომთათიძე არ ყოფილა ამა თუ იმ მწერლის ბრმა თაყვანისმცემელი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ოდესღაც მისთვის საყვარელი მწერალი ლ. ანდრეევი ბოლოს იმედს უცრუებს ჰოლა ლომთათიძეს. 1907 წლის 3 დეკემბრის თარიღით ჰოლას „დღიურში" ასეთი სიტყვები ჩაუწერია: „დღეს წავიკითხე ანდრეევის „Тьма", — მიდის უკან ანდრეევი, ყველაზე უფრო სუსტად მომეჩვენა ეს მისი ნაწარმოები, — а он великий художник" („მნათობი", 1934 № 7-8, გვ. 214). სულ ოთხი წლის წინ კი მან დიდი სიამოვნებით თარგმნა ანდრეევის მოზრდილი მოთხრობა „აზრი" და „კვალში" დაბეჭდა (№№ 11-18).

ან. სიგეტინსკის თხზულება „მონოლოგი-მსახიობი ქალი" ჰოლა ლომთათიძემ თარგმნა 1902 წელს და გაზეთ „კვალის" № 44-ში გამოაქვეყნა. ან. სიგეტინსკი რეალისტური მიმართულების ხელოვნებათმცოდნე იყო და ასეთი იდეებით აღჭურვილ ნოველებსაც წერდა. „მონოლოგი-მსახიობი ქალი" — პირველად 1884 წ. დაიბეჭდა ჟურნ. „ვენდროვეცში" („მოგზაური", № 52) 1900 წ. კი ცალკე წიგნად გამოვიდა. ჩვენთვის ცნობილი მისი რუსული თარგმანი 1908 წელს დაიბეჭდა კრებულში „თანამედროვე პოლონური თეატრი" (Современный польский театр, СПб., 1908).

ჩვენი აზრით, ჰოლამ ეს ნაწარმოები უშუალოდ პოლონური ენიდან თარგმნა — რუსულ გამოცემას ექვსი წლით უსწრებს ქართული თარგმანი. თუმცა ტექსტების შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ზოგიერთი ადგილის გამოტოვებით ქართული თარგმანი უფრო რუსულ ტექსტთან არის ახლო. ეს შემთხვევა კი ორ გარემოებაზე მიგვითითებს: 1908 წ. რუსულად გამოცემული თარგმანი შესაძლებელია უფრო ადრე იყო შესრულებული და დაბეჭდილიც, ან კიდევ, რაც საეჭვოა, რუსული ტექსტი ქართულიდან მომდინარეობს. ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს.

ანტონ სიგეტინსკის (ფსევდონიმი: გოსლავეც) ნოველა

ჭოლას სულიერ განწყობილებასთან მეტად ახლოს იყო და ამიტომაც მან სწორედ იგი თარგმნა, მით უფრო, რომ აღნიშნული „მონოლოგის“ შინაარსი მთარგმნელს საყვარელი დედის სიკვდილს მოაგონებდა. როგორც ცნობილია, ჭოლა მხოლოდ 9 წლის იყო, როცა სამი დღის განმავლობაში ზედიზედ დაჰკარგა ჯერ ერთადერთი ძმა — ვიქტორი და შემდეგ კი — დედა. უდროოდ გარდაცვლილი ძმის საპატივცემლოდ შემდეგში მწერალმა ერთ-ერთ ფსევდონიმად და შერქმეულ პარტიულ სახელად ბიქტორი აირჩია. დედის სიკვდილმა კი მოურჩენელი ჭრილობა მიაყენა მომავალი შემოქმედის მგრძნობიარე გულს. ამიტომაც, შესაძლებელია, ჭოლამ თარგმანი დედის ხსოვნას მიუძღვნა. ლირიკული პროზის ეს იშვიათი ნიმუში იწყება ასე: „აქტრისა, სულ აქტრისა!.. ეკლესიაში დედა ჩემის კუბო ესვენა. თქვენ თვალებში, თქვენი სახის გამომეტყველებაში, თქვენ სიჩქარეში, როცა გზა დამიცალეთ, მე ნათლად დავინახე, რომ თქვენ იქ შეიკრიბენით არა მიცვალებულისათვის, არამედ ჩემთვის. საზოგადოებამ თავი მოიყარა, რომ დაენახა, თუ როგორ ჩავატარებდი მე თავგანწირული ადამიანის როლს დედის ჩემის ცხედართან... ოჰ, მე ვეცდები, ძალიან ვეცდები, რაც შეიძლება კარგად შევასრულო ის, თორემ თქვენ დამძრახავთ...“.

დედისავე სიყვარულმა დააწერინა ჭოლას ლექსი „დედინაცვლის ნანა“ და ფსევდონიმად აარჩევინა **გერი**, რადგანაც დედინაცვალს ვერ ურიგდებოდა.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიური ბიბლიოგრაფიის“ (ნაკვ. III, გვ. 512, № 8104 და გვ. 807) შემდგენლებს რატომღაც თარგმნილი „მონოლოგი“ ჭოლას ორიგინალურ ნაწარმოებად მიუღიათ და პირთა სახელების საძიებელში ანტონ სიგეტინსკი სულაც არაა მოხსენებული. თუმცა ჭ. ლომთათიძე პირდაპირ ასახელებს „მონოლოგი. სიგეტინსკიდანო“. ალბათ, ბიბლიოგრაფიის შემდგენლები დაეპვა იმან, რომ ავტორის გვარი ოდნავი ცვლილებებით დაიბეჭდა „კვალში“. სხვათა შორის, 1902 წ. № 44-ის თავფურცელზე ჩამოწერილ „შინაარსშიც“ ჯერ შეცდომით იყო ნათქვამი, „მონოლოგი ბ. ლომთათიძისაო“, ხოლო შემდეგში, „კვალის“ 1902 წლის საერთო წლიურ სარჩევში გასწორებუ-

ლი იყო ასე: „მონოლოგი სიგენტინსკიდან თარგ. ბ. ლომთათიძისა“. უნდა ყოფილიყო სიგეტინსკის (Antoni Sygietynski — Антоний Сыгетыньский).

1902 წ. „კვალის“ მორიგ ნომრისათვის, ჭოლამ რუსულიდან თარგმნა ფინური ლიტერატურის კლასიკოსის, იოჰან ახოს მოთხრობა „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!..“ ცენზურის გამო ხსენებული ნაწარმოების დაბეჭდვა მთარგმნელის სიცოცხლეში ვერ განხორციელდა, თუმცა „კვალის“ რედაქცია ორჯერ შეეცადა მის გამოქვეყნებას.

1902 წ. „კვალის“ არქივში შემორჩენილი საკორექტურო ფურცლები ამ მოთხრობისა 1929 წ. აღმოაჩინა და გამოაქვეყნა პაატა გუგუშვილმა („მნათობი“, 1929, № 8-9, გვ. 17-19).

ეს ღრმა პოლიტიკური ნოველა ჭ. ლომთათიძემ თარგმნა ლ. გორბუნოვას რუსული თარგმანიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო 1901 წელს „Русская Мысль“-ის XII წიგნში (გვ. 155-157). იქვეა იოჰან ახოს მეორე მოთხრობა „დედა“. ჭოლა ლომთათიძის გარდა სხვა ქართველმა მოღვაწეებმაც (ეკ. ბაქრაძემ, ბ. ებანოიძემ, გ. კვაჭაძემ, ს. გრძელიშვილმა) თარგმნეს იოჰან ახოს (ბრუფელდტის) ზოგიერთი ნაწარმოები და გამოაქვეყნეს რევოლუციამდელ ქართულ პერიოდულ პრესაში („ცნობის ფურცელის სურათებიანი დამატება“, „ისარი“, „დროება“, 1908-1910 წწ., „სახალხო ფურცლის სურათებიანი დამატება“ და სხვ.).

მკვლევარებმა ნოველა „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!...“ შეცდომით ჭოლას ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნიეს და მის ერთტომეულში შეიტანეს. საყურადღებოა, რომ თვითმპყრობელური რუსეთის ცენზურამ ფინური ნოველის რუსული თარგმანის დაბეჭდვას ნება დართო, ხოლო მის ქართულ თარგმანზე უარი თქვა. ეს ფაქტი საქართველოს ადგილობრივი ცენზურის ზედმეტ „სიფრთხილეს“, ე. წ. პერიფერიულ სიმკაცრეზე მეტყველებს.

ჭოლა ლომთათიძის მთარგმნელობით მოღვაწეობაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მაინც ჰაინეს ლექსებისა და პეტეფის ერთი ლექსის ქართულად გადმოღება უნდა ჩაითვალოს. ჰაინეს ლექსებს იგი საპყრობილეში ყოფნის დროს თარგმნიდა. 1913 წელს ფსევდონიმით ჭ. ო ლ ი ა გამოიცა მის

შიერ თარგმნილი ჰაინეს ლექსების წიგნი, რომელიც 126 გვერდს შეიცავს. გარდა ამისა, ჰაინეს რამდენიმე ლექსი ჰ. ლომთათიძის სიკვდილის შემდეგ, 1915 წელს, ი. იმედაშვილმა გამოაქვეყნა თავის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“. თარგმანების დიდი ნაწილი კი, როგორც ჭოლას მოგონებიდან ჩანს, თვით მთარგმნელს გაუნადგურებია, ზოგიც დაპატიმრებისას ჩამოართვეს და მოსპეს.

ჰ. ლომთათიძემ ჰაინეს ლექსების თარგმნისას ისარგებლა პეტრე ვეინბერგის მიერ რუსულ ენაზე ორჯერ (1882 და 1904 წლებში) გამოცემული თორმეტტომეულიდან. პეტრე ვეინბერგიდანვე გადმოიღო „ჰენრიხ ჰეინეს მოკლე ბიოგრაფია“ და თავის ქართულ თარგმანს წაუმძღვარა (გვ. 1-32). კრებულს ერთვის ავტორის მიმართვა-წინასიტყვაობა მეგობარ მკითხველისადმი (გვ. 33-37). რუსულად სხვებმაც თარგმნეს ჰაინე, მაგრამ ჰ. ლომთათიძემ სწორედ პ. ვეინბერგი აირჩია „პირველწყაროდ“. ეს გასაგებიცაა, რადგან პ. ი. ვეინბერგი, ცნობილი პოეტი, ლიტერატურის ისტორიკოსი, გამომცემელი და საპატიო აკადემიკოსი, ჰაინეს ლექსების ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელი იყო რუსეთში. (სხვათა შორის, პ. ი. ვეინბერგს თავის მხრივ ჰაინეს შემოქმედება ისე უყვარდა, რომ მის პატივსაცემად ერთ-ერთ მთავარ ფსევდონიმად „Гейне из Тамбова“ აირჩია). როგორც ქართული თარგმანის წინასიტყვაობიდან ირკვევა, დიდი გერმანელი პოეტის ეს ლექსები ჭოლას 1911 წ. ხელმეორედ გადმოუთარგმნია ახალციხის საპყრობილეში და წინასიტყვაობაც იქვე დაუწერია იმავე წლის 6 აგვისტოს, რადგანაც წინანდელი თარგმანები ციხის ადმინისტრაციამ გაანადგურა. ჭოლას მიმართვა მეგობარ მკითხველისადმი დიდი ადამიანური სითბოთი არის დაწერილი.

ჰაინესადმი უდიდეს მოკრძალებას ჭოლა ლომთათიძე ასე გადმოგვცემს: „...მე აბა რით უნდა დამემსახურებია პოეზიის გვირგვინოსანი მეფის, დიდისა და მდიდარი ჰეინეს გული! მაგრამ ერთი ის, რომ ნამდვილ სიყვარულს უნდა ემსახურო მთელი შენი არსებით, ყველაფერი იმის საკურთხეველზედ უნდა მიიტანო... მეც გადავწყვიტე პლატონიურ სიყვარულისთვის რეალური სახე მიმეცა და შეძლებისდაგვარად მეშრომა. მთელი ორი წელი ვიშრომე. ვთარგმნე ყველა ლირი-

ჯული ლექსები ჰეინესი, ყველა იმისი პოემები... და აი ერთ მშვენიერ დღეს (ღმერთმანი, მართლაც რომ მშვენიერი დღე იყო!) ჩემი ორი წლის ნაშრომი სხვა ხელნაწერებთან ერთად შეკრიბეს და ცეცხლის ალში გასწმინდეს, ფერფლად აქციეს... შემდეგ გული აღარ მიმდიოდა ხელახლა შევდგომოდი შრომას. ახალ შრომასაც შეიძლებოდა ძველი ხვედრი ხდენოდა. მხოლოდ დროგამოშვებით მომაგონდებოდა რა ჰეინეს რომელიმე ლექსი, საჩქაროდ გადამქონდა ქაღალდზე ნაჩქარევი თარგმანი და საჩქაროდვე ვგზავნიდი სამშვიდობოს. არც დამუშავება, არც დედანთან შედარება, არც შესწორება — არაფერი ეს არ შემეძლო, სურვილიც რომ ყოფილიყო. ეს იყო ვარჯიშობა მოწყენილი სულის, უფრო დროს გატარება და ამასთან ჩემი პირადი განცდის, **ჩემი სულის შფოთვის დაღი არ შეიძლება არ აჩნდეს ამ ლექსებს, „თარგმანებს". იმ დროს მე წერაც აკრძალული მქონდა"** (იხ. „მეგობარ მკითხველს", გვ. 34-37; ხაზგასმა ჭოლასია). ბოლოს ავტორი დასძენს: „აქ წერტილი უნდა დამესვა, მაგრამ ერთი რამ მომაგონდა. საქმე აი რაშია! ჩვენში დღეს რამდენიმე ახალგაზრდა, ნამდვილი პოეტური ნიჭის პატრონი მწერლები ცხოვრობენ და დიდ იმედებს იძლევიან. შეიძლება რომელიმე მათგანმა მოინდომოს „სირცხვილი მაჭამოს" მე, გამოესარჩლოს ჰეინეს, შეუდგეს იმის შესწავლას და თარგმნას... დიდი სიხარულით, დიდი მადლობისა და „ვაშას" ძახილით ვუწვდი ხელს ამ მომავალ ჩემს მტერს — მეგობარს და ვეუბნები: ღმერთი იყოს შენი შემწე" (იქვე, გვ. 37).

შანდორ პეტეფის შემოქმედებამ იმთავითვე ღირსეული ადგილი დაიჭირა საბჭოთა ხალხების მრავალენოვან ლიტერატურაში. მისი რევოლუციური ლექსები გრიგოლ აბაშიძის მშვენიერი თარგმანით ქართულ ენაზეც აჟღერდა.

რა გასაოცარი დამთხვევა არ ხდება ქვეყნად! 1848 წლის ოქტომბრის ერთ დღეს, როდესაც ავსტრია-უნგრეთი რევოლუციის ცეცხლის ალში იყო გახვეული, ვენისა და ბუდაპეშტის ქუჩებში ბარიკადები აღემართათ და ქვემეხის ხმა აზანზარებდა ყველაფერს, როდესაც ბუდაპეშტის მიდამოებში პეტეფი და მისი თანამემამულენი გმირულად იბრძოდნენ, ამ დროს, ვენაში გერმანელი ორიენტალისტი ფრიდრიხ ბოდენ-

შტედტი რევოლუციის ქარიშხლით დაღლილ მეგობართა ჯგუფს აღფრთოვანებით უყვებოდა კავკასიაზე, საქართველოზე, ქართველ ხალხზე, მის უძველეს კულტურასა და სტუმართმოყვარეობაზე, მშვენიერ ქართველ ქალებზე, თბილისზე, ქართლ-იმერეთზე, გურია-სამეგრელოზე, კახურ შავ ღვინოზე, საკუთარი თვალით ხილულ სხვა ამბებზე საქართველოს ცხოვრებიდან, რათა „წამიერი გულითადი საუბრისათვის გული გაეყოლებინათ და დღის სამძიმო შთაბეჭდილებანი გაექარვებინათ“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჭოლა ლომთათიძის მიერ პეტეფის ლექსის თარგმნა, ისიც ციხე'ში ყოფნის დროს, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. სულმა სული იგრძნო, ტოლმა ტოლი იპოვნა! ეს კი სამშობლოსადმი მათი ერთნაირი სულიერი განწყობილებით გამოიხატებოდა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზით, მაგრამ ორივემ ერთნაირად თავიანთ სამშობლოსა და მშრომელი ხალხის კეთილდღეობას შესწირა თავი.

სხვათა შორის, 1949 წ. გამოცემული, გრიგოლ აბაშიძის მიერ თარგმნილი, კრებულის წინასიტყვაობაში მთარგმნელი აღნიშნავს, რომ „მიუხედავად უნგრეთისა და უნგრეთის 1848 წლის რევოლუციისადმი ასეთი ინტერესისა, ქართულად დღემდე არ ყოფილა პეტეფისა და მისი პოეზიის ხსენება“ (ხაზი ჩვენია — ა. ა.). ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ პეტეფის ერთი სხვა ლექსი „მე მიყვარს, მიყვარს!..“ ქართულად თარგმნეს და დაბეჭდეს იასამანმამიხ. კინწურაშვილმა („ახალი ქვეყანა“, 1907, № 11) და ვ. ციმბირელმა („მათრახი და სალამური“, 1910, № 6, გვ. 14).

1915 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, როდესაც ჩვენი ხალხი რუსეთიდან ჩამოსვენებულ ჭოლა ლომთათიძის ცხედარს მშობლიურ მიწას აბარებდა, ქართულმა პრესამ მრავალი წერილი, მოგონება, ლექსი და სამგლოვიარო დეპეშა გამოაქვეყნა. ჟურნალ-გაზეთებმა საკმაო ადგილი დაუთმეს ჭ. ლომთათიძის ორიგინალურსა და ნათარგმნ თხზულებებს, მაშინვე დაიბეჭდა პეტეფის ერთი ლექსის ქართული თარგმანიც.

ჭოლა ლომთათიძის დაკრძალვის დღეებში თუ მის შემდეგ განსვენებულის საპატივცემლოდ მრავალი ლექსი გამოაქვეყნეს გ. ქუჩიშვილმა, ხ. ვარდოშვილმა, ი. ციცაძემ, ი. გრი-

შაშვილმა, ა. აბაშელმა, ჩახრუხაძემ (ვარლამ რუხაძემ), სიო ხიდისთაველმა (სიო კალანდაძემ), ნ. ჩხიკვაძემ, ან. შაკიშვილმა და სხვებმა. სამგლოვიარო დეპეშებს და სხვადასხვა სახის წერილებს ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა: ჭოლა ლომთათიძის უდროოდ დაკარგვას იმდროინდელი ქართული საზოგადოების თითქმის ყველა ფენა აღნიშნავდა.

ქართულ პრესასთან ერთად ჭ. ლომთათიძის უდროოდ გარდაცვალებას გამოეხმაურა პეტერბურგის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთები. მათ შორის, ყურადღებას იპყრობს „Саратовскій листок“-ის ფურცლებზე მოთავსებული ორი კორესპონდენცია. პირველში ნეკროლოგია გამოქვეყნებული, ჭოლას გარდაცვალების თარიღად დასახელებულია 5 ნოემბერი და ნათქვამია, რომ მწერლის ლოგინად ჩავარდნის უკანასკნელ დღეებში მასთან განუწყვეტლივ მრიგებდნენ კავკასიელი სტუდენტები (იხ. 6-XI-ის № 239), მეორე, უფრო ვრცელ კორესპონდენციაში კი დაწვრილებით არის აღწერილი ჭოლა ლომთათიძის ცხედრის საქართველოში გამოცილების ცერემონია, რომელიც სარატოვში ერთგვარ დემონსტრაციად გადაქცეულა. სამგლოვიარო პროცესიას დიდძალი ხალხი დასწრებია; საქართველოდან, მოსკოვიდან, პეტერბურგიდან და სხვა ქალაქებიდანაც მრავალი პირი ჩამოსულა, ჭოლას ყოფილ ცოლს მოსკოვიდან ჩამოუყვანია მწერლის 10 წლის ვაჟიშვილი ჭოლიკო, რომელსაც მამის კუბოზე გვირგვინი დაუდვია წარწერით: „Дорогому папочке от Голико“ („ძვირფას მამიკოს ჭოლიკოსაგან“). წარმოუთქვამთ სიტყვები, დამსწრეებს შეუსრულებიათ რევოლუციური სიმღერები — „ინტერნაციონალი“, „მარსელიოზა“ და სხვა. ჭოლას ცოლს გული წასვლია, რის გამოც სამგლოვიარო ცერემონია დროებით შეუჩერებიათ. კუბო მრავალი გვირგვინით ყოფილა შემკული. ყველაფერი ეს მეფის ჟანდარმერიას წინასწარვე განუსაზღვრავს და ამიტომ მათ დიდი „თავდაცვა მოუწყვიათ“ მთელი ამ პროცესის განმავლობაში (იხ. იქვე, 10-XI-ის № 242).

1915 წ. 15 ნოემბრის გაზ. „თანამედროვე აზრის“ № 211 მთლიანად ჭოლა ლომთათიძეს ეძღვნება. აქვეა ჭ. გ-რი-ს

თარგმანი პროზით „შეშლილი (ა. პეტეფიდან)“[1] და 1903 წ. გაზ. „კვალიდან“ გადმობეჭდილი სპირიდონ მცირიშვილის ცნობილი ნაწარმოები „კვლავ ფიქრი, ფიქრი... („ლექსი პროზათ)“. მასალების ამგვარი განლაგება, მათი შინაარსი და თვით დაკრძალვის დღესთან დაკავშირებით გაწეული ცერემონია გვაფიქრებინებს, რომ ფსევდონიმი ჰ. გ.-რი უთუოდ ჰოლა ლომთათიძეს ეკუთვნის. შეიძლება ფსევდონიმის ამხაირი გახსნა არასარწმუნოდ მოგვეჩვენოს და ვიფიქროთ, რომ იგი ევგენი ან ლადო გეგეჭკორს ეკუთვნისო. მაგრამ ეს მოსაზრებანი გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს და აი რატომ: ევგენი გეგეჭკორი იყო ჰ. ლომთათიძის დაკრძალვის კომისიის თავმჯდომარე, დაკრძალვაზე მან წარმოთქვა პირველი სიტყვა. თითქოს, ბუნებრივია, რომ სხვებთან შედარებით იგი პირველი უნდა გამოხმაურებოდა პრესაში ჰოლას ტრაღიკულად დაღუპვას, მაგრამ ძიებამ ეს ვარაუდი არ გაამართლა. შემდეგ, ეჭვი მივიტანეთ ლადო გეგეჭკორზე, რადგან ამ უკანასკნელსაც ჰქონდა ფსევდონიმად **გერი**, მაგრამ არც ეს მოსაზრება გამართლდა. ტექსტის ანალიზმა, დაგვარწმუნა, რომ ეს ფსევდონიმი ნამდვილად ჰოლა ლომთათიძეს ეკუთვნის. **ჰ. გ-რი** ჰოლას ცნობილი ფსევდონიმის — **ჰ. გერის** შეკუმშული ფორმაა და სხვა არაფერი.

როდის და რომელ ენიდან თარგმნა ჰოლამ პეტეფის „შეშლილი“; პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, არ მოგვეპოვება თარგმანის დედანი. არც თვით გაზეთ „თანამედროვე აზრის“ რედაქციამ დაათარიღა იგი, მაშინ, როცა იმავე 1915 წ. ხსენებულ გაზეთის № 204-ში დაბეჭდილი მოთხრობა ჰოლა ლომთათიძისა „გზაში (სილუეტები)“ — დათარიღებულია 1911 წლით და დაწერის ადგილად ახალციხის საპყრობილეა მიწერილი. როგორც უკვე ითქვა, ჰოლას ნაწარმოებების უმრავლესობა სწორედ ციხეებშია შექმნილი. ვინმე **ლ. ქართველი**, რომელიც მწერალს სიკვდილის უკანასკნელ დღეებში სტუმრებია სარატოვში, ასეთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის: „ჰოლამ თავისი ნაწერები სიკვდილის უკანასკნელ დღე-

[1] რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში შანდორ პეტეფის მაგიერ ხმარობდნენ ალექსანდრე პეტეფის.

ებში გადასცა თავის ერთგულ მეგობარს (ნაფიც) ვექილ ვასილევს. იმასვე გადასცა რამდენიმე თუმანი ფული“ („თანამედროვე აზრი“, 1915, 18 ნოემბერი, № 213). ჰ. ლომთათიძის მდიდარი არქივი და ბიბლიოთეკა კი 1918 წ. ოზურგეთში შემოჭრილი თურქი დამპყრობლების •მსხვერპლი გახდა (დან. რამიშვილი, დასახელებული მონოგრაფია, გვ. 30).

პეტეფის „შეშლილი“ ჰოლას უსათუოდ თავის უკანასკნელ დღეებში უთარგმნია სარატოვში რუსულიდან. იმ ხანებში რუსულ ენაზე პეტეფის „შეშლილის“ მხოლოდ ერთი, ვ. ვ. უმანოვ-კაპლუნოვსკისეული, თარგმანი არსებობდა. თავის მხრივ, ვ. ვ. უმანოვ-კაპლუნოვსკიმ იგი ცნობილი სერბიელი პოეტისა და პუბლიცისტ-განმანათლებლის იოვანა იოვანოვიჩის თარგმანიდან გადმოიღო და 1888 წელს ჟურნალ „დელოს“ პირველ წიგნში დაბეჭდა (გვ. 203-206). ეს თარგმანი ორიგინალის შესატყვის ლექსად არის შესრულებული, ხოლო ჰოლამ მშვენიერი პროზით გადმოიღო[1]. როგორც ცნობილია, ჰოლა ლომთათიძე ლირიკული პროზის საუცხოო წარმომადგენელი იყო.

ამრიგად, ჰ. ლომთათიძემ მოკლე ხნის განმავლობაში, ორიგინალურ შემოქმედებასთან ერთად, ღირსეული ღვაწლი შეიტანა ქართული ლიტერატურის გამდიდრებაში ან. სიგეტინსკის (1902 წლიდან), ი. ახოს (1902 წ.), ლ. ანდრეევის (1903 წ.), ჰაინეს (1907-1915 წწ.), პეტეფის (1915 წ.) და სხვა მრავალი ცნობილი მწერლის ნაწარმოებთა მშობლიურ ენაზე თარგმნით. რასაკვირველია, მხატვრული სიტყვის იმ უცხოელ ოსტატთა სია, რომელთა ნაწარმოებებიც ჰ. ლომთათიძემ თარგმნა, სრული არ უნდა იყოს, საგულვებელია, ზოგიერთ ორიგინალურ ნაწარმოებთან ერთად ჰოლას ბევრი თარგმანიც დაიღუპა. ვინ იცის, იქნებ დაბეჭდილებიც არ არის მიგნებული, აკი დ. რამიშვილისა და გ. ციციშვილის მონოგრაფიებში არ არის ნათქვამი, რომ ჰოლამ თარგმნა ან. სიგეტინსკის, ი. ახოსა და პეტეფის ნაწარმოებები, პირიქით, ი. ახოს ნოველა „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!..“ მკვლევარებმა ჰოლას

[1] აღს:ნიშნავია რომ ჰოლამ სწორედ მაშინ თარგმნა პეტეფი, როცა ეს უკანასკნელი რუსულად აკრძალული იყო.

ორიგინალურ ნაწარმოებად აღიარეს და მისი დაწერის თარიღად ერთ ადგილას 1902 წელი დაასახელეს, მეორე ადგილას — 1903 წელი (დ. რამიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 122, 259-260, 269; გ. ციციშვილი, დასახ. თხზ. გვ. 201-202). პ. გუგუშვილმა („მნათობი", 1929 წ. № 8-9 გვ. 18) და სერგი ჭილაიამაც (იხ. ჭოლას ერთტომეული, 1956 წ.) ადრე ფინელი მწერლის ნაწარმოების თარგმანი ჭოლას ორიგინალურ მოთხრობად მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ნოველა-ესკიზის სათაურის ქვეშ პირდაპირ იყო ნათქვამი „იოჰანნი ახოსიო". ჭოლა ლომთათიძის „თხზულებათა სრული კრებულის" (თბ., 1956 წ.) უკანასკნელ გვერდზე დართულ რედაქციის განცხადებაში ვკითხულობთ: „წინამდებარე ერთტომეული იბეჭდება 1925 წელს საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ორ ტომად გამოცემულ ჭოლა ლომთათიძის მოთხრობების კრებულის ტექსტის მიხედვით. ერთტომეულში შევიტანეთ მხოლოდ მცირეოდენი რედაქციული და ორთოგრაფიული შესწორებები და დავუმატეთ ესკიზი „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!", რომელიც დაწერილია 1902 წელს (ხაზი ჩვენია, ა. ა.), ხოლო პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში" 1929 წელს". ვფიქრობთ, ამას კომენტარი აღარ ესაჭიროება. ეს ერთადერთი თარგმანია ჭოლას ერთტომეულში შესული და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ მის ორიგინალურ ნაწარმოებად არის მიჩნეული. ნამდვილად კი ნოველა, როგორც აღინიშნა, ი. ახოს ეკუთვნის (1899), 1901 წელს კი ითარგმნა რუსულად, საიდანაც ჭოლამ (1902 წ.) შეასრულა მისი ქართული თარგმანი. უფრო მეტიც, იგივე ნოველა „კეთილი და ბოროტი სული" — „-ძე"-ს ფსევდონიმით ქართულად თარგმნა ბ. ებანოიძემ და 1907 წ. გაზ. „ისარში" დაბეჭდა (იხ. 12 აგვისტოს № 176).

ჭოლა ლომთათიძე მხატვრულ ქმნილებებზე ყოველთვის სრული პასუხისმგებლობითა და გულმოდგინებით მუშაობდა; გადაჭარბებული თვითკრიტიკის გამო ჭოლამ ბევრი თავისი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოები საკუთარი ხელითვე გაანადგურა.

1907 წ. გაზ. „ლახვარის" № 27-ში ჭოლამ ფსევდონიმით სპ. მც-ლი გამოაქვეყნა საყურადღებო კორესპონდენცია „ხმა

სამრევლო სკოლის მასწავლებელისა (წერილი გურიიდან)". მასში ლაპარაკია სოფლის მასწავლებლის სავალალო მდგომარეობაზე. მასწავლებელი ყველას „აბუჩად აგდებულ ადამიანად" მიაჩნიაო და ამიტომ მწერალი იცავს მის უფლებას.

საერთოდ, ჰ. ლომთათიძის წერილები, კორესპონდენციები და თარგმანები დღემდე შეკრებილი არ არის. საჭიროა მათი თავმოყრა და ცალკე წიგნებად დაბეჭდვა. აუცილებლად უნდა გამოიცეს ჰოლას თხზულებათა სრული კრებული.

ჰ. ლომთათიძე ქართული კულტურის ნამდვილი მოამაგე იყო. იგი პატიმრობის დროსაც არ ანელებდა ზრუნვას ჩვენი ისტორიული ძეგლების შესწავლა-გამომზეურებაზე. ამის ნიმუშად უნდა დავასახელოთ ასტრახანში დასაფლავებულ ცნობილ ქართველ მოღვაწეთა საფლავების ქვებიდან გადმოწერილი ეპიტაფიები, რომლებიც 1914 წ. 25 ივნისის თარიღით ჰოლამ საქართველოში გადმოუგზავნა ი. იმედაშვილს, ამ უკანასკნელმა კი მისი ნაწილი მოგვიანებით გამოაქვეყნა „თეატრსა და ცხოვრებაში" (1915, № 47, გვ. 5-8).

ჰოლას მხატვრული მემკვიდრეობა დღემდე სრულად არ არის გამოცემული. ასე, მაგალითად, მწერლის ორტომეულსა (1925 წ.) და ერთტომეულში (1956 წ.) არაა შეტანილი შემდეგი ნაწარმოებები:

ა. ორიგინალურიდან: 1. **„სიკვდილი"** (გაზ. „საქმე", 1910, № 25), 2. **„ამონაკვნესი"** („საბჭოთა მწერლობა", 1922, № 12), 3. **„დღიური"** („მნათობი", 1934, №№ 7-8), 4. **„მეგობარ მკითხველს"** („ჰენრიხ ჰაინეს ლექსების" წიგნის წინასიტყვაობა), 5. რევოლუციამდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სხვადასხვა სახის წერილები, კორესპონდენციები და ლექსები[1] (იხ. დაწვრილებით ზემოთ ჩვენს მიერ დასახელებული ჟურნალ-გაზეთები).

ბ. თარგმანებიდან: 1. ან. სიგეტინსკის **„მონოლოგი-მსახიობი ქალი"** („კვალი", 1902, № 44), 2. ლ. ანდრეევის „აზრი" („კვალი", 1903, № 11, 13-15, 17-18), 3. ჰაინეს **ლექსები**

---

[1] მარტო 1907 — 1908 წწ. ჟურნალ „ნიშადურში" ჰ. ლომთათიძის 17 ორიგინალური ლექსია დაბეჭდილი.

1913, გამოცემული ჰაინეს ლექსების კრებული), 5. პეტეფის (1913, გამოცემული ცალკე წიგნი და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი), 4. პ. ვეინბერგისეული ბიოგრაფია ჰეინესი (იხ. „შეშლილი" (გაზ. „თანამედროვე აზრი", 1915, № 211), 6. ამავე განყოფილებაში უნდა იყოს ი. ახოს **„აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მასს.**., რომელიც შეცდომით ჭოლას ორიგინალურ ნაწარმოებად არის აღიარებული და კიდევ სხვა.

ჭოლას მომავალ თხზულებათა სრულ გამოცემაშივე შესატანია გალაქტიონ შავდიას, გივი ქავთარაძესა და ბ. რუხაძეს თანაავტორობით 1901 წ. „კვალის" № 14-ში გამოქვეყნებული კოლექტიური წერილი, რომელშიაც პროგრესულად მოაზროვნე ოთხი ავტორი პოლემიკით გაეპასუხა კიტა აბაშიძესა და იაკობ ფანცხავას ქართული ლიტერატურის თაობაზე. ავტორები ჯერ კიდევ 1901 წელს მიუთითებენ, რომ დღეს ქართული ლიტერატურის შემოქმედნი და მათი მკითხველები დემოკრატიული, უბრალო ხალხის მასებიდან გამოსული პირები არიან და არა ძველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ამიტომ ახალს, პროგრესულს უნდა დაეთმოს ფართო გზაო. ხსენებული წერილი უფრო ალ. წულუკიძის სტატიაში („ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში", „კვალი", 1898 წ. № 44) დასმული საკითხების ცხოველ გამოძახილს წარმოადგენს.

მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ჭოლას ზოგი თავისი თხზულება რუსულად დაუბეჭდია. ეს ნამდვილი ფაქტია. მაგრამ საკითხს შესწავლა ესაჭიროება[1].

დასასრულს კიდევ ერთი ასეთი შენიშვნა: ფსევდონიმები **დესპინეშვილი** და **დესპინაშვილი**, ჩვენი ვარაუდით, ჭოლა ლომთათიძესვე უნდა ეკუთვნოდეს. პირველი ფსევდონიმით 1903 წ. გაზ. „ცნობის ფურცელის სურათებიან დამატებაში"

---

[1] ამხელად დავასახელებთ ჭოლას ორ ლექსს, რომელიც რუსულ გაზეთში დაიბეჭდა — Б. Воробьев, Пустыня (отрывок), ექვსსტროფიანი ლექსი ორ მუხლად («Северная рабочая газета» от 20 апреля 1914 г. № 59, стр. 1) და В. Ломтатидзе, Наша земля (День рабочей газеты), სამსტროფიანი ლექსი (იხ. იქვე 30 აპრილის № 67-ში გვ. 2). იხ. აგრეთვე 1915 წ. გაზ. „თანამედროვე აზრი", № 211.

დაბეჭდილია სამი პროზაული თარგმანი: „სიმდიდრე. სომხური ლეგენდა (რუსულიდან)“ (№ 85), „ლეგენდა (რუსულიდან)“ (№ 128) და „უკვდავი წყარო. ლეგენდა რუსულიდან“ (№ 138), ხოლო მეორე ფსევდონიმით გამოცემულია წიგნი — „განთიადი“, ლექსები. შედგენილი და გამოცემული დესპინაშვილისა. ტფილისი, სტამბა, „შრომა“, 1913 წ., 32 გვ. ხსენებული ფსევდონიმები დაზუსტებას მოითხოვენ და ამიტომ აქ მხოლოდ მათი დასახელებით დავკმაყოფილდებით.

მელანიას ლიტერატურული მემკვიდრეობა

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ უეჭველად სასარგებლო საქმე გააკეთა, როცა 1964 წელს მხატვრული სიტყვის ჩუმი მოღვაწის, უმიზეზოდ მივიწყებული ნიკოლოზ გიორგის ძე ნათიძის, მელანიას (1853-1921) მოთხრობების ერთტომეული („ქედნის ღუღუნი“) გამოსცა. წიგნის შესადგენად დიდი მუშაობა ჩაუტარებია ქეთო ხაჩიაშვილს, ამოუკრებია მწერლის რევოლუციამდელი ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გაბნეული ნაწარმოებები, შეუდგენია ავტორის ბიოგრაფია, „სიტყვების ახსნა“ და მწერლის ნაწერების ბიბლიოგრაფია.

60-80 წლების წინათ შექმნილი „ქედნის ღუღუნი“ დღესაც არ კარგავს თავის მხატვრულ მიმზიდველობას. ამ მოთხრობებმა თავის დროზე პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. დადებითად გამოეხმაურნენ მელანიას შემოქმედებას ი. ჭავჭავაძე, ალ. ნანეიშვილი, ალ. წულუკიძე, ხომლელი (რომანოზ ფანცხავა), ივ. გომართელი, ილია ნაკაშიძე, გ. ქიქოძე. განსაკუთრებით მოსწონდათ მოთხრობა „ბნელო“. ზოგიერთი კრიტიკოსი მელანიას ნაწარმოებს თავისი ღირსებით ე. ნინოშვილის მოთხრობების გვერდით აყენებდა.

პეტრე ჭარაიამ 1892 წელს „გაზ. „ივერიას“ ოთხ ნომერში (№№ 240, 243, 245, 246), ხელმოწერით პ. გ-ე და ხან კიდევ პ-ე გ-ე ვრცელი წერილი მიუძღვნა 1891 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ მელანიას „ბნელოს“, კარგი შეფასება მისცა მოთხრობასა და მის ავტორს. მელანიას „ბნელოსა“ და ე. ნინოშვილის „სიმონას“ კრიტიკოსი ერთიმეორის გვერდით აყენებს და წერს: „თითქმის იგივე დედააზრია „ბნელოს“ შემდეგ დაბეჭდილს ბ-ნ ე. ნინოშვილის მოთხრობა „სიმონაში“. არათუ სიუჟეტითა, არამედ წვრილმანებშიაც ბევრად ჰგვანან ეს მოთხრო-

ბანი („ნებლო და სიმონა“) ერთმანეთს“... „გაუგებრობის თავი-დან ასაცილებლად ავტორი იქვე ასკვნის, რომ“ მართალია, „სი-მონა“ „ბნელოზე“ უფრო გვიან დაიწერა („სიმონა ამ წლის იანვარში დაიბეჭდა „ივერიაში“, „ბნელო“ — კი 1888 წლის ზაფხულში), მაგრამ იგი, უეჭველად, საკუთრად და დამოუკი-დებლად არის შექმნილი და არა „ბნელოს“ წაბაძვითა“. ორივე მოთხრობიდან კრიტიკოსს მოჰყავს ამონაწერები და ადგენს, ერთი მხრივ, მათ ორიგინალობას, მეორე მხრვ, მათ დიდ მსგავ-სებას; იგი დასძენს, რომ პირველი — კახეთის ცხოვრების ამ-სახველია, მეორე კი — გურია-იმერეთისაო. წერილის ავტორის სიტყვებით „ბნელოს“ „შინაარსი არა თუ ჭეშმარიტი და დროს შესაფერია, არამედ ნამდვილი ასლია დღევანდელ სოფ-ლის მოხელეთა, ნაბატონართა და გლეხთა ცხოვრების ურთი-ერთობისაო“. საერთოდ პ. ჭარაია ესალმება „ბნელოს“ ცალკე წიგნად გამოცემას.

რომანოზ ფანცხავამ (ხომლელი) ორი დიდი წერილი მიუძ-ღვნა მელანიას „ბნელოს“ („კვალი“, 1894, №№ 10-39, „აკაკის კრებულში“, 1900, № 3-4) კრიტიკოსმა მოიწონა მოთხრობა და მისი ავტორი „ჭეშმარიტ რეალისტად“ გამოაცხადა. პ. ჭარაიას მსგავსად ხომლელმაც მელანია ე. ნინოშვილის გვერდით დააყენა, მაგრამ მელანიას შემოქმედებას ყველაზე მაღალი შეფა-სება მისცა თვალსაჩინო ქართველმა მოღვაწემ ილია ნაკაშიძემ (იხ. ალმანახები: „ერთობა“, 1909 წ. № 2 და ბურჯი“, 1909 წ. № 3), როდესაც მან ცნობილი რუსი მხატვრის ერთ-ერთი სურათი მელანიას „ბნელოს“ დაუპირისპირა. ი. ნაკაშიძე წერს: „ეს საყურადღებო ნაწარმოები გამახსენდა, როცა მელა-ნიას ბნელოს პირველი თავი (წავიკითხე), რომელიც სასულიე-რო პირთა ყოფა-ცხოვრებას შეეხება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მხატვარი ორლოვი გვიხატავს სასულიერო პი-რებს გარეთ, მელანია კი აგვიწერს იმათ ყოფა-ცხოვრებას შინ... მელანიას თვისება, როგორც მწერლისა, იმაში გამოი-ხატება, რომ ის პაწია სურათებს გვიხატავს სოფლის ცხოვ-რებიდან და ეს სურათები ცოცხალ ფიქრებს უღვიძებს გულ-ში მკითხველს... და ამავე დროს „მწერლის ჰუმორი ამ მხრივ

ზალისიან შუქს ჰფენს სამწუხარო სურათს ყველგან თავის ნაწერებში, სადაც სამღვდელოების მოღვაწეობას ეხება.

მელანიას დახვეწილი ენა და მხატვრული გადმოცემის თავისებური მანერა ლამაზი, იუმორისტული, და მიმზიდველი იყო. ამიტომ თითქმის ყველა ქებით ამკობდა ნ. ნათიძის ნაწარმოებებს, გარდა ივ. გომართელისა, რომელმაც მელანიას დაუწუნა მოთხრობა „ნავარდობის" გაზვიადებული გადმოცემა („კვალი", 1900, № 9 და 1901 წ. № 1).

როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნ. ნათიძე თავისი დროის შესამჩნევი ფიგურა იყო, ახლოს იცნობდა ი. ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილს. ს. მესხს, ი. ნაკაშიძეს, ნ. ლომოურს. ვაჟასთან და ნიკო ლომოურთან კი სხვადასხვა დროს მთელი წლები გაუტარებია ერთ ჰერქვეშ.

მელანიას თხზულებათა გამოცემა ყოველმხრივ მისასალმებელია. პირველი გაბედული ნაბიჯი, მართლაც რომ ნახევრად გამარჯვებაა, მით უმეტეს ისეთ საქმეში, როგორიცაა მწერლის, სხვადასხვა ორგანოებში გაბნეული და სხვადასხვა ფსევდონიმით გამოქვეყნებული, თხზულებების თავმოყრა და გამოცემა. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვსურს შემჩნეულ ხარვეზებზე გავამახვილოთ ყურადღება.

ნ. ნათიძე სამწერლო ასპარეზზე 1879 წელს გამოვიდა, როცა თავისი კორესპონდენციები გაზ. „დროებისა" და ჟურნალ „ივერიის" ფურცლებზე გამოაქვეყნა. კრიტიკული წერილებისა და თხზულებათა ბეჭდვა მან ფსევდონიმებით დაიწყო.

ჩვენთის ცნობილი ფსევდონიმებიდან ნ. ნათიძეს ეკუთვნის: მელანია; ნ. მელანია; მტერ-მოყვარე; გარდანქეშანი; ერთი იქ მყოფთაგანი; ვეჯინის სკოლის მასწავლებელი; სასოფლო სკოლის მასწავლებელი; მასწავლებელი სკოლისა; სოფლის მასწავლებელი; მასწავლებელი და კიდევ სხვა. ოფიციალურ წერილებისა და მოგონებებისათვის კი — ნ. ნათიძე; სოფლის მასწავლებელი, დეკ. ნ. ნათიძე, დეკანოზი ნ. ნათიძე.

მელანიას მოთხრობა „გიორგი და გეურჭა (ამბავი დიალოგად)" (1913) პირველად ჟურნ. „კლდეში" დაიბეჭდა 1915, № 6, № 7). იმავე წელს „კლდის" რედაქციამ იგი ცალკე წიგ-

ნად გამოსცა. იგივე მოთხრობა მცირედი ცვლილებითა (მე-7 თავის პატარა შემოკლებით) და „სიკეთის“ სახელწოდებით დაიბეჭდა 1965 წელს მელანიას ერთტომეულში.

1915 წელს ჟურ. „კლდეში“ (№ 12, № 13) დაიბეჭდა მელანიას 1914 წელს დაწერილი, ნაკლებად ცნობილი, „ძეგლზე წასაწერი ლექსი (პატარა ამბავი)“. მოთხრობა ექვსი თავისაგან შედგება. იგი მელანიას „ქედნის ღუღუნში“ არ შესულა და არც იქვე დართულ ბიბლიოგრაფია-ბოლოსიტყვაობაშია მოხსენებული.

ნ. მელანიას ყველაზე ადრინდელი და გახმაურებული მოთხრობა „ბნელო“ პირველად ცალკე წიგნად გამოიცა 1891 და არა 1894 წელს, როგორც სარეცენზიო წიგნში შეცდომით არის მითითებული (გვ. 451 და 438).

„კამილავკა (მცირედი — რამ ამბავი) „გარდანქეშანის ფსევდონიმით პირველად დაიბეჭდა 1905 წელს. („ივერია“, № 17,). 449-ე გვ. შეცდომით № 7-ა მითითებული), ხოლო მეორედ, ამჯერად **მელანიას** ხელმოწერით — 1915 წელს. (ჟურნ. „კლდე“, № 15) მოთხრობის დასაწყისს სქოლიოში რედაქცია ასეთ შენიშვნას ურთავს: „ეს პატარა ამბავი ავტორის დამოუკიდებელი მიზეზის გამო **შემოკლებით იყო დაბეჭდილი** გოგიჩაიშვილის მიერ განახლებულ „ივერიაში“. რაკიღა ამბის ინტერესი სადღეისოთაც ცხოველია, ვბეჭდავთ ხელახლად სრულად, შეუმოკლებლივ“.

სინამდვილეში „ივერიაში“ ტექსტი შეუმოკლებლად დაიბეჭდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შემდეგი სიტყვების გამოტოვებას: „...ახ, რა დავაშავე, რომ პირველადვე სოფელში გამოვიჭერი და ქალაქში არ დავრჩი რომელსამე ეკლესიაში მედავითნის ადგილზე. აქამდის კაი „პრიხოდსაც“ ჩავიგდებდი ხელში და დიდი ხნის დეკანოზიც ვიქნებოდი. მაგრამ არა უშავს რა, არც ახლა არის დაგვიანებული“. სხვა მხრივ, ტექსტი მთლიანად ემთხვევა 1905, 1915 და 1965 წლების გამოცემებს. უკეთესი იყო „ქედნის ღუღუნში“ 1915 წელს „კლდეში“ გამოქვეყნებული, გაცილებით სრული ვარიანტი გადაებეჭდათ, თუ შემდგენელებმა იცოდნენ ამის არსებობა.

1905 წლის „ივერიადან“ 1915 წლის „კლდეში“ ხსენებული სატირული ნოველის გადაბეჭდვა უფრო მისი პოლიტიკური აქტუალობითა და დროის შესაფერისი სიმახვილით იყო გაპირობებული, ვიდრე რედაქციის მიერ აღნიშნული მიზეზით. „კამილავკაში“ სასტიკად არის გაკრიტიკებული სამღვდელოება, რელიგია, მეფის მთავრობის მლიქვნელები და მათ უპირისპირდება ახალი, მოწინავე იდეებით შთაგონებული მოსწავლე ახალგაზრდობა: ერთი მხრივ, მამა იოსებ და მისი მეუღლე ფოფოდია — ნინო, ხოლო, მეორე მხრივ, მათი „ბუნტოვშჩიკი“ — მოსწავლე შვილები ლიზა და სამსონი, რომელთაც არ სწამთ არც ქრისტიანული რელიგია და არც მათი თვალთმაქცური ქადაგება. რაც შეეხება „ივერიის“ მიერ გამოტოვებულ, ზემომოყვანილ, წინადადებას, ეს უფრო შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ, ვიდრე განგებ რაიმე მოსაზრებით ამოგდებას, ანდა შესაძლოა ხსენებული წინადადება ავტორმა მეორე ვარიანტში დაუმატა, მით უფრო, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფსევდონიმით ორჯერ გამოაქვეყნა.

სხვათა შორის, 1908 წლის შემდეგ **გარდანქეშანის** ფსევდონიმით სანდრო შანშიაშვილიც იბეჭდებოდა „დროებაში“, „განათლებასა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

„პრიგავარის ღვდელი“ (ნ. ნათიძე ძველ გამოცემებში უველგან ღვდელს ხმარობს და არა მღვდელს, ა. ა.). **მტერმოყვარის** ფსევდონიმით პირველად 1908-1909 წლების ალმანახებში დაიბეჭდა, კერძოდ შემდეგ გამოცემებში: თავი 1-3, „აკაკის დღენი საქართველოში“, 1908, № 1; თავი 4-7, „აკაკის დღენი საქართველოში“, 1908, № 2; თავი 7-8, „ძალა“, 1909 № 5; თავი 8, „ძალა“, 1909, № 6; თავი 9, „ნიავი“, 1909, № 8. ეს ლიტერატურული ალმანახები ერთიმეორის გაგრძელებით გამოდიოდნენ.

მეორედ იგივე ნაწარმოები, უფრო სრულად, ახლა **მელანიას** ფსევდონიმით, 1916 წლის ჟურნალ „ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა (№ 1, 2, 5, 6, 7). ტექსტს ახლავს რედაქციის შენიშვნა: „ეს მხატერული ნაწარმოები მელანიასი პირველათ დაისტამბა 1908 წ. სხვა ფსევდონიმით ერთ მაშინდელ სალიტერა-

ტურო ალმანახში, მარა იქ, „მიზეზის გამო სხვისა და სხვისა“, იგი ვერ დაასრულეს და ახლა სრულათ ისტამბება ჟურნალ „ცხოვრებაში“. რედ. („ცხოვრება“, 1916, № 1, გვ. 2).

1908-1909 წლების ალმანახებში დაბეჭდილ 9 თავისათვის ავტორს ამჯერად დაუმატებია ორი მოზრდილი თავი, რომლებიც, სამწუხაროდ, სარეცენზიო წიგნში არ არის შეტანილი. ამრიგად, 1965 წელს გამოცემულ ერთტომეულში იუმორისტული მოთხრობა „პრიგავარის ღვდელი“ სრულად არ არის, აკლია ორი უკანასკნელი თავი. სხვათა შორის, ავტორი აღნიშნულ ნაწარმოების სათაურს ყველგან ბრჭყალებში ათავსებს, აქ კი ეს დაცული არ არის.

რევოლუციამდელ ქართულ პერიოდულ პრესაში რომ ნ. ნათიძის მოთხრობები „კამილავკა“ და „პრიგავარი ღვდელი“ სხვადასხვა ფსევდონიმით ორ-ორჯერ დაისტამბა, ეს თავისთავად მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, იშვიათი მოვლენა იყო, ფაქტი ნათლად მეტყველებს, როგორც ავტორის პოპულარობაზე, ასევე მის ნაწარმოებთა დროის შესატყვის აქტუალობაზე. იგივე ხვდა წილად „ბნელოსა“ („ივერია“, 1888 წ. და ცალკე წიგნი 1891 წ.), და „ზურაბ მოსხლეტილაძეს“ („საქართველო“, 1915, № 59). აქ მხოლოდ უკანასკნელი 9-10 თავი დაიბეჭდა, დანარჩენი 1-8 თავიც გამოქვეყნდა თუ არა, ჯერჯერობით არაა ცნობილი მოთხრობა „კრიალოსანი“ და მისი რუსული თარგმანი 1894 წელს თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა ჟურნ. „მოამბესა“ (№ 4) და გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში“ (№№ 3623, 3626, 3631, მთარგმნელი ალ. გარსევანიშვილი). თარგმანს ფსევდონიმი С. Г. აქვს მიწერილი. სხვათა შორის, იქვეა დაბეჭდილი ალ. გარსევანიშვილის თარგმანით ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბა“ (№№ 3461, 3463) და ეკ. გაბაშვილის „ორ-ენა და ქუჩე“ (№№ 3549, 3550). „ნოვოე ობოზრენიეს“ 1894 წლის ბოლო ნომერში (№ 3774) ალ. გარსევანიშვილი ფსევდონიმით А.л. აქვეყნებს საანგარიშო-შემაჯამებელ სტატიას სათაურით „ქართული ჟურნალისტიკა 1894 წელს“, მიმოიხილავს ქართულ-რუსულ პერიოდულ პრესაში გამომზეურებული მხატვრული ქმნილებებისა და მეცნიერული შრომების წლიურ

შოსავალს, ასახელებს წამყვან ავტორთა გვარებს — აკაკი წერეთელს, გ. წერეთელს, მეველეს (დავ. მიქელაძეს), სიმონიძეს (ი. გოგებაშვილს), ვას. პეტრიაშვილს, ნ. ნიკოლაძეს ა. ნ-ლ-ს (ალ. ნანეიშვილს), ი. ჭავჭავაძეს, ილ. ხონელი-ს (ილ. ბახტაძეს), გ. ხონელს (ილ. ბახტაძეს), ა. ყაზბეგს, ე. ნინოშვილს და, ბოლოს, დაწვრილებით ჩერდება მელანიას შემოქმედებაზე, კერძოდ კი „კრიალოსანის“ შინაარსზე: „სხვა დამწყებ მწერლებიდან თავის თავზე ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს ბატონი მელანია, რომელმაც „მოამბეში“ (№ 4) დაბეჭდა მოთხრობა „კრიალოსანი“ და რომლის თარგმანიც წელსვე ჩვენთან გამოქვეყნდა“.

ავტორი, რა თქმა უნდა, ცდება, როცა მელანიას ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფს აკუთვნებს, მაგრამ საყურადღებოა თავად ფაქტი იმისა, რომ „კრიალოსანის“ ავტორი ასეთ ცნობილ ქართველ კალმოსანთა გვერდით არის მოხსენიებული.

მოთხრობა **„ზურაბ მოსხლეტილიძის“** გაგრძელება ავტორმა **მელანიას** ფსევდონიმით პირველად გამოაქვეყნა 1915 წელს (გაზ. „საქართველო“, № 59). აქ დაბეჭდილი იყო უკანასკნელი 9-10-ე თავი სახელწოდებით **„რეჩი“ ტიგრან ამბარცუმოვიჩისა** (დაუბეჭდავი ამბიდან)“. ცენზორს ამოუღია სამი დიდი აბზაცი, რაც გაზეთის ფურცლებზე დარჩენილი თავისუფალი ადგილებიდან ჩანს.

თუ მოთხრობის პირველ ცხრა თავში ავტორი ალაპარაკებს ზურაბ მოსხლეტილიძესა და მის ვაჟიშვილს, ზალიკოს, სამაგიეროდ გაზ. „საქართველოში“ დაბეჭდილ უკანასკნელ 9-10 თავებში გრძელ სიტყვას — „რეჩს“ ამბობს ტიგრან ამბარცუმოვიჩი, „შოვინისტად წოდებული“, ზურაბ მოსხლეტილიძე კი მას პასუხობს და საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს. სინამდვილეში პაექრობა მიმდინარეობს სომეხსა და ქართველს შორის. პირველის სიტყვიდან ცენზორს ერთი პატარა მუხლი ამოუღია, მეორეს განსჯიდან კი — ორი კარგად მოზრდილი აბზაცი.

ერთი შეხედვით, თითქოს უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია პირველი ცხრა თავიც წინათ იყო გამოქვეყნებული, მაგრამ, მეორე მხრივ, უკანასკნელი თავების საერ-

თო სათაურის ქვეშ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვებიდან („დაუბეჭდავი ამბიდან") ირკვევა, რომ „რეჩი" ტიგრან ამბარცუმოვიჩისა ანუ იგივე „ზურაბ მოსხლეტილიძე" პირველად იბეჭდება.

უნდა აღინიშნოს ასეთი ფაქტიც: ბუნების სტიქიის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად სოფ. ვეჯინის სკოლის მასწავლებელმა ნ. ნათიძემ 1882 წლის ჟურნალ „ივერიის" № 1-ში (გვ. 57-68) გამოაქვეყნა სტატია სათაურით **„რა უნდა იყოს სეტყვის მიზეზი?"** აღნიშნულ წერილში, ლაპარაკია ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც დღესაც კი საბჭოთა სპეციალისტების კვლევითი მუშაობის ცენტრში იმყოფება. ეს გახლავთ თავიდან აცილება სეტყვისა, „რომელსაც, — ნ. ნათიძის სიტყვით, — საშინელი ზარალი მოაქვს ქვეყნიერებისათვის". რასაკვირველია, ნ. ნათიძეს არ შეეძლო იგი მეცნიერულად აეხსნა,მაგრამ თვითონ ფაქტი და მასზე მსჯელობა უთუოდ ბევრ რამეს მეტყველებს. სეტყვის გამომწვევი მიზეზებისა და მის საწინააღმდეგო ზომების თავისებურმა ახსნამ იმდენად გაიტაცა ნ. ნათიძე, რომ თავის ნაშრომს სქემაც დაურთო „ღრუბლებში გაჩენილი ელექტრონობის გამაუქმებელი იარაღისა". ნ. ნათიძის დაუზარებელი შრომა მოგვაგონებს დავით გურამიშვილის ჰუმანისტურ ზრუნვას უკრაინაში წისქვილის მოწყობაზე.

სეტყვის თავიდან აცილების საკითხს მრავალი ცნობილი პირი გამოხმაურებია, მათ შორის, ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ისე დაწვრილებით არვის აღუნიშნავს პრესაში ეს ამბავი, როგორც ნ. ნათიძესა და მისი მოკამათე დავით თარხნიშვილს (იქვე, № 4-5). ამიტომ საჭიროა ნ. ნათიძის მემკვიდრეობის შესწავლისას ამ ფაქტსაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

1917 წ. 15 თებერვლის „ცნობის ფურცლის" № 795-ში დაბეჭდილი მოზრდილი წერილი „მოწერილი ამბები, დიდი რატევანი (ბორჩალოს მაზრა)", ჩვენი აზრით, ნიკოლოზ ნათიძეს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა კორესპონდენციას ხელს აწერს ნ. ნათიძე. სტატია ეთნოგრაფიული ხასიათისაა, მასში აღწერილია სოფ. რატევანის ადგილმდებარეობა, მცხოვრებთა საქმიანობა. კორესპონდენციის ავტორი, როგორც ირ-

კვევა, იქ სპეციალურად მივლინებული კორესპონდენტია. ამიტომაც ავტორად ჩვენ ნიკოლოზ ნათიძე მიგვაჩნია.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნ. ნათიძემ სამი წერილი გამოაქვეყნა 1915 წ. გაზ. „საქართველოში“ (№№ 57, 60, 92). პირველში „ვაჟას გარდაცვალების გამო“, ავტორი აგვიწერს „მთის არწივის“ შემოქმედების განვლილ გზას, მოკლედ მოგვითხრობს მის ბიოგრაფიაზე, მშობლებზე, პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ძმებზე, ვაჟას ობლად დარჩენილ ოჯახზე და ბოლოს დასძენს, რომ ვაჟას საპატივცემლოდ ფართო მუშაობა უნდა წარმოებდეს, რათა ღირსეულად დაფასდეს მისი ამაგი და საზოგადოებამ ყოველმხრივ უზრუნველჰყოს მისი უნუგეშოდ დარჩენილი ცოლშვილიო. ამასთან ერთად, ვაჟას სახელობის ფონდის გადიდების მიზნით ავტორი, თავისი ოჯახის სახელით, ადგენს 20 მანეთს.

„საქმე იმაშია, — წერს ნ. ნათიძე — რომ რაზიკაშვილების ოჯახი არა ჩვეულებრივი ოჯახია. არა მგონია, რომ ქვეყნიერებაზედ მოიპოვებოდეს კიდევ სხვა ოჯახი, რომელსაც ასე უხვად ჰქონდეს მონაბერი ზეციური მადლი, როგორც ამას ვხედავთ რაზიკაშვილების ოჯახზედ“. ლუკას უფროსი ძმა, გიორგი, სტატიის ავტორის თანაკლასელი ყოფილა თელავის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სემინარიაში. ამის გამო იგი ადრიდანვე ახლოს იცნობდა ლუკასაცა და ყველა მის შინაურს. როდესაც ნ. ნათიძე და გიორგი მეოთხე კლასში ყოფილან, ვაჟა პირველ კლასში შეუყვანიათ, ერთ სკოლაში უსწავლიათ და ერთ ბინაზე უცხოვრიათ მათ თელავში.

უდროოდ გარდაცვლილი გიორგი რაზიკაშვილის გაუფუჩრჩნავ პოეტურ ნიჭს ხოტბით მოსავს ნ. ნათიძე: „მეტის-მეტად ნიჭიერი იყო... ხშირად სწერდა ქართულ ლექსებს, რითაც აღტაცებაში მოჰყვანდა ქართული ენის მასწავლებელი და სასწავლებლის ზედამხედველი ქართველი, რომელიც ყოველთვის წააწერდა ხოლმე იმ ლექსებს: „წავიკითხე დიდის სიამოვნებით და გაქე“. პატარა ლუკაც ხშირად ჰბაძავდა ხოლმე გიორგის... შემდეგ გიორგის სწავლაში გზა

არევია. „თუ ამისთანა გზის არევა არა, — დასძენს ნ. ნათიძე, — მე დღესაც მწამს, რომ გიორგი იქნებოდა პირველი მერცხალი მთისა რაზიკაშვილების ოჯახიდან. მაგრამ განგებამ ეს ხვედრი არგუნა აწ უდროოდ განსვენებულს ლუკას — ვაჟა-ფშაველას".

მეორე და მესამე წერილში — „ვაჟა-ფშაველა — მოგონება" (№ 60) და „მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზედ" (№ 92) — ნ. ნათიძე უფრო ვრცლად მოგვითხრობს ბუმბერაზ მგოსანზე. ავტორი აქაც სიამოვნებით იგონებს იმ დროს, როდესაც გიორგისა და ლუკასთან ერთად სწავლობდა და ერთ ოთახში ცხოვრობდა თელავში. ნ. ნათიძის გადმოცემით, ვაჟა პატარაობიდანვე ყოფილა მახვილგონებიანი, გულკეთილი, ცნობისმოყვარე, ამხანაგების ერთგული, სიმღერების მოტრფიალე, კარგი საქმეების პირველი მიმბაძველი. ამავე დროს, ცელქი, მამაცი, კარგი მოჭიდავე, კრივის თაყვანისმცემელი, მოსაწონი ფალავანი, რაც მთავარია, ბუნებისაგან ძალ-ღონითა და ნიჭით დაჯილდოებული. ერთი სიტყვით, ვაჟა ყოფილა ნამდვილი „მთის არწივი", ადამიანის საუკეთესო თვისებებით დაჯილდოებული. ბუნებას არც მის გარეგნობის შესამკობად დაუშურია თავისი სიუხვე. აღნიშნული ეპითეტების გასამართლებლად ავტორს მოყავს სათანადო მაგალითები.

ლუკას ბავშვობის დროინდელი მამაცობის ეპიზოდებიდან ნ. ნათაძე ასახელებს ასეთ შემთხვევას: ერთ საღამოს ამტყდარა საშინელი ჭექა-ქუხილი, მათი ოთახის ფანჯრების მინები ჩამტვრეულა, სანთელი, რომლის შუქზედაც ლოგინში ჩაწოლილი სამი მოსწავლე გაკვეთილებს ამზადებდა, ჩამქრალა და ოთახში საზარელი სუნი შევარდნილა. ნიკო და გიორგი ზეზე წამოვარდნენ და კარს ეცნენ თურმე, „ხოლო ლუკა არც კი განძრეულა, არხეინად, თითქოს არაფერი მომხდარიო, იწვა თავის ქვეშაგებში — წაღში. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენ სახლს დასცემოდა მეხი, გაეცალა ლუკას საწოლთან ახლოს — ბუხარსა და იმ წაღს შუა, სადაც ლუკა იწვა — და გაერღვია შუაზედ მთელი კედელი სახლისა".

ნიკოლოზ ნათიძე და სანდრო რაზიკაშვილი ქვისლები

იყვნენ. მათ ცოლად ჰყავდათ ჩემი სოფლის, ბაკურციხელი შეძლებული გლეხის, ილიკო ზაქარიას ძე პეტრიაშვილის ქალიშვილები. ნათესაურმა კავშირმა კიდევ უფრო მეტად დააახლოვა ნ. ნათიძე რაზიკაშვილების ოჯახებთან. ამდენად მან დაწვრილებით იცოდა მათი შინაური ცხოვრების ვითარება და ძმათა საოჯახო პოეტური პაექრობა. რაზიკაშვილების საოჯახო ლიტერატურულ სალონში თვითონ ნ. ნათიძე ბევრჯერ გამხდარა იმის მოწმე, თუ როგორი ლექსებით გაპასუხება და გაშაირება იმართებოდა ძმებს შორის. სანიმუშოდ ნ. ნათიძე ასახელებს რამდენიმე ლექსს, რომელთა შეთხზვის მოწმე თვითონაც ყოფილა. სტატიაში დამოწმებულია ვაჟას ექსპრომტად დაწერილი, ნაკლებად ცნობილი, წერილი „ძმა სანდროსადმი“, რომელსაც, თურმე, ეპისტოლეს უწოდებდა იგი და რომელშიც უწყინარი სარკაზმით ლაპარაკია ძმის სტუმარ-მოყვარეობაზე, პურ-მარილსა და ღვინის სმაზე. იმ ღვინოს, რომელსაც სანდროს სიმამრი, ილიკო პეტრიაშვილი გაუგზავნიდა ბაკურციხიდან, ვაჟა ხუმრობით „ილიკოურს“ უწოდებდა თურმე.

სიკვდილის რამდენიმე თვის წინ, 1915 წ. 23 აპრილს, ვაჟა თბილისში სტუმრად ყოფილა ნიკოლოზ ნათიძესთან და მეგობრულ საუბარში მასპინძლისათვის უთქვამს: „ბიჭო, შენ ჩემ ბიოგრაფად გამოჰდგებიო!“ და აკი ასრულდა კიდეცო, დასძენს ნ. ნათიძე, მიუხედავად იმისა, რომ მე მასზე 8 წლით ვიყავი უფროსიო.

„ნიკო ლომოურის ხსოვნისადმი“ („საქართველო“, 1916, № 85) მიძღვნილ წერილში ნ. ნათიძე მოგვითხრობს პატარა ეპიზოდებს, რომელთა მოწმეც თვითონ ყოფილა. კერძოდ, იხსენებს ი. ჭავჭავაძისა და ვ. მაჩაბელს შორის ჩამოგდებულ უთანხმოებას, რომელიც ბოროტი ენებით ყოფილა გამოწვეული და რომელსაც დიდად უმოქმედია ნ. ლომოურზე; ნაჩვენებია სამშობლოსადმი ნიკოს გულწრფელი სიყვარული, ხაზგასმულია მისი ამაგი, ვოსტორგოვთან უძველესი ქართული კულტურის შესახებ დაცვაში დაუთმობელი კამათი და სხვა. წერილიდან ირკვევა, რომ ნ. ნათიძე მეგობარი ყოფილა ნ. ლომოურისა, ერთადაც უცხოვრიათ.

ნ. ნათიძე ზედმიწევნით გულისხმიერი, კეთილი და ფაქიზი გრძნობების ადამიანი იყო, მას უყვარდა ქართული მწერლობა, პროლეტარული პოეზია და მისი შემოქმედნი; იროდიონ ევდოშვილის ცოლ-შვილის სასარგებლოდ 1916 წ. მან პირველმა გაიღო 10 მანეთი („საქართველო", 1916, № 107) და სხვებსაც მოუწოდებდა დახმარება აღმოეჩინათ მათთვის.

ნ. ნათიძის ზემოხსენებულ ოთხ წერილს სპეციალისტებიც ნაკლებად იცნობენ. სამწუხაროდ, მათ ს. ყუბანეიშვილიც კი არ იხსენებს თავის შრომებში. არსებობს მხოლოდ მათი მოკლე ხელნაწერი ვარიანტი, რომელიც გ. ლეონიძის რედაქტორობით 1949 წ. „ლიტერატურის მატიანეში" გამოქვეყნდა (წიგნი 5, ნაკვეთი 1, გვ. 32-36). ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ ზემოაღნიშნული წერილები დაებეჭდათ ნ. ნათიძის „ქედნის ღუღუნში". ამით წიგნი უეჭველად მოიგებდა, ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ერთტომეულის გამოცემა, სხვათა შორის, დაემთხვა ვაჟა-ფშაველასა და ნიკო ლომოურის გარდაცვალების 50 წლისთავს, ასევე კარგი იქნება ახლო მომავალში გამოიცეს მელანიას თხზულებანი, შედგეს მისი დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ნაწარმოებების სრული ბიბლიოგრაფია. ხარეცენზიო წიგნის „ბიბლიოგრაფია" სრული არ არის, იგი უფრო სარჩევს მოგვაგონებს ვიდრე მწერლის თხზულებათა ნამდვილ ბიბლიოგრაფიას.

იოსებ იმედაშვილი

იოსებ (სოსო) ზაქარიას ძე იმედაშვილის (1876-1956) ღვაწლი ქართულ მწერლობაში მეტად დიდია. სამწუხაროდ, ქართული კულტურის ამ თვალსაჩინო მოამაგეზე დღემდე არ მოგვეპოვება მონოგრაფიული ნარკვევი, არც მისი შრომებია გამოცემული.

ი. იმედაშვილი, განსაცვიფრებელი უნარის ადამიანი, ბევრს მუშაობდა და ნაყოფსაც უხვს იძლეოდა. იგი იყო ძველი რევოლუციონერი, პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მსახიობი, სუფლიორი, რეჟისორი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, ბუკინისტი, სახალხო ლექტორი, მრავალი წიგნის გამომცემელი, ქართული ლიტერატურისა და თეატრის ისტორიის მემატიანე, ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების ლექსიკონის შედგენის პირველი წამომწყები, რედაქტორი, უცხო სიტყვათა ლექსიკონის ავტორი, მ. გორკის ნაწარმოებების პირველი მთარგმნელი და პოპულარიზატორი. ერთი სიტყვით, ი. იმედაშვილი იყო თავის დროის ნამდვილი ენციკლოპედისტი. მისმა შინაარსიანმა წერილებმა ბევრი ამაგდარი ქართველი დავიწყებას გადაარჩინა; ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ი. იმედაშვილის წერილების სერიამ, რომლებიც ფსევდონიმების ამოხსნას მიეძღვნა.

1895 წლიდან მოყოლებული ი. იმედაშვილმა შეძლო 40-მდე სხვადასხვა ავტორისა და 20-ზე მეტი საკუთარი წიგნის გამოცემა. ამას გარდა იგი 16 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებას“, იყო მისი რედაქტორ-გამომცემელი, სულისჩამდგმელი და ერთ-ერთი მთავარი ავტორი. ერთმა ადამიანმა, მეუღლის — ანა იმედაშვილისა და მცირეწლოვანი შვილების დახმარებით იმდენი

გააკეთა ხსენებული ილუსტრირებული ჟურნალის გამოცემით, რომ ასეთი საზოგადო საქმის შესრულება მთელ კოლექტივსაც გაუჭირდებოდა. პატარა ფარნაოზის გარდა ყველა შვილი (შალვა, გაიოზი, თამარი, ქეთევანი, ნინო) მხარში ედგა იოსებს და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. ისინი ჟურნალს კეცავდნენ, კერავდნენ, ხელის მომწერლებისათვის საფოსტოდ ამზადებდნენ, აგზავნიდნენ და სხვა. შალვა და გაიოზი (1918-19 წწ.) ტექსტის აწყობაშიაც მონაწილეობდნენ, ერთ სტამბიდან მეორეში ეზიდებოდნენ შეკრულ გვერდებს, მთელი ღამეობით მეთვალყურეობდნენ ბეჭდვას და ხშირად ტექნიკურ მხარეს უძღვებოდნენ („თეატრი და ცხოვრება", 1925 წ. № 12).

იოსებ იმედაშვილის ჟურნალმა ქართული კულტურის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა. მის ფურცლებზე მრავალი ცნობილი ქართველი მოღვაწე აღიზარდა, რომელთაც თავიანთი პირველი ლიტერატურული ნიმუშები სწორედ აქ გამოამზეურეს. ი. იმედაშვილი იყო არა მარტო ფართო ერუდიციის ადამიანი, არამედ როგორც უკვე ვთქვით, ძველი რევოლუციონერი, რის გამოც არა ერთხელ მჯდარა რუსეთის თვითმპყრობელობის ციხეებში. ი. იმედაშვილი წერდა პოლიტიკურ წერილებს, ლექსებს. ხალხს უხსნიდა, თუ ვინ იყო მისი მტერი, ვის წინააღმდეგ იყო საჭირო გაერთიანებული ძალებით ბრძოლა. ი. იმედაშვილის რევოლუციურ მოღვაწეობაზე მეტყველებს მრავალი დოკუმენტი, რომლის ნაწილი დამოწმებულია მისსავე საპოლემიკო წერილებში („თეატრი და ცხოვრება", 1924, № 14). რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც საქართველოში მრავალი პარტია აღმოცენდა, ი. იმედაშვილი ბევრჯერ იქცა უსამართლო პოლემიკის ობიექტად რევოლუციამდელ ქართულ პრესაში. რაღას არ სწამებდნენ მას, მაგრამ ის არ უშინდებოდა ჭორებს, პროვოკაციას, შეუწყნარებელ ცილისწამებასა და სხვადასხვა მუქარას, ყოველთვის მედგრად იდგა, მთელი ენერგიით განაგრძობდა თავის საშვილიშვილო საქმეს და ყველას სათანადო პასუხს აძლევდა. 900-იან წლებში ბევრმა რევოლუციონერმა პირველი პოლიტიკური ნათ-

ლობა ი. იმედაშვილის წიგნთ-სავაჭროში მიიღო. ისეთი თვალსაჩინო მებრძოლები, როგორიც იყვნენ ლადო კეცხოველი, იოსებ ჯუღაშვილი-სტალინი, სევ. ჯუღელი, კამო, ფ. მახარაძე და სხვანი ხშირად ესტუმრებოდნენ ი. იმედაშვილის მაღაზიას.

1903-1906 წლებში ოთხჯერ გამოცემულ წიგნაკში — „სიყვარულის ძალა“ (პირველი გამოცემა განხორციელდა 1903 წ., მეორე და მესამე — 1905 წ., მეოთხე — 1906 წ.)— ი. იმედაშვილმა პირდაპირ გაილაშქრა თვითმპყრობელური რუსეთის მეფის წინააღმდეგ:

„ზიზღი მეფეს, ძირს ხელმწიფე,
დე, დაინგრეს ტახტი მისი,
რაღათ გვინდა იგი მეფე,
ვის არ უყვარს ერი თვისი!“

ი. იმედაშვილის ეს სიტყვები მუშათა შორის ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე გაისმა, როგორც საბრძოლო რევოლუციური ლოზუნგი.

ი. იმედაშვილი თავის ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში პ. მ. საყვარელიძის საპასუხოდ ასე აგვიწერს თავის ცხოვრებას: „მე არა თუ ხელობით მუშა ვარ, — პირველხანად სოფლის მეურნე-მევენახე, მებოსტნე, მსხვლელი, მკელ-მთოხნელი. შემდეგ ზეინკალ-ხარატი... მერე — მეკრამიტე-ტალახის მზელავი და კრამიტის მჭრელი, ბოლოს ასოთამწყობიც (ჩემი „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ კარგა დიდი ნაწილი მე ავაწყე, კაი ხანს მევე ვაწყობდი ჟურ. „თეატრსა და ცხოვრებას“), არამედ შთამომავლობითაც წმინდა პროლეტარი გახლავართ, საკუთარი, პირადი შრომით მცხოვრებელი: მამა მყავდა მებაღე, დღიური მუშა-მოჯამაგირე, ძველი დიამბეგობის დროს მთავრობის ურჩობისათვის კახეთიდან ბორჩალოს გადახვეწილი (რომელსაც ყრმობისას ვენახში ვეხმარებოდი, ხან ცხვარსა და ღორში), დედა — საფაროვის თამბაქოს ქარხანაში დღიურად 30 კ. მომუშავე, რომელთაც მხოლოდ ალალი ოფლით შრომა მიანდერძეს, რასაც ბავშვობიდან დღემდე პირნათლად ვასრულებ: და თუ ყველა ამ ხელობა-მუშაობასთან ერთად მწიგნობრობასაც მივსდევ, — ეს მგონი

დასაძრახი არ უნდა იყოს“ („თეატრი და ცხოვრება“, 1924, № 14, გვ. 9-10).

„თეატრისა და ცხოვრების“ არსებობის 15 წლისთავთან დაკავშირებით მისმა რედაქტორმა-გამომცემელმა მრავალი, მგრძნობიარე სიტყვებით შემკობილი, წერილი და მილოცვის დეპეშა მიიღო, რომელთა მცირე ნაწილი 1925 წ. ხსენებული ჟურნალის საიუბილეო № 12-ში დაიბეჭდა. ი. იმედაშვილის ნაყოფიერ შრომას მრავალი გულთბილი სტრიქონი უძღვნეს ი. გომართელმა, მიხეილ ჯავახიშვილმა, ი. გრიშაშვილმა, ლ. ქიაჩელმა, რომანოზ ფანცხავამ (ხომლელი), მ. საფაროვა-აბაშიძისამ, ეფ. მესხმა, ნინო ყიფიანმა, ს. მგალობლიშვილმა, მიხ. კინწურაშვილმა (იასამანი), ს. რემონიძემ, ლ. ცაგარელმა, ალ. ჯაფარიძემ (ჯაფარ-ფაშა), სურენ ავჩიანმა, გ. სვანიძემ, ილია ფერაძემ, დომინიკა ერისთავ-მდივანმა (განდეგილი), ნიკო კურდღელაშვილმა (ნარკანი), საფო მგელაძემ (მუშა ქალი) და სხვამ.

იოსებ იმედაშვილის შემოქმედების სრული სახის მოსაცემად საჭიროა აღინიშნოს ორი ასეთი ანგარიშგასაწევი ფაქტიც; ი. იმედაშვილმა თავისებური რეკორდი დაამყარა ფსევდონიმების სიუხვით. მრავალი წლის კვლევა-ძიების შედეგად დავადგინეთ, რომ მას 250-ზე მეტი ფსევდონიმი ჰქონდა. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი არის ის, რომ იგი ამ ურიცხვი ფსევდონიმით, კრიპტონიმითა და ინიციალით 40-მდე ქართულ ჟურნალ-გაზეთში ბეჭდავდა სისტემატურად თავის მრავალფეროვან ნარკვევებს, ლექსებსა და კორესპონდენციებს.

აი, იოსებ იმედაშვილის მიერ რევოლუციამდელ ქართულ ბეჭდვით წყაროებში გამოყენებული ზოგიერთი ფსევდონიმის სია: ა. ი.; ა-ლი; ამ პირველი; ამ. პირველი; ამხანაგი; არ-ავ-ინ; არ-თელი; არიელი; ი. არიელი; არიმათელი; ი. არიმათელი; იოსებ არიმათელი; ი. არიმათიელი; იოსებ არიმათიელი; არწივი; აქაური; აქილესი; აჩრდილი; აჩუ; ახლობელი; ბ-ი; ბარაქალა!; ბატი; ბი-კო; გან-დე-სოსინი; გარეშე; გედი; გუგული; გულდამწვარი მეგობარი; გუშინდელი; დ-ე; დამგზავრებული; დამსწრე, დევნილი; ედმონდ კინი; ეე!

ონოფრე!; ელი; — ელი; ერთი ვინმე; ექიმი შტოკმანი; — ერი; ვა! ვა! ვა!; ვე-ლი; ვერხვი; თავის ბრალია; თავისუფალი მეთვალყურე; თვალყურა; თვალყური; ი; ი.; ი-;-ი; ი.-ელი; ი-ელი; ი.-თელი; ი-თელი; ი-ი; ი-ი.; ი-ილი; ი-ლი; ი. მ.; იტა, ივერი; ივრელი; ივრის პირელი; ივრისხეველი; იზიძე; გ. იზიძე; იმ-ძე; იმე-ლი; იმედაშვილი-ხაშმელი; იოსებ-იმედაშვილი — ხაშმელი; იმედი; იო-ბი; იობი; იპოლიტე; ისევ ის; ისევ იქ; იუსუფ ოღლი; კ-ა; კაიუს-ს გრაკხუს; კამერტონი; კენტი; კლიაჩა; ლ-; ს. ლ-ელი; ლ-ი; ლია; ლ-ია; ლარაძე, ლელი, ლი; -ლი; მ-ე; მ-ი; მ-ლი; მათ-განი; ი. მარალაძე; ი. მარალიძე; მარმარელი; მახვილი; მახლას; მახლობელი; მე; მე არ ვარ; შეგობარი; მეველეთაგანი; მეთვალყურე; მელპომენის მომხრე, მერცხალი; მზე-ჭვრიტა; ს. მთვარაძე; მი-ლი; მიშ-ელი; ი. მოგზაური; მოთეატრე; მოკეთე; მოლლა ნასრ ედდინი; მოლლა ნასრ-ედდინ; მომავალი; მონაწილე; მორწმუნე; მსუქანი; მუხ მყოფი; მწიგნობარი; ნარი; ნაცნობი;-ნო; ობოლი; ოლიმპიადა; ორინი; პუპლუზ; რ-ე; რე-მი;-რი; ს-ი; ს-ო; სა-ნი; საბურთალოელი; საგელი; საექსორიო; სათაველი; სამტრედიელი; სანი; სიკო; სიმი; სკამი № 5; სოსიკო; სოსო; სტუმარი; სურო; ტაფელვანი; ტეტიას შვილის შვილი, ტურა; უ-ნო; უმცროსი ამხანაგი; უსავანო; უსუფ-უმუთ ოღლი; უჩინარი; უჩინო; ქ-შვილი; ქართველი; ყი-ნი; შ-ნი; შვეიცერი; ჩოჩორი; ცვარი; ცისკარი; ცრემლი; ძველი მუშა; ძია; წ-;-წ. ი.; წ-ი; ი. წ-ი; წ-რი: წიგნების გამყიდველი ლაყლაყაძე; წინა; წინა-ვარ; წინა-ძღვარი; წინამძღვ-არი; წინამძღვარ-ი; წინა-შძღვარი; წინამძღვარი-ი.; ი. წინამძღვარი; ჭ-ნი; ჭარი; ჭინკა; ჭიტა; ჭიტა!; ჭოპოსანი; ჭკუის კოლოფი; ი. ხ-ელი; ს. ხ-ელი; ხ-ელის ს.; ხაშმელი; ი. ხაშმელი; ს. ხაშმელი, სოსიკა ხაშმელი, ხაშმელი სოსიკა; ხი, ჰო!; ჯან! — ჯან-გრი-; ჯვაროსნელი; ჯიუტიტო; ჰმ!; ჰოპ-ჰოპ; R.; Ro-Ben; Ton.; Violino; Homo; X; Грязь.

იოსებ იმედაშვილის ზემოთ ჩამოწერილი ფსევდონიმების ნუსხა, ცხადია, სრული არ არის, მომავალში მას უთუოდ კიდევ ბევრი მიემატება და ნაწილიც დაზუსტების შედეგად, ალბათ, გამოაკლდება. ამჯერად კი, გაუგებრობის თავიდან

ასაცილებლად, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. იმედაშვილის ზოგიერთი ფსევდონიმი, კრიპტონინი და ინიციალი სხვა კალმოსნების ფსევდონიმებსაც ემთხვევა. ამიტომ ამ მოვლენამ ეჭვი არ უნდა გამოიწვიოს მკითხველთა შორის. ამგვარი დამთხვევის ნიმუშები ბევრია ლიტერატურის ისტორიაში. ასე, მაგალითად, ხელმოწერით ს ო ს ო წერილებს ბეჭდავდნენ ი. იმედაშვილი, ი. გრიშაშვილი, ი. მაჭავარიანი, ი. ირემაშვილი და სხვანი. გ ე რ ი — ჰ. ლომთათიძე და ლადო გეგეჭკორი), გ ა რ დ ა ნ ქ ე შ ა ნ ი (ნიკ. ნათაძე-მელანია და სან. შანშიაშვილი), ფ ხ ა — (იაკობ ფანცხავა და მიხ. ჯავახიშვილი), შ ა ლ ვ ა — ლადო ახმეტელაშვილი, შ. დადიანი, შ. ნათაძე, შ. ქართველიშვილი), ა მ ხ ა ნ ა გ ი — (მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, გ. ს. ლომთათიძე, ი. იმედაშვილი), მ ი შ ა — (მ. ცხაკაია, მ. დავითაშვილი), ჯან-გრი — (მარიამ ალექსიძე-მარიჯანი, ი. გრიშაშვილი ი. იმედაშვილი).

ფსევდონიმებს იოსების მეუღლე ანაც მიმართავდა, როცა აქვეყნებდა თავის ლექსებსა და კორესპონდენციებს (ანნა კ.; ანნა კავთელი, ანნა გარე-კახელი, ანნა გარეკახელი).

ფსევდონიმების ეს სია, ცხადია, მაშინ იქნებოდა უფრო სრულყოფილი, თვითეულ ფსევდონიმს რომ აქვე ჰქონდეს მითითებული პირველი შესატყვისი წყარო, მაგრამ ამ სურვილის განხორციელება მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოიცემა ჩვენი ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შედგენილი სრული „რევოლუციამდელი ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების ლექსიკონი“.

გიორგი ჩხეიძე-ქუჩიშვილის ფსევდონიმები

გიორგი ქუჩიშვილი (1886-1947) სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში თავისი უმცროსი ძმის, დავით თურდოსპირელი-ჩხეიძის დახმარებით. ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსები 1906 წელს გამოქვეყნდა არალეგალურ ჟურნალებში „ჩვენი დროშა“ და „მახვილი“. იმ დღიდან მოყოლებული იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად და ნაყოფიერად ემსახურებოდა მადლმოსილ ქართულ პოეზიას.

გიორგი ქუჩიშვილი 1905 წლის რევოლუციის ქარტეხილში შობა. ამიტომაც მისი შემოქმედება რევოლუციის ნათელ იდეებს ემსახურებოდა. 1907 წლიდან დაწყებული 1947 წლამდე არ იყო თითქმის ისეთი ქართული ჟურნალი და გაზეთი, რომელშიც გ. ქუჩიშვილის ნაწარმოებები არ დაბეჭდილიყო. მარტო 1917 წლამდე გ. ქუჩიშვილის ლექსები და ნოველები სისტემატურად იბეჭდებოდა 100-ზე მეტი სახელწოდების ქართულ პერიოდულ გამოცემაში.

გიორგი ანდუყაფარის ძე ჩხეიძე-ქუჩიშვილის პირველი წიგნი „პოეზია“ და წიგნი მეორე „პროზა“ 1914 წელს ი. ი. ჩიტოშვილმა გამოსცა პეტრე გელეიშვილისა და ლაკრიმოსუს-ის (lacrimosus — იგივე პ. პ. გელეიშვილია) წინასიტყვაობითა) და პოეტის ბიოგრაფიით. მათი საერთო ტირაჟი 6000 ცალს შეადგენდა. მესამე წიგნი კი „ლექსები და პოემები“ 1916 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოუშვა (ტირაჟი 3000).

გ. ქუჩიშვილის ახლებურმა პოეზიამ პირველი დღიდანვე შეიპყრო მშრომელი ხალხის ყურადღება, რადგან იგი მთელი არსებით ჩასწვდა დაჩაგრული მშრომელი ხალხის გრძნობათა

სიღრმეს. გ. ქუჩიშვილი ბრძოლის პოეტად აღიარეს და ირ. ევდოშვილის გვერდით დააყენეს.

პოეტის პირველ ორ წიგნს რეცენზია უძღვნა ახალგაზრდა ვახტანგ კოტეტიშვილმა (იხ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1914 წ., № 23). მან მაღალი შეფასება მისცა გ. ქუჩიშვილის პოეზიას და კარგი მომავალიც უწინასწარმეტყველა. რეცენზენტმა მგოსნის ქმნილებანი 1905 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობის ქარტეხილის ნაყოფად აღიარა, ირ. ევდოშვილი დემოკრატიული პოეზიის მამამთავრად გამოაცხადა და მის გვერდით დააყენა ახალგაზრდა გ. ქუჩიშვილი. ვ. კოტეტიშვილი წერდა: „ქუჩამ შობა შვილი, რომელსაც დღეს ქუჩიშვილი ეწოდება. ქუჩამ ხმა ამოიღო, ქუჩა ამეტყველდა, და ეს — ქუჩიშვილის პოეზია — პროზაში გამოითქვა. ქუჩა ჰკვნესის და ამ კვნესას გ. ქუჩიშვილი გვაგებინებს, ქუჩა სტირის და ცრემლი გ. ქუჩიშვილის თვალებში ელვარებს, ქუჩა მღერის და ეს ჰანგი გ. ქუჩიშვილის პოეზიაში ინასკვება: ყველგან და ყოველთვის ქუჩიშვილი ქუჩასთან განუყრელია. იგი მას უტრიალებს, მას ეტრფის, მას ეალერსება. მის ყოველ კუნჭულში იხედება იგი, ჰა, არავინ დამრჩეს დაუტირალიო, და ეს ჰქმნის ბუნების პოეზიას... მაგრამ გ. ქუჩიშვილი ქუჩაში მხოლოდ იმიტომ კი არ გამოსულა, რომ მარტო ქუჩის კვნესა გაგვაგებინოს. არა. იგი, ქუჩის ტრიბუნიც არის, ჰფანტავს ბრძოლის ჰანგებს, პროტესტანტებს თავისკენ უძახის, და ბრძოლის ცეცხლით უვსებს გულს. ამიტომაც არის მისი მუშა, მისი ქუჩის შვილი ისეთი ძლიერი, ამაყი და ქედმოუხრელი. არ გეგონოთ, რომ მისმა მუშამ შებრალება გთხოვოთ. არა".

ამრიგად, ვახ. კოტეტიშვილმა ხაზი გაუსვა გ. ქუჩიშვილის ინდივიდუალურ პოეტურ ხმას.

გ. ქუჩიშვილი ნაყოფიერი მგოსანი იყო, ძალიან ბევრს წერდა და ლექსების უმრავლესობას მხოლოდ პერიოდული პრესის ფურცლებზე აქვეყნებდა. რევოლუციამდელ პერიოდში მისი შემოქმედების ცალკე წიგნებად გამოცემა მეტად ჭირდა. 1921 წლამდე. ზემოდასახელებული სამი წიგნის გარდა, პოეტმა მხოლოდ ორი წიგნი გამოაქვეყნა — თანაც ხუთივე ეს

გამოცემა მისი პირად სახსრებით განხორციელდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი გამოვიდა გ. ქუჩიშვილის 60-ზე მეტი სახელწოდების სქელტანიანი წიგნი. მაგრამ თხზულებათა სრული კრებული ჯერ კიდევ არ გამოცემულა. ეს კი, ჩვენი აზრით, იმითაც უნდა აიხსნას, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, მგოსანი თავის ლექსებსა და ნოველებს ბეჭდავდა 100-ზე მეტი სახელწოდების რევოლუციამდელ ჟურნალსა და გაზეთში, რომელთა კომპლექტები საქართველოს წიგნთსაცავებში სრულად არ მოიპოვება. მეორე მიზეზი კი, ალბათ, მგოსნის უცნობი ფსევდონიმებია.

გიორგი ანდუყაფარის ძე ჩხეიძეს **ქუჩიშვილის** გარდა ჰქონდა შემდეგი ფსევდონიმები: **გ. ქუჩიშვილი; დ. ქუჩიშვილი** (ამ ფსევდონიმით მხოლოდ ერთი ლექსი — „ტასოს („ჯეჯილის“ ოცი წლის გამო)“ — დაიბეჭდა („ჯეჯილი“, 1910 № 2); **გ. ქ-ლი; გ. ქართველიშვილი; გ. ი.; გ. უიშვილი; გოგია უიშვილი; გ. უ-ლი; გ. უბედური** და სხვა.

ჩვენი დადგენით, პოეტმა თავისი ნამდვილი გვარით მხოლოდ ერთი ლექსი დაბეჭდა და ისიც ნ. ჩხიკვაძის თაწაავტორობით. ეს სამსტროფიანი ლექსი „სიმი (ს. აბაშელს)“ იყო, რომელიც ხელმოწერით — „ნ. ჩხიკვაძე და გ. ჩხეიძე“ 1910 წელს დაიბეჭდა „თეატრისა და ცხოვრების“ № 27-ში.

აქ შევჩერდებით გ. ქუჩიშვილის მხოლოდ ორ ფსევდონიმზე და დავასახელებთ ყველა იმ ნაწარმოებს, რომლებიც ამ ფსევდონიმებით იყო გამოქვეყნებული.

გოგია უიშვილის ხელმოწერით გ. ქუჩიშვილმა შემდეგი ლექსები დაბეჭდა: გაზეთ „დროება“ (1908-1910 წწ.): „წუხილი“ (1908, № 23), „ღმუის გრიგალი“... (1908, № 29), „კმარა, დადუმდი“! (1908, № 31), „ქარიშხალი“ (1909, № 13), „ღამემ ბინდი ჰკრა ჩამავალ მზესა“... (1909, № 41), „კვნესა გულისა“ (1909, № 65), „გარიჟრაჟზე“ (1909, № 85), „დილა“ (1909, № 122; ლექსი გადაბეჭდილია 1914 წელს გამოცემულ პირველ წიგნში), „სიმღერა“ (1909, № 225), „მჭედელი“ (1909, № 263). გაზეთი „დროების სურათებიან

დამატება“: „კითხვები“ (1909, № 3), „სურათი“ (1909, № 17), „ღამე“ (1909, № 18); ჟურნალი „ცხოვრებასა და ხელოვნება“: „გალობა“ (1911, № 4), „ბინდი“ (1911, № 4); გაზეთი „თემი“: „ნაანბობი“ (1911, № 19. 9 სტროფიდან 5 სტროფი გადაბეჭდილია 1914 წელს გამოცემულ პირველ წიგნში), „ვარდი და ბულბული“ (1911, № 19, გადაბეჭდილია პირველ წიგნში), „ნაპოლეონი“ (1911, № 19, გადაბეჭდილია იქვე), „ბედი მგოსნისა, ესკიზი“ (1911, № 20, ეს პატარა პროზაული პოემა დათარიღებულია ასე: „ახალი სენაკი (სამეგრელო) 10 აპრილი, 1911 წ. (გადაბეჭდილია 1914 წელს გამოცემულ მეორე წიგნში). გაზ. „თემის“ 1911 წლის 30 მაისის № 21-ში დაბეჭდილია ხუთი ლექსი საერთო სათაურით: — „ყვავილები (ნაწყვეტები)“: „მგოსნის ვედრება“, „ველის ყვავილს“, „იის სიკვდილი“, „ბაღის ყვავილი და გულის ყვავილი“. ჟურნალი „განათლება“: „სიკვდილი“ (1911, № 3), გაზეთი „საქართველოს სურათებიანი დამატება: „კახეთს“ (1915, № 3), „ტრფიალი“ (1915, № 4), „ჩანგს“ (1915, № 5), „ხალხის ვაებით დამძიმებულმა“... (1915, № 6), „ცის ქვეშ“ (1915, № 7), „ფიქრთა ამშლელი ტკბილი დუდუკი“... (1915, № 8), „ბიძია შიოს“ (1915, № 9).

1912 წლის ალმანახში — „ნემსის წვერი“ (№ 1) დაბეჭდილია პოლიტიკური ხასიათის ერთი მომცრო წერილი სათაურით: „რა არის ჩვენთვის საჭირო“. ხელს აწერს გ. უ-ლი. წერილში ლაპარაკია მკერვალებზე, მათ გაჭირვებულ მდგომარეობაზე. ავტორი მოუწოდებს მათ „შეერთებულის ძალით ვიზრუნოთ ჩვენი კეთილდღეობისათვისო“. იქვეა გ. ჭუჩიშვილის ხელმოწერით მისი კარგად ცნობილი 4-სტროფიანი ლექსი „სიმღერა მკერვალებისა“. ლექსი დათარიღებულია ასე: „15 მაისი, 1912 წ.“ სხვათა შორის, ამ 4 სტროფიანი ლექსიდან შემდგომ გამოცემებში ყველგან გამოტოვებულია მესამე სტროფი:

ეჰ, ძმებო, გვეყოფა, შევწყვიტოთ ჩივილი,
თორემ ნაკერი ცრემლით დაგვისველდება;
ჩვენშიეე დარჩება ჩვენი ტკივილი,
ვიდრე თვალები მთლად არ დაგვიბნელდება.

ამ სტროფის გამოტოვება შემდგომ გამოცემებში თვითონ ავტორის ინიციატივას უნდა მივაწეროთ. ეს, ჩვენი აზრით, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ მასში უფრო პე'იმისტური სულისკვეთება გამოსჭვივის.

გიორგი ქუჩიშვილმა გ. უბედურის ფსევდონიმით თარგმნა და დაბეჭდა შემდეგი ავტორების პატარ-პატარა მოთხრობები და ერთიც ლექსი: ოლივი შნეინერიდან „მხატვრის საიდუმლოება“ (ჟურნალი „ცხოვრება და ხელოვნება“, 1910, № 3, გვ. 4-5) და „შორეულს ქვეყანაში“ (იქვე, 1911, № 5, გვ. 3-5); ლევ ტოლსტოიდან „დანთხეული სისხლი — ებრაული ლეგენდა“ (ჟურნალი „განათლება“, 1911, № 10, გვ. 621-522) და ჰეინედან უსათაურო სამსტროფიანი ლექსი „ძილში ვტიროდი: ვითომ გიხილე“... („განათლება“, 1911, № 4, გვ. 218).

როგორც ირკვევა, გ. ქუჩიშვილი გოგია უიშვილის ფსევდონიმით უფრო ორიგინალურ ლექსებს აქვეყნებდა, გ. უბედურის ფსევდონიმით კი — თარგმანებს.

ამრიგად გ. ქუჩიშვილის დასახელებული ფსევდონიმებით დაბეჭდილი თხზულებებიდან მხოლოდ რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდა. ასევე ბევრი ლექსია უყურადღებოდ მიტოვებული თვით გ. ქუჩიშვილის ხელმოწერითაც. ამიტომ, კარგი იქნება თუ ამ გარემოებას ანგარიში გაეწევა და მომავალში გამოიცემა გ. ქუჩიშვილის თხზულებათა სრული კრებული, რომელშიც, ლექსებს გარდა, ესკიზებიც შევა და სხვადასხვა ხასიათის კორესპონდენციებიც. მადლმოსილი პოეტი ნამდვილად ღირსია ამისა.

შალვა დადიანის ცხოვრებიდან

1915 წელს გაზ. „საქართველოს" ფურცლებზე დაბეჭდილია შ. დადიანის ორი წერილი (№ 43 და № 59) „შ. დ-იანის" ხელმოწერით. პირველს ეწოდება „სამეცნიერო კომისია ახტალაზე (საკუთარი კორესპონდენტიდან)", მეორეს კი — „კახეთის მემამულენი". ორივე სტატიაში ავტორი ეხება ახტალის ტალახის სამკურნალო მნიშვნელობას, მის დამუშავებას და აღნიშნავს თბილისიდან გურჯაანს სპეციალური კომისიის გამგზავრების მიზანს (კომისიის ერთ-ერთ წევრად დასახელებულია ადგილობრივი ექიმი პაატაშვილი). იქვე ნათქვამია, რომ ახტალის 4,5 დესეტინის ფართობიდან უდიდესი, ნაწილი თავად ანდრონიკაშვილების, აბაშიძეებისა და შალიკაშვილების საკუთრებას წარმოადგენსო.

იმავე პერიოდში ხსენებულ გაზეთში (№№ 36-51) დაიბეჭდა დ. კასრაძის სტატიების სერია „გზა და გზა", რომელშიაც აღწერილია კახეთის სოფლები: ბაკურციხე, გურჯაანი, ახტალა მისი ბუნებრივი „ტალახის ჰამაკით", კარდანახი და სხვა. მხატვრულად არის გადმოცემული გურჯაანისა და ბაკურციხის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. დ. კასრაძემ პირველმა უწინასწარმეტყველა სოფ. გურჯაანს მალე „კოხტა პატარა ქალაქად იქცევა" და მის კოპწია მიდამოებში „სიმდიდრეც თავის შადრევანს მოხსნის პირსაო". ცალკე თავი ეძღვნება ასი წლის ბაკურციხელ ქალს, ნინო სოლომონის ასულ ანდრონიკაშვილს (მარშლიანთ ნინუცას), რომელსაც ავტორი სპეციალურად ესტუმრა გურჯაანიდან.

1915 წლის ზაფხულში შ. დადიანი ბაკურციხეში ისვენებდა ილო იოსების ძე ანდრონიკაშვილთან, რომელიც იმ დროს ბაკურციხის ექიმად მუშაობდა. ილო ანდრონიკაშვილს შ. დადიანის პირველი მეუღლის, ელო ანდრონიკაშვილის, ძმას საე-

ქიმო პუნქტი სწორედ იმ შენობაში[1] ჰქონდა, სადაც დღეს ამბულატორია და სასოფლო საბჭოა მოთავსებული.

შალვა დადიანის ყოფნას სოფ. ბაკურციხეში ორი საბუთიც გვიმტკიცებს: პირველი, დ. კასრაძე თავის სტატიაში „გზა და გზა" ორჯერ იხსენიებს ბაკურციხეში სტუმრად მყოფ „შ. დს" (შ. დადიანს, ა. ა.), მეორეა, შ. დადიანის განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „საქართველოს" 1915 წლის 21-26 აგვისტოს ნომერში:

„ს. გურჯაანში გზად მომავალმა დავკარგე შავი პორტფელი, რომელზედაც ვერცხლის ფირფიტაზე წარწერილია ჩემი სახელი. პორტფელში კი შემდეგი ნაწერები აწყვია: პიესა „გიჟუნია", მოთხრობა „ტყვე", მერეჟკოვსკის „ლეონარდო და-ვინჩის" თარგმანი (პირველი წიგნი), ისტორიულ რომანის „ანდერძის" მასალები და სხვა წვრილმანი წერილები და საარტისტო მოწმობები.

არავისთვის ეს ნაწერები და ნაშრომი გამოსადეგი არ არის, ჩემთვის კი ძვირფასია.

ამიტომ ვთხოვ კ ა ხ ე თ ი ს ს ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო ე ბ ს, ყურადღება იქონიონ და ხალხს გამოუცხადონ, რომ მპოვნელი ჩემგან მადლობასთან ერთად შესაფერ ჯილდოსაც მიიღებს.

ნახული უნდა წარუდგინონ ს. ბაკურციხეში ექიმ ანდრონიკაშვილს.

შალვა დადიანი".

თუ რა ბედი ეწვია დაკარგულ პორტფელს, ამაზე გაზეთის შემდეგ ნომრებში აღარაფერია აღნიშნული, არც მწერალი იხსენიებს თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებებში („ჩემი მარაო", 1948 წ., „რაც გამახსენდა", 1959 წ.). ეს ფაქტი რატომღაც სხვა მკვლევარებს უყურადღებოდ დარჩათ. სასურველი კი იქნება, თუ მცოდნე პირები გამოეხმაურებიან ამ საკითხს. სხვათა შორის, სწორედ ასე აღმოვაჩინეთ, მ. გორკის მოთხრობა „დედის" ქართული თარგმანის ხელნაწერი (ოთხი საე-

[1] ამ სახლში 1911-1916 წწ. ზაფხულობით ისვენებდა შ. დადიანი და კარგი იქნება მის ფასადს ამშვენებდეს მემორიალური დაფა სათანადო წარწერით.

რთო რვეული), შესრულებული ყველაზე ადრე გ. ლომთათიძის მიერ (იხ. გაზ. „თბილისი", 1960, № 245 და № 284).

ყურადღების ღირსია განცხადებაში მოხსენებული პიესა „გიჟუნია", მოთხრობა „ტყვე", ისტორიული რომანი „ანდერძი" და ლეონარდო და ვინჩზე დიმიტრი მერეჟკოვსკის რომანის ქართულად თარგმნის ამბავი. ჩვენი დასკვნით, „გიჟუნია" პიესა „გეგეჭკორის" პირველი ვარიანტი უნდა იყოს; მოთხრობა „ტყვე" დაიბეჭდა შ. დადიანის პირველ ტომში (თბ., 1958, გვ. 154-179); რომანი „ანდერძი" პირველი სახელწოდება უნდა იყოს რომანისა „გიორგი რუსი" („უბედური რუსი"), რომელზედაც ავტორი მუშაობდა 1916-1926 წლების მანძილზე. დ. მერეჟკოვსკის „ლეონარდო და ვინჩის" თარგმანი შ. დადიანს არ დაუბეჭდავს, შეიძლება იმიტომ, რომ დაკარგულ პორტფელთან ერთად ვერ იპოვნა თავისი ხელნაწერები და შემდგომ განმეორებით თარგმნას კი აღარ მოჰკიდა ხელი. პორტფელში მოხსენებული ხელნაწერების მდიდარი ნუსხა იმასაც მეტყველებს, თუ რა ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სოფ. ბაკურციხეში საზაფხულოდ დასასვენებლად თუ სტუმრად ჩასული შ. დადიანი. სხვათა შორის, სიუჟეტი შ. დადიანის პიესისა „გუშინდელნი", სოფ. ბაკურციხის ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული.

ელო ანდრონიკაშვილის შეუღლების შემდეგ შ. დადიანი უფრო ხშირი სტუმარი იყო ბაკურციხისა. „უბედური რუსის" 1927 წლის გამოცემის თავფურცელზე ელოს პატივისცემა შ. დადიანმა ასე გამოხატა: „რომანი ეძღვნება ჩემი ცხოვრების ხანგრძლივ თანამგზავრს, ამ ნაწარმოების უახლოეს თანამშრომელს და პირველ კრიტიკოსს ელო ანდრონიკაშვილს". იგივე წარწერა მცირედი ცვლილებით ამშვენებს „გიორგი რუსის" ყველა შემდგომ გამოცემას.

ცნობილია, რომ 1911 წლის მაის-ივლისს ელოსა და შალვას მონაწილეობით რამდენიმე წარმოდგენა დაიდგა თელავში. ერთ მათგანს აკაკი წერეთელიც დაესწრო („სახ. გაზეთი", 1911 წ. ივლისის ნომრები) თავისი მეოთხე და უკანასკნელი მოგზაურობისას კახეთში. ამ დროს აკაკის თან ახლდნენ შ. დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი. ისინი ესტუმრნენ ილო და

ნინო (ნინუცა) ანდრონიკაშვილებს და შემდეგ ბაკურციხიდან პირდაპირ სიღნაღს გაემგზავრენ...

შ. დადიანის მიერ 1924-1925 წლებში შევსებული ანკეტის ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ 1903 წ. მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელად ყოფნის დროს, სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობაში მონაწილეობისათვის „გაჩხრეკა და ნაწერების კომფისკაცია" დამატყდა თავსო (იხ. თბილისის საქალაქო არქივი).

შ. დადიანის პიესა „როს ნადირობდნენ"... პირველად გაზ. „ფონში" დაიბეჭდა 1909 წელს (№ 3 და № 27), შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა ასეთი სათაურით: „როს ნადირობდნენ... წარმოსადგენი ერთ სანახავად. ბათუმი, ა. ჯაყელის და ვ. სარელის გამოცემა, ე. მ. მახარაძის სტამბა, 1912", 46 გვ. იმავე წლის დეკემბერში პიესა ბათუმის სცენაზე დაიდგა, მაგრამ მალე მას ინციდენტი მოჰყვა და ეს პატარა წიგნი ცენზორმა საჩქაროდ აკრძალა, შემდეგ მთელი ტირაჟი გაანადგურეს („აკრძალული წიგნების ანბანური საძიებელი"... ს. პეტერბურგი, 1913 წ.; საქ. ცენტ. სახ. ისტ. არქივი, ფონდი 480, საქმე № 779; აგრეთვე: გ. ციციშვილი, შალვა დადიანის დრამატურგია, თბ., 1955, გვ. 63-65).

მიხეილ დავითაშვილი

მიხეილ ნიკოლოზის ძე დავითაშვილი (1877-1916) ლენინური სკოლის პროფესიულ-რევოლუციონერთა სახელოვან პლეადას ეკუთვნის. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე იგი ერთთავად მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების განხორციელებისთვის იბრძოდა და ბოლომდე იყო გენიალური მასწავლებლის ერთგული მოწაფე.

რევოლუციურ მოძრაობაში მიხეილი ჩაება მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაში პირველი რევოლუციურ-მარქსისტული ორგანიზაციები იქმნებოდნენ. რუსეთის პირველი რევოლუციის დროიდან მოყოლებული მიხეილ დავითაშვილი ი. ბ. სტალინის, ფ. ე. მახარაძის, მ. გ. ცხაკაიას, ს. გ. შაუმიანის, მ. ზ. ბოჰორიძისა და ამიერკავკასიის სხვა ბოლშევიკების გვერდით, მტკიცედ იცავდა დიდი ლენინის იდეებს.

მიხ. დავითაშვილის ბიოგრაფია ფრიად შინაარსიანი და მრავალფეროვანია. იგი დაიბადა 1877 წლის 5 (17) მარტს ყოფილ გორის მაზრის სოფ. როკში (ამჟამად სამხრეთ ოსეთი, ჯავის რაიონი) და დაიღუპა იარაღით ხელში სამშობლოდან შორს — ვერდენის ფრონტზე 1916 წლის 6 მარტს.

1899 წლიდან მოყოლებული სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე მიხეილის საბრძოლო მახვილს შეადგენდა კალამი, ცოცხალი სიტყვის მხურვალე პროპაგანდა და, ბოლოს, ცეცხლმფრქვევი იარაღი. ლენინის იდეების პროპაგანდას იგი ეწეოდა თბილისში, ბაქოში, ბათუმში, გორში, მოსკოვში, ლაიპციგში, ჟენევაში, პარიზში, მოქმედი არმიის რიგებსა თუ ქართლისა და კახეთის სოფლებში. იგი პირადად იცნობდა დიდ ლენინს და მიწერ-მოწერაც ჰქონდა მასთან.

მიხეილის შემოქმედებითი შრომა ფრიად ნაყოფიერი იყო, იგი ბევრს წერდა და კითხულობდა. კარგად იცოდა მშობლიურ ქართულთან ერთად რუსული, გერმანული და ფრანგული ენები. მისი ლიტერატურული შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. 1906-1907 წლების ბოლშევიკურ ლეგალურ და არალეგალურ პერიოდულ გამოცემებში მიხ. დავითაშვილი ი. ბ. სტალინის, მ. გ. ცხაკაიას, ს. გ. შაუმიანის და ფ. ე. მახარაძის გვერდით ბეჭდავდა პოლიტიკურ სტატიებს, ხშირად ფსევდონიმებით, ინიციალებით ან სულაც ხელმოუწერლად. ამ სტატიებში მიხეილი მკაცრად იბრძოდა მენშევიკებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიების წინააღმდეგ და მტკიცედ იცავდა ლენინურ მოძღვრებას.

მისი პირველი კორესპონდენციები ჯერ კიდევ 1899 წლის „კვალში“ დაიბეჭდა. მიხეილი წერდა პოლიტიკურ სტატიებს, ბროშურებს, ამავე დროს, დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა თარგმანის დარგში და სხვა ავტორთა წიგნების გამოცემაში; მან გამოსცა ოთხი ავტორის წიგნი. იგი თარგმნიდა გერმანული, ფრანგული და რუსული ენებიდან. მიხ. დავითაშვილმა თარგმნა კარლ კაუცკის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ (თბ., 1905, 142 გვ.) მ. ღ ო რ ე შ ე ლ ი ს ფსევდონიმით; მ. კირსანოვის (გ. ვ. პლეხანოვის) „პატრიოტიზმი და სოციალიზმი“, რომელიც ქართულ ენაზე ორჯერ დაიბეჭდა: პირველად მ. ღ ო რ ე შ ე ლ ი ს ფსევდონიმით (თბ. 1906, 16 გვ.), მეორედ კი — მ ი შ ა დ ა ვ ი დ ო ვ ი ს ფსევდონიმით (თბ., 1917, 16 გვ.).

ამჟამად მიხ. დავითაშვილის ფსევდონიმებიდან და ინიციალ-კრიპტონიმებიდან უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს: ჯან-ბეზარი; ჯ. ბ. (ჯან-ბეზარი); ჯან ბეზარი, მ. ღორეშელი; ედიშერი; ე.; მიშა დავიდოვი; შენი ძმა მიხა; ეპიფანე ნიკოლოზის ძე გელაძე; მიხა; მიხო; მიშა; მ-ხო; მ.; მ. დ.; მ. დ-შვილი; შავი მიხო. ეჭვი არაა, მიხ. დავითაშვილს ბევრი სხვა ფსევდონიმიც ექნებოდა. ამისათვის ნამდვილად კარგი იქნება 1905-1915 წლებში გამოცემული პარტიული ბროშურების ენისა და სტილის ყურადღებით შესწავლა. მიხ. დავითაშვილის შემოქმედების შინაარსობრივ ანალიზთან ერთად, უნდა გავითვალი-

სწინოთ მისი მანერა, ლიტერატურული სტილი და თემატიკაც. უდავოა, რომ სათანადო წყაროთა შესწავლა აუცილებლად გამოავლენს მიხეილის სხვა ორიგინალურსა და თარგმნით თხზულებებს. ანგარიში უნდა გაეწიოს რუსულ ენაზე არსებულ ლიტერატურასაც, რადგანაც მიხ. დავითაშვილი ზოგჯერ გერმანულ-ფრანგულ ენებიდან რუსულადაც თარგმნიდა.

ჯერჯერობით შევძელით ამოგვეხსნა მიხ. დავითაშვილის ზემოთ დასახელებული 17 ფსევდონიმი. პირველ ორ ფსევდონიმს „მიხეილ დავითაშვილის ბიოგრაფიული ნარკვევის“ (თბ., 1957) ავტორი ა. რ. გუკასიანიც გვიდასტურებს, ამიტომ ჩვენ მათზე და ზოგიერთ სხვა ცნობილ ფსევდონიმზე არ შევჩერდებით.

ფსევდონიმები მიხა, მ-ხო; ჯ. ბ., ჯან ბეზარი და ჯან-ბეზარი დავითაშვილმა გამოიყენა პირველ რიგში ბოლშევიკური გაზეთების — „ახალი ცხოვრებისა“ (1906 წ.) და „დროის“ (1907 წ.) ფურცლებზე, რომლის რედაქციის ერთ-ერთი აქტიური წევრი თვითონაც იყო ი. ბ. სტალინის, მ. ცხაკაიასა და ფ. მახარაძის გვერდით. მიშასა და ზოგიერთი სხვა ფსევდონიმით იგი აგრეთვე თანამშრომლობდა გაზ. „ელვაში“, „ლამპარში“, სააღდგომო კრებულებში. მიშას ხელმოწერით მიხ. დავითაშვილმა 1906 წ. 15 აპრილის „ელვის“ № 18-ის პირველ გვერდზე მოწინავედ მოათავსა პატარა ნოველა „ქრისტე აღსდგა!“ იქვეა მოზრდილი, ხელმოუწერელი წერილი „დღევანდელი დღეს“, რომელიც აგრეთვე, ჩვენი აზრით, მიხ. დავითაშვილის კალამს ეკუთვნის. ნოველა „ქრისტე აღსდგა!“ შემდეგში, 1911 წელს, გადაიბეჭდა კრებულში „სააღდგომო საჩუქარი“ (თბ., 1911 წ., გვ. 5-6). აღნიშნულ კრებულშივეა დაბეჭდილი გ. ქუჩიშვილის, სან. ქურიძის (ს. ეული), დ. კასრაძისა და სხვათა ნაწარმოებები და სხვადასხვა სახის პოლიტიკური შინაარსის წერილები.

მიხ. დავითაშვილის ნოველა „ქრისტე აღსდგა!“ და პოლიტიკური წერილი „დღევანდელ დღეს“ თავიანთი შინაარსით რეაქციული რუსეთის მეფის მთავრობის წინააღმდეგაა მიმართული. ორივე ნაშრომში სასტიკად არის გაკრიტიკებული თვითმპყრობელური რუსეთის მეფის პოლიტიკა.

1907 წლის შემდეგ მიხ. დავითაშვილი ჟენევაში ყოფნის დროს დაუახლოვდა ვ. ი. ლენინს, ნ. კ. კრუპსკაიას, მათ ერთგულ მებრძოლებს ს. ორჯონიკიძეს, მალაქია ტოროშელიძეს და სხვა გამოჩენილ ბოლშევიკებს. ამიტომაც იყო, რომ მენშევიკები აკრიტიკებდნენ მიხას (მიხ. დავითაშვილს). ვინმე ლ. მელაძე თავის გესლიან წერილში „ჟენევაში ქართველ სტუდენტთა შორის“ „ესტეკი მიხას“ სახელით ნათლავს (იხ. ალმანახი „ძალა“, 1909 წ., № 6, გვ. 14-15) და აკრიტიკებს მხოლოდ იმიტომ, რომ ჟენევაში მოწყობილ აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე ზოგიერთი ქართველი სტუდენტის ცუდ ქცევას მიხ. დავითაშვილმა უარყოფითად შეხედა.

ძალზე საყურადღებოა ჩვენ მიერ გამოვლენილი ორიგინალური ნაშრომი მიხ. დავითაშვილისა — „წერილები ძმასთან“ (თბ., 1906,63 გვ.), რომელიც ავტორმა რუსულად დაწერა „შენი ძმა მიხას“ ფსევდონიმით. ქართულად იგი თარგმნა გიორგი სპირიდონის ძე ლომთათიძემ (1884-1916) „ამხანაგის“ ფსევდონიმით. ამ ფსევდონიმის ამოხსნისას პირველად ეჭვი მიხა ცხაკაიასა და მიხა ბოჭორიძეზე მივიტანეთ, მაგრამ ეს არ გამართლდა. უამრავი მასალის დახმარებით, მიხ. დავითაშვილის ბიოგრაფიისა და თვით წიგნაკის შინაარსის შესწავლით დავრწმუნდით, რომ მისი ავტორი ნამდვილად მიხეილ ნიკოლოზის-ძე დავითაშვილია და „შენი ძმა მიხა“ მისი ფსევდონიმია.

ეს 63 გვერდიანი წიგნაკი დაწერილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომების უშუალო ზეგავლენით; ბროშურა ატარებს მიხ. დავითაშვილის ავტობიოგრაფიულ ხასიათს, ავტორი საკუთარ ძმას, პეტრეს, პოპულარული ენით მოუთხრობს იმდროინდელ პოლიტიკურ და სოციალურ ამბებს, გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასთა შორის ეკონომიურ უთანასწორობას, უჩვენებს სწორ მარქსისტულ-ლენინურ გზას ამ კვანძების ამოსახსნელად.

„წერილები ძმასთან“ ხუთი განყოფილებისაგან შედგება: 1. თანამედროვე წესწყობილება, 2. როგორი წესწყობილებაა საჭირო?, 3. საიდან დაიწყოთ ბრძოლა?, 4. რუსეთი კი?

თვითმპყრობელობაა, 5. ვის როგორი თავისუფლება უნდა?.. მოკავშირე მტერი და, ბოლოს, პატარა საერთო დასკვნა აქვს გაკეთებული. ბროშურა რუსულ ენაზე ყოფილა დაწერილი და მოქმედების სარბიელადაც იმდროინდელი რუსეთის იმპერიაა გამოყვანილი, მაგრამ ავტორის თანამგზავრებად ქართველები არიან დასახელებულნი: პეტრე, მიხა, თედო, სიკო და ნიკო მასწავლებელი. რუსულ ენაზე დაბეჭდილი ეს წიგნაკი ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ, შეიძლება იგი რუსულად არც გამოცემულა.

ფსევდონიმის ამოხსნისათვის ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ბროშურის ავტორი, „შენი ძმა მიხა“, ერთ ადგილას ცდილობს გაახსენოს პეტრეს სკოლის ამბები და ასე მიმართავს: „გახსოვს, კიდევ ერთხელ ჩვენმა ამხანაგმა სიკომ ჰკითხა მღვდელს: „მიხა სალდათებმა დაჭერილი რათ ჩამოიყვანეს ქალაქიდამ?“ მღვდელმა მიუგო: „იმიტომ, რომ ის ლოთია და ღმერთი არა სწამს“. ჩვენ კი ყველამ ვიცოდით, რომ მიხა ყველას საყვარელი კაცი იყო და მთვრალიც თავის დღეში არავის უნახავს. მაშინ წამოხტა თედო და უთხრა მღვდელს, მიხა იმიტომ კი არ დაიჭირეს, რომ ცუდი და ლოთი კაცია, არამედ იმიტომ, რომ მან ქარხანაში მუშებს გაფიცვა მოახდენიაო. მამა-მღვდელს კი ისეთი ეწყინა ეს სიმართლე, რომ თედოს კარგებისა მისდო კეფაში. ის კი აღარ გახსოვს, რომ ძველი მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ მასწავლებელი ნიკო მოგვივიდა. ის არც თმას გვიწევდა, სახეში გარტყმაც არ იცოდა, მეფეების სახელებს არ გვაზეპირებინებდა, ყველაფერს კარგად გვიხსნიდა და გვასწავლიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩქარა ამოჰკრეს პანღური“ (გვ. 17).

აი, ერთი ასეთი ამონაწერიც: „ხან კიდევ საიდგანღაც გამოგვიქროლებდა ჟანდარმები და სოფლის საყვარელ მასწავლებელ ნიკოს იჭერდნენ და თან მიყავდათ, სკოლას კი მიგვიკეტავდნენ“ (გვ. 4). იბადება რამდენიმე კითხვა: ვინ არიან მიხ. დავითაშვილის მიერ ზემოთ დასახელებული ნიკო მასწავლებელი, მუშა რევოლუციონერი მიხა და სკოლის ამხანაგები პეტრე, თედო და სიკო? მოგონილი პირები არიან თუ ნამდვილად არსებობდნენ?.

მიხ. დავითაშვილის ბიოგრაფიის დაწვრილებითი შესწავლით ჩვენ შევძელით თითქმის ყველა ამ პიროვნების გაშიფრვა. ნიკო მასწავლებელი — ეს ნიკო ლომოურია (1852-1915), რომელიც 1883 წლის 31 აგვისტოდან სიკვდილამდე გორში მასწავლებლობდა. პეტრე — მიხ. დავითაშვილის უფროსი ძმა იყო. 1893 წელს იგი თბილისის სასულიერო სემინარიის პირველი მე-5 კლასის მოსწავლე იყო, მიხეილი კი პირველი კლასისა. თედო უნდა იყოს ვაჟა-ფშაველას ძმა, თედო რაზიკაშვილი (1869-1922), რომელმაც 1889 წელს დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია. აქ ქართულ ენასა და ლიტერატურას ნიკო ლომოური ასწავლიდა და ალბათ მასზეა ნათქვამი: „არც თმას უწევდა, სახეში გარტყმა მან არ იცოდა და არც მეფეების სახელებს აზეპირებინებდა“. სიკო ალექსის ძე ალიმბარაშვილიც (1878-1910 თუ 1879-1911) ამოხსნილად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იმ ხანებში ნიკო ლომოურის ერთ-ერთი მოწაფეთაგანი სიკოც იყო, ხოლო „ყველას საყვარელი კაცი-მიხას“ სახეში კი ჩვენ მიხა ბოჭორიძეს (1873-1913) ვგულისხმობთ. შესაძლებელია აქ მიხა ჩოდრიშვილი (1853-1929) ან კიდევ მიხა ცხაკაიაც (1865-1950) იგულისხმებოდეს. სამივე მიხას მდიდარი ბიოგრაფიული მონაცემები ძალიან უახლოვდება მათ რევოლუციურ მოღვაწეობას იმ პერიოდში და ამიტომ ეს საკითხი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

წინამდებარე ნარკვევი შემოკლებული სახით 1961 წელს, „რევოლუციის რაინდის“ სათაურით დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“ (12 ივლისის № 156). დ. ნადიბარიძემ ისარგებლა ხსენებული წერილით, მიუთითა მასზე, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენ მიერ გაშიფრული ფსევდონიმი „შენი ძმა მიხა“ თავის მოღვაწეობას მიაწერა (იხ. ჟურნ. „მაცნე“, 1964 წ. № 3, გვ. 3-24). ახალგაზრდა ავტორის ასეთი ქცევა როდი ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას. არაა კარგი სხვისი დასკვნების მითვისება, გამოყენებულ წყაროებს სწორად, გულისხმიერად მოქცევა ესაჭიროება...

ნ. კრუპსკაიასა და მ. გორკის მთარგმნელი

1916 წლის ივლისში ქართულმა პერიოდულმა პრესამ მკითხველებს გიორგი ლომთათიძის (1884-1916) თვითმკვლელობის ამბავი აცნობა. ეს საგრძნობი დანაკლისი იყო, რადგან გ. ლომთათიძემ მცირე ხნის განმავლობაში გარკვეული როლი შეასრულა მაშინდელი პოლიტიკური ლიტერატურის პოპულარიზაციაში. მით უფრო საყურადღებოა, რომ გ. ლომთათიძის მიერ ქართულად თარგმნილი წიგნები სხვადასხვა ფსევდონიმს ამოფარებულ ავტორთა კალამს ეკუთვნის.

„თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი ი. იმედაშვილი იოსებ არიმათიელის ფსევდონიმით 1916 წლის 7 აგვისტოს ჟურნალის ფურცლებიდან იტყობინებოდა გიორგი სპირიდონის ძე ლომთათიძის ტრაგიკულ თვითმკვლელობას და აღნიშნავდა, რომ ამ უკანასკნელს „საკუთარ წვრილ მოთხრობათა გარდა“ უთარგმნია და დაუბეჭდავს „წერილები ძმასთან“, „მუშათა გამარჯვება ინგლისში“, „მუშა-ქალი“ და სხვა. დაუბეჭდავი დარჩა მ. გორკიდან ნათარგმნი მოთხრობა „დედა“ (იხ. № 32, გვ. 7). ამასვე წერდა გ. ლომთათიძეზე გაზეთი „თანამედროვე აზრი“ 1916 წ. 26 ივლისის № 165) და გაზ. „საქართველო“ (1916 წ. № 197).

გ. ლომთათიძის თარგმნილი და 1906 წ. თბილისში დაბეჭდილი სამივე წიგნი ჩვენთვის ცნობილია. „ქართულ წიგნში“ („ბიბლიოგრაფია“, ტ. 1, თბ., 1941 წ.) კი ისინი კვლავ ფსევდონიმებით არის აღნიშნული.

1. „მუშა-ქალის“ ავტორი „კ. საბლინისა“ არის ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. „მუშა-ქალი“ იყო ნ. კ. კრუპსკაიას პირველი წიგნი, რომელიც ვ. ი. ლენინის უშუალო რჩევა-დარიგებით 1899 წელს, ციმბირში გადასახლებისას,

სოფ. შუშენსკოეში დაიწერა. პირველად იგი არალეგალურად გამოსცა „ისკრის“ რედაქციამ 1901 წელს; მეორედ 1905 წ. „საბლინას“ ფსევდონიმით დაიბეჭდა, მაგრამ როგორც კი მეფის მთავრობამ რევოლუცია დაამარცხა, ეს ლეგალური გამოცემა აკრძალეს. თანახმად აღნიშნული ფსევდონიმისა გ. ლომთათიძის თარგმანიც სწორედ ამ მეორე გამოცემიდან იყო შესრულებული.

2. „წერილები ძმასთან“ „ამხანაგის“ თარგმანია (1906 წ. 63 გვ. იხ. აგრეთვე „ქართული წიგნი“, № 3297). ტექსტის ბოლოს ავტორის ხელმოწერაა „შ ე ნ ი ძ მ ა მ ი ხ ა“, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მიხ. დავითაშვილის ერთ-ერთი ფსევდონიმია. „ამხანაგი“ კი იყო გ. ლომთათიძის ფსევდონიმი, რაც უკვე დადგენილია.

3. „მუშათა გამარჯვება ინგლისში“ და მის თავფურცელზე აღნიშნული „ს. პ-სი“ (თბ., 1906 წ. 20 გვ. „ქართული წიგნი“, № 3248), „ს. პარვუსი“ არის. ეს ბროშურის გარეთა პირზე დაბეჭდილ სარეკლამო ბიბლიოგრაფიულ მონაცემებიდანაც მტკიცდება. ამასვე ადასტურებს „ახალი თაობის“ სხვა ბროშურებზე დაბეჭდილი სარეკლამო განცხადებები: „დაიბეჭდა და იყიდება „ახალი თაობის“ შემდეგი გამოცემანი“... და დასახელებულია სხვა წიგნთა შორის „მუშათა გამარჯვება ინგლისში პარვუსისა“.

პარვუსი — ა. ლ. გელფანდის ფსევდონიმი იყო, ხსენებული წიგნაკი 15 გვერდის მოცულობით 1906 წ. რუსულად გამოიცა „პარვუსის“ ფსევდონიმით. გ. ლომთათიძემ სწორედ ამ გამოცემიდან თარგმნა.

* * *

გ. ლომთათიძის ნეკროლოგში აღნიშნული სიტყვები — დაუბეჭდავი დარჩა მ. გორკის „დედა“, საყურადღებოა, მით უფრო რომ „დედა“ ქართულ ენაზე პირველად მხოლოდ 1928 წელს გამოიცა (გ. აფხაიძის თარგმანი). გ. ლომთათიძის თარგმანი შედარებით ძველია. იგი შესრულებული უნდა იყოს ცენზურის მიერ შემოკლებული იმ გამოცემიდან, რომელიც

1907 წელს გამოქვეყნდა ბერლინში. ცნობილია, რომ „დედა“ პირველად ჯერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი გამოქვეყნდა ჟურნალ „აპელტონ მეგეზინში“ 1906-07 წწ. შემდეგ ინგლისურადვე 1907 წელს ნიუ-იორკსა და ლონდონში ცალკე წიგნებად გამოვიდა. ამდენად უნდა გამოირკვეს: გ. ლომთათიძემ იგი ინგლისურიდან თარგმნა თუ რუსულიდან, შემოკლებული, ჟურნალში დაბეჭდილი ვარიანტიდან თუ უფრო შედარებით სრული ცალკე გამოცემიდან? ამასა და თარგმანის თარიღს გაარკვევს მხოლოდ გ. ლომთათიძის ხელნაწერების აღმოჩენა. იგი უნდა ვეძიოთ რესპუბლიკის არქივებში ან კიდევ გ. ლომთათიძის საოჯახო არქივში, ცენზურის მსხვერპლი თუ არ გახდა.

გ. ლომთათიძე დაიბადა სოფ. ბახვში (მახარაძის რაიონი) და შესაძლებელია იქ დღესაც იყოს ვინმე მისი მახლობელი. აკი 1916 წელს გაზ. „საქართველო“ (№ 197) იუწყებოდა, გ. ლომთათიძეს მახლობლებიდან დარჩა დედა ელისაბედი, ცოლი ელენე, პატარა ქალიშვილი ნათელა, ძმები ალექსანდრე და არსენ, რძალი ზინაიდა, სიდედრი ანა, ცოლისძმები ლეონიდე, ათინოგენი, ვიქტორი, სოსო და არჩილი, ცოლის და ნინა მექანარიშვილები (მექანარი), თამარ და ემილ სირბილაძენი.

* * *

ჩვენი ეს წერილი მცირედი ცვლილებით 1960 წლის 14 ოქტომბერს (№ 245) გაზ. „თბილისში“ დაიბეჭდა. არ გავიდა დიდი ხანი, რომ იმავე წლის 1 დეკემბერს № 284-ში ხსენებული გაზეთის თანამშრომლებმა ა. შენგელიამ და ო. დიაკონიძემ ჩვენს მინიატურას „ფერშეუცვლელი ფოლიანტების“ სათაურით მოზრდილი სტატია მიუძღვნეს. აქ ისინი ლაპარაკობენ გ. ლომთათიძესა და მის მიერ მ. გორკის „დედის“ თარგმანზე. იქვეა მოთავსებული გ. ლომთათიძის სურათი მეუღლე ელენე მექანარისთან ერთად. სტატიაში ნათქვამია: „ჩვენს წინ შავყდიანი ოთხი საერთო რვეულია.... „ამხანაგი“ — წერია ოთხგანვე“.

„ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ეს ფსევდონიმი უც-

ნობი არ არის. 14 ოქტომბერს „თბილისში“ დაიბეჭდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. აბრამიშვილის სტატია „ნ. კრუპსკაიასა და მ. გორკის მთარგმნელი“. მასში აღნიშნულია, რომ „ამხანაგი“ ლენინის მეგობრისა და მისი ერთგული თანამებრძოლის ნადეჟდა კრუპსკაიას „მუშა-ქალის“ მთარგმნელის გიორგი ლომთათიძის ერთ-ერთი ფსევდონიმია.

ამას წინათ გაზეთ „თბილისის“ რედაქციას გიორგი ლომთათიძის მეუღლე ელენე მექანარი ესტუმრა. მან „დედის“ პირველი თარგმანი გადმოგვცა, რომელიც სხვა ხელნაწერებთან ერთად ქმრის გარდაცვალების შემდეგ ფაქიზად შეუნახავს“.

შემდეგ განხილულია მოკლედ „დედის“ თარგმანი, მოცემულია გ. ლომთათიძის ბიოგრაფიის ცალკეული ცნობები, თარგმანის შესრულების თარიღად 1909-1911 წლებს ვარაუდობენ და, ბოლოს, ავტორები დასძენენ: „გიორგი ლომთათიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი არ არის. არქივი, რომელიც ძირითადად გამოუქვეყნებელ მოთხრობებს, თარგმანებსა და პირად წერილებს შეიცავს, თავისუფლად მოთავსდება ორ საშუალო ზომის ტომში.

კარგი იქნება, თუ სპეციალისტები დაინტერესდებიან გორკის „დედის“ პირველი ქართველი მთარგმნელის შემოქმედებით და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს გახდიან მის ნაწარმოებებს“.

ჩვენ კი დაინტერესებულ პირთ გავახსენებთ, რომ გ. ლომთათიძე ბეჭდავდა თავის წერილებს ჟურნალ-გაზეთებში: „თეატრი და ცხოვრება“, „კლდე“, „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ზვირთი“, „კოოპერაცია“ და სხვ. ზოგ სტატიას სახელსა და გვარს აწერდა, ზოგსაც ფსევდონიმებს — ა მ ხ ა ნ ა გ ი, კ ო ო პ ე რ ა ტ ო რ ი, ს წ ა ვ ლ უ ლ ი კ ო ო პ ე რ ა ტ ო რ ი.

რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან

გ. ვ. პლეხანოვის პირად არქივში, რომელიც სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული, შემორჩენილია უცნობი ქართული წერილი, რომელიც ახალ შუქს ჰფენს ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ზოგიერთ მომენტს. წერილის ავტორია ძველი რევოლუციონერი დ. პაპიძე, რომელსაც 1908 წლის 3 სექტემბერს თარიღით თბილისიდან პარიზში ვლასა მგელაძისათვის (იგივე ტრია) შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნია:

„ქალაქ თბილისი, 3 ენკენისთვე, 1908 წელი.

სანატრელო ამხანაგო ლასა... შენი გამოგზავნილი დეპეშა მივიღე 24-8, რომელიც იმ წამსვე გადავეცი იქ... წევრს... და ვთხოვე ჩქარა გამოეგზავნათ. დამპირდნენ რომ „ვეცდებით, რომ ჩქარა გაუგზავნოთო“. გიგო რომ აქ ყოფილიყო, იმ დღესვე გამოაგზავნინებდა, ხოლო საუბედუროდ, თუ საბედნიეროდ, გიგომ სწორეთ სანამ შენ დეპეშას მივიღებდი ერთის დღის წინ გამასწრო, თუმცა წასული ადრე იყო, ხოლოთ ორის დღით საჭირო საქმეზედ იყო ჩამოსული და წავიდა შენი დეპეშის ერთის დღით ადრე და მე დამიბარა, თუ ლასას დეპეშა მოვიდეს, ამა და ამ ალაგზედ მიმერთვო და მეც ისე მოვიქეცი, ხოლოთ ჯერეობით დაპირების მეტი არა არის რა, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ გამოგზავნიან და იქნებ გამოგზავნეს კიდეც, რადგანაც ის კაცი აქ არ არის, ბაქოსკენ არის წასული და შეიძლება იქიდან გამოგზავნოს. გუშინწინ, ე. ი. 31-8 ვიყავი გომართელთან და ვთხოვე, რომ ცოტა რამე გამოეგზავნა, რასაც დიდის სიამოვნებით დამპირდა და ვნახოთ, აასრულებს მოცემულ სიტყვას თუ არა? საკვირველი დრო

არის, წარმოიდგინე, ყველა ბევრს ლაპარაკობს სიტყვით და საქმით კი მეასედს არავინ ასრულებენ. შენი ღია წერილიც ვაჩვენე... მე წერილი იმიტომ დავაგვიანე, რომ ვცდილობდი როგორმე ცოტაოდენი რამე გამომეგზავნა. ცარიელი წერილის მოწერა მრცხვენოდა, მაგრამ ამ საშინელ უფულობის ხანაში ვერაფერს გავხდი, რას იზამ, ყველა გაჭირვებას განიცდის, ვინც ამხანაგებია და ვინც არ არის, ისინი ხომ უწინ გულქვაები იყვნენ და ეხლა მით უმეტეს...

აქ არაფერი საყურადღებო არა არის რა, პ-ლი (პარტიული, ა. ა.) მუშაობა მიღოღავს ნელ-ნელა. აქაური და საზოგადოთ ჩვენ მხარის ყურადღება ეხლა მიპყრობილი არის სპარსეთოსმალეთის რევოლუციისაკენ.

გიგო იქ... არის და რაი წავიდა, არაფერი არ მოუწერია და ამიტომ არ ვიცი, რა მდგომარეობაშია, რასაკვირველია, ბრძოლის ცეცხლშია. ირაკლიც კარგათაა, შენი წერილი და კორესპონდენცია მიიღო. კარტიჩკების გამოგზავნა შეუძლებელია, იმიტომ რომ, ვინც შენ გინდა, აქ არ არიან. გარდა ამისათ ერმინეს (ივლიანე) ცოლმა ნომერში თავი მოიწამლა და მიიცვალა. გუშინ შინ ვიყავი, ბორჯომშიდ, გიგოს სიმამრთან და მოგიკითხეს ყველამ, სუყველანი კარგათ არიან.

მოგიკითხა ურიამ, ყასაფმა, ზაქარამ და სხვ.

იაკოფს ჯერ არაფერი არ მიუღია, ამ თვის 15-სთვის პირდებიან. მეც წასული მარიობისთვე თითქმის სულ არ მიმუშავნია, ცოტა ავათ ვიყავი. ეხლა ვმუშაობ და კარგადაც ვარ.

ეს წერილი რო მიიღო, მომწერე დაწვრილებით შენი მდგომარეობა და შემატყობინე, როგორია შენი მომავალი მარშრუტი.

შენი სიც. მოს. დ. პაპიძე.

შენი წერილი დაიბეჭდა გუშინდელ „შურდულში“ 3 ენკ. 1908 წ. № 2. უეჭველათ მომწერე, როდემდის დარჩები მაგ ბინაზედ?

ლასა!! გიგოსაგან წერილი მიიღე თუ არა? ან როდის“.

ორად მოკეცილი 1 ფურცელი ზომით 21×13,5, დაწერილია მოშავო მელნით ოთხ გვერდზე. მთლიანი ფურცლის ზომა კი 21×27 სმ. შეადგენს.

დ. პაპიძის ვინაობა ჯერჯერობით ვერ დავაზუსტეთ, რაც შეეხება ადრესატს, იგი ჩვენი დასკვნით, მგზნებარე რევოლუციონერი გრიგოლ იოსების ძე მათიაშვილია (1887-1916), რომლის შერქმეული სახელები გიგო და პუხლია იყო. მისი ტრაგიკული ცხოვრების მცირედი ბიოგრაფიული მონაცემები 1963 წ. პარმენ ლორიამ გამოაქვეყნა (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1963 წ. 15 ივნისი, № 72).

წერილში მოხსენიებული გომართელი, ჩვენი მოსაზრებით, ივანე გომართელი უნდა იყოს. რაც შეეხება გამოთქმებს „იმ წამსვე გადავეცი იქ... წევრს", „ის კაცი აქ არ არის, ბაქოსკენ არის წასული", სახელები ირაკლი, ერმინე და მისი ცოლი ივლიანე, ურია, ყასაფი (ყასაბი), ზაქარა და იაკოფი, ყველა თუ არა მეტი წილი მაინც, კონსპირაციული პირი იყო.

„გიგოს სიმამრის ბორჯომში ცხოვრება" და 1908 წლის 1 სექტებერს დ. პაპიძის მასთან სტუმრობა ადვილად ამოსახსნელია, თუ გრიგოლ მათიაშვილის ცოლი, შვილი, და ლიზა პანინა და დისშვილი ალექსი ილიას ძე რევაზიშვილი, რომლებიც, პარმენ ლორიას გადმოცემით, დღესაც ცოცხლები არიან, ამ პატარა მივიწყებულ მომენტებს მეხსიერებაში აღადგენენ.

ბარათში ნათქვამია: „შენი წერილი დაიბეჭდა გუშინდელ „შურდულში". აქ დ. პაპიძეს მხედველობაში აქვს ვლასა მგელაძის სტატია „ერთი თვალის გადავლებით" (პარიზის მიმოხილვიდან, ა. ა.), რომელიც სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკურ) გაზ. „შურდულის" 1908 წ. მეორე და უკანასკნელ — მეოთხე ნომრებში დაიბეჭდა.

ვლ. მგელაძე 1911 წლამდე სოციალ-დემოკრატი იყო და ახლოს იდგა ბოლშევიკებთან, მაგრამ შემდეგში მენშევიკი გახდა. 1906-1911 წლების განმავლობაში იგი ბევრ სტატიას ბეჭდავდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში — „ლამპარი", „ლახვარი", „ჩვენი გზა", „წყარო, „ალი", „ეკალი", „იმედი", „მერცხალი", „შურდული", „ცისკარი", „ცხოვრების სარკე", „ხომლი", „ჩვენი აზრი", „ახალი სხივი", „მნათობი". სტატიების უმრავლესობას თავისი გვარის ხელმოწერით აქვეყნებდა, ზოგს კი ფსევდონიმებითა და ინიციალებით (ვლ. მგ-ძე, ვლ. მ-ძე, ლასა, ლას-მანი, ბიჭ-ტორი, გ. გურჯი

ხალხის შვილი, ვ. ხალხიშვილი, სიკო და სხვა).

ვლ. მგელაძის სტატიების შინაარსი იმდროინდელი საზღვარგარეთის პოლიტიკურ მიმოხილვას შეიცავდა. იგი კარგად იცნობდა ვ. ი. ლენინს, გ. ვ. პლეხანოვს და ახლო ურთიერთობაც ჰქონდა მათთან ჟენევასა და პარიზში ყოფნის დროს. ვლ. მგელაძე სერგო ორჯონიკიძესაც ახლოს იცნობდა. ვლ. მგელაძე ხშირად მოგზაურობდა სპარსეთში, თურქეთში, ამიერკავკასიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამიტომაც ვ. ი. ლენინთან და გ. ვ. პლეხანოვთან მისი დაახლოება უფრო იმაში გამოიხატებოდა, რომ მას ადგილებიდან ახალი ცნობები გადაეცა ლენინისათვის, თუ სად როგორი პოლიტიკური სიტუაცია იყო, ვინ რა საქმიანობას ეწეოდა. მეორე მხრივ, ვ. ი .ლენინის კონკრეტული მითითებები გადაეცა პერიფერიებში მცხოვრებ პარტიული მოღვაწეებისათვის. ერთი სიტყვით, ვლასა მგელაძე უფრო შუამავლის როლს ასრულებდა ვ. ი. ლენინის წინაშე, ვიდრე დიდი პოლიტიკური მოღვაწისას. ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ირანის აზერბაიჯანს, 1905-1911 წლების სპარსეთის რევოლუციას, 1908 წლის თურქეთის რევოლუციას.

რევოლუციის წამოწყების პირველივე წლებიდან ვ. ი. ლენინთან წერილების მიმოწერით თუ პირადი შეხვედრებით ახლო ურთიერთობაში იყვნენ ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, ს. ორჯონიკიძე, ა. ენუქიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ნ. კიკნაძე, მ. ფილია, მ. ტოროშელიძე და კიდევ მრავალი სხვანი (იხ. პროფ. ვ. გ. ესაიაშვილის წიგნი „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკების ორგანიზაციები (1895-1924)" თბ., 1959).

„ივერიასა" და „კვალის" ყოფილი ასოთამწყობი, ერთ დროს სოც.-დემოკრატი ვლ. დ. მგელაძე-ტრია (დაბ. 1968 წ.) ბოლოს მენშევიკი გახდა, 1912 წ. ვენაში მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ანტიპარტიულ აგვისტოს კონფერენციაში, პირველი იმპერიალისტური ომის დროს კი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ორგანიზაციაში — „უკრაინის განთავისუფ-

ლების კავშირი"; 1918-1920 წლებში შედიოდა საქართველოს მენშევიკურ-კონტრრევოლუციურ მთავრობის შემადგენლობაში, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან კი თეთრი ემიგრანტი გახდა.

ვ. ი. ლენინი რამდენჯერმე იხსენიებს ამ მომავალ მენშევიკს: პირველად 1910 წელს. მაგალითად, 14 ნოემბერს პარიზიდან კუნძულ კიპროსზე (იტალია) მ. გორკისადმი მიწერილ წერილს ვ. ი. ლენინი ასე ამთავრებს: „ტრიას მოხსენება კი, ალბათ, მაინც დაიბეჭდება. ეს დაადგინა ცენტრალური ორგანოს რედაქციამ. რა კინკლაობაა ამ რედაქციაში, წარმოუდგენელი..." (ვ. ი. ლენინი, თხ., მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 498). 1911 წ. სამ იანვარს ვ. ი. ლენინი ატყობინებს კვლავ მ. გორკის პარიზიდან კიპროსზე: „უწინარეს ყოვლისა, რომ არ დამავიწყდეს: ტრია დაუპატიმრებიათ ჟორდანიასთან და რამიშვილთან ერთად. გადმოგვცემენ როგორც მართალ ამბავს. დასანანია კარგი ყმაწვილი. რევოლუციონერია" (იქვე. გვ. 504).

1917 წელს 12 სექტემბერს ვ. ი. ლენინი სტატიაში „ცილისმწამებელთა შესახებ" წერდა: „უკრაინის განთავისუფლების კავშირის" ერთ მოღვაწეს, ბასოკს, მე ვიცნობ 1906 წლიდან, როდესაც ის, როგორც მენშევიკი, მონაწილეობდა ჩემთან ერთად სტოკჰოლმის ყრილობაში. 1914 წლის შემოდგომაზე თუ 1915 წლის დამდეგს, როდესაც მე ბერნში ვცხოვრობდი, ჩემთან ბინაზე მოვიდა ცნობილი კავკასიელი მენშევიკი ტრია, რომელიც კონსტანტინეპოლიდან ჩამოვიდა. ტრიამ მიამბო, რომ ბასოკი მონაწილეობდა „უკრაინის განთავისუფლების კავშირში" და რომ ამ კავშირს ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის მთავრობასთან. ტრიამ ამასთან გადმომცა ბასოკის წერილი ჩემდამი. ამ წერილში ბასოკი თანაგრძნობას მიცხადებდა და იმედს გამოთქვამდა, რომ ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს დაუახლოვდებოდნენ, მე ისე აღშფოთებული ვიყავი, რომ დაუყოვნებლივ, ტრიას დასწრებით, მივწერე პასუხი ბასოკს და წერილი გავატანე იმავე ტრიას გადასაცემად, რადგანაც ტრია აპირებდა ერთხელ კიდევ ჩასულიყო კონსტანტინეპოლში" (იქვე, ტ. 25, გვ. 342).

აი თვით ვ. ი. ლენინის ლაკონური წერილი „ბასკს. ტრიასათვის, 12. 1. 1915-ს გადაცემული პასუხის პირი".

„პატივცემულო მოქალაქევ!

ტრიამ გადმომცა თქვენი 28. XII-1914-ის წერილი. თქვენ აშკარად ცდებით: ჩვენ ვდგავართ ინტერნაციონალური რევოლუციური ს.-დ-ტიის თვალსაზრისზე. ჩვენ ვმუშაობთ სხვადასხვა (და განსაკუთრებით მეომარი) ქვეყნების მუშათა დაახლოებისათვის, თქვენ კი, როგორც ჩანს, უახლოვდებით „საკუთარ" ერის ბურჟუაზიას და მთავრობას. ჩვენი გზები სხვადასხვაა. ნ. ლ ე ნ ი ნ ი. ბერნი. 12. 1. 1915". (იქვე, ტ. 35, გვ. 177).

ბასოკი — მელენევსკი მ. ი. (1878-1938) უკრაინის წერილბურჟუაზიული იდეოლოგიის მოღვაწე, ნაციონალისტი, მენშევიკი, უკრაინის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „სპილკას" ერთი ლიდერთაგანი იყო. 1912 წ. მონაწილეობა მიიღო ანტიპარტიულ აგვისტოს კონფერენციაში ვენაში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს აქტიური მონაწილე იყო ბურჟუაზიულ ნაციონალისტური „უკრაინის განთავისუფლების კავშირისა". ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კი იგი მუშაობდა სამეურნეო დარგში.

მკითხველს ალბათ გაუკვირდება, როგორ მოხდა ვლ. მგელაძის სახელზე გაგზავნილი დ. პაპიძის წერილი გ. ვ. პლეხანოვის არქივში. სამწუხაროდ, გაგზავნილი წერილის კონვერტის უქონლობა და დ. პაპიძის უკანასკნელი სიტყვები ორი კითხვის ნიშნით, — „უეჭველად მომწერე, როდემდის დარჩები მაგ ბინაზედ?", გადაწყვეტით არაფერს იძლევა და ამიტომ დასმულ კითხვაზე ჯერჯერობით მხოლოდ ასეთი პასუხის გაცემა შეიძლება: პირველი. შესაძლებელია, ვლ. მგელაძე იმ ხანად პარიზში გ. ვ. პლეხანოვის ბინაზე ცხოვრობდა. წერილის მიღებისას ადრესატი უკვე ადგილზე აღარ იყო, (როგორც აღვნიშნეთ, ვლ. მგელაძე დიდი ხნით ერთ ადგილზე ნაკლებად ჩერდებოდა) და ამიტომ ხსენებული წერილი ბინის პატრონს გ. ვ. პლეხანოვს ჩაუვარდა ხელში. მეორე, შესაძლოა პარიზიდან სპარსეთ-ოსმალეთში გამგზავრების წინ ვლ. მგელაძემ მთელი თავისი პირადი კორესპონდენცია უკან დაბ-

ჩუნებამდე გ. ვ. პლეხანოვს გადასცა შესანახად. როგორც ეს საკითხი, ისევე წერილში მოხსენიებული ზოგიერთი სხვა პირის ვინაობის გამორკვევა შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

* * *

კიდევ რამდენიმე დეტალი: გრიგოლ იოსების ძე მათიაშვილს შერქმეული პარტიული სახელების გ ი გ ო ს ა და პ უ ხ ლ ი ა ს გარდა სპარსეთში იცნობდნენ აგრეთვე, როგორც გ უ რ ჯ გ ი გ ო ს. სწორედ ასე იხსენიებს მას ს. ორჯონიკიძე ერთ-ერთ თავის ადრინდელ კორესპონდენციაში.

ვლ. მგელაძე 1907 წ. რსდმპ მე-5 ყრილობის დელეგატი იყო ლონდონში. ყრილობის მეორე სხდომაზე 1 მაისს „ტრიამ წინადადება შეიტანა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დახოცილთა ხსოვნისათვის. ერთხმად მიიღეს და აასრულეს“ (გაზ. „ლახვარი“, 1907 წ. 16 მაისის № 29).

1910 წ. მგალობლიშვილი ფსევდონიმით Camarade ჟენევიდან იტყობინებოდა, რომ ამასწინათ ჟენევაში გვესტუმრა ვლ. მგელაძე და ერთ-ერთი პოლიტიკური ჯგუფის წინადადებით რუსულ ენაზე ლექცია წაიკითხაო. ლექცია 4 საათს გაგრძელებულა და აუდიტორიას 300-მდე მსმენელი დასწრებია. მოხსენების თემა ყოფილა „სპარსეთის რევოლუცია და მასში კავკასიის ფიდაების (რევოლუციონერების, ა. ა.) მოღვაწეობა“. ლექციას მოწონება დაუმსახურებია. ლექტორს ასეთივე მოხსენება იმავე წლის აპრილ-მაისში წაუკითხავს ვენაში, ბაზელში, ციურიხში, ლონდონში, პარიზსა და ევროპის სხვა ქალაქებში. მ. მგალობლიშვილი იქვე დასძენს, რომ „როგორც ამ ქალაქების გაზეთები მოწმობენ, აქაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია „ფიდაი-ლასსალის“ (ე. ი. ვლასა მგელაძეს, ა. ა.) მოხსენებას“ („ჩვენი გაზეთი“, 1910 წ., №№ 18, 33).

ს. ორჯონიკიძე და ტრია ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს. 1909-1910 წწ. ს. ორჯონიკიძე სპარსეთის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და, იმავე დროს, ჩვენი დადგენით, რეშტიდან 10-მდე ქართულ ჟურნალსა და გაზეთს უგზავნიდა კორესპონდენციებს შემდეგი ფსევდო-

ნიმებით: სერგო; გურჯი; სერგო ძირელი; სერგო კლდის-ძირელი; სერგო კლდის-პირელი; სერგო კლდისპირელი; კლდის-ძირელი სერგო და სხვ. ერთ-ერთ კორესპონდენციაში, — „წერილი რეშტიდან, მუჯახიდი ალიოშას მოკვლა“, სერგო ორჯონიკიძე წერს ქართველ სოციალ-რევოლუციონერებზე, რომლებიც პარტიის დავალებით იმ დროს სპარსეთში მოღვაწეობდნენ. ქართველებს პირნათლად შეუსრულებიათ თავიანთი მოვალეობა და ამიტომაც სპარსელები თურმე ასეთ შეფასებას აძლევდნენ მათ: „ნამდვილი სოციალ-დემოკრატები გურჯები იყვნენ, გაათავეს ბრძოლა და შინისაკენ დაბრუნდნენო“. „ასეთ სასიხარულო მოვლენის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, დასძენს სერგო, — რომ, როგორც რეშტში, ისე თავრიზში ქართველთა შორის იყვნენ ცნობილნი, როგორც მაგალითად: ვალიკო, ტრია, გურჯი გიგო, ქელეზნი, პატარა მიშა და სხვ.“ (გაზ. „ახალი გზა“, 1910, 6 ივლისის, № 13).

თავის მხრივ ვლ. მგელაძე მაღალ შეფასებას აძლევს ს. ორჯონიკიძის სპარსეთში მოღვაწეობას. 17 ოქტომბერს ხმა გაავრცელეს — ასტრა რახიმ ხანმა აიღო და ჩქარა რეშტსაც აიღებსო! მარა მოვიდა ნამდვილი ცნობა, რომ ქალაქ რეშტიდან სამოცი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაემგზავრა გურჯი სერგოს მეთაურობით და საუკეთესო სიმაგრეები დაიჭირესო.

გურჯი სერგოს თეირანში იცნობენ, როგორც ერთს საუკეთესო ომის მცოდნეთაგანს და მებრძოლს რეშტა კაზვინ-თეირანის აღების დროს და ხალხი „ვაშა გურჯებსო“ გაიძახის...“ (გაზ. „მომავალი“, 1909, 13 დეკემბრის № 90).

მივიწყებული ფურცლები კიკნა-ფშაველას შემოქმედებიდან

1916 წლის ივლის-აგვისტოში ქართულმა პრესამ სამწუხარო ამბავი აუწყა საზოგადოებრიობას — ივლისის 13-ს დაბა თიანეთში ორმა ახალგაზრდამ საიდუმლოებით მოცულ პირობებში საუკუნოდ დახუჭა თვალები.

ერთი იყო მწერლობაში კიკნა-ფშაველას ფსევდონიმით ცნობილი, ახალგაზრდა მგოსანი, სიკო (სიმონ) ბესარიონის ძე ბადურაშვილი (1890-1916), ტარტუს (ყოფილი დორპატის) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, სოფ. ჟებოტადან (თიანეთის მაზრა). მეორე — სიკოს გულითადი ამხანაგი, გრიგოლ (გრიშა) ზურაბის ძე ხერხეულიძე (1892-1916), იმავე უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ახალგაზრდა პოეტი, ცხინვალელი სამწერლო ასპარეზზე ორივე თითქმის ერთდროულად — 1910 წელს გამოვიდა. ეს საიდუმლოებით მოცული ტრაგედია დატრიალდა სიკო ბადურაშვილის ოჯახში, სადაც საზაფხულო არდადეგებზე სტუმრად იყო მიწვეული გრიშა ხერხეულიძე. ამ ამბავს იმდროინდელი მრავალი ქართული გაზეთი გამოეხმაურა. ბევრმა ცნობილმა კალმოსანმა სპეციალური სტატიებიც გამოაქვეყნა, მათ შორის ი. იმედაშვილმა, დ. კასრაძემ, კიტა აბაშიძემ, დომენტი გიორგის ძე არონიშიძემ, მიხ. კიაზოშვილმა და სხვებმა. გამოქვეყნდა აგრეთვე სიკოს დის, ანა კუბრაშვილის, რძლისა და გრიშას ძმის მიხეილ ზურაბის ძე ხერხეულიძის წერილებიც.

მკვლელობის მიზეზად სხვადასხვა გარემოება იყო დასახელებული: მეგობართა პარტიული უთანხმოება, უბრალო კინკლაობა, ქალი, ჩხუბი და, ბოლოს ისიც იყო მოხსენებული,

რომ, ვითომც, სიკოს ბოლო ხანებში ნერვების ავადმყოფობა (ნევრასთენია) დასჩემდაო.

აი, ყველაზე უფრო გავრცელებული ვარიანტი მიზეზებისა. რომელიც ზოგიერთმა ავტორმა მოიყვანა თავიანთ წერილებში და მათ შორის იოსებ იმედაშვილმაც:

„ოფიციალური ცნობა, რომელიც იქაურებსაც სწამთ. ასეთია: გ. ხერხეულიძესა და ს. ბადურაშვილს მოსვლიათ კამათი, რომელიც ჩხუბად გადაქცეულა, ხერხეულიძეს, როგორც სტუმარს, იმგვარ მასპინძელთან ყოფნა საჭიროდ ვერ მიუჩნევია, აუღია თავისი ბარგი და წამოსულა. კიბეზე დასწევია ბადურაშვილი, თავში ცული ყუით დაურტყამს. ხერხეულიძე იქვე გარდაცვლილა, ხოლო ბადურაშვილი სახლში შებრუნებულა და თოფით თავი მოუკლავს, სანამ გარდაიცვლებოდა რძლისათვის უთქვამს: „გიგოს ცული დავარტყი, ძირსა გდია... მე ხომ ვკვდები და ის ცოცხალი არ გაუშვათო.. საწერ-კალამი მომეცით, ყველაფერს დავწერო". ამ სიტყვების შემდეგ კი თვითონაც გარდაცვლილა.

არის მეორე ვერსიაც: რაკი ჩხუბის შემდეგ ხერხეულიძეს წამოსვლა დაუპირებია, ბადურაშვილს სტუმრის წამოსვლით გამოწვეული სირცხვილისათვის და თვით ხერხეულიძისა და მისი მშობლების მიმართ მოკრძალების გამო ველარ გაუძლია და თავი მოუკლავს. როდესაც ეს ბადურაშვილის ძმას გაუგია — ხერხეულიძისათვის, როგორც მისი ძმის მკვლელობის მიზეზისათვის, ცულის ყუით თავი გაუჩეხია... სიმართლე ამ ცნობისა არავინ იცის" („თეატრი და ცხოვრება", 1916, № 30, გვ. 7-9 და „ცხოვრება"; 1916, 12, გვ. 16-17).

კიკნა-ფშაველას ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ზოგი მომენტის დაზუსტებისათვის საყურადღებო ცნობებს იძლევა პოეტის ყრმობის მეგობარი თბილისის სემინარიიდან დ. აროშიძე.

დ. აროშიძე წერს, რომ „სემინარიაში ყოფნის დროს ის ერთობ გაიტაცა ხელნაწერი ჟურნალების გარშემო შემოკრებილ მოწაფეთა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ და ამიტომ მთელი თავისი ბუნებით იბრძოდა სემინარიის სასტიკ წესების წინააღმდეგ. საერთო შევიწროების გარდა მის გულს ღრღნიდა ის

გარემოება, რომ ქართული ენის მასწავლებლობა მეტად გამოუცდელ და მოუმზადებელ კაცს ჩაუვარდა ხელშიო. ყოველგვარი უსამართლობა მასზე დიდსა და წარუშლელ დაღს ამჩნევდა. პირში ლაქუცი და თავის მოდრეკა არ უყვარდა... სწორედ ამ დროს ჩვენ კიდევაც გავშორდით ერთმანეთს, ის კიდევ რამდენიმე ხანს დარჩენილიყო სემინარიაში და შემდეგ მოეხერხებინა ქართულ გიმნაზიაში გადასვლა. მახსოვს მხოლოდ, რომ სემინარიაში ყოფნის დროს მას თითო-ოროლა ლექსი ჰქონდა დაწერილი... ნამდვილი ნიჭი კიკნასი, რასაკვირველია, ჯერ გაუფურჩქნელი იყო, მაგრამ რაც დასწერა — მხოლოდ გიმნაზიასა და უნივერსიტეტში ყოფნის დროს“ (გაზ. „საქართველო“, 1916, № 171).

ამრიგად ირკვევა, რომ სიკო ბადურაშვილს სწავლა ჯერ თბილისის სემინარიასა და გიმნაზიაში დაუწყია, შემდეგ კი ოთხი წელიწადი დორპატის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განუგრძვია. ამ ფაკულტეტის დამთავრებაც არ დასცალდა განსვენებულს. ირკვევა ისიც, რომ კიკნას ლიტერატურული შემოქმედების სათავე სწორედ თბილისის სემინარია-გიმნაზიიდან იწყება .

ერთი პატარა დეტალი: ქართულ პერიოდულ პრესაში ყველგან კიკნა-ფშაველას სახელად სიკოა მოხსენებული, ორ შემთხვევაში კი მას სიმონას უწოდებენ („სახ. ფურცლის სურათებიანი დამატება“, 1916, № 113 და „საქართველო“, 1916. № 171). მშობლებისა და ახლო ნათესავების სამგლოვიარო განცხადებებშიაც ყველგან იხსენიება სიკო ბესარიონის ძე ბადურაშვილი. ჩვენი აზრით, კიკნას ნამდვილი ნათლობის სახელი სიკო არის, სიმონი კი მისი მეორე, შერქმეული სახელი უნდა ყოფილიყო, თუ ამ უკანასკნელს მისი სკოლის ამხანაგები შეცდომით არ იხსენიებენ.

სიკო ბადურაშვილმა ლექსების წერა 14-15 წლის ასაკში დაიწყო. მისი პირველი ლექსები და პატარ-პატარა მოთხრობები „ჯეჯილში“, „ნაკადულსა“ და სხვა პერიოდულ გამოცემაში 1910 წლიდან იბეჭდებოდა. 1912 წლიდან კი კიკნა-ფშაველა უკვე ცნობილია, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი. ასე, მაგალითად, პოეტი ქალი დომინიკა ერისთავი

(განდეგილი) „ქართველ ახალგაზრდა მგოსანთა შესახებ“ გა-მოთქმულ აზრში აღნიშნავს, რომ „დღეს საქართველოს უტ-ყუარ ნიჭთა მთელი კრებული ჰყავსო“ და უნიჭიერეს ახალ-გაზრდა პოეტებიდან იქვე დასახელებულია ს. შანშიაშვილი, ს. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, ნ. ზომლეთელი, ნ. ჩხიკვაძე, კ. მაყაშვილი და მათ შორის კიკნა-ფშაველაც („თემი“, 1912, 26 მარტი, № 64).

ვაჟა-ფშაველას საპატივცემლოდ ახალგაზრდა პოეტმა სი-კომ ლიტერატურულ ფსევდონიმად კიკნა-ფშაველა აირჩია. ეს, ალბათ, ვაჟა-ფშაველასთან შედარებით თავის დამცირება-დაკნინებით თუ აღნიშნა. ასევე მოიქცა ერთი ახალგაზრდა პოეტი, მომავალში ცნობილი მეცნიერი და აკადემიკოსი, აკაკი გაბრიელის ძე შანიძე, როდესაც აკაკი წერეთლის მიბაძვით თავისი პირველი ლექსების ბოლოს ფსევდონიმად „აკაკი მცი-რე“ („ნაკადული“, 1910, № 5, გვ. 29-33) და „მცირე აკაკი“ („საქართველო“, 1908, № 5, გვ. 11) მოაწერა.

სიკო ბადურაშვილი მხოლოდ ფსევდონიმებით აქვეყნებდა თავის მხატვრულ შემოქმედებას. მისი ფსევდონიმებიდან კი ჯერჯერობით მხოლოდ ექვსია ცნობილი: კ ი კ ნ ა-ფ შ ა ვ ე-ლ ა, კ ი კ ნ ა-ფ შ ა ვ ე ლ ი, კ ი კ ნ ა ფ შ ა ვ ე ლ ი, კ. ფ შ ა-ვ ე ლ ა და კ. ე ნ-ი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კიკნა-ფშაველას მომავალი ლიტერატურული გზა პირველად ვაჟა-ფშაველამ და იაკობ გოგებაშვილმა დაულოცეს. „ნაკადულის“ ღვაწლმოსილი რე-დაქტორი ნინო ნაკაშიძე იგონებს 1910 წლის მარტ-მაისის თვეებს: ვაჟა-ფშაველამ „შემდეგ ჩამოსვლაზე (ე. ი. მარტის შემდეგ, ა. ა.) ლექსებიც ჩამოიტანა და მოთხრობებიც, თან ერთი ყმაწვილი კაცი მოიყვანა. ჩვენთან რედაქციაში ამ დროს იაკობ გოგებაშვილი იჯდა.

— ეს ყმაწვილი, — გვითხრა ვაჟამ, — საუცხოო პოეტია. კიკნა-ფშაველას ეძახის თავის თავს, მაგრამ კიკნა-ფშაველა ახლა მე ვარ, ნამდვილი ვაჟა-ფშაველა კი ეს არის.

კიკნა-ფშაველა გამხდარი, ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი იყო, რბილი, ღია წაბლისფერი თმა მოგრძოდ ჰქონდა შეკრე-

ჭილი. მისმა სახის გამომეტყველებამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

— ღმერთმა ქნას, — თქვა მხიარულად იაკობმა, — ფშაველებს ბევრი ვაჟა-ფშაველა გამოეზარდოს ჩვენდა საბედნიეროდ და ბავშვების გასახარებლად... მოიტანეთ რამე ლექსი? — ჰკითხა მან კიკნას.

კიკნამ მორცხვად ამოიღო უბის ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი და მიაწოდა იაკობს.

— რედაქტორმა წაიკითხოს, — თქვა იაკობმა და მომაწოდა ლექსი.

— არა, არა, — ვუთხარი მე, — როდესაც ბ-ნი იაკობი და ვაჟა-ფშაველა აქ ბრძანდებიან, მე როგორ წავიკითხავ.

— მოიტათ, მე წავიკითხავ, — გაიღიმა ვაჟამ, გამოართვა იაკობს ლექსი და წაიკითხა. წაიკითხა, მაგრამ მაინცდამაინც კარგად ვერ წაიკითხა. ხელნაწერს ვერ არჩევდა. კითხვის დროს ბორძიკობდა. უნდა ვთქვა, მიუხედავად ცუდად წაკითხვისა ლექსი კარგი იყო, მაგრამ შევატყე: იაკობს არ მოეწონა, მხოლოდ ვაჟას წყენას მოერიდა და ახლა კიკნას სთხოვა:

— მაშ, ახლა მეორე ფშაველო, შენ წაიკითხე, შენი ხმაც გაგვაგონე!

კიკნა-ფშაველამ წაიკითხა მორცხვად, მაგრამ მოხდენილად, გამომეტყველებით და იაკობსაც ლექსი მოეწონა. შეაქო და გაამხნევა კიკნა.

— უნდა წეროთ, წეროთ, ყმაწვილო. გარემოება უნდა დაიმორჩილოთ... თქვენ, მთიელებმა უნდა შემოიტანოთ ქართულ ცხოვრებაში თქვენი ძალუმი სული, უნდა ამოუდგეთ ჩვენ ვაჟას გვერდში.

ვაჟას ძალიან გაეხარდა იაკობის შექება.

— აკი გეუბნებოდით, ბიჭია, რაღა... — ამბობდა ის (ნ. ნაკაშიძე, მოგონებები, თბ., 1956, გვ. 75-76). კიკნას ის ლექსი, რასაკვირველია, დაიბეჭდა „ნაკადულში“ (იქვე).

ამიტომაც იყო, რომ ვაჟა-ფშაველას სიკვდილს ღრმა მწუხარებით გამოეხმაურა სამშობლოდან შორს მყოფი კიკნა-ფშაველა:

„გრძნობის სწორუპოვარო მეფეე, შემომქმედო ქურუმო!
ფრთა მოგეკრა მთის მწვერვალზე
ამაყს არწივს... დავრჩით ობლად,
ვეღარ გავალთ ცისკრის თვალზე
განთიადის შესამკობლად"... და სხვა

(„სახ. ფურცელი, 1915 წ.,
აგვისტოს 8, № 352).

გრიშას და სიკოს მეგობრობაზე ლაპარაკობს გრ. ხერხეულიძე, რომელიც 1914 წ. 23 დეკემბერს ქ. დორპატში თავის დღიურში წერს:

„ხშირად ადამიანი კაცს სავსებით ვერ იცნობს, მეც ერთს მათგანს ვეკუთვნი. ერთი თვალის გადავლებით ეხედავ ჩემი შეხედულების სიყალბეს. დღენი მიდიან და ვრწმუნდები, რომ ვერ ვიყავი სათანადო შეხედულებისა იმ ადამიანზე, რომელიც თურმე ჩემი ასეთი ძმური სიყვარულით იყო გატაცებული. ხანდისხან დროც, მოუცლელობაც გვაშორებს, ხანდისხან ერთმანეთს კიდევაც „წაუხრჩოლებთ" (ჩვენი ტერმინია), მაგრამ სიმი შემაერთებელი ჩვენი ერთსულოვანებისა ოდნავათაც არ დაჭიმულა. არც გაწყდება..

ვინ არის? — იკითხავთ — რა ადამიანია?... — უწინარეს ყოვლისა ის ადამიანია — კიკნა-ფშაველა. როგორია?! რა ვიცი... ვიცი მხოლოდ, რომ მეგობარია გულისა. მე კი ცუდს, ვერაგ კაცთან რა მექნებოდა საერთო!.. არაფერი! ჩანს ადამიანი ყოფილა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. და რომ ეს ჩვენი მეგობრობა გულწრფელი და სამარადისო იყვეს, მე განვიზრახე შევეცადო მთელი ჩემი ძალღონით, ავად თუ კარგად, გამოვსცე მის ლექსთა კრებული. ვგონებ ჩემის სიტყვის ბატონი ვარ და ვნახოთ, რით გათავდება ჩემი განზრახვა. ნეტავი კი სამარცხვინო ბოძზე არ გამაკრას ჩემს დღიურში ჩაწერილმა ჩემმა სიტყვებმა" („თეატრი და ცხოვრება", 1916 წ., № 32, გვ. 12).

ეს ამონაწერი და დღიურის სხვა, წინა და მოგვიანო დღეებში შესრულებული, ჩანაწერები ბევრი რამის მთქმელია. კიკნას „ლექსთა კრებულის" გამოცემა ვერ მოხერხდა არათუ

1914-1915 წლებში, არამედ შემდეგ წლებშიც. შეპირება ბევრი იყო, მაგრამ ყველაფერი დღემდე შეპირებად დარჩა.

ერთ დროს ეს ინიციატივა დ. კასრაძემაც იდო თავს: „მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა კიკნა-ფშაველას პოემათა და ლექსთა კრებული — ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და დ. კასრაძის კრიტიკული წერილით. ეღირება ათი შაური“ და სხვა, — იუწყებოდა 1916 წ. გაზ. „საქართველოს“ (№№ 29, 33, 44 და სხვ.). არც ეს წამოწყება განხორციელდა. ამიტომ დ. კასრაძემ, რომლისთვისაც დაბეჭდილ ლექსებთან ერთად პოეტს თავისი დაუბეჭდავი თხზულებანიც მიებარებინა, ცალ-ცალკე იწყო ზოგიერთი ლექსისა და პოემის გამომზეურება.

ასე, მაგალითად, კიკნა-ფშაველას 200 სტროფიანი (800 სტრიქონი) პოემა „ყამის ზღაპარი (ლირიკული პოემა)“, „ვაჟა-ფშაველას ხსოვნას“, რომელიც ავტორს 1915 წ. დორპატში შეუქმნია, დ. კასრაძემ მხოლოდ 1917 წელს გამოაქვეყნა („საქართველო“, 1917 წ., № 241). დ. კასრაძე იქვე გვპირდებოდა კიკნა-ფშაველას სხვა დანარჩენი ლექსებისა და პოემების დაბეჭდვასაც.

ხსენებულ პოემის შესავალში კიკნა ასე მიმართავს ბუნების დიდ მგოსანს ვაჟა-ფშაველას:

„დიდო ვაჟავ, ჩემად, შენი
ნაჩვენები წყარო:
მოგთავაზე, მიიძღვენი
მამავ-მეგობარო!...“

კიკნა-ფშაველას მეორე 230 სტრიქონი ლირიკული პოემა — „შავი ზღვის დედოფალიც“ მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა („ჩვენი მეგობარი“, 1916 წ., №№ 123, 125). ხსენებული პოემა ავტორის უკანასკნელი ნაწარმოები იყო ქ. დორპატში.

სიკო ბადურაშვილის ლიტერატურული შემოქმედების საერთო სურათის წარმოსადგენად საკმარისია დავასახელოთ ის ჟურნალ-გაზეთები, სადაც იბეჭდებოდა ახალგაზრდა მგოსნის ნაწარმოებები: „ივერია“ (1909 წ.), „ჯეჯილი“, „ნაკადული“,

„განათლება“, „პირველი ნაბიჯი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო გაზეთის სურათებიანი დამატება“, „ჩვენი ნაბიჯი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „ხალხი“, „თემი“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „ჩვენი დროება“, „ერი“, „სახალხო ფურცლის სურათებიანი დამატება“, „საფირონი“, „ჩვენი მეგობარი“, „გრდემლი“ (1912 წ.), „საქართველო“, „საქართველოს სურათებიანი დამატება“ და სხვა. პოეტი თარგმანზეც მუშაობდა. მან თარგმნა კ. ბალმონტისა („თეატრი და ცხოვრება“, 1914, № 36) და სხვა პოეტების ლექსები.

იროდიონ ევდოშვილის სიკვდილს კიკნამ სპეციალური წერილი მიუძღვნა და „წამების რაინდი“ უწოდა („საქართველო“, 1916 წ., № 100).

სიკო ბადურაშვილი გრიშა ხერხეულიძესთან ერთად სასცენო-თეატრალურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, განსაკუთრებით ზაფხულობით, თიანეთში არდადეგების დროს, დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ატარებდნენ. მარტო ავქსენტი ცაგარლის პიესა „ქართველი დედა“ მათი ტრაგიკულად დაღუპვის წინა დღეებში თიანეთში რამდენჯერმე იყო წარმოდგენილი („საქართველო“, 1916 წ. 12. 7, № 153 და 13. 7, № 154). სამშობლოდან შორს, დორპატშიაც, ხშირად მართავდნენ ქართულ საღამოებს („თანამედროვე აზრი“, 1915, № 229).

მართალია, კიკნა-ფშაველა გაფურჩქვნის პერიოდში დაიღუპა, მაგრამ მან მაინც ორასზე მეტი ლექსი, ხუთი-ექვსი პოემა, ათამდე პატარ-პატარა მოთხრობა, რამდენიმე წერილი და სხვადასხვა სახის კორესპონდენცია დაწერა. პოეტის მოზრდილ ლირიკული პოემებიდან ცნობილია „დემონი და სერაბიმი“ (1000 სტრიქონი), „მე და მუზა“, „ჟამის ზღაპარი“, „შავი ზღვის დედოფალი“ და სხვა. მეტი წილი ნაწარმოებები ავტორს სტუდენტობის პერიოდში შეუქმნია ქ. დორპატში. მარტო ლექსებისა და პოემების საერთო რაოდენობა 10.000 სტრიქონს აღემატება.

კიკნა-ფშაველას სხვაც რომ არაფერი დაეწერნა, გარდა „უმაგალითო მაგალითისა“ („თემი“, 1912, 94), ესეც კი საკმარისი იქნებოდა მისი ღირსეულად დაფასებისათვის, რადგა-

ნაც ხსენებულ სტატიაში ავტორი მაღალი პატრიოტული გრძნობით ესარჩლება ფშავ-ხევსურეთის მივიწყებულ კულტურას.

კიტა აბაშიძის სიტყვით რომ ვთქვათ, ახალგაზრდა პოეტს კიდევ „არ დასცალდა ეთქვა სრული სიტყვა“, რადგანაც ფრიად „ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე“ („სახალხო ფურცელი“, 1916, № 632), თორემ უფრო მეტად ააღერებდა ვაჟა-ფშაველას მიერ დალოცვილ ჩანგს.

სიკო ბადურაშვილის დის, ანა კუბრაშვილის სამგლოვიარო განცხადების თანახმად, პოეტის გვამის დაკრძალვა მომხდარა დაბა თიანეთში ივლისის 28-ს („საქართველო“, 1916, 28. 7, № 167). მიზეზი პოეტის ასე დაგვიანებით დაკრძალვისა გაუგებარია.

მიხ. კიაზოშვილის კორესპონდენციების ცნობით, „ქ. დორპატის ქართველ სათვისტომო საზოგადოებას“ კიკნა-ფშაველასა და გრიგოლ ხერხეულიძის ტრაგიკულად დაღუპვისადმი ორი-სამი საღამო მიუძღვნია. დორპატის სათვისტომო, რომელიც იმ ხანებში 25-ზე მეტ ქართველ სტუდენტს აერთიანებდა[1], მათ შორის, სამ ქართველ სტუდენტ ქალიშვილს, 9 ოქტომბერს მოწვეულ თავის კრებაზე ფეხზე ადგომით იხსენიებენ უდროოდ დაკარგულ ახალგაზრდა მეგობრებს სიკოსა და გრიგოლს. იქვე აირჩიეს საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა დაღუპულთა საპატივცემლოდ სპეციალური საღამოს მოწყობა. მართლაც, 30 ოქტომბერს ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგებს სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს. სიტყვებით გამოვიდნენ: პლ. კვირკველია, ვახ. კოტეტიშვილი, ვლ. თოხაძე, გრ. მარგველაშვილი და გრიგოლის ძმა, მიხეილ ხერხეულიძე (სათვისტომოს მდივანი). კრებას ქართველ სტუდენტებიდან დაესწრნენ: ირ. სურგულაძე, თედო ბეგიაშვილი, მიხ. აბრამიშვილი, ნიკ. ხოჭოლავა, გრ. გველესიანი და კიდევ სხვანი („საქართველო“, 1916, №№ 232, 253, 268).

ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს-

---

[1] იგივე სათვისტომო 1911 წ. 50-მდე ქართველ სტუდენტს აერთიანებდა (დათ. ჟღენტი, გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 220).

ტონეთში მყოფი ქართველი სტუდენტობა დორპატის სათვისტომოს საშუალებით დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მშობლიური და უცხო კლასიკოსების ნაწარმოებთა შესწავლა-დამუშავებაში. ასე, მაგალითად, ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილ საღამოზე მოხსენებები წაიკითხეს: ირ. სურგულაძემ, თედო ბეგიაშვილმა, პლ. კვირკელიამ, მიხ. აბრამიშვილმა და ვახ. კოტეტიშვილმა, ხოლო პოეტისა და თავიანთი ლექსების კითხვით გამოვიდნენ: მიხ. ხერხეულიძე, ნიკ. სოჭოლავა და გრ. გველესიანი („საქართველო“, 1916, № 268).

აი, ერთი ასეთი ცნობაც: სათვისტომოსთან არსებულ არჩილ ჯორჯაძის სახელობის ლიტერატურული წრის მორიგ სხდომაზე 1917 წ. 29 იანვარს მიხ. აბრამიშვილს გაუკეთებია მოხსენება თემაზე „კანტი და მისი ესთეტიური თეორია“ („საქართველო“, 1917, № 36).

ეს ფაქტები უდავოდ ნათელს ჰფენენ იმდროინდელი დორპატის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა რჩეულ შემადგენლობას და მათ დაუზარელ ნაყოფიერ შრომას. შემთხვევითი როდი იყო, რომ ბევრი მათგანი მომავალში ქართული კულტურის ამაგდარი მოღვაწენი გახდნენ. აი, სწორედ ამ წრეში გაატარა ოთხი წელი საქართველოს მთიანი ბუნების ღირსეულმა შვილმა კიკნა-ფშაველამ.

სიკო ბადურაშვილი ხელმოკლე გლეხის შვილი გახლდათ და დიდი მატერიალური გაჭირვებით სწავლობდა ქ. დორპატში. ხშირად ეკონომიურად სტუდენტები ეხმარებოდნენ მას, უველაზე მეტად გრ. ხერხეულიძე, ერთ დროს მას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სტიპენდიაც კი დაუნიშნა, მაგრამ არც ამ უკანასკნელს იღებდა იგი რეგულარულად. ამას ადასტურებს იმდროინდელი ქართული პრესა. გაზ. „თემის“ რედაქცია იტყობინებოდა: ქ. დორპატიდან გვწერენ, რომ იქაურ უნივერსიტეტის სტუდენტი სვიმონ ბადურაშვილი (ახალგაზრდა მწერალი კიკნა-ფშაველი) საშინელ მდგომარეობაშია ნივთიერების მხრით. ნუთუ არ აღმოჩნდა ისეთი პირი ან დაწესებულება, რომელიც ზნეობრივ ვალად ჩასთვლის თავის თავს სტიპენდია დაუნიშ-

ნოს და მით ხელი შეუწყოს მას სწავლის დამთავრებაში, რომ შემდეგში სარგებლობა მოუტანოს სამშობლო ქვეყანას“ („თემი“, 1913, ოქტ. № 144).

იმავე გაზეთის თანამშრომელი დიმიტრი გულისაშვილი ფსევდონიმით Mortalis „საზოგადოების საყურადღებოდ“ გამოთქვამს აზრს, რათა მატერიალური დახმარება გამოუნახონ კიკნა-ფშაველას („თემი“, 1914, № 10 მარტის № 166). პოეტის ახლო მეგობარი გრ. ხერხეულიძე ფსევდონიმით „აქაური ქართველი“ დორპატიდან გზავნის პატარა კორესპონდენციას, სადაურით „გულშემატკივრობაც ასეთი უნდა!...“, რომლითაც იტყობინება, რომ მატერიალურად გაჭირვებულ სტუდენტს, კიკნა-ფშაველას, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს ქართულ ლიტერატურის საიმედოდ, ის 15 მანეთიც მოუხსნეს, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოება უგზავნიდაო („თემი“, 1914, 17 ნოემბ., № 194). გაზეთის მორიგ № 195-ში წ.-კ. გ. საზოგადოების მდივანი ვ. ბურჯანიძე აცხადებს, რომ „აქაური ქართველის“ ცნობა სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც კიკნა-ფშაველა უკლებლივ ღებულობს ხვედრ სტიპენდიასო. ასე იყო თუ ისე, ერთი კი ფაქტია, რომ კიკნა-ფშაველა მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა და ნაწილობრივ მას ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაც ეხმარებოდა.

კიკნა ფშაველას ნაწარმოებები უნდა შეიკრიბოს და გამოიცეს. ეროვნულ-პატრიოტულმა ინტერესმა დროა აამეტყველოს ქართული კულტურის მოღვაწენი, რომლებიც პირადად იცნობდნენ მას, რათა უფრო სრულად აინუსხოს პოეტის თხზულებანი და თავი მოუყაროს მისი შემოქმედების საუნჯეს.

ქართული ხალხური პოეზიის ჩანაწერები ავსტრია-გერმანიაში

1928 წელს ვენა-ლაიფციგში ვენის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიულმა განყოფილებამ ეთნოგრაფ ა. დირისა (1867-1930) და მუსიკისმცოდნე რ. ლახის (დ. 1874) უშუალო მონაწილეობით გამოსცა კრებული „რუსი სამხედრო ტყვეების სიმღერები", რომელშიც შესულია ქართული სიმღერებისა და ლექსების ფოლკლორული ჩანაწერები (254 გვ.)[1]

ეს კრებული მრავალმხრივ არის საინტერესო, განსაკუთრებით ფოლკლორისტებისა და მუსიკისმცოდნეთათვის, მაგრამ ჩვენთვის ნაკლებად არის იგი ცნობილი. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწვრილებით შევჩერდეთ მასზე. რაც შეეხება გერმანულ ენაზე ქართული ლექსებისა და სიმღერების პროზაული თარგმანების ღირსებასა და ნოტებზე სიმღერების გადაღების ავკარგიანობას, ამას, როგორც სპეციალურ საკითხს, ამჟამად მხარს ავუქცევთ.

სარეცენზიო წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებისაგან: 1). გვ. 3-22 რობერტ ლახის წინასიტყვაობა; 2). გვ. 23-110

---

[1]) Lach, Robert—Gesänge russischer Kriegsgefangener aufgenommen und herausgegeben von Robert Lach korrespond. Mitglied der Akademie der Wissenschaften in Wien. III. Band: Kaukasusvölker. I. Abteilung: Georgische Gesänge. Transkription und Übersetzung der georgischen Texte von A. Dirr. 55 Mitteilung der Phonogramm—Archiv—Kommission. Vorgelegt in der Sitnug am 28. April 1926. Akademie der Wissenschaften in Wien. Philosopisch—historische Klasse. Sitzungsberichte, 204. Band, 4. Abhandlung). Wien und Leipzig, Hölder—pichler—Tempsky A.—G, Kommissions—Verleger der Akademie der Wissenschaften in Wien, 1928. 254 ss.

მუსიკალური დამატება (ნოტები ტექსტებით); 3). გვ. 111-234 ქართული ლექსები ა. დირის ტრანსკრიპციით და მისივე პროზაული თარგმანებით; 4). გვ. 235-248 შენიშვნები ლექსების ტექსტებზე; 5). გვ. 249 ლიტერატურული წყაროები და ლექსების ვარიანტების ნუმერაციებზე მითითება; 6). გვ. 250-253 ლექსების ანბანური საძიებელი, 7). ა. დირის პატარა ბოლოსიტყვაობა და 8). გვ. 254 სარჩევი.

წინასიტყვაობაში რ. ლახი ტენდენციურობით იძლევა ქართული სიმღერების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას; იუწყება, ვენის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით როგორ ჩაწერა ფონოგრაფზე 1916-1917 წწ. ეგერის ბანაკში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან მრავალი ქართული სიმღერა და ლექსი. 1917 წელს ამ შეგროვილ მასალებზე რ. ლახს ვენის მეცნიერებათა აკადემიაში მოხსენება გაუკეთებია და 50-მდე სიმღერის დემონსტრაცია მოუხდენია. რ. ლახი მადლობას უცხადებს ა. დირს (მიუნხენი), რომელსაც გულმოდგინე მეცნიერული მუშაობა ჩაუტარებია ტექსტების შეჯერებისა და მათი დამზადება-გამოცემისათვის. რ. ლახი პატივისცემით იხსენიებს ტყვესა და კონსულტანტს ლევარსი მამალაძეს, რომელსაც ქართული ტექსტების თარგმანში უშუალო მონაწილეობა მიუღია. რ. ლახის სიტყვით, ლ. მამალაძეს — მაღალი კულტურის ადამიანს კარგად სცოდნია ქართულ-გერმანული ენები, იგი მშვენიერი მომღერალი და ქართული სიმღერების საუცხოო შემსრულებელი ყოფილა. წინასიტყვაობის ავტორი მოკრძალებით იხსენიებს ვენის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს, დოქტორ რობერტ ბლეიხშტეინერს, რომელსაც დაუზუსტებია ლინგვისტურ-ეთნოგრაფიული ტერმინები და ტრანსკრიპცია. ნაშრომის მთლიანი კორექტურაც მას შეუსრულებია. ბოლოს, რ. ლახი პატივისცემით იხსენიებს ფონოგრაფისტს, დოქტორ ლეო ჰაიეკს, რომელსაც სიმღერების ჩაწერისა და მათი ზუსტი ზომების დაცვისათვის ენერგიული მუშაობა ჩაუტარებია ავტორთან, ე. ი. რ. ლახთან ერთად.

წინასიტყვაობაში დასახელებულია მთქმელთა და სიმღერების შემსრულებელთა გვარები, მათი წლოვანება, ომამდელი პროფესია, მისამართები და ლექსების რიგითი ნომრები თუ

ვის მიერ რომელი ლექსია ნათქვამი. ესენი არიან ქართლიდან: ისაკო ბათიაშვილი (33 წლის, ახალგორი, მებაღე. № 1), კონსტანტინე მავროზაშვილი (20 წლის, ერთაწმინდა, სოფლის მუშა. №№ 2-12), ილია ნავაშვილი (21 წლის, წილკანი, გლეხი. №№ 13-40); კახეთიდან: ალექსანდრე ხადელიშვილი (24 წლის, თელავი, მეწაღე. №№ 41-52), ისაკო ქაჩლიშვილი (35 წლის, გურჯაანი, სოფლის მუშა. №№ 53-56), ზაქარია ნაცვლიშვილი (26 წლის, გიორგიწმინდა, შოჟოლადის ფაბრიკის მუშა. №№ 57-61), ზაქარია როსტიაშვილი (21 წლის, ჩაილური, გლეხი. №№ 62-84), ივანე ოდლომიშვილი (25 წლის, გურჯაანი, მეღვინე. №№ 85-89); ფშავიდან: ვასილ გუშალაშვილი (27 წლის, ზემო თიანეთი, სოფლის მუშა. №№ 90-117), ლუკა თურქაშვილი (21 წლის, ზენამხარი, მწყემსი. №№ 118-121); თუშეთიდან: დავით გოცირიძე (24 წლის, ალვანის თემი, სოფლის მუშა. №№ 122-130); მესხეთიდან: ნიკოლა მაისურაძე (24 წლის, სოფ. მუსხი, უფროსი მასწავლებელი. №№ 131-169); რაჭიდან: დიომიდე გაგნიძე (34 წლის, შჭმერი, დერციკი №№ 170-171), ტყვე იარლიყით № 4 გ. 2-238 (რაჭველი წარმოშობით. №№ 172-174); გურიიდან: მელიტონ მამალაძე (28 წლის, ხევი, ეგრეთის თემი, ოზურგეთის მაზრა, მეწაღე, №№ 175-204), პროკოფი პეტრეს ძე კალანდაძე (27 წლის, ს. ხიდისთავი, მიკიტანი-სასადილოს მუშაკი. №№ 205-218), ლევარსი მამალაძე (25 წლის, ხევი, ეგრეთის თემი, ოზურგეთის მაზრა, ზინგერის საკერავი მანქანების სავაჭრო ფირმის რწმუნებული-აგენტი. №№ 219-259), კირილე ახალაძე (23 წლის, ნაგომარი, სოფლის მუშა. №№ 234-236); №№ 308-317 ნომრებით დასახელებული ლექსები სხვა ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან შეუკრებიათ მელიტონ მამალაძეს, ლევარსი მამალაძეს, ერმილე პაიჭაძეს (34 წლის, ჯვარცმა, ოზურგეთის მაზრა, მეღვინე-მევენახე) და გედევან ბერძენიშვილს (24 წლის, ჩოხატაური, სოფლის მუშა); იმერეთიდან: პორფილე ხვედელიძე (28 წლის, ქუთაისი, მაღაროს ოსტატი. №№ 275-302); სამეგრელოდან: ნიკოლა პატარაია (24 წლის, ახალსენაკი, ვაჭარი. №№ 260-274), ილია თოფურია (24 წლის, ახალსენაკი, მიკიტანი — სასადილოს მუშაკი №№ 260-274), ბეგ-

ლარ ბარკალაია (37 წლის, სამურზაყანო, ვაჭარი, №№ 2689-274) და სამხედრო ტყვე იარლიყით № 4 გ. 1-136 (№№ 303-307). ორი სამხედრო ტყვის გვარები იარლიყით № 4 გ. 2-238 (წარმოშობით რაჭველი) და იარლიყით 4 გ. 1-136 (წარმოშობით მეგრელი) რ. ლახს ამოუხსნელი დარჩენია, რადგანაც ეს ორი ტყვე, რ. ლახის მეორედ მისვლისას, ეგერის ბანაკიდან სხვა ბანაკებში გადაუყვანიათ და ლექსების ჩამწერს მათი ქვალისათვის ვეღარ მიუგნია (გვ. 9). ლექსები №№ 260-274 ნ. პატარაიას, ი. თოფურიასა და ბ. ბარკალაიას მიერ კოლექტიურად არის თქმული.

ნაშრომის მოკლე ბოლოსიტყვაობაში ა. დირი გულითად მადლობას უცხადებს ბატონ ა. მეტრეველს (ბერლინიდან) და დოქტორ რუსიშვილს (მიუნხენიდან), რომელთაც თავიანთი შრომით დახმარება აღმოუჩენიათ დირისათვის სარეცენზიო წიგნის ტექსტების ტრანსკრიპციასა და თარგმანების დადგენა-დაზუსტებაში.

„მუსიკალური დამატების" განყოფილებაში (გვ. 23-110) ნოტებზე ნიმუშების სახით გადაღებულია 317 ქართული ლექსი-სიმღერის პირველი კუპლეტები, რომლებიც შეუსრულებიათ თვით ქართველ სამხედრო ტყვეებს. ბევრი მათგანი სხვადასხვა ვარიანტით არის. მაგალითად, ევგენი დვალის 1905 წლის რევოლუციური სიმღერის „მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილის" სამი ვარიანტი მთლიანად არის დაბეჭდილი როგორც ნოტებზე, ისევე ტექსტებში; ამასთან იგი უავტორო-ხალხურ სიმღერად არის გამოცხადებული. სხვათა შორის ეს, ალბათ, იმიტომ, რომ „არსენა ჯორჯიაშვილი" (ანონიმური გამოცემა), ნოტებზე გადაღებული ქართულ-რუსული ტექსტების პარალელებით, ჯერ კიდევ 1917 წელს რევოლუციის პერიოდში, ცალკე ბროშურად დაიბეჭდა მოსკოვში და შესაძლებელია, სწორედ ამ გამოცემით ისარგებლეს სარეცენზიო წიგნის შემდგენლებმა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული სიმღერები ნოტებზე 317 სახელწოდებითაა გადაღებული, ხოლო ტექსტებში კი სულ 307 ლექსია დაბეჭდილი. ეს განსხვავება უკანასკნელ 308-317 ნომრებში მოცემული გურული და იმერული სხვადასხვა სა-

სიმღერო მოტივების ნიმუშებით არის გამოწვეული. ქართული ტექსტები მთლიანად დაბეჭდილია გერმანული (ლათინური) ალფაბეტით, ოღონდ ქართული ბგერების შესაბამისად, სპეციალურად გამომუშავებული ასოებით, ე. ი. ზოგიერთი ქართული ბგერის გადმოსაცემად, როგორიც არის თ, ფ, ქ, ღ, ჩ, ძ, წ და ჭ, ნახმარია იგივე გერმანული (ლათინური) ასოები ზემოდან სხვადასხვა ნიშნების დამატებით, ე. ი. დიაკრიტული ნიშნების დახმარებით ლათინური ასოებით გადმოცემულია ქართული ბგერები.

ამრიგად, 307 ქართული ლექსი დაბეჭდილია გერმანული (ლათინური) ანბანის ტრანსლიტერაციით. მის პარალელურად მოცემულია გერმანულ ენაზე მათი პროზაული თარგმანები. ქართული ლექსები და სიმღერები თემატიკურად მრავალნაირია; პატრიოტული, შრომითი, ისტორიული, საგმირო-რაინდული, სამიჯნურო-სატრფიალო, საოჯახო-საყოფაცხოვრებო, სუფრული, ურმული, საგზაო, სამხედრო, დიდაქტიკური (პედაგოგიური-აღმზრდელობითი), სასულიერო-რელიგიური, მითოლოგიური, საახალწლო-საშობაო („ალილო") და ა. შ. რევოლუციურ თემატიკაზე კრებულში სულ ხუთი ლექსია: „მუშავ, მუშავ, გაიღვიძე" (№ 22), „მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი" (№№ 41, 51, 283), „შავი ფიქრი" (№ 219) და ორიც „ქართული მარსელიეზა" ((№№ 205 და 207). ჩვენი მოსაზრებით, რა. ლახის მიერ უფრო მეტი ქართული ლექსები და სიმღერები უნდა იყოს შეკრებილი, ვიდრე ხსენებულ კრებულშია დაბეჭდილი.

მასალების გულმოდგინე შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ლექსების სამი მეოთხედი, მართლაც, ხალხურ შემოქმედებას, ხალხურ ზეპირსიტყვაობას ეკუთვნის. აქ მოცემულია საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორული პოეზიის ნიმუშები. რამდენიმე ლექსი თბილისის ქალაქური ფოლკლორიდან არის მოყვანილი. ხოლო „ქართული ხალხური ლექსების" ერთი მეოთხედი, ჩვენი დაზუსტებით, ქართველ პოეტებს ეკუთვნით. კრებულის გამოცემაში რამდენიმე ქართველ სპეციალისტსაც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ რატომღაც 4-5 ლექსის გამოკლებით, ყველა ხალხურ ლექსად არის აღიარებული. უფრო

მეტიც: ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ა. პუშკინის ლექსი „ყვავილი“, შალვა დადიანის მიერ გადმოღებული ფ. კარეევის ცნობილი სიმღერა „მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს“ (პიესა „უბედური ნაბიჯი“-დან) და ანტონ ფურცელაძის მიერ რუსული ენიდან თარგმნილი იტალიელი პოეტის ჯაკომო ლეოპარდის „ვენგრული სიმღერა“ ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებად არის გამოცხადებული. უფრო მეტი: იოსებ ბაქრაძის მიერ ქართულ ენაზე გადმოღებული ცნობილი ლექსი ჰაინრიხ ჰაინესი —

„ტურფავ, ტურფავ! რას უყურებ,
მოაცურე ჩემსკენ ნავი,
ერთად ჩავსხდეთ და ვუყუროთ,
როგორ არხევს წყალს ნიავი...

ქართულ ზეპირსიტყვაობის ნიმუშად მიუღიათ და სიტყვასიტყვით კვლავ გერმანულ ენაზე გადაუთარგმნიათ.

ლექსების უმრავლესობა უსათაუროდ არის გამოქვეყნებული და, ჩვენი დადგენით, ქართველი პოეტების შემდეგ ლექსებს წარმოადგენენ: რ. ერისთავის — „აღზევანს წასვლა“, „მევენახის სიმღერა“, „გუთანი“, „მიპატიჟება სასწავლებელში“, „სამშობლო ხევსურისა“; ი. დავითაშვილის „ჯეჯილი“, „სამშობლო“, აკ. წერეთლის — „მწყერი და მწყემსი“, „მიმკვლევა“, „გაზაფხული“, „სხვადასხვაგვარი სიყვარული“ („ქართველ ქალმა სიყვარული ტრფიალობით გამოხატა“), „ციცინათელა“, „პეპელა და ყმაწვილი“, „მუხამბაზი“, („ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ“...), „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“, „სიზმარი“, „მუშური“ („სიმინდსა თოხნა დავუწყოთ“...), „პატარა საყვარელო“, „იავნანა“, „იმერული ნანინა“, „კინტო“, „შიქასტა“, „ჩონგურს სიმები გავუბი“, ევგენი დვალის — „არსენა ჯორჯიაშვილი“; ვაჟა-ფშაველას — „ქორი და წიწილა“, ნაწყვეტები „ბახტრიონი“-დან; დ. გივიშვილის — „მითხარ, მითხარ, რას მემდური, შენი სულისა“; ი. ჭავჭავაძის — „ქართვლის დედას“, „კითხვა-პასუხი“, „გახსოვს ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“; ანტონ ფურცელაძის — ჯაკომო ლეოპარდიდან თარგმნილი „ვენგრული სიმღერა“; ნ. ბარათაშვილის — „ფიქრნი მტკვრის პირას“,

„არაგვიანი“, ი. ბაქრაძის ჰაინრიხ ჰაინედან გადმოღებული „ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ...“; ნიკო ლომოურის „ვედრება პატარა გლეხისა“; გრ. რჩეულოვის (რჩეულიშვილის) — „აბ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო“; ი. გრიშაშვილის — „ჩემი სიმღერა“ („ნუ, ნუ სტირი, რისთვის გოდებ, გენაცვა“), „დედა და ქალი“, „გენაცვალე“ („რად არ მწყალობ, ცოდვა არ ვარ?“); გ. ჭალადიდელის (ქოჩაკიძის) „მოგონება“, („მახსოვს, პირველად სასწავლებელში წასაყვანად რომ მე გამამზადეს“), „ფაცხა“; დ. ჭონქაძის „სურამის ციხიდან“ („სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო, ჩემი ზურაბ მანდ არი, კარგად შეინახეო“...); შ. მღვიმელის „ვაჟკაცს“; ა. ჭავჭავაძის — ა. პუშკინიდან გადმოღებული „ყვავილი“; შ. დადიანის მიერ ფ. კარელის პიესა „უბედური ნაბიჯი“-დან თარგმნილი სიმღერა „მხოლოდ შენ ერთს“. კიდევ რამდენიმე სხვა ლექსი, აგრეთვე სიმღერა № 219-ით დაბეჭდილი. რევოლუციური ლექსის „შავი ფიქრის“ მთლიანი ტექსტი ასეთია:

მრისხანე ჭარი მტრულად გვტრიალებს,
სულსა გვიხუთავს შავბნელი ძალა.
საბედისწეროდ ომში ეებრძვით მტერს.
ვინ იცის, რა დღე მოგველის ხვალა?
აღვმართოთ, ძმებო ჩვენ დროშა შედგრად,
მუშათა კლასის გასამარჯვებლად,
დროშა დიდების, მსოფლიო ბრძოლის,
თავისუფლების, ძმობა ერთობის.

ეს სიმღერა, როგორც ვხედავთ, ი. ევდოშვილის თარგმნილ „ვარშაულას“ („ვარშავიანკას“), „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“ და ნოე ზომლეთელის „მრისხანე ჭარმა მტრულად დაჰბერა“-ს გახალხურებულ-შენაერთ ვარიანტს წარმოადგენს. ამის მსგავსი სიმღერები 1901-1907 წწ. და უფრო მოგვიანებით გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში. ჩვენის აზრით, ნ. ზომლეთელის დასახელებული ლექსიც ი. ევდოშვილის გახალხურებული „ვარშაულას“ ზეგავლენით უნდა იყოს დაწერილი.

სარეცენზიო წიგნში დაბეჭდილი ორი „ქართული მარსელიეზაც“ „მომე, ძმაო, ხელი, დროა ადგომის“! (№ 205) და „აღარ გვინდა კვლავ ალმართზე აღვიდეთ!“ (№ 207), ჩვენის

დასკვნით, ი. ევდოშვილის მიერ თარგმნილი „მარსელიეზას“ გახალხურებული ვარიანტები უნდა იყოს. ამრიგად, ეს ორი ფაქტი უდავოდ საგულისხმოა. რუეე რედ-ლილის ცნობილმა „მარსელიეზამ“ და პოლონელი პოეტის ვ. სვენციცკის „ვარშაულამ“[1] საქართველოში ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ ისინი შეცდომით აღიარეს ხალხური შემოქმედების ნიმუშებად და თარგმნეს კიდეც გერმანულ ენაზე.

სხვადასხვა ვარიანტებით არის მოცემული, ტექსტებში დაბეჭდილი და ნოტებზე გადაღებული „ხალხური ვეფხისტყაოსანი“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „მრავალჟამიერ“, „ეთერიანი“ („მურმან, მურმან, შენსა მზესა“..), „მე ავარად დავდივარ“, „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“, „ომში წასვლა მას უხარის“, „მივალ გურიაში მარა“, „თებრონე მიდის წყალზედა“, „მოდი, გავთოხნოთ სიმინდი“, „სიმინდსა თოხნა დავუწყოთ“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი“, „სამშობლო ჩემო, ლამაზო“, „საწყალი მელა ჩიოდა“, „სუფრავ გაშლილო, ლხინი ხარ“, „ქალი გამიდიდგულდა“, „შაშვნი-კაკაბნი შეიბნენ“, „შირაქის მოედანზედა“, „შობის მახარობლები ვართ“, ჩვენ — მშვიდობა, გამარჯვება, ჩვენს მასპინძელს — აშენება“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „გახსოვს ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა“, „მუშური“, „მიყვარს ამგვარად სტოლი გაშლილი“, „წარვედ მტკვრის პირას“ („ფიქრი მტკვრის პირას“), „ავთანდილ გადინადირა“, „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“, „ქართული მარსელიეზა“, „ალილო“ და სხვ.

ზოგჯერ ერთი და იმავე პოეტის ლექსები ერთმანეთშია არეული. მაგალითად, აკაკი წერეთლის „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“ და „მუხამბაზი“ (იხ. №№ 143, 144). ან კიდევ სხვადასხვა პოეტების, უფრო კი, სხვადასხვა მგოსნების და ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები ერთმანეთშია შერწყმული. აი, მაგალითი:

---

[1] „ვარშაულა“, ლენინის საყვარელი სიმღერა, რუსულად გ. კრჟიჟანოვსკიმ თარგმნა 1897 წ.

ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა.
წყალი მწყურია, წყალს დავლევ, დავეწაფები გუბესა,
წაყალ და ჩაეკონები ლამაზი გოგოს უბესა.
მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ პგორამსა.
(№ 162)

ერთი ლექსი შემდეგი ქართულ-მეგრული კუპლეტებისაგან შედგება:

მზეო! ამოდი, ამოდი!
ნუ ეფარები გორასა!
სიცივეს კაცი მოუკლავს
საწყალი აგერ გორაესა.
ჩელა ჭეურს მიბურსანსა
ჩელას ფასის მიმუჩანსა
აშო ჩელა სი ჩერჩელა
სი უჩანჩხე სი უღურე
სვან ფასის მე მუმჩანსი
აბა ჩელა კიმჭუათი
ბუსკას გეკუათ ჭიშუათ. (№ 305)

შვიდი უკანასკნელი სტრიქონი ცნობილი მეგრული ხალხური ლექსის „ჩელას" საკმაოდ დამახინჯებული ვარიანტი უნდა იყოს, (შეადარეთ: Мингрельская азбука. Тифлис, 1899 г. და ი. ყიფშიძის Грамматика мингрельского языка. СПБ. 1914. გვ. 165-169).

მორიგ მე-37 ნომერში დასახელებულია კვლავ მეგრული „ჩელა", მაგრამ არც მეგრული ტექსტი და არც მისი გერმანული თარგმანი მოყვანილი არ არის. 123-ე ნომრით დაბეჭდილია ერთი არაქართული ლექსი (მგონი, იგი ქისტურ ან დიდოლეკურ ენაზე უნდა იყოს შექმნილი). აი ეს ლექსიც მთლიანად:

ახამურ სოცე ეაღორა
დაფრეხად პილობიანო,
შირაქინ გნათევსია
ასმუო სულიან დიენო.
ალარმო მაშო, მარშილ ხოლა მაშო,
მაშო ორსადენა გაფრეხათ ბილაბიენა,
მაშო აინო დიენო,
მოსლავიანო დიენო. (№ 123)

ამ ტექსტს თარგმანი არა აქვს, მხოლოდ შენიშვნაშია ნათქვამი, ქართული არ არისო. იგივე ლექსი მთლიანად ნოტებზეც არის გადაღებული. ნოტებზე მინაწერ ტექსტში ასეთი ცვლილებაა შეტანილი: „გნათევსია“-ს მაგიერ „გნათეოსია“ დაბეჭდილი, „ასმუო“-ს მაგიერ კი „ასმუს“-ი. ჩვენი მოსაზრებით, ლექსი დამახინჯებული უნდა იყოს.

ლექსების ავტორების დადგენამ და ტექსტების ორიგინალებთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ქართველი პოეტების ლექსების ერთ ნაწილს მთქმელთა ზეპირ გადმოცემაში ცვლილება განუცდია, ხოლო ზოგიერთს ზედმეტი ხალხურობის ელფერი დასდებია. ბევრიც უკვე კარგად ცნობილი ქართული ხალხური ლექსი და თვით ქართველი პოეტების ლექსები და სიმღერები ისეა დამახინჯებული, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელი ხდება. როგორც ჩანს, მთქმელებს — ქართველ სამხედრო ტყვეებს ეს ლექსები გაგონილი უნდა ჰქონდეთ თავიანთ სოფლებში ან შესწავლილი ისეთ გამოცემებში, როგორიც არის ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, ქართველ მწერალთა თხზულებათა კრებულები, მ. გაჩეჩილაძისა და ვ. აბაშიძის „ახალი ჩანგი“, „საქართველოს კალენდარი“, „ორთაჭალის თაიგული“ (1912 წ.), იმდროინდელი პერიოდული პრესა და სხვ. თავისთავად ცხადია, დროთა მანძილზე მთქმელთა მეხსიერებაში ოდესღაც შესწავლილმა ქართული პოეზიის ნიმუშებმა ცვლილება განიცადეს. ამიტომაც სარეცენზიო წიგნში დაბეჭდილი ქართული სიმღერები და ლექსები ხშირად დიდად განსხვავდებიან კარგად ცნობილი ლექსებისა და სიმღერებისაგან, ხოლო ზოგჯერ მათ ვარიანტებს წარმოადგენენ. თითქმის იგივე ცვლილებებია შემჩნეული ქართველი პოეტების ნაწარმოებების გადმოცემაში.

მეოთხე განყოფილება-შენიშვნებში, (გვ. 235-248) წიგნს დართული აქვს მოკლე კომენტარები; ახსნილია ტექსტებში შესული არასწორი ქართული სიტყვები; ზოგიერთი სიტყვა თავისებურადაა ამოხსნილი. აქ მეტწილად ლ. მამალაძის მოსაზრებებია მოყვანილი. რამდენიმე შემთხვევაში ავტორები დასახელებული არიან, სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის „ქართლის დედას“ შენიშვნაში (№ 131) ნათ-

ქვამია „ორბელიანისა თუ ბარათაშვილისაო". ხოლო აკაკი წერეთლის ნაწილობრივ გახალხურებულ „იავნანას" ავტორობას (№ 261) ილია ჭავჭავაძეს მიაწერენ და ა. შ. ერთი სიტყვით, გერმანულ ენაზე დართული კომენტარები ნაწილობრივ ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას.

მეხუთე განყოფილებაში დასახელებულია შემდეგი ლიტერატურული წყაროები: 1) ზ. ფალიაშვილი — ქართული ხალხური სიმღერების კრებული (იმერული, გურული, რაჭული, სვანური და ქართულ-კახური სიმღერები ჩაწერილი ფონოგრაფზე ზაქ. ფალიაშვილის მიერ თბ., (?) 66 გვ., 2) დ. არაყიშვილის — Краткий очерк развития грузинской. Карталино-Кахетинской народной песни с приложением нотных примеров и 27 песен народной гармонизации. Москва, 1905 г., стр. 122. (ტექსტი პარალელურად რუსულ-ქართული), 3) Народные песни Западной Грузии (Имеретии) М. 1908 г. 28 გვ. 4) დ. არაყიშვილი — ქართული ეროვნული ერთხმოვანი სიმღერები. თბ., 1905. 28 გვ., 5) ი. გ. ქარგარეთელი — ქართული სახალხო სიმღერები ნოტებზე გადმოღებული, თბ., 1899. 108 გვ. და 6) A. Dirr 25 geor-Valkslieder, Von A. Dirr (Antropos. V Heft 2, 3)[1].

მე-6 განყოფილება „ლექსების ანბანური საძიებელი მიუთითებს დაბეჭდილი ლექსებისა და ნოტებზე გადაღებული სიმღერების ნუმერაციებზე მათი პირველი პწკარების მიხედვით. ასეთი აპარატი დიდად აადვილებს ტექსტებში ამა თუ იმ ლექსის პოვნას.

მიუხედავად უარყოფითი მხარისა, წიგნში მაინც ფრიად მნიშვნელოვანი მასალაა თავმოყრილი, რომელიც ქართველი ფოლკლორისტებისა და მუსიკისმცოდნეთა მხრივ დაწვრილებითს და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. საყურადღებოა

---

[1] ზედმეტი არ იქნება აქვე დავასახელოთ ქართულ წყაროებში უცნობი — რიჰარდ მეკელაინის: 1). ქართულ-გერმანული სიტყვარი. ბერლინი-ლაიფციგი, 1928, 656 გვ. 2) გერმანულ-ქართული სიტყვარი, ბერლინი, 1937, 569 გვ. 3) გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის. ბერლინი, 1931. 264+118 გვ. და თეოდორ კლიუგეს — ქართულ-გერმანული სიტყვარი. ლაიფციგი, 1919, 82 გვ.

თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ ქართულ ენაზე (გერმანული ტექსტების პარალელებით) ასეთი ფოლკლორული კაპიტალური ნაშრომის გამოცემა, ისიც საქართველოს ფარგლებს გარეთ, პირველი შემთხვევაა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მსგავსი ნაშრომი დღემდე ჩვენ არც ერთ სხვა უცხო ენაზე არ მოგვეპოვება. და ბოლოს, არ შეიძლება პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ვენის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიული განყოფილება, ადოლფ დირი და რობერტ ლახი, რომელთაც, მართლაც, დიდი და ენერგიული მუშაობა გაუწევიათ ქართული პოეტური ზეპირშემოქმედების ნიმუშების შეკრება-ჩაწერისა და პუბლიკაციისათვის.

ქართული ბეჭდვითი ფონდები ლენინგრადში

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის მრავალმილიონიან ფონდებში სხვა ხალხთა ბეჭდვითი წყაროების გვერდით მდიდრად არის წარმოდგენილი წიგნები მსოფლიო ხალხთა ყველა ენაზე, მათ შორის მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების ნაწარმოებთა ყველა გამოცემა, სხვადასხვა ბეჭდვითი წყაროები, იშვიათი ხელნაწერი ფონდები, პირველი ბეჭდვითი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

ყოფილ საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკას ჯერ კიდევ 1814 წლამდე ჰქონდა თავისი საინტერესო ისტორიული წარსული, რომელიც 1766 და 1794 წლებიდან მომდინარეობს. ბიბლიოთეკის საჯაროდ გახსნას კარგა ხანს ამზადებდნენ. 1810 წლიდან ის უკვე სავალდებულო ცალებსაც კი ღებულობდა, მისი საზეიმო გახსნა გადაწყვეტილი იყო 1812 წლისათვის, მაგრამ ნაპოლეონის შემოჭრის გამო საზეიმო გახსნის ნაცვლად 189 ყუთში ჩაწყობილი 150.000 ტომი წიგნი ბიბლიოთეკიდან დროებით ევაკუირებულ იქნა ნევაზე ლადოგის ტბის მახლობელ სოფ. უსტანკიში. მალე ყველაფერი მიწყნარდა, ნაპოლეონის არმია რუსმა ხალხმა გაანადგურა და 1814 წ. 2 იანვარს საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკას საგანგებო ცერემონიის ვითარებაში საზეიმოდ გაუღეს კარი. 129 წლის შემდეგ, 1941 წლის გაზაფხულზე კვლავ განმეორდა ბიბლიოთეკის ზოგიერთი ფონდის ლენინგრადიდან ევაკუირება (ფრონტზე მოხალისედ წასვლამდე ხსენებულ ოპერაციაში ამ სტრიქონების ავტორიც იღებდა მონაწილეობას 1941 წ. 3 ივლისამდე), მაგრამ ვერც მეორე სამამულო ომმა შეაჩერა ბიბლიოთეკის მთავარი ძარღვის ნორმალური მოქმედება. ალყაშემორტყმულ

ლენინგრადში ბიბლიოთეკაც გმირულად მუშაობდა, ისე როგორც ლენინგრადის სხვა დაწესებულებანი.

სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საბჭოთა ხალხთა 86 ენაზე არსებული ლიტერატურის განყოფილება, რომლის ფონდებში შედის ბეჭდვითი პროდუქცია ქართულ ენაზეც. განყოფილებას თავისი საინტერესო წარსული აქვს, მისი ისტორიაც ბიბლიოთეკის პირველი წამოწყების სათავიდან იწყება, იმ განსხვავებით, რომ 1840-იან წლებიდან 1930-იან წლებამდე მას „აღმოსავლური განყოფილება“ ეწოდებოდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ეს განყოფილება თავისი 54.000 ერთეული ფონდით ერთი ოცად გაიზარდა. არსებული ლიტერატურის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი ურთიერთდამოუკიდებელი განყოფილება: საბჭოთა ხალხებისა და აღმოსავლეთ-საზღვარგარეთელ ხალხთა ლიტერატურის განყოფილებები, რომელთა ფაქტიური გაყოფა მხოლოდ 1952 წ. მოხდა. 5-6 წლის განმავლობაში ორივე განყოფილების გამგეობას ამ სტრიქონების ავტორი ასრულებდა...

ქართული ფონდის ხვედრითი წონა ძველთაგანვე ყველა სხვა ენაზე არსებულ ფონდს ჭარბობდა. ამიტომაც წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მკითხველებზე გაცემაშიაც მას ყოველთვის პირველი ადგილი ეკავა. ასე, მაგალითად, 1900-1917 წწ. განმავლობაში განყოფილებიდან გაცემული იყო სულ 12.004 დაცვითი ერთეული წიგნი, ჟურნალი და გაზეთი. მათ შორის 1.346 ერთეული ქართულ ენაზე ე. ი. მთელი მრავალენობრივი განყოფილების წიგნთა გაცემის 11,3% ქართულ ფონდზე მოდიოდა. ეს მაშინ, როდესაც ხსენებული განყოფილება თავის ფონდებში აერთიანებდა ქართული ბეჭდვითი წყაროების გვერდით სომხურ, აზერბაიჯანულ, თათრულ, სპარსულ, არაბულ, თურქულ, ჩინურ, იაპონურ, მონღოლურ და სხვა აზიურსა და აფრიკის ენებზე არსებულ ლიტერატურას, მათ შორის 7.000-მდე ერთეულ ტომს ევროპულ ენებზე არსებული ლიტერატურას — ორიანტალიას.

ბიბლიოთეკის წლიური საანგარიშო მოხსენებებით 1855-

1905 წლების განმავლობაში „აღმოსავლური განყოფილებიდან“ სამკითხველო დარბაზებში მკითხველებზე სულ გაიცა 18.000-მდე დაცვითი ერთეული. აქედან 2.000-მდე ერთეული ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებზე მოდიოდა. ყველაზე მეტად ი. ჭავჭავაძის „ივერია“, „საქართველოს მოამბე“, გ. ერისთავისა და ი. კერესელიძის „ცისკარი“ და გ. წერეთლის, ს. მესხის, კ. ლორთქიფანიძის, ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბელის „დროება“ იკითხებოდა. მე-19 საუკუნეში, 46 წლის მანძილზე 2.000-მდე ქართული წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის წაკითხვა არც თუ იმდენად მცირე ციფრია და იმიც პეტერბურგში, საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში. იმ დროისათვის ქართული წიგნები პეტერბურგის უნივერსიტეტისა და აკადემიის ბიბლიოთეკებშიაც იკითხებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ქართულმა გამოცემებმა საკმაოდ მოიმაგრა ფეხი და ერთი მეორეზე მიყოლებით ზედიზედ გამოვიდა „ცისკარი“, „გუთნის დედა“, „საქართველოს მოამბე“, „სასოფლო გაზეთი“, „მნათობი“, „დროება“, „კრებული“, „ივერია“, „მოამბე“, „შრომა“, „მეურნე“, „აკაკის თვიური კრებული“, „თეატრი“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა, ამას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ქართველობაში ერთი ათად არ გაეღვიძებინა ცოდნის შეძენისა და ეროვნული კულტურის ყოველი დარგის გულდასმითი შესწავლის ინტერესი. პერიოდული პრესის გამდიდრებას ზედ მოჰყვა ქართველ კლასიკოსთა თხზულებების გამოცემა. საჯარო ბიბლიოთეკაში გამოჩნდა შოთა რუსთაველის, დ. გურამიშვილის, არჩილ და თეიმურაზ მეფეების, გრ. და ვახ. ორბელიანების, ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, დ. ჭონქაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა ქართველი ავტორების ნაწარმოებები. ქართული წიგნის ფონდს მიემატა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა გამოცემა, ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიები, თარგმნითი ორ ენეული ლექსიკონები, სხვადასხვა ავტორების მეცნიერულ ნაშრომები და ბევრი სხვა სახის ქართული წიგნი.

მტკიცებას არ მოითხოვს ის გარემოება, რომ კარგად და-

კომპლექტებული ბეჭდვითი ფონდი ეროვნული კულტურის ერთგვარი შეჯამების ბარომეტრს წარმოადგენს, რადგანაც იგი საგრძნობლად ასახავს ადამიანთა მიერ საუკუნეების მანძილზე ჰკუა-გონების შემოქმედებითს ნაყოფს. დაგროვილი ბეჭდვითი პროდუქცია ადამიანთა ხანგრძლივი გონებრივი და სულიერი შემოქმედების დონის ამაღლების სარკეა და იმავე დროს მისი ისტორიის განსახიერება. როგორც აღვნიშნეთ, საჯარო ბიბლიოთეკა 1810 წლიდან რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ყველა გამოცემის სავალდებულო ცალებს ღებულობდა, მათ შორის ქართულსაც. ამიტომაც რევოლუციამდელი ქართული ბეჭდვითი წყაროები მის წიგნსაცავებში უფრო სრულად არის წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს ბიბლიოთეკებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1941 წ., როდესაც საქართველოს წიგნის პალატამ კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად 18 დიდი ბიბლიოთეკის ფონდების მიხედვით შედგენილი „ქართული წიგნის“ („ბიბლიოგრაფია“, ტომი პირველი, 1629-1920 წწ.) რეპერტუარი გამოუშვა, მარტო ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკამ დამატებით მისცა 800-მდე სახელწოდების წიგნი, რომლებიც სხვა 17 ბიბლიოთეკაში არ მოიპოვებოდა. ქართული ფონდების ასეთი სისრულე მკითხველების ყურადღებას ყოველთვის იქცევდა.

მე-19 ს. განმავლობაში პეტერბურგში მოსწავლე ან მოღვაწე ქართველი ინტელიგენტები საინტერესო წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ამ ბიბლიოთეკაში ეცნობოდნენ. მათ შორის ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ივ. თარხნიშვილი და სხვანი. პირველი ქართველი აკადემიკოსი, თეიმურაზ ბატონიშვილიც ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო, იქ მუშაობდა იმ ხანებში მისი ახლო მეგობარი, ცნობილი ბიბლიოგრაფი ვ. გ. ანასტასევიჩი (1775-1845). ბიბლიოთეკის საჯაროდ გახსნის პირველ დღეებშივე პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველი ბატონიშვილების ერთმა ჯგუფმა სპეციალური ვიზიტიც კი გაუკეთა ბიბლიოთეკას, მთლიანად დაათვალიერა მისი მდიდარი წიგნსაცავები და დი-

დებული სამკითხველო დარბაზები. თეიმურაზ, ბაგრატ და ვახტანგ ბაგრატიონები 1814 წლიდან სისტემატურად ეწვეოდნენ ხოლმე ბიბლიოთეკას. 1814 წ. 2 იანვარს ბიბლიოთეკის საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში საგანგებოდ მოწვეულ 214 სტუმარს შორის პეტერბურგში იმხანად მცხოვრები გორის ეპისკოპოსი დოსითეოსიც (ერის კაცობაში დიმიტრი ფიცხელაური) იჯდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ლენინგრადში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა ცოდნის მთავარ წყაროს ყოველთვის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში პოულობდა. ბევრ ქართველ მეცნიერს აქ დაუმუშავებია თავისი შრომები, დისერტაციები.

მარტო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკის შტატში ქართველებიდან სხვადასხვა დროს მუშაობდნენ კიტა მეგრელიძე, ირაკლი ანდრონიკაშვილი, ელენე ჩარკვიანი, ალ. კობახიძე, ქეთო ფოფხაძე, შალვა გულუა, ნიკოლოზ წიკლაური და სხვები. აკად. ნ. მარი ხომ 1924-1931 წწ. ამ ბიბლიოთეკა-გოლიათის დირექტორი იყო და იმავე დროს — საბჭოთა ხალხთა ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილების გამგე. ამ სტრიქონების ავტორიც 26 წლის მანძილზე მოღვაწეობს ხსენებულ ბიბლიოთეკაში, აქედან წავიდა მოხალისედ სამამულო ომში, აქ დაამთავრა ასპირანტურა და მისივე კედლებში მიიღო პირველი მეცნიერული ნათლობა, ბიბლიოთეკის ასპირანტურა დაამთავრა ქეთევან ფოფხაძემაც. ამ ბუმბერაზ სამეცნიერო ტაძარში, რევოლუციამდეც სხვადასხვა დროს ქართველოლოგებიდან შტატში ან შტატგარეშე კონსულტანტებად მუშაობდნენ გამოჩენილ მეცნიერები მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი, ი. ყიფშიძე, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, კარპეზ დონდუა, აკაკი შანიძე და სხვანი.

თანახმად ბიბლიოთეკის წლიური საანგარიშო მოხსენებებისა, 1855—1962 წლების განმავლობაში საბჭოთა ხალხების ლიტერატურის განყოფილებიდან (ყოფილი აღმოსავლური განყოფილება) მკითხველებზე სულ გაცემულა 642.942 დაც-

ვითი ერთეული წიგნი, ჟურნალი და გაზეთი. აქედან საშუალოდ ყოველთვის წიგნთა გაცემის 8-10 პროცენტი მოდიოდა ქართულ ფონდებზე, რაც რიცხობრივად 52.000-დან 64.300-მდე დაცვითი ერთეულს შეადგენს. თუ პერიოდული გამოცემების დაცვითი ერთეულების მკითხველებზე გაცემას ნომრებში გადავიტანთ, მაშინ მათი რიცხვი მილიონს აღემატება. 1810-1854 წლებში გაცემული ბეჭდვითი წყაროების რაოდენობა ბიბლიოთეკის წლიურმა საანგარიშო მოხსენებებმა არ შემოგვინახა და ამიტომ არ ვიცით, თუ რამდენი დაცვითი ერთეული იყო გაცემული. ყოველ შემთხვევაში რევოლუციამდელი ქართული ფონდების გაცემა 3.000-მდე დაცვითი ერთეულზე ნაკლები მაინც არ იქნებოდა. ქართველი ავტორების რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნების, კითხვა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში დაიწყო მისი საჯაროდ გახსნის პირველივე დღეებიდან. მკითხველთა შორის ფართო პოპულარობით სარგებლობდნენ ქართული ენიდან რუსულად თარგმნილი: „Похождение новомодной красавцы принцессы Гуланданы и храброго принца Барама. Сочиненное Диларгетом секретарем Тифлисским, а переведено с грузинского языка Московского университета информатором Семеном Игнатьевым“. (СПб., 1773, 144 стр.), ალ. ამილახვრის ისტორიული მემუარები, (История георгианская о юноше князе Амилахварове.. СПб., 1779), ქუთაისელი ბრმა მუსიკოსის სიმღერა ეკატერინე II-ზე (Грузинская песнь слепого певца...») და სხვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოები ქართულიდან რუსულ ენაზე გადაიღო იმ დროისათვის კარგად ცნობილმა მთარგმნელმა სიმონ იაგორის ძე ეგნატაშვილმა (დაწვრილებით მის შესახებ იხ. „ერთი უცნობი ქართულ-რუსული ლექსიკონი“ აქვე).

„Похождение“-ს მთლიანი სახელწოდება განგებ მოვიყვანეთ, რადგანაც იგი ქართულ ლიტერატურულ წყაროებში დღემდე უფრო ბიბლიოგრაფიული მონაცემებით არის ცნობილი, ვიდრე თვით წიგნის ხილვით (კ. კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, — ყველა გამოცემა). რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის თავფურცელზე გარკვევით არის ნათქვა-

მი, რომ ქართული ორიგინალის შემთხზველი, თბილისელი ეპიკვანი დილარგეთიაო. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით კი, „ფარსადანის ძემ ნოდარ გალეკსა სპარსთა მეფისა ბარამგურისა ისტორია“ (ძველი საქართველო, ტ. 1, თბ., 1909, განყ. 3, გვ. 29). ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ რუსულ ენაზე პროზითა და ლექსით თარგმნილი „ახალმოდური ტურფა სეფექალი გულანდანისა და მამაცი უფლისწული ბარამის თავგადასავალი“ ნაწილობრივ აერთიანებს „ბარამ-გულანდამიანისა“ და „ბარამ-გულიჯანიანის“ ქართულად გავრცელებული ვარიანტების შინაარსს. ზ. ჭიჭინაძისა და ი. აბულაძის მიერ აღნიშნული რომანების გაიგივება, რისთვისაც მათ კ. კეკელიძე აკრიტიკებს, შეიძლება რუსულ ენაზე გამოცემული ამ წიგნით იყო გამოწვეული ან კიდევ მისი ქართული დედნით. ალბათ, ქართულად არსებობდა გაერთიანებული ვარიანტი, თორემ ისე აბა საიდან გადათარგმნიდა სიმონ ეგნატაშვილი ხსენებულ წიგნს. ეს საკითხი უთუოდ სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

1817 წ. ბიბლიოთეკაში რუსულ ენაზე წაკითხული წიგნების ავტორთა სიაში (1817 წ. ანგარიში, სპბ., 1818. გვ. 144-156) ქართველებიდან დასახელებულ არიან ვახტანგ ირაკლის ძე ბაგრატიონი (1761-1814), იაგორ გაბრიელის ძე ჭილაშვილი (ეგორ ჭილიაევი დაბ. 1790 წ.) და მწერალი და ჟურნალისტი პეტრე ივანეს ძე შალიკაშვილი (შალიკოვი, 1768-1852). ვახტანგ ბაგრატიონის ნაშრომებიდან რუსულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული იყო „Письма грузинского царевича Вахтанга Ираклиевича. Перевел с грузинского Егор Чиляев“ (СПб., 1812, 36 стр., სულ შიგ 12 წერილია და „Обозрение истории грузинского народа“ (СПб., 1814, 8-85 стр.). იმ დროს თარგმნილი ნაწარმოებების გარდა სამი პატარა წიგნი რუსულ ენაზე იაგორ ჭილაშვილსაც ჰქონდა გამოცემული (1812, 1813 და 1817 წწ.), ხოლო პეტრე შალიკაშვილი კი რამდენიმე წიგნისა და სტატიის ავტორი იყო.

ცნობები იმის შესახებ, თუ რა და რა ქართული წიგნი იკითხებოდა 1814-1900 წწ. ბიბლიოთეკაში და, კერძოდ, რომელი წლიდან დაიწყო მათი მკითხველებზე გაცემა, ჩვენამდე

არ შემონახულა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბიბლიოთეკის საჯაროდ გახსნამდე იქ უკვე ქართული წიგნები და ხელნაწერები მოიპოვებოდა, ხოლო 1810 წლიდან ბიბლიოთეკა ყველა ქართული გამოცემის სავალდებულო ცალებს ღებულობდა. ამიტომ უდაოდ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ქართული წიგნების მკითხველებზე გაცემა ბიბლიოთეკაში 1814 წლიდან დაიწყო, მათი პირველი მკითხველები იყვნენ ეპისკოპოსი დოსითეოსი (ფირცხელაური), თეიმურაზ და ბაგრატ ბაგრატიონები და სხვანი, ხოლო ქართული პერიოდიკის გაცემა კი — თავიდანვე წარმოებდა ბიბლიოთეკაში. მაგალითად, მკითხველებზე ისეთი ჟურნალ-გაზეთების გაცემას, როგორიც იყო „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“ და „დროება“ ბიბლიოთეკის გასული საუკუნის წლიურ ანგარიშებში ხშირად იხსენიებენ.

ქართული წიგნები იმთავითვე იკითხებოდა არა მარტო ბიბლიოთეკის დარბაზებში, არამედ პეტერბურგის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში, აგზავნიდნენ სხვა ქალაქებშიც. ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილ გამოფენებზეც ქართულ ბეჭდვით წყაროებს ყოველთვის საპატიო ადგილი ეკავა. გამოფენებს აწყობდნენ როგორც ბიბლიოთეკაში, ისევე მის გარეთ. ასე, მაგალითად, 1895 წ. ს. პეტერბურგში მოწყობილ „ნაბეჭდი წიგნების პირველ სრულიად რუსეთის გამოფენაზე“ ბიბლიოთეკის ფონდებიდან ექსპონირებულ იყო სულ 83 წიგნი და ჟურნალი. აქედან 40 სახელწოდების რუსული, 13—სომხური, 4—თათრული, 3—თურქული, 5—სხვადასხვა ენებზე, 18 წიგნი კი ქართული იყო. აი, რუსულ ენიდან თარგმნილი ქართული წიგნების სია (მართლწერა ორიგინალებისაა):

1. ლოცვანი. ტფილისი, 1710; 2. თქმულების ცოდნის წიგნი. ტფილისი, 1721; 3. ზატიკი. მოსკოვი, 1738; 4. ბიბლია. მოსკოვი, 1743; 5. იოანე დამასკელის გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა. მოსკოვი, 1744; 6. ჟამნი. მოსკოვი, 1768; 7. გაიოზის გრამატიკა. კრემენჩუკი, 1789; 8. სახარება. ტფილისი, 1791; 9. დავით ბაგრატიონის ნარკვევი. ტფილისი, 1800; 10. სადღესასწაულო. მოსკოვი, 1805; 11. გამოკრებული სადღესასწაულო. წესი, 1811; 12. სა-

მოციქულო. საჩხერე, 1815; 13. ჰეშმარიტნი ისტორიულნი დამტკიცებანი ნამდვილმყოფობისა ქრისტესი ქვეყანასა ზედა. ს.-პეტერბურგი, 1819; 14. ღეოგრაფიული ლექსიკონი ახლისა აღთქმისა... ს.-პეტერბურგი, 1824; 15. ვრცელი კატეხისმოი. მოსკოვი, 1827; 16. სოლომონ დოდაშვილის ქართული გრამატიკა. ტფილისი, 1930; 17. ა. სულხანოვის მეტოდური ლექსიკონი ქართველ-ფრანციცულ-რუსსული... ს.-პეტერბურგი, 1839; 18. ახალი აღთქმა. მოსკოვი, 1816.

ეს სია 1895 წ. 16 თებერვალს შეუდგენია აღმოსავლური განყოფილების გამგეს პროფ. ვ. დ. სმირნოვს, რაზედაც ხელს აწერს, ხოლო გამოფენის კომიტეტის წევრებიდან კი ხელს აწერს ხრ. ლოპარევი. ვახტანგ VI მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი", როგორც ჩანს, იმ ხანებში გამოფემაზე არ გაუგზავნიათ, თუმცა შემდეგ რამდენჯერმე იყო ექსპონირებული ბიბლიოთეკასა და ერმიტაჟში.

ყურადღების ღირსია 1900-1917 წლებში გაცემული ქართული ბეჭდვითი წყაროების სტატისტიკა. როგორც აღვნიშნეთ, ამ 18 წლის მანძილზე სულ გაცემული იყო 1.346 დაცვითი ერთეული ქართული წიგნი, ჟურნალი და გაზეთი. წლების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს: 1900 წ.—2, 1901 წ.—120, 1902 წ.—39, 1903 წ.—74, 1904 წ.—63, 1905 წ.—23, 1906 წ.—26, 1907 წ.—76, 1908—166, 1909 წ.—81, 1910 წ.—93, 1911 წ.—154, 1922 წ.—123, 1913 წ.—221, 1914 წ.—68, 1915 წ.—13, 1916 წ.—3 და 1917 წ.—1. წარმატება განსაკუთრებით 1901 და 1907-1913 წლებზე მოდის (როგორც სტატისტიკური მონაცემები, ისევე სხვა ცნობები ხანგრძლივი შუშაობის შედეგადაა მოპოვებული, დამყარებულია საარქივო მასალებზე და პირველად ქვეყნდება).

თემატურ-დარგობრივი თვალსაზრისით ბრუნვაში მყოფ 1346 დაცვითი ერთეულიდან 18 წლის განმავლობაში გაცემული იყო: „მოამბე" — 455 ერთეული, „ივერია" — 276, „ქვალი" — 100, „კრებული" — 77, „დროება" — 25, „მნათობი" — 23 და ასე შემდეგ. „ვეფხისტყაოსანი" 10 ჯერ გაიცა, ალ. ყაზბეგის თხზულებანი — 26 ჯერ, ი. ჭავჭავაძისა — 21, მ. ბროსეს „საქართველოს ისტორია" — 20, დ. ჩუბინა-

შვილის ლექსიკონები — 22-ჯერ, ქართლის ცხოვრება — 8 ჯერ, თ. ჟორდანიას „ქრონიკები"... — 7 ჯერ და სხვა. ასევე ხშირად იკითხებოდა სიმ. ღოღობერიძის „საქართველოს ისტორია", ალ. ჰყონიას „ისტორიული ნარკვევი", სილ. ხუნდაძის „ლექსები", დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორია", ი. გოგებაშვილის „დედა ენა" და „ბუნების კარი", მამია გურიელის თხზულებანი, მ. ჯანაშვილის, „საქართველოს ისტორია", გრ. ორბელიანის, აკაკი წერეთლის, ე. ნინოშვილის, ნ. ბარათაშვილის, დ. გურამიშვილისა და სხვა ქართველ ავტორთა თხზულებანი. იმავე წლებში ქართული ფონდიდან ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში გაიცა: ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია", სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია", ან. ფურცელაძის „საქართველოს ისტორია", თეიმურაზ და არჩილ მეფეების მხატვრული ქმნილებანი, უილიამ შექსპირის ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ოტელო", ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი", ავქსენტი ცაგარლის დრამატული თხზულებანი, მაჩხანელის (დიმ. ნადირაძის) ლექსები, დიმ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა", დ. ჭონქაძის „სურამის ციხე", ალ. ხახანაშვილის „გურჯები" და „ბატონყმობა საქართველოში", პ. იოსელიანის „გიორგი XIII", იოანე რუისის მიტროპოლიტის მიმოსვლა ანუ მგზავრობა, ბაქარის მიერ მოსკოვში გამოცემული ბიბლია (1743 წ.), გობრონ (მიხეილ პავლეს ძე) საბინინის „საქართველოს სამოთხე" და ზოგი სხვა ავტორის მხატვრული, საისტორიო და სასულიერო წიგნები.

ქართული პერიოდული გამოცემებიდან ბიბლიოთეკაში ხშირად იკითხებოდა: „ივერია" (1877-1906), „მოამბე" (1884, 1894-1905), „მწყემსი" (1883-1910), „კვალი" (1893-1904), „კრებული" (1871-1873). „დროება" (1855-1866), „შრომა" (1881-1883); „საქართველოს სასულიერო მახარებელი" (1864-1868), „ცნობის ფურცელი" (1896-1906), „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება" (1901-1906), „ჯეჯილი" (1890-1917), „მოგზაური" (1901-1905), „ნობათი" (1883-1885), „მნათობი" (1869-1872), „ცისკარი" (1858-1875), „იმედი" (1881-1883), „საქართველოს მოამბე" (1863), „შრომა" (1906),

„ელვა“ (1906), „გუთნის დედა“ (1861-1876), „ისარი“ (1907-1908), „განათლება“ (1908-1917), „კოლხიდა“ (1911-1913), „თემი“ (1911-1915), „თემის სურათებიანი დამატება“ (1912-1913), „სახალხო გაზეთი“ (1910-1914), „სიტყვა“ (1906), „ტალღა“ (1906), „გზა“ (1906-1907), „გრიგალი“ (1906), „ჩვენი ცხოვრება“ (1906), „მეურნე“ (1888-1898), „ნაკადული“ (1904-1917), „ცხოვრება და ხელოვნება“ (1910-1911), „სიმართლე“ (1906), „სახალხო გაზეთი“ (1868-1880), „დრო“ (1907), „დილა“ (1907), „მიწა“ (1906-1908), „ახალი დროება“ (1906), „ახალი ცხოვრება“ (1906), „განთიადი“ (1906), „ზარი“ (1906-1907), „ლამპარი“ (1906), „მეგობარი“ (1906-1907), „თეატრი“ (1885-1891), „ჩვენი გზა“ (1907), „ჩვენი ქვეყანა“ (1908),. „ცხოვრების სარკე“ (1908). „ალიონი“ (1908), „ჩვენი კვალი“ (1908), „ხომლი“ (1908), „შურდული“ (1908), „ეკალი“ (1908), „იმედი“ (1908), „ნაპერწკალი“ (1906 წ. და 1908 წ.), „ალი“ (1908), „დასაწყისი“ (1908), „ბათუმის გაზეთი“ (1911-1914) და „ნიშადური“ (1907-1908).

ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ჩვენ აქ დავასახელეთ მხოლოდ და მხოლოდ ის ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც იმდროინდელმა ძუნწმა სტატისტიკურმა მონაცემებმა — განყოფილებიდან გაცემული ბეჭდვითი წყაროების აღმნუსხავმა დავთარმა — დღემდე შემოგვინახა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამით არ შემოისაზღვრებოდა 1900-1917 წწ. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში ქართულ ენაზე გაცემული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთის საერთო რიცხვი, ასევე მათი სახელწოდებანი, რასაკვირველია, მათი რაოდენობა უეჭველად უფრო მეტი იყო.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), სოციალ-ფედერაციული, ანარქისტული და ეროვნული მიმართულების ორგანოების გვერდით მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას პროგრესული ქართული პერიოდიკა და ბოლშევიკური გამოცემები იპყრობდნენ. ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ საგრძნობლად გაზარდა ქართულ წიგნებსა და პერიოდულ პრესაზე მოთხოვნილება. ქართველი მკითხველები სტოლიპინის რეა-

ქციის (1907-1910 წწ.) დროსაც კი ახერხებდნენ პეტერბურგში ქართული ბოლშევიკური გაზეთების „ახალი ცხოვრების“, „ახალი დროებისა“ და „დროს“ კითხვას, კითხულობდნენ აგრეთვე ორივე ფრაქციის ორგანოების — „განთიადი“, „ელვა“ და სხვა გამოცემებს.

სტოლიპინის პოლიტიკის მოსალოდნელმა კრახმა და ახალმა რევოლუციურმა აღმავლობამ (1910-1914 წწ.) მასებში ახალი რევოლუციური სულისკვეთების ზრდა გამოიწვია. ამან თავისი შესამჩნევად დადებითი როლი ითამაშა თვით ქართული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების მკითხველთა ზრდაზე და წიგნთა გაცემაზე.

1918-1930 წლების განმავლობაში ქართული ლიტერატურის გაცემამ საგრძნობლად იკლო ხსენებულ განყოფილებაში მოთავსებულ სხვა ენებზე არსებულ ლიტერატურასთან ერთად. ასე, მაგალითად, 1918-1930 წწ. მანძილზე განყოფილებიდან სულ გაიცა 3.491 დაცვითი ერთეული, მათ რიცხვში ქართულ ენაზე 94 სახელწოდების წიგნი, ჟურნალი და გაზეთი, რაც საერთო რაოდენობის 3% შეადგენდა. 1918-1920 და 1928-1930 წლების განმავლობაში რატომღაც არც ერთი ბეჭდვითი წყარო არ გაცემულა ქართულ ენაზე, რაც, ჩვენი აზრით, სტატისტიკის არა სისწორეს უნდა მიეწეროს, ვიდრე სინამდვილეს.

სამაგიეროდ, 1931-1962 საანგარიშო წლებში საბჭოთა ხალხთა ლიტერატურის განყოფილებიდან (იგი აერთიანებს ბეჭდვით პროდუქციას 86 ენაზე), გაიცა 604.788 დაცვითი ერთეული წიგნი, ჟურნალი და გაზეთი, რომელთა რიცხვიდან საშუალოდ ყოველ წლიურად 8%-დან 9%-მდე ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა მოდის, რაც რიცხობრივად 48.400-დან 60.478-მდე დაცვით ერთეულს შეადგენს. ასე, მაგალითად, 1962 წ. განყოფილებამ გასცა სულ 86.985 დაცვითი ერთეული, აქედან 7.666 ქართული იყო, რაც საერთო გაცემის 9% შეადგენს. მარტო ამ უკანასკნელი 32 წლის განმავლობაში სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში საშუალოდ მკითხველებზე გაიცა 54.439 სახელწოდების ქართული წიგნი, ჟურ-

ნალი და გაზეთი, ხოლო უკანასკნელ ხუთწლედში (1958-1962) კი 28.000 ერთეული. ლიტერატურის გაცემის თანდათანობითი ინტენსიური ზრდა კი იმას მეტყველებს, რომ მომავალში ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები უფრო საგრძნობლად ეფექტური გახდება.

ყურადღების ღირსია შემდეგი ციფრული მონაცემებიც: 1963 წლის 1 იანვრისათვის საბჭოთა ხალხების ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილებაში (რუსული, უკრაინული, ბელორუსული და ებრაული ენების გამოკლებით; პირველ სამ ენაზე არსებული ლიტერატურა რუსულ ფონდებშია დაცული, უკანასკნელ ენაზე არსებული კი — აღმოსავლურ-საზღვარგარეთულ ხალხთა ლიტერატურის განყოფილებაში) სულ დაცული იყო 917.445 წიგნი, ბროშურა, ჟურნალი, ჯგუფურად დამუშავებული მასალა და 6.225.800 ნომერი გაზეთი, მათ რიცხვში ქართული ფონდების ხვედრითი რაოდენობა შეადგენდა 53.000 წიგნსა და ბროშურას, 24.000-მდე ნომერ ჟურნალს, 4.000-მდე ჯგუფურად დამუშავებულ მასალასა და 500.000-მდე ნომერ გაზეთს, ერთი სიტყვით 86 ენიან საერთო განყოფილების ფონდებში ქართულ გაზეთებს 8% უჭირავს და სხვა სახის ბეჭდვითს პროდუქცია (81.000) კი — დაახლოებით 9% შეადგენს. ამრიგად, ქართული ფონდის ხვედრითი რაოდენობა, როგორც რიცხობრივად, ისევე მკითხველებზე გაცემით პროცენტულადაც შეეფერება განყოფილების მთლიანი ფონდების საერთო რიცხვს და მათ ბრუნვას.

ქართული ფონდისა და მის წიგნთა ბრუნვის 8-9 პროცენტი, რაც მეთორმეტე ნაწილს შეადგენს საბჭოთა ხალხების 86 ენაზე არსებულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს შორის, მართლაცდა, ღირსშესანიშნავი ფაქტია (ჟურნალ-გაზეთების ბრუნვა დაცვითი ერთეულების საზომით ისაზღვრება და არა ნომრებით). საჭიროა გავიხსენოთ, რომ ასეთი მასშტაბით ქართული ბეჭდვითი წყაროების გაცემა ხდება არა საქართველოში, არამედ ლენინგრადში.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების ნაშრომებიდან საბჭოთა ხალხების ენებზე არსებულ ლიტერატურის განყოფილებაში 1963 წლის 1 იანვრისათვის სულ წარმოდგენილი იყო

6.156 დაცვითი ერთეული. მათ რიცხვში ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებიდან 5.189 წიგნია 60 ენაზე, 967 წიგნი კი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებისა 43 ენაზე. 6.156 დაცვითი ერთეულიდან 491 წიგნი ქართულ ენაზეა (8%). ამ რიცხვში ვ. ი. ლენინის 370 ტომია (60 ენის 7,13%), მარქს-ენგელსისა კი 121 ტომი (43 ენის 12,5%). რაც შეეხება სხვადასხვა სახის მდიდარ ლიტერატურას მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების შესახებ — ასეთი ლიტერატურა განყოფილებაში თითქმის 80-მდე ენაზეა წარმოდგენილი.

ბეჭდვითი პროდუქციის გვერდით ბიბლიოთეკა 1812 წლიდან ქართული ხელნაწერების შეძენასაც დიდ ყურადღებას აქცევდა, რომლის დაწვრილებით მიმოხილვას სპეციალური სტატია ეძღვნება.

ქართული წიგნების კითხვა ლენინგრადში ამ გმირულ ქალაქის ალყის შემორტყმის დროსაც არ შეწყვეტილა. ბიბლიოთეკის თანამშრომლები თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით ეხმარებოდნენ ფრონტს საერთო მტრის დასამარცხებლად. ისინი ფართო მომსახურეობას უწევდნენ წიგნებით ლენინგრადის მამაც დამცველებს, მოქმედი არმიის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში მოთავსებულ დაჭრილ მეომრებს, საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მარტო 1941-1943 წლებში საბჭოთა ხალხთა ლიტერატურის განყოფილებიდან გაიცა 23.217 დაცვითი ერთეული ბეჭდვითი წყარო, რომელთა შორის 2.000-მდე ქართული წიგნი, ჟურნალი და გაზეთი იყო. ამის საილუსტრაციოდ შალვა დადიანის „წიგნი პირველის“ (თბ., 1939) ფურცლებზე შემორჩენილი იმდროინდელი შემდეგი ლაკონური მარგინალი მეტყველებს. ხსენებულ წიგნის 43-ე გვერდზე, სადაც დაბეჭდილია პატარა ნოველა „წინეთ და ახლა“ წამკითხველს, — ა. გ. ხოკრიშვილს, — ასეთი მინაწერები გაუკეთებია ფანქრით დაბლითა არშიაზე: „წაკითხული მაქვს წინეთ და ეხლა. 10 მარტი 1942 წელი“. მე-90 გვერდზე კი იმავე ხელით და იმავე ქიმიური ფანქრით თავისი მისამართი ჩაუწერია: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, თბილისი, კასპის რაიონი, სადგური კასპი, სოფელი ლამისყანა, ალექსანდრე გიორგის ძე ხოკრიშვილი“.

ეს მინაწერი, რომელიც ჩვენი აზრით, ალყაშემორტყმული ლენინგრადის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მყოფ საბჭოთა მეომარს უნდა გაეკეთებინოს, ჩვენ ვიპოვნეთ ამ 15-17 წლის წინათ, მაგრამ მხოლოდ 1963 წ. 17 მაისს გავბედეთ ადრესატისთვის წერილით მიმართვა. ჩვენი წინათგრძნობა გამართლდა. 1939 წ.საბჭოთა არმიაში გაწვეული ლამისყანელი ბუხჰალტერი ა. გ. ხოკრიშვილი სამხედრო ოფიცრის ხარისხით მამაცურად იცავდა ალყაშემორტყმულ ლენინგრადს, იქიდან უკუგდებულ მტერს კვალდაკვალ. მის ბუნაგამდე მისდევდა, 1944 წელს კი, როგორც ეს გვაცნობა ჩვენი წერილის საპასუხოდ მისმა ბიძამ დედის მხრივ, ნაყიდა ვასილის ძე ხადურმა, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

აი, კიდევ მეორე ანალოგიური ნიმუში სამამულო ომის ქარტეხილიდან. თბილისელ მკვიდოს, საბჭოთა არმიის მებრძოლს ალყაშემორტყმულ ლენინგრადში წაუკითხავს მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის პომპადურების ქართული თარგმანი (თბ., სახელგამი, 1937) და წიგნის თავისუფალ ფურცლებზე ასეთი წარწერები გაუკეთებია: „Грикуров გრიქუროვი; წავიკითხე და არა საინტერესო პომპადურების ცხოვრება და მეტი არაფერი“ და „Помпадуры“ წავიკითხე 11. 10. 1941 წელს ქალაქ ლენინგრადში გოსპიტალში წოლის დროს. გრიქუროვი გრიშა ნიკოს ძე, ქ. თბილისი, ნახალოვკა, დიდი ჯიხაიშის ქუჩა № 122“ (გვ. 302).

ვფიქრობთ, ეს ლაკონური მინაწერები უკომენტაროდაც გასაგებია. გრიშა ნიკოს ძე გრიქუროვის პიროვნების შემდგომ ძიებას ჩვენ ვეღარ შევუდექით, დე, თვითონ გამოეხმაუროს.

ასეთია მოკლედ საარქივო მასალებზე აგებული მიმოხილვა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ბეჭდვითი წყაროების რაოდენობისა, მისი მკითხველების, გაცემაბრუნვის თანდათანობით ზრდისა და მათთან ქართველების დამოკიდებულების შესახებ ამ 150 წლის მანძილზე.

ამ ძუნწსა, მაგრამ მკაფიო ციფრებში ჩაქსოვილია ადამიანთა რამდენიმე თაობის ცხოვრება, ადამიანებისა, რომელთა სახელებიც უთუოდ ხსენებული ფონდების წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების ისტორიასთან არის დაკავშირებული.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები

სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ბიბლიოთეკის 1808-1812 წლების საანგარიშო მოხსენებაში დასახელებულია ერთი ქართული და ორი სომხური ხელნაწერი (1808-1812 წწ. ანგარიში, სპბ., 1813, ტაბულა № 11), რომლებიც ჩუქების სახით შემატებია ბიბლიოთეკას 1808-1812 წწ. სამწუხაროდ, ხელნაწერის სახელს „ანგარიში" არ ასახელებს და ამიტომ არ ვიცით, თუ რას წარმოადგენდა იგი, არაა მოხსენებული შემომწირველიც. მეორეჯერ, 1817 წ. ობერ-ბერგ-კაუპტმანისაგან ბიბლიოთეკამ შეიყიდა ფროლოვის ხელნაწერთა კოლექცია 24 ენაზე, რომელთა შორის ქართულად იხსენიება „პერგამენტის 114 ფურცელზე დაწერილი, ფერადი საღებავებით ილუსტრირებული ცხოვრება იესო ქრისტესი და სხვა იშვიათი წერილები 7 ენაზე ერთ პორტფელში და მათ შორის ქართულ ენაზეც" (1817 წ. ანგარიში, სპბ., 1818, გვ. 59 და ტაბულა № 7).

ბეჭდვითი წყაროები თუ უმთავრესად სავალდებულო ეგზემპლარებით იკომპლექტდებოდა, სამაგიეროდ, ქართული ხელნაწერების შეძენას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა: სხვადასხვა პირთა შეწირულება, სამხედრო ნადავლი და, ბოლოს, ნაღდ ანგარიშზე შეძენა.

რამდენიმე ქართული ხელნაწერი შემოსული უნდა იყოს რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1828-1829 წწ.), როდესაც გამარჯვებულმა რუსეთის ჯარმა აიღო ქ. არდებილი და მოპოვებულ ხელნაწერთა მდიდარი ნადავლი პეტერბურგს გადაგზავნა. ბიბლიოთეკასვე 1829 წ. გადაეცა ახალციხის ახმედის

მეჩეთში მიკვლეული 300-მდე იშვიათი ხელნაწერი და ძველი ბეჭდური წიგნი. იმავე წლის ბოლო რიცხვებში ბიბლიოთეკაში შემოვიდა რამდენიმე ძველი ნაბეჭდი წიგნი და ხელნაწერი, რომლებიც დაღესტანსა და არზრუმში იყო შესყიდული. მართალია, იმდროინდელი ბეჭდვითი წყაროები, როგორიც იყო „ტფილისის უწყებანი“ (ქართულად 1828-1829 წლების ნომრები, რუსულად 1828 წ. №№ 2, 14, 16 და 1829 წ. № 46), „სანკპეტერბურგსკიე ვედომოსტი“ (1830 წ. №№ 10, 17, 20, 23 — ფრენის წერილი ახალციხის ახმედის მეჩეთში შეძენილი ხელნაწერების შესახებ), „ს. პეტერბურგის ჟურნალი“ (ფრანგულ ენაზე, 1828 წ. №№ 80-81), „საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკა ასი წლისთავზე“ (სპბ., 1914) და ზოგიერთი სხვა საარქივო მასალა, ხსენებულ ხელნაწერთა კოლექციებს უმთავრესად არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებს მიაკუთვნებდნენ, მაგრამ, ჩვენი დასკვნით, მათ რიცხვში რამდენიმე ხელნაწერი უთუოდ ქართულ ენაზეც იყო: 1828-1829 წწ. ბიბლიოთეკაში შემოსული ზემოდასახელებულ ხელნაწერთა კოლექცია იმავე წლებში გაარჩიეს და ენების მიხედვით დაამუშავეს ხ. დ. ფრანმა, მ. დ. ტოპჩიბაშევმა, ფ. ბ. შარმუამ, ო. ი. სენკოვსკიმ და დემანჟმა, რისთვისაც მათ მიიღეს ჯილდოები: ფრენმა 3000 მანეთი, ტოპჩიბაშევმა 1500 მანეთი, შარმუამ — ბრილიანტის თვლით მოჭედილი ბეჭედი. შემდეგ დადგინდა ხელნაწერთა ბეჭდვითი კატალოგის გამოცემა ფრანგულსა და რუსულ ენებზე. მართლაც, აღმოსავლეთის მცოდნემ, აკად. ბ. ა. დორნმა, 1852 წ. ფრანგულად გამოსცა 763 გვერდიანი „საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული აღმოსავლური ხელნაწერებისა და ქსილოგრაფების კატალოგი“.

ამ ნაშრომში შესულია მასალა 25 ენაზე. ქართული. ხელნაწერებიდან თეოლოგიაში დასახელებულია „სულიერი სწავლანი“, „დაუჯდომელი“, „კლიტე“ და სხვა — სულ 7 წიგნი; ფილოსოფიაში — ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ (1680 წ., 116 ფ.); ისტორიაში — ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“ (1808 წ., 656 ფ.) და ერთ პორტფელში მოთავსებული 68

ფურცელი წერილებისა, რომლებიც ირაკლი II, მის ოჯახის წევრებს, სოლომონ II, იმერეთის მეფე დავითს, ზაალ ორბელიანს და სხვა წარჩინებულ პირებს მიუწერიათ იაკობ რეინექსის, ა. ი. გულდენშტეტისა და იოსებ არღუთინსკისადმი. იქვე იხსენიება რამდენიმე პასპორტი და სიგელი, რომლებიც ასევე ირაკლი II უბოძებია რეინექსის, არღუთინსკისა და არეხოვისათვის; მათემატიკაში — დიმიტრი ციციშვილის თარგმანი ვიტენბერგის გერმანულ ენაზე დაბეჭდილი წიგნისა (64 ფ.); პოეზიაში — „არჩილიანი“ (273 ფ.) და ანტონ I „წყობილ-სიტყვაობა“ (154 ფ.), ხოლო განყოფილებაში მჭევრმეტყველება კი აღწერილია დავით ორბელიანის მიერ სპარსული ენიდან თარგმნილი „ყარამანიანი“ (216 ფ.) და ვახტანგ VI-ისა და ს.-ს. ორბელიანის მიერ სპარსულიდან ქართულად გადმოღებული „ქილილა და დამანა“ (1813 წ., 335 ფ.).

დორნის კატალოგში მოხსენიებული ზოგიერთი ქართული ხელნაწერის დაცვის ადგილად აზიის მუზეუმია დასახელებული, მაგრამ უმეტესობა მაინც საჯარო ბიბლიოთეკაში ინახებოდა. აზიის მუზეუმის ქართული ფონდები კი დორნმა დ. ჩუბინაშვილის კატალოგის მიხედვით აღწერა და თვითონვე გამოსცა 1846 წ. ფრანგულ ენაზე.

ბიბლიოთეკაში მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე საკმაო რაოდენობის ქართული ხელნაწერების დაგროვებას ისიც მოწმობს, რომ 1841 წ. ბიბლიოთეკის დირექციამ სპეციალურად მიიწვია აკად. მ. ბროსე და სთხოვა ამ ფონდის აღწერა. ბროსემ სამი წლის განმავლობაში მთლიანად დაამუშავა ქართული, სომხური და ჩინური ხელნაწერი და დაბეჭდილი წიგნები (იხ. ბიბლიოთეკის 100 წლისთავი და მ. ბროსეს პირადი საქმე ბიბლიოთეკის არქივში).

პირველი ქართული ხელნაწერები ბიბლიოთეკაში თითქოს 1808-1812 წლებში შემოვიდა, მაგრამ არის საბუთი ვიფიქროთ, რომ 1814 წ. ბიბლიოთეკაში უკვე სხვა ქართული ხელნაწერებიც ინახებოდა. ამას გვავარაუდებინებს ის ფაქტი, რომ 1814 წ. ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნის პირველივე დღეებში ხელნაწერების განყოფილებას სხვა მკითხველთა შორის თეი-

მურაზ ბაგრატიონიც დაესწრო სპეციალურად (იხ. 1814 წ. ანგარიში, სპბ., 1815, გვ. 12). 1815-1817 წლებიდან კი ბიბლიოთეკის ჩვეულებრივი სტუმრები იყვნენ თეიმურაზ, ბაგრატ და სხვა ქართველი ბატონიშვილები (იხ. 1815-1817 წლების ანგარიშები), რომელთა სახელები, როგორც უფლისწულებისა, ბიბლიოთეკის წლიურ ანგარიშში ყოველთვის საგანგებოდ იყო მოხსენიებული.

ყურადღების ღირსია ერთი ასეთი ფაქტიც: 1816 წ. ბიბლიოთეკის დირექტორს ალ. ოლენინს, ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს 11 წიგნი სხვადასხვა ენაზე და მათ შორის ქართულზეც. ამ წიგნებს შორის ყოფილა: „ოთხი ისტორიული, ერთი ფიზიკური, სამი დრამატული თხზულება და სამიც სხვადასხვა სახის წვრილმანი თხზულება რუსულ, ქ ა რ თ უ ლ[1], ფრანგულ და იტალიურ ენებზე“ (იხ. 1816 წ. ანგარიში, სპბ., 1817, ტაბულა III). შესაძლებელია, ხსენებულ 11 წიგნში ქართული ხელნაწერიც ერია.

დაბეჭდილი ქართული წიგნის ბიბლიოთეკაში შემოსვლის პირველი თარიღი ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ ათამდის სომხური წიგნის არსებობა ბიბლიოთეკაში პირველად 1795 წლიდან იხსენიება. ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, ქართული წიგნების დამკვიდრებაც იმავე წლებიდან უნდა ვიანგარიშოთ, როდესაც ძმები ზალუსსკებისა ყოფილი ბიბლიოთეკის 250.000-მდე ტომი ვარშავიდან პეტერბურგს გადაიტანეს. ამის საილუსტრაციოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 1629 წლიდან მოყოლებული 1800 წლამდე რომში, მოსკოვსა და თბილისში დაბეჭდილი ქართული წიგნები სრულად არის წარმოდგენილი საჯარო ბიბლიოთეკაში.

ვ. ვ. სტასოვისა და ბიბლიოთეკის დირექტორ მ. ა. კორფის ინიციატივით 1856 წ. ბიჭვინთის ტაძარში შეიძინეს XI საუკუნის იშვიათი ხელნაწერი სახარება ქართულ ენაზე, გიორგი მთაწმიდელის მიერ ათონის მთაზე შესრულებული. სხვათა შორის, დიდი ხნის განმავლობაში ეს სახარება ბიბლიოთეკაში ხან ბერძნულად და ხან სომხურად ცხადდებოდა. პირ-

[1] ხაზი ჩვენია, ა. ა.

ველი სწორი აღწერილობა ხსენებული ხელნაწერისა დ. ჩუბინაშვილმა მოგვცა.

ქართული ხელნაწერებისა და დაბეჭდილი ძველი წიგნების ყველაზე მდიდარი კოლექცია საჯარო ბიბლიოთეკამ 1880 წ. ი. გ. გრუზინსკიდან (ბაგრატიონიდან) შეისყიდა 8.000 მანეთად. საქართველოს უკანასკნელი მეფეების სამეფო კარზე წლების მანძილზე დაკომპლექტებული ეს იშვიათი კოლექცია შეადგენდა 538 ტომს, რომელთა შორის იყო: X-XIX სს. 361 დაცვითი ერთეული ხელნაწერი, XVII-XIX სს. 76 სხვადასხვა სახის აქტი და ავტოგრაფი, 101 ცალი 1709-1863 წწ. ძველი ნაბეჭდი ქართული წიგნი, კოლექციის ხელში ჩაგდება იმ დროს ევროპის ბევრმა სახელმწიფომ მოისურვა, მაგრამ აკად. მ. ბროსესა და მისი შვილის ლავრენტის უშუალო ჩარევამ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ დააგვირგვინა ეს საქმე. ხსენებული კოლექციისა და ზოგიერთი სხვა ხელნაწერების აღწერილობა პირველად პროფ. ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა 1886-1894 წწ. სამ წიგნად.

1883 წ. ბიბლიოთეკამ ეპისკოპოს პორფირიასაგან (უსპენსკისაგან) შეისყიდა 445 იშვიათი ხელნაწერი და ცალკეული ნაწყვეტი, რომელთა შორის ქართული ძეგლებიც იყო, სახელდობრ, „IX-X ს. ღვთის მსახურების წიგნი“, „968 წლის წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრება“ და „ორი ფურცელი VIII-IX ს. პაპირუსზე დაწერილი დავითნი“ (ბიბლიოთეკის 100 წლისთავი, გვ. 436-437). 1885 წ. ალექსანდრე III ბიბლიოთეკას შესწირა სამი ცალი უძველესი ქართული ხელნაწერი, რომელთა შორის ერთ მათგანს XIII-XIV ს. მიაწერენ (იქვე, გვ. 434). ცოტა მოგვიანებით მისგანვე ბიბლიოთეკამ მიიღო გ. ქართველიშვილის გამოცემული მშვენიერი მომწვანო ატლასის ოქროს ასოებით ამოქარგულ ყდაში ჩასმული „ვეფხისტყაოსანი“ და ი. მეუნარგიას მიერ რუსულ ენაზე მოკლედ მოთხრობილი მისი შინაარსი (1888 წ.). სხვათა შორის, ეს „ვეფხისტყაოსნის“ ამ მშვენიერი გამოცემის ის ეგზემპლარია, რომელიც გამომცემლებმა იმპერატორის მეუღლეს 1888 წ. თბილისში მიართვეს („ივერია“, 1888 წ., № 207).

ბიბლიოთეკამ 1892 წ. გრენისაგან შეიძინა 17 ქართული

ხელნაწერი, 1896 წ. კი მ. პ. საბინინისაგან — 27 ძველი ქართული ხელნაწერი და 23 ნაბეჭდი წიგნი. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ქართული ხელნაწერი ბიბლიოთეკას ჯერ კიდევ 1879 წ. შესწირა. საბინინის ქართულ ხელნაწერთა სრული კატალოგი 1900 წ. ნ. მარმა გამოაქვეყნა (იხ. 1896 წ. ანგარიში, სპბ., 1900). სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკას შემოსწირეს ქართული ხელნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნები დორნიმ, დავით ერისთავმა და სხვებმა.

ასე ნელ-ნელა ბეჭდვითი წყაროების გვერდით 1808 წ. მოყოლებული 1917 წლამდე ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდში ქართულ ხელნაწერთა რაოდენობა 601 დაცვით. ერთეულამდე გაიზარდა და შეიქმნა რამდენიმე კოლექცია: იოანე გრუზინსკისა (ბაგრატიონისა) — 360, გრენისა — 17, საბინინისა — 27, დორნისა — 3, ძველი ფონდისა — 11, ახალი სერიისა — 25, ავტოგრაფებისა — 5 და ოთხიც უსახელო ფონდისა — 153. აღნიშნულმა კოლექციებმა თავიანთი პირვანდელი სახელწოდებანი დღემდე შემოგვინახეს ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ქართული კულტურის ამ უძველეს საუნჯეს მრავალი ქართველი მეცნიერი იცნობს, ბევრ მათგანს მისი ფურცლების კითხვაში დაუღამებია პეტერბურგ-ლენინგრადში გატარებული საამოდ მოსაგონებელი დღეები.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. 29 აგვისტოს დადგენილებით 601 ქართული ხელნაწერიდან 220 დაცვითი ერთეული 1923 წ. 13 ივნისს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს გადაეცა. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ს. ი. ქავთარაძემ პეტერბურგს მიავლინა სპეციალური კომისია დ. ა. ჯღუაშიას, ი. თ. ჟორდანიასა და შ. ი. ამირანაშვილის შემადგენლობით, რათა სამშობლოში ჩამოეტანათ ქართული კულტურის ზოგიერთი ძეგლი. შ. ი. ამირანაშვილმა, ი. თ. ჟორდანიამ და ა. ნ. გენკომ ამოარჩიეს საჯარო ბიბლიოთეკაში 220 დაცვითი ერთეული ქართული ხელნაწერი და თბილისში გაგზავნეს. მათ შორის იოანე გრუზინსკის კოლექციიდან 179 დაცვითი ერთეული, გრენის — 8, საბინინის — 10, ძველი ფონდიდან — 11

და 12 ახალი სერიიდან. ამრიგად, 601 დაცვითი ერთეულიდან 220 საქართველოში გაიგზავნა, ხოლო 381 დღემდე ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება. სხვათა შორის, იმავე ხანებში ნაწილი ქართული ხელნაწერებისა სააზიო მუზეუმიდანაც გაიგზავნა საქართველოში. ხელნაწერთა აჩქარებით გაყოფამ ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია: ზოგიერთი ხელნაწერის დასაწყისი საქართველოში გაიგზავნა, ბოლო ნაწილი კი ადგილზე დარჩა და პირიქით.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკა პეტერბურგის უნივერსიტეტთან ერთად პირველივე დღეებიდანვე გადაიქცა იმის მსგავს კულტურულ სავანედ, როგორიც ქართველობას ერთ დროს ჰქონდა ათონის მთაზე (ივერი), სირიაში (შავი მთა), პალესტინაში (ჯვრის მონასტერი) და ბულგარეთში (პეტრიწონი).

ფ. ენგელსის პირველი წიგნი ქართულად

ფრიდრიხ ენგელსის „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, რომელიც ქართულ ენაზე გამოიცა თბილისში 1906 წელს, „ქართული წიგნის“ პირველ ტომში (თბ., 1941 წ.) ორჯერ არის ბიბლიოგრაფირებული და ორჯერვე შეცდომით. პირველად პ. სორსკის ავტორობით არის აღწერილი (ფსევდონიმებისა და ინიციალების გაშიფრვა ყველა ჩვენ გვეკუთვნის, ა. ა.) „პ. ს-სა. სამეცნიერო საუბარი (მეცნიერული სოციალიზმის წარმოშობა და განვითარება). თფილისი, „სხივის“ ამხ. გამოცემა, სტ. „ლამპარი“, 1906, კანი, 80 გვ. (20×15). (წიგნი 3). 15 კ.“ (იხ. გვ. 301, № 3227), ხოლო მეორედ იგივე წიგნი ანონიმურად ასეა აღწერილი: „სამეცნიერო საუბარი. თფილისი, „სხივის“ ამხ. გამოცემა, სტ. „ლამპარი“, 1906, კანი, 80 გვ. (19×14). (წიგნი 3). 15 კ.“ (იხ. გვ. 302, № 3253).

„ქართული წიგნის (ბიბლიოგრაფიის) შემდგენელ ავტორთა ჯგუფი შეცდომაში შეიყვანა თვითონ ბროშურის თავფურცელზე აღნიშნულმა სახელწოდებამ — „სამეცნიერო საუბარი“ და ინიციალებმა — „პ. ს-სა (ესე იგი პ. სორსკისა, ა. ა.).

სინამდვილეში კანისა და თავფურცლის შემდეგ ბროშურის ტექსტი ასეა დასათაურებული: „ს ო ც ი ა ლ ურ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა“ და შემდეგ მიდის ნაშრომის — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ — მთლიანი ტექსტი (გვ. 3-80). სხვათა შორის, „სამეცნიერო საუბრის“ თავფურცელზე მოთავსებული ინიციალები პ. ს-ს ა ბროშურის ეგზემპლარებში შემდეგში გაუქმებულია და ზევიდან ან ქაღალდის სუფთა ნაჭრები აქვთ დაკრული და

ან კიდევ ტუშით არის დაფარული. ინიციალები პ. ს-ს ა მხოლოდ თავფურცელზე არის მოთავსებული (გარე კანზე არაა) და შუქზე გახედვით ამოიკითხება.

ფ. ენგელსის ხსენებულ ნაშრომს რომ პ. სორსკისთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა, ამის შესახებ წიგნის გამოსვლისთანავე იმდროინდელმა ქართულმა ბოლშევიკურმა პრესამ აუწყა თავის მკითხველს. კერძოდ, გაზეთ „ახალი ცხოვრების“ 1906 წლის № 2-ში ვკითხულობთ: „გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნაკი: სამეცნიერო საუბარი (ფ. ენგელსი, განვითარება მეცნიერული სოციალიზმისა). გამოცემა „სხივისა“. ფასი 15 კაპ.“ იხ. დასახელებული გაზეთი, გვ. 3.

რუს სოციალ-დემოკრატის პ. სორსკის პოპულარული წერილები ქართველი მკითხველებისათვის უცხო არ იყო, მას კარგად იცნობდნენ პერიოდული პრესის საშუალებით და ქართულად გამოცემული შემდეგი მისი ორი ასეთი ბროშურით: 1. სორსკი, პ., რა გზით მივაღწევთ საზოგადო მეურნეობას, თარგმანი დ. მესხისა, ქუთაისი, ამხანაგობა „მიწა და თავისუფლებას“ გამოცემა, № 1, (1905), 32 გვ. (17×11) და 2. სორსკი პ., გზა სოციალიზმისაკენ, თარგმანი პ. ქ-ძისა (პ. ქარუმიძისა) თბილისი, „გუთნის“ გამოცემა, № 11, მ. ხელაძის სტ., 1906, 32 გვ. (18×14). ხსენებულ ბროშურებში ავტორი განსაკუთრებით ჩერდება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებზე და, კერძოდ, თავისებურ სუბიექტურ შეფასებას აძლევს ილინის (ვ. ი. ლენინის) კაპიტალურ ნაშრომს „სოციალიზმის (უნდა იყოს: „კაპიტალიზმის, ა. ა.) განვითარება რუსეთში“, რომელსაც ჯერ კიდევ 1899 წ. ივანე ლუზინმა ფსევდონიმით „Ъ“ გაზეთ „კვალში“ (№ 30, გვ. 511-512) მაღალი შეფასება მისცა ქართველი მკითხველების წინაშე და თვით ახალგაზრდა ავტორი — ილინიც ღირსეულად შეაქო.

შეიძლება ამით გამომცემლებს სურდათ ცენზურის თვალის ახვევა, ამიტომ ფ. ენგელსის შესანიშნავი შრომა პ. სორსკის უბრალო სამეცნიერო საუბრად მონათლეს და გამოსცეს ამ უკანასკნელის ფსევდონიმით და არა გაშიფრული გვარით.

საჭიროა აქვე ჩამოვთვალოთ ფ. ენგელსის ის შრომები, რომლებიც 1905-1906 წლების განმავლობაში გამოიცა

ქართულად. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფ. ენგელსის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკიდან", რომელიც 1905 წ. ქართულად ორ სხვადასხვა ვარიანტად ითარგმნა და დაიბეჭდა: პირველი გამოქვეყნდა 1905 წ. „ივერიის ბიბლიოთეკის პრემიის" № 4-ში სათაურით „საპოლიტიკო ეკონომიის კრიტიკა (თარგმანი რუსულით)" (გვ. 139-188). ჟურნალ კრებულის სარჩევში ნათქვამია „თარგმანი დ-სიო" (მ. დავითაშვილი). სხვათა შორის, „ქართული წიგნი" ასახელებს ამ ნაშრომს (გვ. 285, № 2984), მაგრამ რატომღაც მთარგმნელის ინიციალზე („დ-სი") არ მიუთითებს. მეორე ვარიანტი 1905 წ. 7 აგვისტოს გაზეთ „მოგზაურის" № 29-ში დაიბეჭდა (გვ. 468-469) სახელწოდებით „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა". თარგმანი დასრულებული არ არის და არც მომავალში დასრულებულა, თუმცა ტექსტის ბოლოში ნათქვამია „შემდეგი იქნებაო". არც ის არის აღნიშნული, თუ ვინ თარგმნა იგი და რომელი ენიდან. შეიძლება გაგრძელება იმიტომ აღარ დაიბეჭდა „მოგზაურში", რომ „ივერიის ბიბლიოთეკის პრემიაში" თითქმის ერთდროულად მთლიანად იყო გამოქვეყნებული „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკიდან" და იმავე დროს, ალბათ, მთარგმნელის — ალ. წულუკიძის — მოულოდნელმა სიკვდილმაც თუ შეუშალა მას ხელი (ალ. წულუკიძე გარდაიცვალა 1905 წლის 8 ივნისს).

ჩვენი დადგენით, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის" „მოგზაურში" გამოქვეყნებული ვარიანტის მთარგმნელი ალ. წულუკიძე უნდა იყოს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ტექსტის სტილი, დახვეწილი ქართული და, რაც მთავარია, მისი ორიგინალთან ზედმიწევნითი სიახლოვე. რაც შეეხება „ივერიის ბიბლიოთეკის პრემიაში" გამოქვეყნებულ თარგმანს — ეს ნამდვილად მიხ. დავითაშვილს ეკუთვნის, რაზაც თვით ფსევდონიმი — „დ-ს ი ც" ადასტურებს. იგი თარგმნიდა გერმანული, რუსული და სხვა ევროპული ენებიდან. მან თარგმნა ქართულად ფ. ენგელსის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკიდან" (1905 წ.), კ. კაუცკის „ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან" (1905 წ.), გ. კირსანოვის (გ. პლეხანოვის) „პატრიოტიზმი და სოციალიზმი" (1906 წ. და 1917 წ.)

და ზოგიერთი სხვა ავტორის ნაშრომები (იხილეთ ჩვენი წერილი — „რევოლუციის რაინდი", გაზ. „კომუნისტი", 1961 წ., № 156).

1906 წელს, თბილისში ქართულად ცალკე გამოიცა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა". სხვათა შორის, სტამბიდან ამაზე უფრო ადრე გამოვიდა მკითხველთათვის ნაკლებად ცნობილი ფ. ენგელსის „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ". ამ ფაქტს გაზეთ „ახალი ცხოვრების" 1906 წლის № 2-იც ადასტურებს. მართლაც, რაკი წიგნაკი, გაზეთის ცნობით, 21 იანვარს უკვე მაღაზიებში იყიდებოდა, მაშასადამე, ის 1905 წლის ბოლო რიცხვებში უნდა იყოს დაბეჭდილი. თუმცა აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი ასეთი არა დამაჯერებელი ცნობაც: ბროშურის თავფურცლის შიგნითა პირზე ცენზურის ნებართვა დათარიღებულია 1906 წ. 28 თებერვლით („ნებადართულია ცენზურის მიერ, 1906 წ. 28 თებერვალი, თბილისი", — ვკითხულობთ რუსულად). ეს უკანასკნელი უფრო ცენზურის თვალის ასახვევად თუ იყო გააზრებული. უეჭველად, ამავე მიზანს ემსახურებოდა წიგნისათვის სხვა სახელწოდების თავფურცლის დართვაც.

ისმება კითხვა: ვინ იყო მისი ქართულად მთარგმნელი? ძიებამ დაგვარწმუნა, რომ ფ. ენგელსის ნაშრომის — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ" — მთარგმნელიც ქართულად მიხეილ დავითაშვილია, ერთ-ერთი წევრთაგანი ბოლშევიკური გაზეთების („ახალი დროება", „ახალი ცხოვრება", „დრო") რედაქციისა. ფ. ენგელსის წიგნის ქართულად გამოცემა ხომ პირველად სწორედ გაზეთმა „ახალი ცხოვრებამ" აუწყა საზოგადოებას. ეს ფაქტიც უთუოდ ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. გარდა ამისა მიხ. დავითაშვილის სხვა თარგმანთა, განსაკუთრებით, მის მიერ თარგმნილი კ. კაუცკის („ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან") და ფ. ენგელსის წიგნთა („სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ") ერთიმეორესთან შედარებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ თრივეს მთარგმნელი ნამდვილად ერთი და იგივე პიროვნება იყო და ეს გახლდათ მიხ.

დავითაშვილი. როგორც ზემოთაც დავრწმუნდით, მიხ. დავითაშვილს არ უყვარდა თავისი გვარის გამხელა, იგი უფრო ფსევდონიმებით, კრიპტონიმებით, ინიციალებით, ან ხშირად ანონიმურად აქვეყნებდა თავის ორიგინალურ წერილებსა და თარგმანებს.

აღვნიშნავთ რამდენიმე საინტერესო დეტალს: ქართველი მკითხველი თავისი პერიოდული პრესის საშუალებით კარლ მარქსს იცნობდა 1871 წლიდან, ფრიდრიხ ენგელსს — 1895 წ., ვ. ი. ლენინს კი — 1899 წლიდან. დასახელებული წლებიდან მოყოლებული ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მათზე წერილები და სტატიები. მარქსის, ენგელსის, ლენინის კლასიკური შრომებიდან ამოწერილი ციტატებით სავსეა იმდროინდელი ქართული პრესა. გარდა ამისა, ადრიდანვე ბევრმა ქართველმა ლიტერატორმა და პარტიულმა მოღვაწემ მიუძღვნა მათ თავიანთი ორიგინალური და ნათარგმნი ნარკვევები. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ვლ. ახმეტელაშვილის მიერ დღემდე ამოუხსნელი un ami და Ami ფსევდონიმებით გამოქვეყნებული სტატიების სერია — „ისტორიული მეცნიერებიდან“ („კვალი“, 1901 წ., №№ 4, 5, 8, 11, 12, 16, 25), რომლის ავტორიც მაღალ შეფასებას აძლევს კომუნიზმის ფუძემდებლებს — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის — გენიალურ შრომებს.

ფრ. ენგელსის ქართულად გამოცემული წიგნი — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“—ერთხელ კიდევ მეტყველებს, რომ იმ დროისათვის ხშირად იცემოდა მოწინავე, პროგრესული იდეებით აღჭურვილი წიგნები შეცვლილი თავფურცლებით, სხვა სახელწოდებებით და სრულიად სხვა ავტორთა ჩვენებით. ამის მსგავსი მაგალითები მრავლად მოგვეპოვება რუსულ, ქართულ, ესტონურ და სხვა ენებზე. დღესაც მრავალი წიგნია საიდუმლოებით მოცული, სხვადასხვა ავტორთა გვარებს ამოფარებულები. ისინი მომავალ მკვლევრებს უცდიან, რათა ამეტყველდნენ თავიანთი ნამდვილი ავტორების გვარებითა და სწორი სახელწოდებებით.

აი, კიდევ მეორე, 1954 წ. ჩვენს მიერ გამოვლინებული არა ნაკლებ საყურადღებო ფაქტი. 1934 წელს ი. ბ. სტალინის „ლენინიზმის საკითხების“ მეათე რუსული გამოცემის მთლიანი ტექსტის თარგმანი ბურჟუაზიულ ესტონეთში ასეთი სახელწოდებით გამოვიდა ორ ნაწილად: 1. უნივერი[1], მ., პედაგოგიკა, ნაწილი II, სახელმძღვანელო, ტალინი, გამომცემლობა ა.-ს. „ვარრაკ“, (1934), 312 გვ. და 2. უნივერი, მ., პედაგოგიკა, ნაწილი 2, სახელმძღვანელო, ტალინი, გამომცემლობა ა.-ს. „ვრრაკ“, (1934), 404 გვ. უფრო მეტიც, „ლენინიზმის საკითხების“ ხსენებული გამოცემის ტექსტის დასაწყისი მ. უნივერის ადრე გამოცემული პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში დაბეჭდილი შესავლით იწყება (ორნახევარი გვერდი) და შემდეგ შეუმჩნევლად თვითონ წიგნის მთავარი ტექსტი მიჰყვება. საინტერესოა, რომ ი. ბ. სტალინის „„ლენინიზმის საკითხების“ ხსენებულ გამოცემას არც ერთი ესტონური ბიბლიოგრაფია არ ასახელებს.

ცენზურის თვალის ასახვევად ესტონელმა ბოლშევიკებმა სწორედ იმ ხერხებს მიმართეს, როგორც გაზეთი „ახალი ცხოვრების“ რედაქციის წევრებმა ფ. ენგელსის წიგნის გამოცემისას საქართველოში. 1907 წ. 28 მარტის ბოლშევიკური გაზეთი „დრო“ № 15 იტყობინება: „გამოვიდა და იყიდება „მშრომელთა ჯგუფის“ პირველი გამოცემა „ურიათა კითხვა“ კ. მარქსისა, თარგმანი იოსებ კაკაბაძისა. **იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდად პ. კალანდაძის თარგმანი „სამოთხე ამ ქვეყნათ უნდა იყვეს“** (ხაზი ჩვენია, ა. ა.). ეს წიგნი „ქართულ წიგნში“ (ბიბლიოგრაფიაში) არაა შეტანილი და ვერც სხვა გზით მივაგენით მის კვალს. ვინ იცის იქნებ ესეც. კ. მარქსის ან ფ. ენგელსის რომელიმე შრომის ფარული სახელწოდება იყო. სამწუხაროდ, გაზეთი მხოლოდ მთარგმნელს ასახელებს, ავტორზე არ მიუ-

[1] მ. უნივერი ცნობილი იყო როგორც პედაგოგი, მეთოდისტი, ესტონური სკოლებისათვის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი.

თითებს, ალბათ მის ავტორსაც კ. მარქსი ჰყავს მხედველობაში. მსგავსი სახელწოდების ნაწარმოები კ. მარქსის შრომებში არა ჩანს. პეტრე კალანდაძემ თავისი გვარის ხელმოწერით, ხან კი პ-ე კ.-ის ფსევდონიმით რამდენიმე წიგნი გადმოიღო ქართულად და ბევრიც სტატიების სახით გამოაქვეყნა (იხ. „ქართული წიგნი“, ტ. 1; გაზეთი „დრო“, 1907 წ. 8 აპრილის № 25), სხვათა შორის, იმ ხანებში თარგმანებზე ორი პ. კალანდაძე მუშაობდა. ერთი მათგანი იყო ცნობილი ქართველი ლიტერატორი — პოლიექტოს ანტონის ძე კალანდაძე (ირეთელი), რომელიც ირეთელს გარდა კიდევ 20-მდე სხვა ფსევდონიმს ატარებდა. იყო აგრეთვე ნაკლებად გახმაურებული, ჩუმი ლიტერატორი და მთარგმნელი პეტრე კალანდაძე. სწორედ მან თარგმნა წიგნი „სამოთხე ამ ქვეყნად უნდა იყოს“. სამწუხაროდ, ორი პ. კალანდაძის გაიგივეობამ „ქართული წიგნის“ შემდგენელნი შეცდომაში შეიყვანა, რადგანაც მათ პეტრე კალანდაძის ყველა თარგმანი პოლიექტოს კალანდაძეს მიაკუთვნეს, მაშინ როდესაც ერთი მათგანი „პოლ. კალანდაძისა“, მეორე კი „პ. კალანდაძის“ ხელმოწერით აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს.

ინტერესმოკლებული არ იქნება, მკითხველმა იცოდეს ის ფაქტიც, რომ 1907—1916 წლების განმავლობაში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომების ქართული თარგმანები რატომღაც ცალკე წიგნებად აღარ დაბეჭდილა. თითოეული მათგანის ოთხ-ოთხი ბროშურა ქართულად მხოლოდ 1905—1906 წლებში გამოიცა. კ. მარქსის წიგნაკი „ურიათა კითხვა“, თანახმად თავფურცელზე აღნიშნული თარიღისა სინამდვილეში 1906 წ. დაიბეჭდა და არა 1907 წელს, თუმცა გარე კანზე 1907 წ. აღნიშნული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომები გამოიცა ქართულად ერთი 1917 წელს, მეორე კი — 1920 წ. სამაგიეროდ 1906—

1920 წლებში კ. მარქსისა და ფ. ენგელსისადმი მიძღვნილი მრავალი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოები დაიბეჭდა. აქედან დავასახელებთ ზოგიერთს: კ. კაუცკი „რეფერატი კარლ მარქსზე“ (ბათუმი, 1906), მისივე „კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება“ (თბილისი, 1911, ფ. მახარაძის თარგმანი), „კარლ მარქსის გარდაცვალების 25 წლისთავი“ (თბილისი, 1908, ანონიმური გამოცემა), გაბრიელ დეველის „კარლ მარქსის კაპიტალი 1 ტომის პოპულარიზაცია“ (1907 წ. ჟურნალ „რიჟრაჟის“ № 1 და № 2 დამატება, 32 გვ.) და მრავალი სხვა.

ქართულ-რუსულ-ჩუვაშური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

1964 წლის ბოლოს „ჩუვაშეთის წიგნების გამომცემლობამ“ ქალაქ ჩებოქსარში გამოსცა შესანიშნავი წიგნი დაუმსახურებლად დავიწყებული არქიტექტორის პეტრე ეგოროვის შესახებ.

სარეცენზიო წიგნის ავტორები არიან ფ. დ. კუზნეცოვი და ე. ფ. კუზნეცოვა-რიცკი. იგი დაწერილია უმდიდრესი სამარქივო მასალების საფუძველზე და შეიცავს ფრიად ძვირფას ცნობებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ნიჭიერი რუსი არქიტექტორი პეტრე ეგორის ძე ეგოროვი (1731—1789), ეროვნებით ჩუვაში, აღზრდილი იყო არტილერიის გენერალ-მაიორ თავად ეგორ ლეონტის ძე (გიორგი ლევანის ძე) დადიანისა (1683 — 1765), რომელიც რუსეთში ჩასულა საქართველოდან მეფე არჩილ II ამალასთან ერთად.

საკმაოდ სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევის ავტორები, მამა და ქალიშვილი თანაბარი სიყვარულითა და გულისხმიერებით იხსენიებენ, როგორც თავიანთ თანამემამულე პ. ეგოროვს, ასევე მის აღმზრდელ ქართველს გიორგი დადიანს.

„ჩვენ არ ვიცით, — წერენ ავტორები, — არც მისი მშობლების სახელი, არც მისი დაბადების ზუსტი თარიღი. „რუს შემოქმედთა სახელების ანბანურ საძიებელში“ მოხსენებულია, რომ „პეტრე ეგორის ძე ეგოროვი მშენებლობის კონტორის არქიტექტორი, დაიბადა 1728 წელს“, მაგრამ სხვა წყაროებში და ასევე საარქივო საბუთების მეტ ნაწილში ეს თარიღი მიეკუთვნება 1731 წელს. უცნობია აგრეთვე პ. ეგოროვის დაბადების ზუსტი ადგილი. თავად იგი ასე წერს: „დაბადებით ჩუ-

ვაში ვარ, მცირეწლოვანი წამიყვანა რუსეთში არტილერიის გენერალ მაიორმა თავადმა დადიანოვმა...“

შემდეგ, გვაცნობენ რა პეტრე ეგოროვის ცხოვრებასა და შემოქმედებით გზას, ავტორები გზადაგზა მოკლედ ჩერდებიან ქართველი მეფის არჩილის ბედ-იღბალზე, მისი აღზრდილის, სამეგრელოს მეფე ლევან მე-IV-ის ვაჟიშვილის, გიორგი დადიანის ბედზე. ავტორები წერენ, რომ „პეტრე პირველს უყვარდა არჩილ ვახტანგის ძის ოჯახი, ხშირად და შინაურულად დადიოდა მასთან სახლში. არჩილის შვილი უფლისწული ალექსანდრე (1674—1710) ბავშვობიდანვე პეტრეს უახლოესი მეგობარი იყო“. თუ რა გზით აღმოჩნდა ჩუვაში ბიჭი პეტრე ეგოროვი დადიანის ოჯახში, ამის გამოსარკვევად წიგნის ავტორებს მოჰყავთ მრავალი მაგალითი ჩუვაში ბავშვების გაყიდვის შესახებ 1742 წ. და აქვე სვამენ კითხვას „შესაძლოა, ასეთი ბედი ეწია პეტრე ეგოროვსაც?“, მაგრამ ამ კითხვაზე თვითონ ავტორები უარყოფითად პასუხობენ. მკვლევართა აზრით „თავად დადიანის წარჩინებულ და მდიდარ ოჯახში („სრულიად რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურთა გვარის საერთო საგერბოში“ მათი შთამომავლობა ჩაწერილია „პირველ განყოფილებაში“ ყველაზე არისტოკრატიულ ოჯახებს შორის), ჩვენამდე მიღწეულ ყველა წყაროს მიხედვით პეტრე ეგოროვს ექცეოდნენ არა როგორც შინაყმას, არამედ როგორც აღსაზრდელს“.

თავადი დადიანი ღარიბ ჩუვაშ ბიჭს უაღრესად ადამიანურად ექცეოდა, თავადმა შესძლო მასში დიდი ნიჭი და უნარი აღმოეჩინა და დაეხმარა მათს განვითარებაში. ამ შესანიშნავ საქციელში იგრძნობა პეტრესდროინდელი ადამიანი, როდესაც თვით პეტრეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიქრობდნენ, რომ „საჭირო იყო მოეპოვებინათ სახელმწიფო დიდება ხელოვნებისა და მეცნიერების გზით“, და ადამიანებს აფასებდნენ არა შთამომავლობისა და ჩინების მიხედვით, არამედ ჭკუით, ნიჭით და ცოდნით.

მე-18 საუკუნის შუა წლებში ჩატარდა ჩუვაშების მასობრივი გაქრისტიანება, ამიტომ ბუნებრივია, რომ თავადის ოჯახში ბიჭი, უპირველესად ყოვლისა, როგორც შემდეგში თვი-

თონ წერს, „მონათლული იქნა მართლმადიდებლური ბერძნული სარწმუნოების წესით“. ამასთან მას სახელად უწოდეს პეტრე, ალბათ, თავად დადიანის ვაჟის, პეტრე ეგორის ძის (1716—1784) პატივსაცემად. (თავის მხრივ კი, — დასძენენ ავტორები, — დადიანის ვაჟიშვილს, შესაძლოა, სახელი პეტრე პირველის პატივსაცემად დაარქვეს), მამის სახელი და გვარი სავსებით გარკვევით იქნა მიცემული თვით თავადის, „ნათლიას“ სახელის მიხედვით.

პეტრე ეგოროვმა მიიღო კარგი დაწყებითი მომზადება ქართულ ოჯახში მოსკოვის ახლოს, და ჰქონდა რა „ბეჯითი და მედგარი სურვილი“ გამხდარიყო არქიტექტორი, 1755 წლის გაზაფხულზე ე. ლ. დადიანის სარეკომენდაციო წერილით ჩადის სანკტ-პეტერბურგს, სადაც იმ დროს თავმოყრილი იყო ყველა ძირითადი საარქიტექტორო და სამშენებლო ძალები, ახალი დედაქალაქის სანკტ-პეტერბურგის აგებისათვის.

1753 წლის მარტში ეგოროვმა არზა მიართვა ელისაბედ პეტრეს ასულს თხოვნით, რათა იგი გაემწესებიათ მოსწავლედ „არქიტექტორული მეცნიერებისა“ „მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახლებისა და ბაღების მშენებლობის კანცელარიასთან“, არზაში იგი წერს „უმორჩილესად გთხოვთ ახლადმონათლული ჩუვაში პეტრე ეგოროვი და თუ რაში მდგომარეობს ჩემი თხოვნა, ამას მომდევნო პუნქტებში ნახავთ:

დაბადებით წინათ ჩუვაში ვიყავი, პატარაობიდანვე წამომიყვანა არტილერიის გენერალ-მაიორმა თავადმა დადიანოვმა რუსეთში და მანვე მომნათლა ბერძნული მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით და ვიმყოფებოდი აღნიშნულ ბატონ გენერალ-მაიორთან; მივიღე რუსული განათლება: ვისწავლე კითხვა, წერა, არითმეტიკა, გეომეტრია და ნაწილობრივ ხატვა. ბატონ გენერალ-მაიორთან ვიყავი არა ყმად, არამედ თავისუფალი.

ახლა კი რათა უფრო მეტად დავეუფლო იმ მეცნიერებას და გავაღრმავო იგი, დიდი სურვილი მაქვს ვიყო თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის არქიტექტურული მეცნიერების სამსახურში მოსწავლედ“ და ა. შ.

არზას თან ერთვოდა არტილერიის გადამდგარი გენერალ-მაიორის თავად ეგორ ლეონტის ძე დადიანის სარეკომენდაციო წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეგოროვმა მის სახლში, „მიიღო და შეისწავლა წერა-კითხვა, არითმეტიკა, გეომეტრია და ნაწილობრივ ხატვა, იყო ბეჯითი და არავითარი ნაკლი არ შეგვიმჩნევია“.

როგორც წიგნის ავტორების მიერაა დადგენილი, არზა და სარეკომენდაციო წერილი მიუღია, არტილერიის გენერალანშეფს ვ. ვ. ფერმორს, რომელიც 1746 წლიდან მეთაურობდა მშენებლობის კანცელარიას. პეტრე ეგოროვი იმდენად წარმატებით აბარებს გამოცდებს, რომ მას პირველი კლასის მოწაფედ ღებულობენ და ენიშნება ყველაზე მაღალი ხელფასი 24 მანეთი წელიწადში (მაშინ როდესაც მეორე კლასის მოწაფე ღებულობდა 18 მანეთს, მესამე კლასის კი 12 მანეთს).

წიგნის ავტორები სამართლიანად შენიშნავენ, რომ „გადამწყვეტი როლი აქ ითამაშა, რასაკვირველია, თავად დადიანის რეკომენდაციამო.

მართლაც, როგორც თვითონ ავტორები აღნიშნავენ, რომ არ ყოფილიყო ე. ლ. დადიანის სარეკომენდაციო წერილი ჩუვაშს „უცხო მიწის“ შვილს გამოცდებზედაც კი არავინ დაუშვებდა.

პ. ეგოროვის პირველი მასწავლებელი იყო არქიტექტორი ს. ა. ვოლკოვი (1717—1790), რომელიც ერთ დროს შესანიშნავი რუსი არქიტექტორის მ. ზემცოვისა და სახელოვანი ვ. რასტრელის მოწაფე იყო. 1761 წ. პ. ეგოროვს მიაკუთვნეს მესამე კლასის არქიტექტორის მოადგილეობა, შემდეგ კი მალე მიიღო პირველი კლასის ხარისხი. სარეცენზიო წიგნში დადგენილია რა შესანიშნავი ძეგლებია შექმნილი არქიტექტორ პეტრე ეგოროვის მიერ. აქვეა მოყვანილი დამამტკიცებელი საბუთები იმის შესახებ, რომ საზაფხულო ბაღის; ცნობილი გალავანი, მარმარილოს სასახლე მისი სამოსამსახურო კორპუსით, ღვთისშობლის მიძინების ეკლესია ქალაქ პიარნუში (ესტონეთი) და კიდევ მრავალი არქიტექტორული ძეგლი პეტრე ეგოროვის მიერაა შექმნილი სხვა ცნობილ რუს არქიტექტორებთან თანაავტორობით.

ამას გარდა პეტრე ეგოროვი მოწაფეობის სკამიდან მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მონაწილეობდა პეტრეს სასახლის, ზამთრის სასახლის, სმოლნის, შტეგელმანის სახლის, ადმირალების გ. ა. სპირიდონოვისა და ა. ნ. სენიაევის სახლების, შობის ეკლესიის და სახლთა მშენებლობა-გადაკეთებაში. აგრეთვე დაზიანებულ პეტრე-პავლეს ტაძრის მრავალძარუსიან სამრეკლოს აღდგენაში.

პეტრე ეგოროვი მუშაობდა მე-18 საუკუნის გამოჩენილ არქიტექტორებთან ერთად, რომელთა სახელი და ქმნილებები სამუდამოდ დარჩა ისტორიის საკუთრებად.

ისეთი არქიტექტურული შედევრების ავტორობა, როგორიცაა საზაფხულო ბაღის გალავანი და მარმარილოს სასახლე (არლანდთან ერთად), აგრეთვე ქ. პიარნუს ეკლესიის პროექტის (კანკელით), იორდნი (სპეციალური ნაგებობა წყალკურთხევის დროს), შობის ტაძარი (ორი კანკელით) ახასიათებს მას, როგორც ნიჭიერ არქიტექტორს, რომელსაც გააჩნია თავისებური შემოქმედებითი ინდივიდუალობა.

პ. ეგოროვის ქმნილებათა წიგნში მოტანილი არა სრული ნუსხაც კი მაღალ შეფასებას აძლევს მას, როგორც ნიჭიერ, დაუღალავ და ნაყოფიერ მუშაკს რუსეთის არქიტექტორული მშენებლობის სარბიელზე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

ნაშრომში უხვადაა გამოყენებული პირველწყაროები. მშრალი საარქივო საბუთები ავტორთა გამოცდილ ხელში, მრავალრიცხოვანი ილუსტრაციის ფონზე, პეტრე ეგოროვის სახეს წარმოგვიდგენს ფრიად განათლებულ და თავისი დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არქიტექტორად.

თვით ფაქტი — გიორგი დადიანის მიერ ჩუვაში ჰაბუკის აღზრდა უნდა ჩავთვალოთ როგორც ერთი ადრეული გამოვლინება ქერთველ და ჩუვაშ ხალხთა მეგობრობისა.

ტიციან ტაბიძის უცნობი წერილი ანდრეი ბელის

ტიციან ტაბიძესა (1895—1937) და მის მეუღლე ნინო ალექსანდრეს ასულ მაყაშვილ-ტაბიძეს (1900—1965) მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მოწინავე რუს მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. შეუღლების დღიდან (1920 წ.) მათი ოჯახი თბილისის ერთ-ერთ სამაგალითო ლიტერატურულ სალონად იქცა, სადაც ქართველ კალმოსნებთან ერთად ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და საბჭოთა ხალხების სხვა ეროვნების წარმომადგენლები. არც უცხოელი მეგობრების ვიზიტი იყო იშვიათი ამ ოჯახისათვის. ტაბიძეების სასურველი სტუმრები იყვნენ ვლ. მაიაკოვსკი, ესენინი, ა. ბელი, ი. ერენბურგი, ბ. პასტერნაკი, ლ. ლეონოვი, ი. ტინიანოვი, ნ. ტიხონოვი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი, პ. პავლენკო, ვ. გოლცევი, ბ. ლივშიცი, კ. პეტროვი-ვოდკინი, ე. ჩარენცი, მ. ბაჟანი და სხვ.

მოსკოვსა და ლენინგრადში ჩასვლისას ნინო და ტიციან ტაბიძეებიც თავიანთ მხრივ, ყოველთვის ნახულობდნენ თავიანთ მეგობრებს და ხშირად სწორედ ზემოთ ჩემოთვლილ პირების ოჯახში ბინავდებოდნენ. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს იძლევა ტიციანის წიგნი „წერილები, ნარკვევები, მიმოწერა“ და ნინო ტაბიძის მოგონებებში მოყვანილი ფაქტობრივი დეტალები, რომლებიც, ერთი მხრივ, აადვილებენ ტიციანის მიერ ანდრეი ბელისადმი მიწერილ ბარათის შინაარსის გაშიფვრას, მეორე მხრივ, საბოლოოდ ადასტურებენ რუს მეგობრებთან საქმიან დამოკიდებულებას.

ტიციანის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგაც მისი მეგობრების კარი მუდამ ღია იყო ნინო ტაბიძესათვის როგორც თბილისში, ასევე მოსკოვსა და ლენინგრადში. ნინო ტაბიძის

ნაწერებში ხშირად შეხვდებით ასეთ ადგილებს: „ბორის ლეონიდის ძე პასტერნაკის ოჯახში გავჩერდი". — „მახსოვს ტიციანოვთან და ქართველ მწერლებთან ერთად გამგზავრება წინანდალში ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სადილს მივუსხედით, საერთო სიცილი და ხარხარი იყო, როცა ტიციანოვს ასწავლიდნენ თუ როგორ უნდა ეჭამა ხინკალი"... „თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ ჩვენთან მწერლები. ინტერესით უსმენდნენ ისინი ტიციანს, რომელიც უკითხავდა მათ თავის ჩანაწერებს შამილზე მის მიერ შეკრებილი მასალებიდან (ტიციანი აპირებდა შამილზე რომანის დაწერას) „ზაბოლოცკი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა საქართველოს. ჩვენც, რაც შეგვეძლო, მასპინძლობას არ ვაკლებდით. გვყავდა კახეთში — წინანდალში... მერე გ. ლეონიძემ პატარძეულში წაიყვანა"... ტაბიძეების მეგობართა წრე მეტისმეტად ფართო იყო და ამიტომაც, სტუმრების სასიამოვნოდ მასპინძლები ყოველთვის ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ღირსშესანიშნავი ადგილები ეჩვენებინათ — მცხეთა, თბილისი, ალავერდი, წინანდალი, ბორჯომი, საქართველოს სამხედრო გზა, გორი...

1937 წლის მარტის ბოლო რიცხვებში, ლენინგრადში ჩატარდა ქართული ლიტერატურის ორი საღამო, ორივე ტიციანის აქტიური მონაწილეობით. პირველი საღამო ტიციან ტაბიძის პოეტურ შემოქმედებას მიეძღვნა. ჯერ ავტორმა წაიკითხა საკუთარი ნაწარმოებები რუსულ ენაზე, შემდეგ კი მისი ლექსები რუსმა პოეტებმა წაიკითხეს. დიდი იყო ტაშის ცემა და ოვაცია დარბაზში. საღამო შესავალი სიტყვით ნ. ტიხონოვმა გახსნა და იგივე ხელმძღვანელობდა ბოლომდე. მეორე საღამო, რომელსაც კვლავ ნ. ტიხონოვი ხელმძღვანელობდა, მიეძღვნა ქართველ რომანტიკოსების — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის და ვახ. ორბელიანის ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნილი ნიმუშების განხილვას. ხსენებულ საღამოებს კ. დ. და ვ. დ. დონდუებთან და იმ დროს ლენინგრადში მცხოვრებ და მოსწავლე სხვა ქართველებთან ერთად ამ სტრიქონების ავტორიც ესწრებოდა. ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე დარბაზში სეირნობისას

ჩემმა მასწავლებელმა, პროფ. კ. დ. დონდუამ ხელის ჩამორთმევით გამაცნო ტიციან ტაბიძე, და მისი რუსი მეგობრები ნ. ტიხონოვი, ი. ტინიანოვი, ნ. ზაბოლოცკი და სხვ. აქ პირველად მოვისმინე ამ ადამიანთა შინაარსიანი გამოსვლები, მათ შორის ტიციან ტაბიძის პათოსით სავსე, მგზნებარე სიტყვა. ტიციანმა მაღალი და ობიექტური შეფასება მისცა მოძმე რუს პოეტების თარგმანებს. მართლაც, ეს თარგმნები მალე დაიბეჭდა კიდეც.

ტიციანი ინიციატორი იყო როგორც „ქართველი რომანტიკოსების“, ისევე „ვეფხისტყაოსნის“, „სიბრძნე სიცრუისა“, ვაჟა-ფშაველას და სხვა ქართველ კლასიკოსთა უკვდავი ნაწარმოებების რუსულად თარგმნისა და გამოცემისა. ასევე ზრუნავდა იგი რუსულიდან, და საერთოდ საბჭოთა ხალხების სხვა მოძმე ერებისა და უცხო ქვეყნების ლიტერატურული ნიმუშების სათარგმნელად. უფაქიზესი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ტიციან ტაბიძე, რომელმაც თავის შესაძლებლობის მხოლოდ ჭაშნიკის დატოვება მოასწრო, დიდი ენთუზიაზმით ეგებებოდა ყოველ ახალ წამოწყებას, ეხებოდა ეს მხატვრულ ლიტერატურას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, ენათმეცნიერებას, მუზეუმების მოწყობას, სახვითი ხელოვნებას, თეატრალურ საქმიანობას, მეგობრებზე ზრუნვას, მათ შემოქმედებით მუშაობასა თუ ნორმალურ პირობებში დასვენებას და ა. შ. ყველას და ყველაფერს ტიციანისებურად ეპყრობოდა და აი, სწორედ ეს იყო მისი ყველაზე მაღალი და ფაქიზი ღირსება. თამადობასა და ქეიფში ხომ მას ბადალი არ ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ ტიციანთან და პაოლო იაშვილთან სუფრაზე დროს გატარება ანდრეი ბელიმ ლაკონურად გამოხატა: «Научен: сыт не мясом, а— знанием, пьян не вином, а душевной игрой всех сидящих» («Ветер с Кавказа», стр. 193).

ზაბოლოცკი ტიციანისადმი მიწერილ ბარათში წერდა:

«У вас есть какая-то пленительная чистота лирического голоса, душевность его и очень широкий диапазон: конечно, Вы — один из самых крупнейших поэтов Союза, и я очень горжусь Вашей дружбой; она побуждает меня

к постоянной и упорной работе» (от 11 янв. 1936 г.), ან კიდევ «В ваших стихах пленят меня удивительная близость душевного мира к миру природы. У вас эти два мира сливаются в одно неразрывное целое — и это для нашего времени — явление радчайшее. Среди современных русских поэтов природу любят и чувствуют лишь очень немногие... Такое гармоничное и естественное слияние душевного мира с природой, какое я вижу по Вашим стихам, я не встречал еще ни у кого. Оно, конечно, есть результат, о котором молодые поэты могут только мечтать» (от 1 июля 1936 г.).

ანდრეი ბელიც მაღალ შეფასებას აძლევს ტიციანს: «Табидзе — сердечный вулкан, бьющий пламенем в мысль». «Воздушный Табидзе: громами гремит, изливается ливнями».

სწორედ ტიციან ტაბიძესა და მის თანაკალმოსნებს პაოლო იაშვილს, გიორგი ლეონიძეს, ბესო ჟღენტს, სიმონ ჩიქოვანსა და სხვებს გულისხმობდა ანდრეი ბელი, როცა თავის დღიურში წერდა:" «Да, Грузия переполнялась культурой, когда мы, как звери, блуждали в лесах; они старше; нам —надо учиться во многом у них; и учили: в застольных речах, поминая любовные символы: Лермонтов, Пушкин, а я?».

მეტად საინტერესოა ბარათი, რომელიც 1933 წლის 16 აგვისტოს გაუგზავნა ტიციან ტაბიძემ ანდრეი ბელის. მისი ტექსტი არ შესულა 1964 წ. რუსულ ენაზე გამოცემულ ტიციან ტაბიძის წიგნში („წერილები, ნარკვევები, მიმოწერა").

ბარათი დაწერილია ორად მოკეცილი ფურცლის პირველ და მესამე გვერდებზე. ამჟამად იგი დაცულია სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ანდრეი ბელის პირად არქივში. ჩვენი აზრით, ის პასუხი უნდა იყოს იმავე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ანდრეი ბელის მიერ გაგზავნილი წერილისა. ამ წერილში ან. ბელი ტიციანს სთხოვდა, ამჟამად საქართველოში იმყოფება მხატვარი კუზმა პეტროვი-

Тициан Табидзе

16 Августа 935
Тифлис.

Дорогой Борис Николаевич!

Давно я до Вашего письма собирался
писать – но через года что Вас не видел
застенчивость робость а все мучительно
откладывал.
Из наших краснокожих и Вам, без-
конечно, кавказцам прожить вокруг
– а жизнь хорошее, все больше
завладевает Борис Николаевич и с далека
видим Андрея Белого, поверьте поверьте,
как мы хотим видеть Вас
в Грузии и опять погрузиться в Вас.
А пишу я теперь мечтой: Как будет
хорошо – помню договорились немного
о думанье – что мы – сделаем в Москве –
Во время Вашего приезда.
Тепло стало в Москву, на почтовую
обновим.
В Цинкосаме можно четырехдневку, и говорим
с Вами надо – по думающему в конце концов
нам будет холодно – можно четырехдневку
и по Новому Афону.
Время наших вещей не ждет, живу не
дремлю, в Тифлисе не поговорим
о характере Вашей работы на грузинском

Императрицы мы не говорили в Москве
на съезде – о предстоящем нашем фронте
главное человек 80 оказалось на фронте
нам важных лиц живет сейчас в Пскове.
Быстро и удачно нам это и будет сделать
все просим телеграфировать

В Могилеве живет Алексей Куликов
Петров-Водкин, Лемох на не может
вспомнить родных на Волге.
В Киеве Мазуре и Гаккель не могут
на Украине фон и могут выходить
Дитятин Сева.

Чем скорее об этом мы узнаем,
тем скорее организуем поездку
Керенского на фронт. Надеюсь и надеюсь
получить Ваше согласие, и тогда
[illegible] работа пойдет интенсивно,
чтобы к ближайшей недели выехать
в Ставку и Киев и Харьков и Крым –
и всюду без лишней канители –
Собрано обширную коллекцию Кавказских,
чему Вы посвятили и отработали над
историческими рисунками и Ивана Васильевича
В Киеве рассчитываю я задержаться
мало. Надеюсь удастся в Крыму снова
видеть Вас и себя в Ливадии и Кайзаке,
и вспомнить как здесь нас окружали в 1917 году

Завидую Пскову, что Вам удалось
раньше – передайте нам привет Вашей
Княгине Николаевне, и всему нашему
петроградскому окружению в Пскове.

Ваш [illegible]

2

ვოდკინი[1] და დაეხმარე, კარგად გაიცნოს კავკასიაო. „Оказав ему посильную помощь, Вы окажете содействие культуре, той культуре, которая над всеми народами, как купол, составляющий один народ, в котором Я, Вы, Сарьян и Водкин, как Рембо, Верлен, Ницше и т. д. — братья».
(იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, ტ. ტაბიძის არქივი).

ანდრეი ბელის მოულოდნელმა სიკვდილმა (1934 წლის 8 იანვარი) დიდად დაამწუხარა ტიციანი და საქართველოში მიპატიჟებული ძვირფასი სტუმრის გამასპინძლების მაგიერ, მას წილად ხვდა ვრცელი ნარკვევი-ნეკროლოგი დაეწერა მასზე. „ანდრეი ბელიმ — წერდა ტიციანი — მსგავსად რუსეთის სხვა დიდი მწერლებისა, ერთი პოეტური ვალიც მოიხადა — უკანასკნელ წლებში ის ძალიან დაუახლოვდა საქართველოს. თავის წიგნში—„Ветер с Кавказа" მას მოთხრობილი აქვს, თუ როგორ შედის პუშკინის შემდეგ საქართველო რუსეთის პოეზიაში.

1927 წელს რეჟისორ ესენოლოდ მეიერჰოლდთან ერთად ის პირველად ჩამოვიდა საქართველოში და დარჩა მთელი ზაფხული; ამ ზაფხულს მან დაწერა ზემოხსენებული წიგნი. მეორედ იყო 1929 წელს, აგრეთვე მთელი ზაფხული, ცხოვრობდა საჩხერეში აკაკი წერეთლის სახლში, და კოჯორში, სადაც წერდა „მთების სიმფონიას", რომელიც ჯერ გამოუქვეყნებელია.

1931 წელს ფიქრობდა რამდენიმე წლით თბილისში დაბინავებას, მაგრამ შემთხვევით მოსკოვიდან დეტსკოე სელოში გადასახლდა და არ მოუხერხდა თბილისში ჩამოსვლა.

შარშანდელი შემოდგომა მას ეწადა გაეტარებინა კახეთში, წინანდალში, მაგრამ სწორედ გამომგზავრების წინ დაეცა პირველი წვეთი და სამი თვის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა.

სხვა დროისათვის გადამიდვია ჩვენი შეხვედრების ამბის დაწერა, თუნდაც ჩემსავით, გარეშე მოწაფისათვის ძნელია ამ უდიდესი ოსტატის და შესანიშნავი ადამიანის ღია საფლავთან

---

[1] იგულისხმება რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. ს. პეტროვი-ვოდკინი (1878—1939).

მოგონება — ეს არის ის უძვირფასესი, რაც თვითონ რჩება სიკვდილის წინ მოსაგონებლად (ტ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 230).

აღსანიშნავია, რომ ანდრეი ბელის შემოქმედებას ვრცელი სტატია უძღვნა ტიციან ტაბიძემ ჯერ კიდევ 1927 წლის 1 ივლისს („Заря Востока"). სტატიის დაბეჭდვა დაემთხვევა ანდრეი ბელის სტუმრობას ტაბიძეების ოჯახში. ეს ნარკვევი შემდეგში ტიციან ტაბიძის წიგნებში აღარ დაბეჭდილა.

ანდრეი ბელი პირველად პაოლო იაშვილმა გაიცნო 1927 წლის 10 ივნისს ციხის-ძირში, 28 ივნისს კი პაოლომ თბილისში ტიციან ტაბიძე წარუდგინა მას, ამ დღიდან ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ. ტიციანმა და პაოლომ ჯერ მთელი თბილისი გააცნეს ანდრეი ბელის, შემდეგ კი სხვა ქართველ მწერლებთან ერთად საქართველოს სამხედრო გზითაც ამოგზაურეს.

იმავე ხანებში, როცა ტიციანმა ზემოხსენებული წერილი გაუგზავნა ან. ბელის, „სალიტერატურო გაზეთში" (1933 წ. 30 სექტემბერი, № 20, გვ. 4) გამოქვეყნდა ტ. ტაბიძის ვრცელი სტატია „კულტურის კარები დარიალთან (ყაზბეგის სამხარეთმცოდნეო და სალიტერატურო მუზეუმი). იქვეა ფოტოსურათი წარწერით „ალ. ყაზბეგისეული სახლი, რომელშიაც მოთავსებული იქნება მუზეუმი". საინტერესოა, რომ ამ სტატიის მოკლე შინაარსს ტ. ტაბიძე ნაწილობრივ ანდრეი ბელისაც აცნობებს 16 აგვისტოს გაგზავნილ წერილში.

ტიციან ტაბიძის სამტომეულის მესამე ტომში ეს ნარკვევი შეტანილია სათაურით: „ასე იღება კულტურის კარი დარიალთან" (გვ. 170—175) და შეცდომით არის დათარიღებული 1935 წლით, სინამდვილეში იგი, როგორც უკვე ვთქვით, 1933 წ. 30 სექტემბერს დაიბეჭდა უფრო ვრცლად. სამტომეულის სარედაქციო კოლეგიამ (ირ. აბაშიძე, რ. მარგიანი, დ. სტურუა), ალბათ, სხვა ვარიანტით ისარგებლა და ამიტომ მოხდა შენიშნული განსხვავება. იქვე „საიათ-ნოვას" დაწერის თარიღად 1930 წ. მიჩნეული. სინამდვილეში იგი დაიწერა საკავშირო მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგ და დაიბეჭდა 1934 წ. 6 დეკემბრის „ლიტ. გაზეთის" № 28-ში.

ნარკვევი ყაზბეგის მუზეუმზე ბევრ საინტერესო ისტორიულ ფაქტს შეიცავს, მასში მრავალი ცნობილი პიროვნება და იშვიათი წყაროა დასახელებული. რაც მთავარია, იგი დაწერილია დიდი დაკვირვებითა და საქმის კარგი ცოდნით. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობისა და სალიტერატურო მუზეუმის მოწყობას ტიციან ტაბიძე დიდ მომავალს უქადის და პერსპექტივაში ფიქრობს მის „კავკასიის მთიელი ტომების შესწავლის ინსტიტუტად გადაქცევას“. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ა. გრიბოედოვის, ბესტუჟევ-მარლინსკის, ლ. ტოლსტოისა და მ. გორკის გვერდით ტიციანი ასახელებს თავის მეგობარ რუს მწერლებსაც — კ. ბალმონტს, ანდრეი ბელის, ი. ტინიანოვს, ვ. მაიაკოვსკის, ს. ესენინს, ბ. პასტერნაკს და სხვებს.

ანდრეი ბელი, როგორც ვიცით, ლიტერატურული ფსევდონიმია ბორის ნიკოლოზის ძე ბუგაევისა (1880—1934). იგი მე-20 საუკუნის რუს მწერალთა უფროსი თაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე და ნაყოფიერი წარმომადგენელია. ტიციან ტაბიძის სიტყვით რომ ვთქვათ, ანდრეი ბელის ნაწარმოებების რაოდენობა 47 ტომს შეიცავს.

ტიციანი თავის წერილში თავდაპირველად წუხს იმაზე, რომ ბორის ნიკოლოზის ძე თანდათან მივიწყებას ეძლევა, ანდრეი ბელის კი მხოლოდ შორიდან ვხედავთო, ამიტომ თხოვს კვლავ გვესტუმრე საქართველოში და გინდ წინანდალში დაისვენეთ, გინდ ახალ აფონში. საამისოდ ყველაფერი მოგვარებულია, უკვე მოველაპარაკე ვისაც საჭიროა, ზედმეტ ნივთებსა და ტანსაცმელს ნუ წამოიღებთ, აქ ყველაფერს ვიშოვითო — განაგრძობს ტიციანი. თანაც ატყობინებს, პაოლო იაშვილი 15 აგვისტოს მოსკოვში გამოემგზავრა და დაწვრილებით მას მოელაპარაკეთ ყველაფერზეო. წერილში ლაპარაკია იმის შესახებაც, რომ ანდრეი ბელის ქართულ ლიტერატურულ მასალებზე მუშაობა სურდა. ტიციანი ურჩევს ამაზე მოსკოვში მოვილაპარაკოთ დაწვრილებით მწერალთა ყრილობაზეო. მთავარი კი თქვენი დასვენებაა და ისიც საქართველოშიო.

მხატვარი კუზმა პეტროვი-ვოდკინი, რომლის შესახებ ან. ბელი წერდა ტიციანს, იმხანად აბასთუმანში ისვენებდა.

ტიციახი ატყობინებს ან. ბელის, რომ კუზმა აგვიტოს ბოლო რიცხვში სახლში გვეწვევა რამდენიმე დღით და მაშინ ყველაფერზე მოვილაპარაკებთ, „დედსკოე სელოსაც“ გავიხსენებთო.

შემდეგ ტიციანი საჭიროდ მიიჩნევს ანდრეი ბელის უამბოს თავისი უახლოესი გეგმები. პირველი, როგორც უკვე ითქვა, ეხებოდა ყაზბეგის მუზეუმის მოწყობას, რომლისთვისაც გამოიყო ორი დიდი სახლი 17 ოთახით (ყაზბეგის ყოფილი სასახლე). აქვეა საუბარი შემოქმედებით გეგმებზეც, კერძოდ იმის შესახებ, რომ ტიციანი აპირებდა მთელი წელი ჩამჯდარიყო, შეეგროვებინა მასალები და ემუშავნა ისტორიულ რომანზე „იმამ შამილი“. ყოველივე ამის შესახებ მოსკოვში გიამბობთო, წერს ტიციანი, თან იმედს გამოთქვამს შეიძლება ისე მოხდეს, რომ მომავალ წელს ორივე ყაზბეგში მოვხვდეთ და გავიხსენოთ ჩვენი პირველი მოგზაურობა საქართველოს სამხედრო გზაზეო.

წერილის დასასრულს ტიციანი შენიშნავს, მშურს პაოლო იაშვილის, რადგან იგი ჩემზე ადრე გნახავთო. ამავე დროს ტიციანი მოიკითხავს ან. ბელის მეუღლეს კლავდია ნიკოლოზის ასულს. და განსაკუთრებულად უთვლის უთუოდ ჩამობრძანდით საქართველოში დასასვენებლადო.

და ბოლოს საინტერესოა თვითონ წერილის წყობის ფორმა, რაც ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს პოეტური სულისკვეთებით სავსე ტიციან ტაბიძისათვის. მეგობრული და იმავე დროს საქმიანი წერილი ლექსივით იკითხება.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი. როგორც ვნახეთ, ტიციან ტაბიძეს 1926 წელს განუზრახავს დაეწერა ისტორიული რომანი „იმამ შამილი“. ამ განზრახვას პოეტი ადასტურებს 1933 წელსაც „ამ წელს გამოვიდა — გამოდის: გამომცემლობა „ფედერაციაში“ — ჩემი პოემების წიგნი, სახელგამში თითქმის სრული ლირიკული ლექსების კრებული, ავ. ისააკიანის პოემა „აბულ ალა მაარის“ თარგმანი და ნარკვევების წიგნი: „ახალი კოლხიდა“, ვმუშაობ ჰენრიხ ჰეინესა და ომარ ქაიამის (ხაიამის) ლექსების თარგმანზე; ზაფხული და

შემოდგომა მინდა გავატარო ბაქოში და დაღესტანში. ბაქო მაინტერესებს როგორც ახალი სოციალისტური ქალაქი, დაღესტანში კი მინდა ვიმუშაო რომანზე, რომელზედაც შვიდი წელია ვმუშაობ და ვფიქრობ — ეს წიგნია „იმამი შამილი". ეს პირველი ცდაა ჩემი მხატვრულ პროზაში — შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ წლები და ხანი „სასტიკ პროზისკენ" მხრიდენ ან და იმისაც, რომ ჩვენი ქარიშხლიანი ეპოქა გადაეზარდა ლირიკას". („სალიტ. გაზეთი", 1933 წ., 29 აპრილი, № 10, გვ. 2).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-18 წლისთავთან დაკავშირებით ტიციან ტაბიძე კვლავ უბრუნდება ხსენებულ საკითხს და გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით თავის მკითხველებს აუწყებს:" ოქტომბრის 20 წლისთავისათვის განზრახული მაქვს დავამთავრო ჩემს მიერ მოსაზრებული რომანი „იმამი შამილი" — კავკასიის დაპყრობის ეპოქიდან. ამავე თემაზე ვწერ პიესას რუსთაველის სახელობის თეატრისათვის" (გაზ. „კომუნისტი", 1933, 3 ნოემბერი, № 256, გვ. 2).

ტიციანი ისე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან რომ ვერც ჰეინესა და ხაიამის ლექსების თარგმნა მოასწრო და ვერც „იმამი შამილის" დაწერა. ავ. ისააკიანის პოემა „აბულ ალა მაარი" კი ორჯერ გამოიცა მის სიცოცხლეში (1931—36 წწ.).

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3
მეფე არჩილის უცნობი სურათი 5
ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მე-19 ცალი და გრიგოლ ბატონიშვილის მარგინალიები 8
ს. ს. ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტი და მისი უცნობი მხატვარი ბაგრატ ბატონიშვილი 32
თეიმურაზ II-ის პორტრეტისათვის 41
უცნობი ქართულ-რუსული ლექსიკონი 48
უცნობი ქართველი პოეტი სოლომონ კავკასიელი 54
პუშკინის ლექსის პირველი ქართული თარგმანი 59
ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი“ ბალაკირევის ნოტებზე 62
თეიმურაზ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის 64
რუსეთის პირველი ქართველი აკადემიკოსი 78
ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ერთი პატარა დეტალი . 86
ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან . 92
პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიისათვის 99
ლ. ა.-დ. და მისი მივიწყებული წერილი შოთა რუსთაველზე . . 114
კულტურის მოღვაწეთა ფსევდონიმების საუნჯე 127
ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში ცხოვრებიდან 132
პირველი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი . . . 142
აკაკის მოგზაურობა კახეთში და მის თხზულებათა ერთი კომენტარის დაზუსტებისათვის 146
ჭოლა ლომთათიძე 158
მელანიას ლიტერატურული მემკვიდრეობა 179
ოოსებ იმედაშვილი 191
გიორგი ქუჩიშვილის ფსევდონიმები 197
შალვა დადიანის ცხოვრებიდან 202

მიხეილ დავითაშვილი 206
ნ. კრუპსკაიასა და მ. გორკის მთარგმნელი 212
რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან 216
მივიწყებული ფურცლები კიკნა-ფშაველას შემოქმედებიდან . . 224
ქართული ხალხური პოეზიის ჩანაწერები ავსტრია-გერმანიაში . . 235
ქართული ბეჭდვითი ფონდები ლენინგრადში 247
ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები . . 262
ფ. ენგელსის პირველი წიგნი ქართულად 269
ქართულ-რუსულ-ჩუვაშური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან 276
ტიციან ტაბიძის უცნობი წერილი ანდრეი ბელის 281

რედაქტორი გ. დოლიძე

მხატვარი გ. ფურცელაძე

მხატვრული რედაქტორი გ. ჭუთათელაძე

ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე

კორექტორი ნ. მიქელაძე

ჩაბეჭდად წარმოებას 4-IX-67 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19-VIII-68 წ.

ქაღ. ზომა 84×108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,54.

საალრ-საგამომც. თაბახი 12,29.

უე 01343 ტირაჟი 1000 შეკ. № 2590

ფასი 1 მან. 06 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"

თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ჭ. თბილისი, ცეკავშირის სტამბა, პუშკინის 3.

г.. Тбилиси, типография Цекавшири, ул. Пушкина, 3.